ილია ტაბალუა

ჩეხოსლოვაკია სოციალიზმის გზაზე

სახელგამი
1955

შესავალი

ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის ძირითადი კერების განადგურებამ ღრმა ცვლილებები გამოიწვია მსოფლიოს ხალხთა ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, გაძლიერდა ჩაგრულ ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ომის გამოცდილებით ხალხის მასებმა შეიგნეს, რომ სახელმწიფოთა ბედი არ შეიძლება მიენდოს იმ რეაქციულ მმართველ წრეებს, რომლებიც ხალხის საწინააღმდეგო მიზნებს ისახავენ.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად კაპიტალისტურ სამყაროს ჩამოშორდა ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები, სადაც ბოლო მოეღო ბურჟუაზიულ-მემამულურ ხელისუფლებას და დამყარდა სახალხო-დემოკრატიული წყობილება. გამართლდა საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე ი. ბ. სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვები იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწეოდათ კაპიტალისტებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის გაჩაღების შემთხვევაში. „არა გვგონია საეჭვო იყოს, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — რომ მეორე ომს სსრ კავშირის წინააღმდეგ მოჰყვება თავდამსხმელთა სრული დამარცხება, რევოლუცია ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში და ამ ქვეყნების ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობათა განადგურება“ [1].

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 313.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმოშობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — სსრ კავშირის არსებობამ და მისმა ძლიერებამ. „...თვით მსოფლიო რევოლუციის განვითარება, — წერდა ი. ბ. სტალინი, — იმპერიალიზმისაგან მთელი რიგი ახალი ქვეყნების ჩამოშორების თვით პროცესი მით უფრო სწრაფი და უფრო საფუძვლიანი იქნება, რაც უფრო საფუძვლიანად განმტკიცდება სოციალიზმი პირველ გამარჯვებულ ქვეყანაში, რაც უფრო სწრაფად გადაიქცევა ეს ქვეყანა მსოფლიო რევოლუციის შემდგომი გაშლის ბაზად, იმპერიალიზმის შემდგომი გახრწნის ბერკეტად“ [1].

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის მშრომელმა მასებმა ამ ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით ბოლო მოუღეს თავიანთ ქვეყნებში რეაქციული ძალების ბატონობას და დაამყარეს სახალხო-დემოკრატიული მმართველობა. საბჭოთა არმია ამ ქვეყნებში მივიდა როგორც განმათავისუფლებელი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას დაეხმარა კონტრრევოლუციისა და უცხოეთის იმპერიალისტური ძალების განადგურებაში და საშუალება მისცა ამ ქვეყნების ხალხებს თავიანთ ხელში აეღოთ საკუთარი ქვეყნის ბედიღბალი.

ევროპის ზემოხსენებულ სახელმწიფოებში სახალხო-დემოკრატიული წყობილება დამყარდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში, მათი განვითარების სხვადასხვა დონეზე ყოფნის პერიოდში. მაგალითად, ჩეხოსლოვაკია იყო ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა, სადაც საკმაოდ ძლიერი მუშათა კლასი არსებობდა, მაგრამ ადგილი ჰქონდა ფეოდალურ გადმონაშთებს; პოლონეთი, უნგრეთი და რუმინეთი წარმოადგენდნენ საშუალოდ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს; ბულგარეთი მრეწველობის მხრივ სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანა იყო ძლიერი ფეოდალური გადმონაშთებით, მაგრამ მემამულეთა კლასი თითქმის არ არ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 454.

სებობდა; ალბანეთი წარმოადგენდა აგრარულ, უცხოელ იმპერიალისტებზე დამოკიდებულ ქვეყანას, სადაც მრეწველობა მეტად დაბალ დონეზე იდგა და მუშათა კლასი ის-ის იყო ყალიბდებოდა. აქ შემორჩენილი იყო არა მარტო ფეოდალური, არამედ თემური წყობილების გადმონაშთებიც.

მიუხედავად ამისა, ყველა ამ ქვეყნისათვის საერთო დამახასიათებელი იყო ის, რომ სახალხო დემოკრატიული წყობილება დამყარდა ანტიფაშისტური, ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუციის შედეგად.

სახალხო-დემოკრატიული წყობილება არის რევოლუციური ხელისუფლების ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა. სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას გააჩნია თავისი განვითარების ეტაპები, რომელთა მიხედვითაც იცვლება სახალხო დემოკრატიის კლასობრივი შინაარსი. სახალხო-დემოკრატიული წყობილების განვითარების პირველი ეტაპია ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუციის პერიოდი, — როდესაც ყალიბდება სახალხო დემოკრატია, როგორც რევოლუციური ხელისუფლების ორგანო. ეს ხელისუფლება წარმოადგენს მუშათა კლასისა და გლეხობის დიქტატურას, სადაც ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასს ეკუთვნის. ამ პერიოდში მთავრობასა და პარლამენტში კომპარტია ხელმძღვანელ როლს თამაშობს, მაგრამ იგი ქვეყანას მართავს ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად.

ანტიფაშისტური ბრძოლის პერიოდში ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუშათა კლასის წინაშე არ იდგა სოციალისტური რევოლუციის ამოცანები, საკითხი ყველა ბურჟუაზიული კლასის მოსპობისა და დაუყოვნებლივ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესახებ. მთავარი ყურადღება ექცეოდა საერთო-დემოკრატიული, ანტიფეოდალური ამოცანების გადაჭრას — ფაშიზმისა და ფეოდალური გადმონაშთების მოსპობას, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვებას.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში პირველი ეტაპი დაიწყო 1944 — 1945 წწ. კომპარტიის ხელმძღვანელობით პირველ ეტაპზე ხდება ყველა დემოკრატიული ძალე-

ბის გაერთიანება რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად; საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია; ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენა; აგრარული რეფორმის გატარება; ბანკების, მსხვილი და საშუალო მრეწველობის ნაციონალიზაცია; ბოლო ეღება იმპერიალისტური ძალების — მონოპოლისტური კაპიტალისა და მემამულეების ბატონობას; იქმნება ახალი სახელმწიფოებრივი აპარატი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტიპის ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუცია. მაგრამ იგი ატარებდა უფრო ფართო ხასიათს, ვიდრე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საერთოდ. ცნობილია, რომ როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ისე ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუცია არ სცილდება საერთო დემოკრატიული გადატრიალების ჩარჩოებს, თავის უშუალო მიზნად არ ისახავს ბურჟუაზიის ბატონობის დამხობას და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებას, კაპიტალიზმის მოსპობას და სოციალიზმში გადასვლას. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისაგან განსხვავებით ამ ქვეყნებში მომხდარი რევოლუციების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა ის, რომ იგი თავისი მახვილით მიმართული იყო, უპირველეს ყოვლისა, ფაშიზმის წინააღმდეგ, მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო მაგნატების ბატონობის წინააღმდეგ.

სახალხო-დემოკრატიული წყობილების განვითარების მეორე ეტაპს წარმოადგენს სოციალისტური რევოლუცია. ამ ეტაპზე მყარდება მუშათა კლასის დიქტატურა. ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში აღნიშნული პერიოდი დაიწყო 1947 წლის ბოლოსა და 1948 წლის დასაწყისში და გრძელდება დღემდე. ეს არის ხანა სახალხო დემოკრატიის სრული გამარჯვებისა და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებისა ამ ქვეყნებში. ანტიფაშისტური ბრძოლის პირველ ეტაპზე მუშათა კლასი გამოდიოდა მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საშუალო ბურჟუაზიასთან ერთად. სახალხო დემოკრატიის დამყარების პერიოდში

ბურჟუაზია ჩამოცილებულ იქნა ხელისუფლებას, მის მიმართ მუშათა კლასი ატარებდა ნეიტრალიზაციის პოლიტიკას. ამ დროს ბურჟუაზია ჯერ ცდილობს ხელი შეუშალოს რევოლუციის შემდგომ განვითარებას, ხოლო შემდეგ უკვე აშკარად მტრულ პოზიციას იჭერს სახალხო დემოკრატიის მიმართ, ცდილობს დემაგოგიის გზით მიიმხროს მასები.

მასებისათვის ბრძოლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო კომუნისტური პარტიის პოლიტიკაში, ვინაიდან სოციალისტური რევოლუციის ამოცანების გადაჭრა შესაძლებელი იყო მხოლოდ მასების მიმხრობის შედეგად. მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უჩვენა მასებს, რომ ბურჟუაზია მათი მტერია, ემსახურება უცხოეთის რეაქციული ძალების ინტერესებს, რომ იგი სახალხო ხელისუფლების და დემოკრატიული გარდაქმნების წინააღმდეგია. მასები შემოიკრიბნენ მუშათა კლასის ირგვლივ, ბურჟუაზია პოლიტიკურად იზოლირებულ და განადგურებულ იქნა.

მუშათა კლასმა გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთლიანად ხელში აიღო ძალაუფლება და დაამყარა თავისი დიქტატურა, ე. ი. გადაწყდა სოციალისტური რევოლუციის ძირითადი საკითხი. ამ რევოლუციის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ეს იყო არა სახელმწიფო გადატრიალება, არამედ დაწყებული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა; ბურჟუაზია თანდათანობით იქნა განადგურებული. რევოლუცია განხორციელდა მასობრივი სახალხო მოძრაობის საშუალებით, რომელსაც ზემოდან მხარს უჭერდა სახელმწიფო აპარატის ორგანოები, რომლებიც მუშათა კლასის ხელში იყო; ამიტომ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური რევოლუცია მოხდა არა შეიარაღებული აჯანყების გზით, არამედ ის ატარებდა მშვიდობიან ხასიათს.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მუშათა კლასის დიქტატურის დამყარების პერიოდისათვის დამახასიათებელია შემდეგი მთავარი მომენტები: მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ირგვლივ გაერ-

თიანდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, გაიზარდა კომპარტიის ხელმძღვანელი როლი სახალხო (ეროვნულ) ფრონტში, პარლამენტსა და მთავრობაში; ბურჟუაზია, როგორც პოლიტიკური ძალა, განადგურებულ იქნა, ხოლო მისი წარმომადგენლები განდევნეს სახელმწიფო აპარატიდან; სახელმწიფო აპარატში მბრძანებელი პოზიციები უშუალოდ მუშათა კლასის ხელში გადავიდა; სახალხო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა განუწყვეტლივ იზრდება და ამის შედეგად ხდება კაპიტალისტური ელემენტების შემდგომი განდევნა ეკონომიკიდან; ლიკვიდირებულ იქნა განხეთქილება მუშათა კლასში და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე შეიქმნა ერთიანი მუშათა პარტიები, გაიშალა შეურიგებელი ბრძოლა კომუნისტურ და მუშათა პარტიებში სხვადასხვა სახის ანტიმარქსისტული, ტროცკისტული, ნაციონალისტური გადახრების წინააღმდეგ.

ამგვარად, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, რუმინეთმა, ბულგარეთმა და ალბანეთმა წარმატებით განვლეს სახალხო-დემოკრატიული წყობილების განვითარების პირველი ეტაპი, განახორციელეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული (ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური) რევოლუციის ამოცანები, გადავიდნენ მეორე ეტაპზე და წარმოადგენენ მუშათა კლასის დიქტატურის ქვეყნებს [1].

---

[1] ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მაო ძე-დუნის განსაზღვრით, შევიდა სოციალისტური რევოლუციის სტადიაში, ე. ი. სოციალისტური გარდაქმნების სტადიაში. ჩინელი ხალხი კომუნისტური პარტიის მეთაურობით იბრძვის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის თანდათანობითი განხორციელებისათვის. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ამჟამად იმყოფება გარდამავალ პერიოდში. მისი პირველი ხუთწლიანი გეგმა შემუშავებულ იქნა გარდამავალი პერიოდის გენერალური ხაზისა და ცენტრალური ამოცანების შესაბამისად. გარდამავალი პერიოდის გენერალური ხაზი და ცენტრალური ამოცანა იმაში მდგომარეობს, რათა შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანდათანობით განხორციელებულ იქნას ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოციალისტური გარდაქმნები სოფლის მეურნეობაში, კუსტარულ მრეწველობაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში.

ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს მიერ 1954 წ. მიღებულ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის

მმართველობისა და ეკონომიკის ხასიათით ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ისეთივე ტიპისანი არიან, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი მისი არსებობის პირველ წლებში, როდესაც საბჭოთა რუსეთში საფუძველი ეყრებოდა სოციალიზმის ეკონომიურ ფუნდამენტს. ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დამყარებული სახალხო-დემოკრატიული წყობილება ასრულებს პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს, ახორციელებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში თანდათანობით გადასვლას. სახალხო დემოკრატია პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი ფორმაა.

პროლეტარიატის დიქტატურის საყოველთაოდ ცნობილი ფორმა — საბჭოები მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა. მაგრამ მისი არსებობა სრულიადაც არ გამორიცხავს პროლეტარიატის დიქტატურის სხვა ფორმის არსებობას. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი არაერთხელ მიუთითებდნენ იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის, ხალხის მასების რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება ამოუწურავია თავის რევოლუციურ მოქმედებაში პოლიტიკური ორგანიზაციის ახალი ფორმებითა და ბრძოლის მეთო-

---

შესავალში ნათქვამია: „პერიოდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნიდან სოციალისტური საზოგადოების შექმნამდე — არის გარდამავალი პერიოდი. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ძირითად ამოცანებს შეადგენენ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის თანდათანობითი განხორციელება, სოციალისტური გარდაქმნების თანდათანობითი დამთავრება სოფლის მეურნეობაში, ასევე კაპიტალისტურ მრეწველობასა და ვაჭრობაში".

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახალხო დემოკრატიის რეჟიმი ჯერ კიდევ არ ასრულებს მუშათა კლასის დიქტატურის ფუნქციებს. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა 1948 წელს; ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუციის ამოცანების წარმატებითმა შესრულებამ შექმნა შესაძლებლობა რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ აშშ იმპერიალისტების მეთაურობით მოწყობილმა შეიარაღებულმა ინტერვენციამ დროებით შეწყვიტა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება. 1953 წლის ივლისიდან, კორეაში სამარი მოქმედების შეწყვეტის მომენტიდან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა კვლავ დაადგა მშვიდობიანი განვითარების გზას.

დებით. ვ. ი. ლენინი წერდა: „კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა“ [1].

ამგვარად, ამჟამად არსებობს პროლეტარიატის დიქტატურის ორი ფორმა: საბჭოები — სსრ კავშირში და სახალხო

ვიეტნამის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე დამყარებულია სახალხო-დემოკრატიული რეჟიმი. თავისი შინაარსით ეს რეჟიმი ასრულებს მუშათა კლასისა და გლეხობის დიქტატურის ფუნქციებს, სადაც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის მუშათა კლასს. ეს კი უზრუნველყოფს რევოლუციის შემდგომ განვითარებას და მის მორიგ ეტაპზე გადასვლას.

სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ახორციელებს ფეოდალიზმიდან სოციალიზმში გადასვლას, კაპიტალიზმის გვერდის ავლით. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველ მუხლში ნათქვამია: „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა არის მშრომელთა (მეჯოგე-არატების, მუშებისა და ინტელიგენციის) დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებმაც ბოლო მოუღეს იმპერიალისტურ და ფეოდალურ ჩაგვრას, და რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის არაკაპიტალისტური განვითარების გზას შემდგომში სოციალიზმში გადასასვლელად“.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილ სახალხო ხელისუფლებაში წარმოდგენილია გერმანიის მოსახლეობის ყველა ფენა (მთავრობაში ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლებიც შედიან). სახალხო ხელისუფლება ეყრდნობა მუშათა კლასისა და გლეხთა კლასის კავშირს, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. იგი ეყრდნობა ანტიფაშისტურ-დემოკრატიული პარტიების ბლოკს. ამასთან, ხორციელდება კავშირი ეროვნული ბურჟუაზიის იმ ფენებთან, რომლებიც გამოდიან უცხოეთის იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ გერმანიაში. რამდენადაც ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა დასავლეთ გერმანია ჩამოაცილეს მის აღმოსავლეთ ნაწილს და მჭიდრო კავშირი დაამყარეს გერმანელ მონოპოლისტებთან, აშკარად აღადგენენ გერმანიის იმპერიალისტურ ძალებს, ამდენად გერმანიის ანტიფაშისტური, პატრიოტული ძალების მთავარი ამოცანაა ბრძოლა გერმანიის ერთიანობისათვის.

ამგვარად, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები წარმოადგენენ ერთი ტიპის სახელმწიფოებს, განსხვავება მხოლოდ განვითარების ეტაპებშია. სწორედ ამ ეტაპების მიხედვით უნდა განვასხვავოთ ისინი ერთმანეთისაგან და არა მათი სახელწოდებების მიხედვით.

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4, გამოც., ტ. 25, გვ. 508.

დემოკრატია — სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში. საბჭოები და სახალხო დემოკრატია ერთი და იგივე ხელისუფლების ორი ფორმაა. ისინი განსხვავდებიან მხოლოდ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმით. ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების რეჟიმი ასრულებს პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს და რომ სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთ ფორმას.

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო არის მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფო. თავისი მიზნებით იგი სოციალისტურია. ამაზე მიუთითებენ ამ ქვეყნების კონსტიტუციები. ასე, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია იწყება შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ, ჩეხოსლოვაკელი ხალხი, ვაცხადებთ, რომ მტკიცედ გადავწყვიტეთ ავაგოთ ჩვენი განთავისუფლებული სახელმწიფო, როგორც სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენთვის მშვიდობიან გზას სოციალიზმისაკენ“.

სახალხო-დემოკრატიული წყობილების პოლიტიკური საფუძველია სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოები: ეროვნული ან სახალხო კრება — ცენტრებში და სახალხო საბჭოები ან კომიტეტები — ადგილებზე. ეს ორგანოები გამოხატავენ მშრომელი მასების ინტერესებს და ემსახურებიან მათ. ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის IV მუხლში ნათქვამია: „სუვერენული ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით, რომელსაც ირჩევს ხალხი, კონტროლს უწევს ხალხი და რომელიც პასუხს აგებს ხალხის წინაშე“.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ კონკრეტული, ინდივიდუალური თავისებურებებით, რაც აიხსნება მათი ისტორიული განვითარების თავისებურებით, მათი კულტურისა და ეკონომიკის სხვადასხვა დონით. ყველა ამ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში დგანან მშრომელი მასები მუშათა კლასის მეთაურობით კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით. სახალხო დემოკრატია უზრუნველყოფს მშრომელი

მასების პოლიტიკურ ბატონობას, ქვეყნის მთელი სიმდიდრის გადასვლას სახელმწიფოს ხელში, მის სახალხო კუთვნილებად გადაქცევას. სახალხო დემოკრატია ბოლოს უღებს ბურჟუაზიულ-მემამულური წრეების ბატონობას და მიზნად ისახავს სოციალისტური სახელმწიფოს აგებას. „სახალხო დემოკრატიის ხასიათს განსაზღვრავს ის, — ამბობს ბოლესლავ ბერუტი, — რომ ძველი გაბატონებული კლასები — მსხვილი კაპიტალისტები და მემამულეები — მოკლებული არიან სახელმწიფოში რაიმე გავლენას, ხოლო ყველა საწარმო ხალხის საკუთრება გახდა. მემამულის მიწა გლეხებისა და საოფლო-სამეურნეო მუშების საკუთრებად იქცა, ბანკები ნაციონალიზებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ მსხვილი კაპიტალისა და მემამულური მიწათმფლობელობის ყველა სამეურნეო და პოლიტიკური პოზიცია ერთხელ და სამუდამოდ განადგურებულია“ [1].

ზემოხსენებულ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარება შესაძლებელი გახდა მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხების შედეგად, ამ ომში სსრ კავშირის გამარჯვებისა და საბჭოთა არმიის მიერ ამ ქვეყნების ფაშისტ ოკუპანტებისაგან განთავისუფლების შედეგად.

სსრ კავშირის ძლიერებამ, მისმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა მხარდაჭერამ გადამწყვეტი როლი შეასრულა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გაძლიერებისა და განვითარების საქმეში. ამ ქვეყნების განვითარების უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხების გადაჭრაში დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, პირადად ი. ბ. სტალინს. გიორგი დიმიტროვი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობაზე ამბობდა: „ჩვენ ყოველთვის მადლობელი ვიქნებით იმ დაუფასებელი და დროული დახმარებისათვის, რომელსაც ვღებულობდით დიდი ბოლშევიკური პარტიისა და უპირველეს ყოვლისა პირადად ამხანაგი სტალინისაგან რჩევითა და განმარტებებით ჩვენი პარტიის, როგორც სახალხო დემოკრატიის ხელმძღვანელი ძალის, პოლიტიკის საკითხებზე, დახმარებისათვის, რომელიც ჩვენ

[1] „ზა პრიჩნი მირ, ზა ნაროდნუიუ დემოკრატიუ!“, 1949, № 1.

საშუალებას გვაძლევდა სწრაფად გამოგვესწორებინა დაშვებული შეცდომები“ [1].

საბჭოთა არმიამ მთავარი როლი შეასრულა ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან გერმანელი ფაშისტების განდევნაში, ბოლო მოუღო ამ ქვეყნებში ფაშისტური ხროვის ბატონობას, გადაარჩინა ისინი ინგლის-ამერიკის იმპერიალისტების ინტერვენციას და შეუნარჩუნა მათ ეროვნული დამოუკიდებლობა. ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა არმიის არსებობის გარეშე ამ ქვეყნებს არ ასცდებოდა ევროპის სხვა ქვეყნების ბედი, სადაც უსაზღვროდ თარეშობენ ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები და მათი დაქირავებული აგენტები.

რუმინეთის განთავისუფლების ხუთი წლისთავზე გ. გეორგიუ-დეჟი წერდა: „საბჭოთა არმიის სახით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა პირველი დღეებიდანვე დაინახეს არა უბრალო არმია, არამედ სოციალისტური სახელმწიფოს არმია, საბჭოთა მშრომელების არმია, რომელიც ლენინ—სტალინის დროშით იბრძვის ხალხთა განთავისუფლებისათვის. იმ ფაქტმა, რომ სოციალისტური სახელმწიფოს არმია და არა სხვა არმია შემოვიდა რუმინეთში, ისე როგორც აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, განსაზღვრა ისტორიული განვითარება ევროპის ამ ნაწილში. განთავისუფლებულმა ხალხებმა პირველად მოიპოვეს ნამდვილი დამოუკიდებლობა და ეროვნული სუვერენიტეტი, რევოლუციურ ძალებს გაეხსნათ სახალხო დემოკრატიისა და სოციალიზმის გზა“ [2].

საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარების შედეგად ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა შეძლეს მოკლე ხანში აღედგინათ ომით დანგრეული სახალხო მეურნეობა და მნიშვნელოვნად გადააჭარბეს ომამდელ დონეს. შეიცვალა ამ ქვეყნების ეკონომიური სახე — მათი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა; განუწყვეტლივ უმჯობესდება ხალხის

---

[1] გ. დიმიტროვი, ბმპ (კ) V ყრილობაზე გაკეთებული პოლიტიკური ანგარიში, 1948, გვ. 66 — 67.

[2] „ზა პროჩნი მირ, ზა ნაროდნუიუ დემოკრატიუ!“, 1949 წ. 15 აგვისტო.

ზასების მატერიალური მდგომარეობა, ვითარდება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. საბჭოთა კავშირის ეკონომიური დახმარება და მისი გამოცდილების გამოყენება აჩქარებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების განვითარებას სოციალიზმისაკენ.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები გადაჭარბებით ასრულებენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებს. განსაკუთრებით განმტკიცდა ამ ქვეყნების ეკონომიკაში სოციალისტური სექტორი, რომელსაც ამჟამად გაბატონებული მდგომარეობა უკავია. ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. სამრეწველო პროდუქციის დონე 1953 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა: პოლონეთში — 17,5 პროცენტით, ჩეხოსლოვაკიაში — 10 პროცენტით, უნგრეთში — 11 პროცენტით, რუმინეთში — 14,4 პროცენტით, ბულგარეთში — 12 პროცენტით, ალბანეთში — 22 პროცენტით.

1953 წლის ბოლოს სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ სამჯერ და მეტად გადააჭარბა ომამდელ დონეს. სამრეწველო პროდუქციის მოცულობით პოლონეთმა გაუსწრო იტალიას და მოსახლეობის თითოეულ სულზე იძლევა იმდენ პროდუქციას, რამდენსაც საფრანგეთი. 1953 წელს ჩეხოსლოვაკიაში ფოლადის წარმოება მოსახლეობის თითოეულ სულზე მეტი იყო, ვიდრე ინდუსტრიულ ინგლისში. ბულგარელმა ხალხმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა პირველი ხუთწლიანი გეგმა და შეუდგა მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მაგალითი მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების წინაშე ცხადყოფს, რომ ლენინ — სტალინის დიადი მოძღვრებით შეიარაღებულ მუშათა კლასს გლეხობასთან კავშირში კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით შეუძლია მოაწესრიგოს თავისი ეკონომიური ცხოვრება მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის გარეშე, მშრომელი მასების საკეთილდღეოდ.

თავი პირველი

ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული რესპუბლიკა

1620 წლიდან 1918 წლამდე ჩეხოსლოვაკიის ხალხს არ ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნამდე (1918 წლის ოქტომბერი) მისი მიწები: ჩეხია, მორავია, სლოვაკია და იმიერკარპატის უკრაინა შედიოდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში [1]. ჩეხი და სლოვაკი ხალხების მიწებზე ბატონობდნენ ავსტრიელი, უნგრელი და გერმანელი მემამულეები. უცხოეთის ბატონობა ხელს უშლიდა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კულტურის განვითარებას. ჩეხოსლოვაკიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები ვერ ურიგდებოდნენ ამ მდგომარეობას და განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდნენ უცხოელი კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის წინააღმდეგ.

ჩეხი და სლოვაკი ხალხების ეს ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს შორის ფართო ხასიათი მიიღო.

---

[1] სლოვაკია და იმიერკარპატის უკრაინა უნგრეთმა დაიპყრო X საუკუნეში. დასავლეთის სამმა ოლქმა — ჩეხიამ, მორავიამ და სილეზიამ, რომელიც დასახლებული იყო ჩეხებით და წარმოადგენდა ეკონომიურად უფრო განვითარებულს, შეინარჩუნა დამოუკიდებლობა XVI საუკუნემდე. მაგრამ 1620 წელს პრაღის ახლოს, თეთრ მთასთან, ჩეხიისა და ავსტრიის ჯარებს შორის ბრძოლის შედეგად ჩეხიამ დაკარგა დამოუკიდებლობა და გადაიქცა ავსტრიის პროვინციად. ამიერიდან იგი შედიოდა ჯერ ავსტრიის, ხოლო შემდეგ (1867 წ.) ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში.

იზრდებოდა უკმაყოფილება ავსტრია-უნგრეთის არმიაში მყოფ ჩეხოსლოვაკელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის. მათ არ სურდათ ეომათ ჰაბსბურგების დინასტიის ინტერესებისათვის, ისინი სისტემატურად გადადიოდნენ ანტანტის ქვეყნების (რუსეთის, საფრანგეთის, იტალიის) ჯარების მხარეზე.

ძლიერდებოდა სახალხო მოძრაობა, გაფიცვები. 1915 წლის შიმშილმა, სიძვირემ და სპეკულაციამ კიდევ უფრო გაზარდა ეს მოძრაობა. ეწყობოდა დემონსტრაციები და მიტინგები, სადაც მოითხოვდნენ პურს, ზავს, ბრძოლას ჰაბსბურგების მონარქიის წინააღმდეგ და ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად გაძლიერდა ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვანი იმპერიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, კიდევ უფრო გაიშალა ჩეხი და სლოვაკი ხალხების ბრძოლა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის.

1918 წლის 5 იანვარს ჩეხიის, მორავიისა და სილეზიის გენერალური სეიმის დეპუტატებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცხადებულ დეკლარაციაზე ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ და მოითხოვდა ჩეხოსლოვაკიის ხალხებისათვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების მიცემას. დეკლარაციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული ჩეხოსლოვაკიის ხალხების სურვილი საკუთარი სახელმწიფოს შექმნის შესახებ. მასების ეს მოთხოვნა განმტკიცებულ იქნა 1918 წლის 13 აპრილს პრაღაში მრავალრიცხოვან კრებაზე დადებული სახალხო ფიცით.

ჩეხი ბურჟუაზიის ერთი ნაწილი — მსხვილი ბურჟუაზია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგი იყო. ეს აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ ჩეხიისა და სლოვაკიის მრეწველობისათვის ავსტრია-უნგრეთის იმპერია წარმოადგენდა სამრეწველო პროდუქციის გასაღებისათვის ხელსაყრელ ბაზარს. ამდენად ჩეხიის მსხვილი ბურჟუაზია საკმარისად თვლიდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ფარგლებში

ავტონომიის მიღებას. ბურჟუაზიის მეორე ნაწილი — საშუალო და წვრილი ბურჟუაზია, რომლის სათავეშიც იდგნენ მასარიკი და ბენეში, ცდილობდა ეროვნული მოძრაობა გამოეყენებინა თავისი მიზნებისათვის. მასარიკი, ბენეში, შტეფანიკი არ გამოხატავდნენ ჩეხოსლოვაკიის ხალხის ინტერესებს. საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ეს ლიდერები 1917 წლამდე მონარქიის შენარჩუნების მომხრენი იყვნენ. მათ დამოუკიდებელი ჩეხია წარმოდგენილი ჰქონდათ ცალკე სამეფოდ, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყნის ან რუსეთის „მეფისწული“.

ჩეხი და სლოვაკი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ბურჟუაზიული პარტიებიც. ჩეხიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, სადაც გაბატონებული იყვნენ ოპორტუნისტები, ხელს უშლიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ჩეხოსლოვაკიის ხალხისათვის მოითხოვდა „კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას“ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ფარგლებში.

თავის მხრივ, ანტანტის ქვეყნების მმართველი წრეებიც გამოდიოდნენ სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში. მათ არ სურდათ ამ იმპერიის დაშლა. ამაზე ნათლად მიუთითებდნენ 1917 წლის 4 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვილსონის მიმართვა კონგრესისადმი, იმავე წლის 5 იანვარს ინგლისის პრემიერ-მინისტრის ლოიდ-ჯორჯის განცხადება და სხვ. 1918 წლის იანვარში ვილსონი ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს სთავაზობდა მხოლოდ ავტონომიას ჰაბსბურგების იმპერიის ფარგლებში. ამრიგად, 1917 წლამდე ჩეხიისა და სლოვაკიის არც ერთი ბურჟუაზიული პარტია და ორგანიზაცია, არც მათი ლიდერები და ანტანტის ქვეყნების მმართველი წრეები არ აყენებდნენ საკითხს ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

ავსტრია-უნგრეთის იმპერიიდან რევოლუციური გზით ჩეხოსლოვაკიის ხალხების გამოსვლისა და ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის თეორიული დასაბუთება მაშინ მოგვცეს მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის

ბელადებმა ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა. ი. ბ. სტალინმა თავის გენიალურ ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ხაზი გაუსვა ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას. „...სტალინი იყო პირველი პოლიტიკური მოღვაწე, — ამბობდა კლემენტ გოტვალდი, — რომელმაც გამოაცხადა ჩვენი უფლება თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესახებ. ამ წიგნში („მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. — **ი. ტ.**) სტალინი გადაჭრით უარყოფს ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების შეხედულებებს, მიმართულს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შენარჩუნებისაკენ, და აღშფოთებით კითხულობს: „ეს რა „გადაწყვეტაა“ საკითხისა, ერებს რომ ნექანიკურად ათავსებს სახელმწიფოს ნთლიანობის პროკრუსტეს სარეცელზე?“... სტალინმა, როგორც რუსი ბოლშევიკების იდეების გამომხატველმა, პირველმა, უფრო ადრე, ვიდრე ჩეხმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, გამოაცხადა ჩვენი ხალხის უფლება ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ ჰაბსბურგების მონარქიის ფარგლებს გარეთ“ [1].

ჯერ კიდევ 1915 წელს. მასარიკმა და ბენეშმა ემიგრაციაში (პარიზი) ყოფნის დროს შექმნეს ბურჟუაზიული ნაციონალური ცენტრი—„ჩეხიის მოქმედების კომიტეტი“ და უცხოეთში გაშალეს დიპლომატიური და პროპაგანდისტული მუშაობა. „მოქმედების კომიტეტი“ ერთი წლის შემდეგ გადაკეთდა „ჩეხიისა და სლოვაკიის მიწების ნაციონალურ საბჭოდ“, რომელსაც სათავეში ედგნენ მასარიკი, ბენეში და შტეფანიკი. ამრიგად, არსებობდა მოძრაობის ორი ცენტრი: ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. ამ ორი მოძრაობიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის მასების მოძრაობას ქვეყნის შიგნით.

ჩეხიის ბურჟუაზიული ელემენტების მიერ საზღვარგარეთ შექმნილ ორგანიზაციას არ შეიძლებოდა მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა ჩეხოსლოვაკიის ხალხის ბრძოლაში, მით უფრო, რომ ეს ორგანიზაცია და მისი ლიდერები იმყოფე-

[1] „პრავდა“, 1949 წ. 28 დეკემბერი.

ბოდნენ ანტანტის ქვეყნების იმპერიალისტების გავლენის ქვეშ და ემსახურებოდნენ მათ. ამდენად ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ახალ საფეხურზე ავიდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგები და ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებანი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ჩეხიის, სლოვაკიის, მორავიისა და იმიერკარპატის უკრაინის მუშებსა და გლეხებს შორის. ისინი ქმნიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციას და კომიტეტს და მათ საბჭოებს უწოდებდნენ. 1918 წლის ბოლოს ქ. მარმაროშში (იმიერკარპატის უკრაინა) 420 თემის წარმომადგენლებისაგან შემდგარმა ეროვნულმა კრებამ სურვილი გამოთქვა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან შეერთების შესახებ.

ანდარმერიისა და რეაქციული ძალების მოქმედების წინააღმდეგ 1918 წ. 22 იანვარს ჩეხიის ქალაქებში გამოცხადდა საყოველთაო მასობრივი გაფიცვები. პრაღაში ეს გაფიცვები ჩატარდა ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის ბრძოლის ლოზუნგებით. გაფიცვები და დემონსტრაციები თითქმის მთელ ავსტრია-უნგრეთის იმპერიას მოედო. 1918 წლის სექტემბერში გაიფიცნენ ვიტკოვიცკის მეტალურგიული ქარხნის, ოსტრავას სამთო და მეტალურგიული ქარხნების მუშები. გაფიცვები მოეწყო აგრეთვე პლზენსა და კლადნოში. 7 ოქტომბერს გაიფიცნენ პრაღის მელითონეები. პრაღაში, ბრნოში, მორავსკა ოსტრავასა და სხვა ქალაქებში შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭოები და დაწესებულ იქნა მუშათა კონტროლი ფაბრიკა-ქარხნებზე. მოძრაობა მოედო გლეხობასაც. მაგრამ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გამცემლურმა მოქმედებამ, მათმა გადასვლამ ბურჟუაზიის მხარეზე და რევოლუციური მუშათა პარტიის არარსებობამ საშუალება მისცა ბურჟუაზიას მასების რევოლუციური მოძრაობის ჰეგემონი გამხდარიყო.

ჟანდარმერიისა და ჯარის ნაწილების ცდა — შეეჩერებინათ სახალხო მოძრაობის ზრდა — მარცხით მთავრდებოდა. რადგან ჩეხოსლოვაკიის ხალხების ეროვნული მოძრაობა მიმართული იყო არა მარტო ჰაბსბურგებისა და გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, არამედ ადგილობრივი ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგაც, ჩეხიისა და სლოვაკიის ბურჟუაზია ცდილობდა შეეჩერებინა ხალხის მასების მოძრაობა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ეს მოძრაობა ბურჟუაზიისათვის სასურველ ფარგლებს არ გასცილებოდა. 1918 წლის ზაფხულში ბურჟუაზიულმა ელემენტებმა შექმნეს პრაღის ეროვნული კომიტეტი, რომლის ფაქტიური ხელმძღვანელი თავიდანვე იყო აგრარული პარტიის წარმომადგენელი შვეგლა. იმავე წლის სექტემბერში სოციალ-დემოკრატებმა და ნაციონალ-სოციალისტებმა შექმნეს ე. წ. სოციალისტური საბჭო. ამ ორგანიზაციების მიზანი იყო რევოლუციური მოძრაობის დაქვემდებარება, მასში თავისი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით საქმის დამთავრება. მაგრამ ვერც ამ ორგანიზაციებმა და ვერც ადრე ვენაში შექმნილმა ჩეხიის კავშირმა ვერ შემოიკრიბეს მასები.

ანტანტის სახელმწიფოებმა ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული წრეების მიერ შექმნილი პრაღის ეროვნული კომიტეტი ცნეს ჩეხი და სლოვაკი ხალხების წარმომადგენლად. საქმე იმაში იყო, რომ რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეიცვალა ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის მმართველი წრეების დამოკიდებულება ჩეხიისა და სლოვაკიის სახელმწიფოს შექმნისადმი. ისინი მომავალ ჩეხოსლოვაკიაში ხედავდნენ ერთ-ერთ დასაყრდენს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამდენად, პრაღის ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელობასა და ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტებს შორის არსებობდა ერთგვარი კავშირი. წინააღმდეგ ჩეხიისა და სლოვაკიის ბურჟუაზიულ-მემამულური ელემენტების სურვილისა, სახალხო მასების მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა. ჩეხმა ხალხმა არ დაუცადა არც ბურჟუაზიული პარტიებისა და მისი

ლიდერების მოქმედებას, არც ანტანტის ქვეყნების დიპლომატების მოლაპარაკებას და 1918 წლის 14 ოქტომბერს ფაქტიურად გამოაცხადა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა ვერ ისარგებლეს თავისი ბრძოლის შედეგებით და ვერ მოიპოვეს სრული თავისუფლება, ვინაიდან იმ დროს ჩეხოსლოვაკიაში ჯერ კიდევ არ არსებობდა მარქსისტულ-ლენინური პარტია, რომელიც გაუძღვებოდა პროლეტარიატის ბრძოლას. ამ გარემოებით ისარგებლა ბურჟუაზიამ და, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა ჩეხმა ხალხმა, ხოლო შემდგომ დღეებში სლოვაკიის მოსახლეობამ, 1918 წლის 28 ოქტომბერს ბურჟუაზიულმა პარტიებმა ოფიციალურად გამოაცხადეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შექმნა. ამ დღეს პრაღის ეროვნულმა კომიტეტმა ხელში აიღო რესპუბლიკის ხელისუფლება. ანტანტის ქვეყნების მთავრობებმა იგი ცნეს ჩეხოსლოვაკიის დროებით მთავრობად და მის სათავეში დააყენეს თავისი კაცი — ტომაშ მასარიკი.

ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გარდა ჩეხიისა და მორავიისა, შევიდა სლოვაკია (პიტსბურგის შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ხელი მოაწერა სლოვაკელი ემიგრანტების წარმომადგენელმა და მასარიკმა 1918 წლის 30 მაისს ამერიკის შეერთებულ შტატებში) და იმიერკარპატის უკრაინა (ფილადელფიის შეთანხმების თანახმად, რომელსაც ასევე ხელი მოაწერა მასარიკმა 1918 წ. 26 ოქტომბერს ამერიკაში მყოფ იმიერკარპატის უკრაინის ემიგრანტებთან). პიტსბურგისა და ფილადელფიის შეთანხმებით სლოვაკიასა და იმიერკარპატის უკრაინას ავტონომიური უფლებები უნდა მისცემოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. უფრო მეტიც, ჩეხიის ბურჟუაზიამ შეინარჩუნა გაბატონებული მდგომარეობა მთელ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში.

ჩეხიისა და სლოვაკიის მუშათა კლასი თავის რევოლუციურ გამოსვლებში მოითხოვდა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას, მაგრამ რეაქციული და რეფორმისტული ელემენტების გამცემლობის შედეგად შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის არა

სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული რესპუბლიკა. მასების მოძრაობის გაძლიერებაში, პოლიტიკური და კონსტიტუციური შეხედულებების ჩამოყალიბებაში, დაბოლოს, ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში. „ცარიზმის ჩამოგდებამ, — წერდა კ. გოტვალდი, — და განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც მთელ მსოფლიოს ამცნო ხალხთა უფლება თვითგამორკვევის შესახებ, უშუალო და ძლიერი ბიძგი მისცა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შექმნას 1918 წელს“[1].

პრაღის ეროვნული კომიტეტი, რომელიც 30 წევრისაგან შედგებოდა, გაფართოებულ იქნა ბურჟუაზიისა და მემამულეების ახალი წარმომადგენლების დანიშვნის შედეგად და ეწოდა ჩეხოსლოვაკიის დროებითი ეროვნული კრება. ეროვნულმა კრებამ, რომელიც მოწვეულ იქნა დროებითი კონსტიტუციის საფუძველზე, 1918 წლის 14 ნოემბერს დაადასტურა ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნა და რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად მასარიკი აირჩია.

მასარიკმა მთავრობის შექმნა დაავალა საბჭოთა რუსეთისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის დაუძინებელ მტერს, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს კრამარჟს. ნაციონალ-დემოკრატიული პარტია იყო მსხვილი ბურჟუაზიის, ბანკირებისა და მრეწველების პარტია, რომელიც ეროვნული უმცირესობის სასტიკი ჩაგვრის პოლიტიკას ატარებდა. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები: კრამარჟი, ენგლიში, სტრანსკი და სხვები მხარს უჭერდნენ რუსეთში მონარქიის აღდგენას და ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ ინტერვენციისა და კონტრრევოლუციის ძალებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კრამარჟის მთავრობაში მეორე ძლიერ პარტიას წარმოადგენდა ჩეხოსლოვაკიის აგრარული პარტია. ეს იყო მემამულეების, კულაკებისა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამრეწველო ბურჟუაზიის პარტია. მისი ლიდერები:

[1] „პრავდა“, 1948 წ. 28 ოქტომბერი.

შვეგლა, უდრეალი, პრაშეკი, გოჯა, ბერანი და სხვები აგრარული რევოლუციის თავიდან ასაცილებლად მზად იყვნენ მხოლოდ ზოგიერთი „რეფორმა“ ჩაეტარებინათ, ე. ი. ფაქტიურად ხელში ჩაეგდოთ ავსტრიელი და უნგრელი მემამულეების მიწები. საგარეო პოლიტიკაში ეს პარტია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოდიოდა.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, სადაც გაბატონებული იყვნენ მემარჯვენე სოციალისტები და ოპორტუნისტები (ტომაშეკი, ტუსარი, ბეხინე, დერერი, გაბრმანი, იოგანისი, მარკოვიჩი და სხვ.), კრამარჟის მთავრობაში მიიღო სამი ადგილი. სამი ადგილი მიიღო აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ნაციონალურ-სოციალისტების პარტიამაც (ლიდერები: მასარიკი, ბენეში). ეს იყო საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი პარტია, რომელიც ეხმარებოდა მსხვილ ბურჟუაზიისა და მემამულეების ხელისუფლების განმტკიცებას. ამ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ბენეშმა კრამარჟის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი მიიღო. ჩეხოსლოვაკიის „სახალხო“ (კათოლიკური) პარტია აერთიანებდა კლერიკალურ ელემენტებს, წვრილ ვაჭრებს, სახელოსნოების მფლობელებს, ხელოსნებსა და კულაკებს. ამ პარტიის ლიდერები: გრებანი, მონსი და შრამეკი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ვატიკანთან.

ამრიგად, კრამარჟის მთავრობა იყო ბურჟუაზიულ-მემამულური, რეაქციული ძალების მთავრობა. იგი თავიდანვე აშკარად იბრძოდა ქვეყნის შიგნით რევოლუციური მოძრაობისა და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, მფარველობას უწევდა რუს თეთრგვარდიელებს და ეხმარებოდა ანტანტის ქვეყნებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. კრამარჟმა წინადადებით მიმართა საფრანგეთის მთავრობას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად 200-ათასიანი არმიის შექმნის შესახებ. ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ-მემამულური წრეების მტრული დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი ცხადი ხდება რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე. ცნობილია, რომ ინტერვენციის წლებში ჩეხოსლოვაკთა კორპუსის აჯანყება რუსეთში,

რომელიც იმპერიალიზმის ანტისაბჭოთა შეიარაღებული ინ-ტერვენციის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა, მოხდა მასა-რიკის, ბენეშისა და შტეფანიკის უშუალო მითითებით, რო-მელთა ზურგს უკან იდგნენ საფრანგეთ-ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები. ჩეხოსლოვაკთა აჯანყებაში უცხოელი იმ-პერიალისტების მონაწილეობის შესახებ ვ. ი. ლენინი 1918 წლის 29 ივლისს ამბობდა: „...ეს ფაქტი ახლა გვიჩვენებს, რომ ჩეხოსლოვაკთა მოძრაობა ერთ-ერთ რგოლს წარმოად-გენდა, რომელიც დიდი ხანია ნავარაუდევი ჰქონდა საბჭოთა რუსეთის ჩასახშობად ინგლისელი და ფრანგი იმპერიალის-ტების სისტემატურ პოლიტიკას, იმ მიზნით, რომ რუსეთი კვლავ ჩაეთრიათ იმპერიალისტური ომების რკალში“[1].

გარდა ამისა, მასარიკ-ბენეშის ხელისუფლებამ ნება დარ-თო პეტლურას ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შეექმნა პოლ-კები ანტანტის ქვეყნებში მყოფი უკრაინელი სამხედრო ტყვეებისაგან საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ საბრძოლველად. ანტანტის მესამე ლაშქრობის დროს ავსტრიიდან პოლონეთში სამხედრო იარაღი გადაჰქონ-დათ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიით. თავის დროზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ მხილებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის მმართველი წრეების ეს მტრული მოქმედება რუსეთის საბ-ჭოთა რესპუბლიკის მიმართ. „...მასარიკს განუწყვეტლივ ჰქონდა და აქვს მჭიდრო კონტაქტი საფრანგეთისა და ინგლი-სის მთავრობასთან“[2].

ასრულებდნენ რა ანტანტის ქვეყნების იმპერიალისტების დავალებას, ჩეხოსლოვაკიის მმართველი წრეები შეიარაღე-ბული ძალებით გამოვიდნენ ახალგაზრდა საბჭოთა უნგრეთის წინააღმდეგ. როდესაც 1919 წლის მარტში უნგრეთში საბ-ჭოთა რესპუბლიკის შექმნის შემდეგ დაიწყო ანტანტის ქვეყ-ნების ინტერვენცია, კრამარჟის მთავრობამ, ხოლო შემდგომში სოციალ-დემოკრატ ტუსარის მთავრობამ, ბოიარების რუ-მინეთთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ ინტერ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მე-4 გამოც., ოხზ., ტ. 28, გვ. 1 — 2.

[2] „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა. 1917 — 1944 წწ. დოკუმენტა-ბის კრებული“, 1944, ტ. 1, გვ. 143.

ვენციაში. ჩეხოსლოვაკიის ჯარებმა დაიკავეს საბჭოთა უნგრეთის ტერიტორიის ნაწილი. მაგრამ უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ახალგაზრდა წითელი არმია 1919 წლის მაისის დასაწყისში გადავიდა კონტრშეტევაზე, თავისი ტერიტორიიდან განდევნა ჩეხიის არმია, შეიჭრა სლოვაკიაში და დაიკავა მისი დიდი ნაწილი ქ. კოშიცეს ჩათვლით. სლოვაკიის მოსახლეობამ ისარგებლა შექმნილი ვითარებით და გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება სლოვაკიაში. შემდგომში კრამარჟისა და ტუსარის რეაქციულმა მთავრობებმა ჩაახშეს რევოლუციური მოძრაობა სლოვაკიაში.

ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული რესპუბლიკის ტერიტორია საბოლოოდ დადგენილ იქნა პარიზის საზავო კონფერენციაზე, ვერსალის, სენ-ჟერმენის, ტრიანონისა და სევრის საზავო ხელშეკრულებებით, რომლებიც ხელმოწერილ იქნენ 1919 — 1920 წწ. მაშინ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა: ჩეხია, სლოვაკია, მორავია, სილეზიის ნაწილი და იმპერატორ კარპატის უკრაინა. გარდა ამისა, ავსტრიისაგან ჩეხოსლოვაკიამ მიიღო ვიტორაზისა და ვალჩიცის რაიონები, გერმანიისაგან — გულჩინის მხარე; პოლონეთის ხელში დარჩა ტეშინის ოლქის ნახევარი და სპიშისა და ორავის რაიონების ნაწილი. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორია შეადგენდა 140 484 კვ კმ, ხოლო მოსახლეობა დაახლოებით 15 მილიონ კაცს. გარდა ჩეხებისა და სლოვაკებისა, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ გერმანელები, უკრაინელები, უნგრელები, პოლონელები, რუმინელები, ხორვატები და სხვ.

ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნამ ვერ შეაჩერა რევოლუციური მოძრაობა. კრამარჟის კაბინეტის რეაქციულმა საგარეო და საშინაო პოლიტიკამ კიდევ უფრო გაზარდა მასების უკმაყოფილება. ამ მდგომარეობამ აიძულა კრამარჟი, მასების მოტყუების მიზნით, ზოგიერთი ღონისძიება ჩაეტარებინა. 1918 წლის დეკემბერში გამოცემულ იქნა კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ, ადგილობრივი მმართველობის არჩევნების დროს საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღების შესახებ და სხვ.

1919 წლის აპრილში გამოქვეყნდა კანონი მიწის რეფორმის შესახებ. ამ კანონის მიხედვით, იმათ, ვისაც 250 ჰექტარ მიწაზე მეტი ჰქონდათ, უნდა ჩამორთმეოდათ. ეს კანონი შეეხო 2 ათასი მემამულის მეურნეობას, რომელთა ხელში იყო 4 მილიონი ჰექტარი მიწა. მაგრამ აგრარული რეფორმის გატარება გაჭიანურდა ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული რესპუბლიკის მთელი არსებობის პერიოდში და საბოლოოდ არაფერი მისცა გლეხობას. და თუ ვინმემ ჩეხოსლოვაკიაში აგრარული რეფორმის შედეგად მიიღო მიწა, ისევ კულაკებმა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულმა ბურჟუაზიამ.

თავისი დემაგოგიური ღონისძიებებით კრამარჟის მთავრობამ ვერ მიაღწია მასების მხარდაჭერას. დიდმა გადასახადებმა, პროდუქტების სიძვირემ, დემოკრატიული ელემენტების წინააღმდეგ რეპრესიულმა ზომებმა, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი ელემენტებისადმი პირდაპირმა მხარდაჭერამ ავტორიტეტი დაუკარგა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას. 8 თვის არსებობის შემდეგ კრამარჟის მთავრობა გადადგა.

1919 წლის 15 ივნისს ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნები. ამ არჩევნებში ნაციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმების მხოლოდ 10 პროცენტი მიიღო. არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა ტუსარმა იმავე წლის 8 ივლისს შექმნა ე. წ. „წითელ-მწვანეთა კოალიციის“ მთავრობა. მთავრობაში, გარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისა, შეიდნენ აგრარული და ნაციონალურ-სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებიც. ახალ კაბინეტში ბენეშმა შეინარჩუნა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. „წითელ-მწვანეთა კოალიციის“ მთავრობამ, რომელიც, მსგავსად კრამარჟის მთავრობისა, ატარებდა რეაქციულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ვერ შეანელა რევოლუციური მოძრაობის ზრდა. უმუშევართა რიცხვის ზრდა, შიმშილი, სიძვირე და სპეკულაცია კიდევ უფრო ზრდიდა სახალხო მოძრაობას. მთელ რიგ ქალაქებში (კლადნო, ბრნო, ხომუტოვი და სხვ.) შეიქმნა

მუშათა დეპუტატების საბჭოები. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ აიძულა ტუსარის მთავრობა ზოგიერთ, მისთვის არასასურველ, დათმობაზე წასულიყო. მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ იქნა კანონი სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ხელფასის გადიდების, ომის ინვალიდთათვის პენსიის დანიშვნის, ქვანახშირის მრეწველობაში მუშათა კონტროლის დაწესებისა და სხვათა შესახებ.

ხალხის მასების მოძრაობას ჩეხოსლოვაკიაში ჯერ კიდევ სათავეში არ ედგა ნამდვილი პროლეტარული, მარქსისტული პარტია, ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია. ამიტომ მუშათა კლასისა და გლეხობის მოძრაობას ჩეხოსლოვაკიაში ხშირად იყენებდნენ თავიანთი მიზნებისათვის რეაქციული პარტიები და ბურჟუაზიულ-მემამულური წრეები. სოციალ-დემოკრატიული პარტია კი გამცემლურ როლს თამაშობდა ხალხის მასების მოძრაობაში.

1919 წლის 25 — 27 მაისს მოსკოვში შედგა საბჭოთა რუსეთში მყოფ ჩეხოსლოვაკელ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ყრილობა. ამ ყრილობამ ერთ პარტიად გააერთიანა ყველა კომუნისტური და მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ასე შეიქმნა საბჭოთა რუსეთში ჩეხოსლოვაკიის პირველი კომუნისტური პარტია. ყრილობამ გამოაცხადა, რომ დარჩებოდა ერთგული რუსეთის პროლეტარიატის მიმართ. ამიერიდან რუსეთის ტერიტორიაზე მყოფმა ჩეხოსლოვაკელმა კომუნისტებმა გაშალეს აქტიური მუშაობა რუსეთში მყოფ ჩეხოსლოვაკელ ლეგიონერთა შორის, რათა აეხსნათ მათთვის, თუ როგორ იყენებდა ანტანტა ამ ლეგიონს თავისი მიზნებისათვის. ჩეხოსლოვაკელი კომუნისტები აქტიურად, იარაღით ხელში იბრძოდნენ რუსეთის მუშათა კლასთან ერთად უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ.

ამავე პერიოდში, ჩეხოსლოვაკიაში ყოფილი სამხედრო ტყვეების დაბრუნების შემდეგ, რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის გავლენით, ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაჩნდა მემარცხენე მიმდინარეობა, რომელიც იზიარებდა კომინტერნის იდეებს, მაგრამ

ჯერ მთლიანად თავისუფალი არ იყო სოციალ-დემოკრატიული იდეებისაგან.

1920 წლის სექტემბერში, ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნების დროს, მემარცხენე მიმდინარეობის მომხრეებმა ნახევარზე მეტი ადგილები მიიღეს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთის ცდა — გაერიცხა ისინი პარტიიდან, მარცხით დამთავრდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე მემარცხენე ფრთა საბოლოოდ გამოეყო მემარჯვენეებს. ამიერიდან გაზეთი „რუდე პრავო" გახდა მემარცხენე მიმდინარეობის ორგანო. 1921 წლის მაისში „მემარცხენეთა" ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომუნისტური ინტერნაციონალის მოთხოვნების მიღებისა და ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური პარტიის შექმნის შესახებ.

1920 წლის 6 მარტს მიღებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია. ეს იყო ტიპიური ბურჟუაზიული კონსტიტუცია, რომელიც განიცდიდა საფრანგეთის 1875 წლის კონსტიტუციისა და გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის გავლენას. ამ კონსტიტუციით ჩეხოსლოვაკია გამოცხადდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკად და განმტკიცდა ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობა, ე. ი. ბურჟუაზიული დემოკრატიის ბატონობა; ხოლო ბურჟუაზიული დემოკრატია, როგორც გვასწავლის ვ. ი. ლენინი, „ყოველთვის რჩება — და კაპიტალიზმის დროს არ შეიძლება არ რჩებოდეს — ვიწრო, შეკვეცილ, ყალბ, თვალთმაქცურ დემოკრატიად, სამოთხედ მდიდრებისათვის, მახედ და მატყუარობად ექსპლოატირებულთათვის, ღარიბთათვის" [1].

კონსტიტუციის მიხედვით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სათავეში იდგა პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევდა ეროვნული კრების ორივე პალატა გაერთიანებულ სხდომაზე 7 წლის ვადით. პრეზიდენტი არავის წინაშე პასუხს არ აგებდა, მისი უფლებები საკმაოდ დიდი იყო. მას ჰქონდა ვეტოს, ეროვნული კრების მოწვევისა და დათხოვნის, მინისტრების დანიშვნისა და დათხოვნის, ამნისტიებისა და ომის გამოცხადების,

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 28, გვ. 291.

ხელშეკრულებათა რატიფიკაციის, საერთაშორისო მოგომარეობის გამოცხადებისა და სხვა უფლებები. ომის შემთხვევაში პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ითვლებოდა.

საკანონმდებლო ორგანო — ეროვნული კრება (პარლამენტი) შედგებოდა ორი პალატისაგან: სენატისა (ზედა პალატა) და დეპუტატთა პალატისაგან (ქვედა პალატა). სენატი შედგებოდა 150 წევრისაგან და ირჩეოდა 8 წლის ვადით, ხოლო დეპუტატთა პალატა — 300 დეპუტატისაგან და ირჩეოდა 6 წლის ვადით. სენატის მთავარი დანიშნულება იყო ხელი შეეშალა პროგრესულ ღონისძიებათა მიღებისათვის. კანონპროექტი, რომელსაც მიიღებდა დეპუტატთა პალატა, მაგრამ სენატის მიერ არ იქნებოდა მოწონებული, შეიძლებოდა ძალაში შესულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმეორედ მისი განხილვის დროს დეპუტატთა პალატაში იგი მიიღებდა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას.

კონსტიტუციის მიხედვით არჩევნები უნდა ყოფილიყო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული, აგებული პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპზე; აქვე ლაპარაკი იყო მოქალაქეთა თანასწორობაზე, პიროვნების, პრესის თავისუფლებაზე და სხვ. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ბურჟუაზიის დემაგოგიური დაპირებები იყო. 1920 წლის კონსტიტუცია ზღუდავდა საარჩევნო უფლებას მაღალი ასაკობრივი, ბინადრობისა და სხვა ცენზით. დეპუტატთა პალატის არჩევნებისათვის აქტიური საარჩევნო უფლება ჰქონდა 21 წლის ასაკის მოქალაქეს, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ცხოვრობდა არა ნაკლებ 3 თვისა, ხოლო პასიური საარჩევნო უფლება ჰქონდა 30 წლის ასაკის მოქალაქეს, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ცხოვრობდა არა ნაკლებ 3 წლისა. სენატის დეპუტატთა არჩევნებში აქტიური მონაწილეობისათვის საჭირო იყო 26 წლის ასაკი, პასიური საარჩევნო უფლებისათვის — 45 წელი, ბინადრობის ცენზი უდრიდა 10 წელს. არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობდნენ რიგითი სამხედრო პირები.

ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით 1920 წლის აპრილში ჩატარდა ეროვნული კრების არჩევნები.

არჩევნების შედეგად სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დეპუტატთა პალატაში მიიღო 55 ადგილი, სენატში — 36, ხოლო აგრარულმა პარტიამ შესაბამისად — 42 და 19. საერთოდ, ახლად არჩეულ ეროვნულ კრებაში წარმოდგენილი იყო 8 ჩეხოსლოვაკური, 7 გერმანული და 4 უნგრული პარტია. აპრილის არჩევნების შემდეგ შეიქმნა ტუსარის მეორე მთავრობა, რომელმაც განაგრძო თავისი რეაქციული საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ტუსარის მთავრობა ყოველნაირად ეხმარებოდა პანების პოლონეთის მთავრობას, რომელიც ომს აწარმოებდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მთავრობის საშინაო რეაქციულმა პოლიტიკამ ვერ შეაჩერა მასების რევოლუციური მოძრაობა; უფრო მეტიც, იგი კიდევ უფრო გაძლიერდა, რამაც 1920 წლის სექტემბერს ტუსარის მთავრობა იძულებული გახადა გადამდგარიყო. იგი შეცვალა ცნობილი რეაქციონერის ჩერნის მთავრობამ, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მსხვილი სახელმწიფო მოხელეები.

ჩერნის მთავრობამ გადაწყვიტა რეპრესიული ზომების მიღებით შეეჩერებინა მასების მოძრაობა, მაგრამ ამაოდ. გაფიცვები მოედო მთელ ჩეხოსლოვაკიას. ჩერნის მთავრობა ერთი წლის შემდეგ (1921 წ. სექტემბერში) გადადგა. ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნა კოალიციური მთავრობა ბენეშის მეთაურობით. ახალ მთავრობაში შევიდნენ სოციალ-დემოკრატიული, აგრარული, სახალხო, ნაციონალ-დემოკრატიული და სხვა პარტიების წარმომადგენლები. ბენეში მთავარ ყურადღებას აქცევდა საგარეო საქმეებს. ქვეყნის შიგნით კი მასების ეკონომიური მდგომარეობა უარესდებოდა. გრძელდებოდა გაფიცვები, რომელსაც უკვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტია ხელმძღვანელობდა. 1922 წლის 7 ოქტომბერს ბენეშის მთავრობა გადადგა. პრეზიდენტმა ახალი მთავრობის შექმნა დაავალა აგრარული პარტიის ლიდერს შვეგლას. ამიერიდან, გერმანელების მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციამდე, მთავრობაში გაბატონებულ როლს აგრარული პარტია ასრულებდა.

ჩეხოსლოვაკია ეკონომიურად განვითარებული ქვეყანა იყო. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის არსებობის დროს ჩეხიის ტერიტორიაზე (რომელსაც ეკავა იმპერიის ტერიტორიის 1/5)

მოდიოდა იმპერიის მთელი სამრეწველო წარმოების 3/4-ზე მეტი; სახელდობრ: შაქრის ქარხნების — 92 პროცენტი, ქვანახშირის მაღაროების — 87 პროცენტი, საფეიქრო ფაბრიკების — 90 პროცენტი, მეტალურგიული და ლითონდამმუშავებელი ქარხნების — 60 პროცენტი და ა. შ. ჩეხოსლოვაკიის საერთო პროდუქციის 80 პროცენტი მოდიოდა სამრეწველო ნაწარმზე, ხოლო 20 პროცენტი—სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო პროდუქცია მსოფლიო მრეწველობის პროდუქციის 1,6 პროცენტს შეადგენდა.

ჩეხოსლოვაკიის მრეწველობაში დიდ როლს თამაშობდა უცხოეთის კაპიტალი. აქ დაბანდებული იყო გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის. იტალიის, ბელგიის, შვეციისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების კაპიტალი. უცხოეთის იმპერიალიზმი სესხებისა და მრეწველობაში კაპიტალის დაბანდების გზით მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის მთელი რიგი დარგები საერთაშორისო კარტელებისა და კონცერნების ხელში იყო. სამთო და შავი მეტალურგიის მრეწველობა ინგლისის კაპიტალის გავლენას ემორჩილებოდა. სააქციო საზოგადოება „შკოდას“ ქარხნები, სამთო და მეტალურგიული საზოგადოება ბრნოში, სააქციო საზოგადოება „მაგნეზიტ ინდუსტრი“ იმყოფებოდა საფრანგეთის კონცერნ „შნაიდერ-კრეზოს“ გავლენის ქვეშ. საფრანგეთის კაპიტალის წარმომადგენლები ჩეხოსლოვაკიის მთელ რიგ სააქციო საზოგადოებათა თავმჯდომარეები ან მათი წევრები იყვნენ. ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული მთავრობები ხელს უწყობდნენ უცხოეთის კაპიტალის დაბანდებას ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკაში. ცხადია, ამას უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის მოსახლეობისათვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი განიცდიდა ორმაგ, უცხოეთისა და ადგილობრივი კაპიტალის ჩაგვრას.

ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში გაბატონებული იყვნენ ჩეხიის ბურჟუაზიულ-მემამულური წრეები. მთელი ძალაუფლება ადგილობრივი ბურჟუაზიის, უცხოეთის

კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელში იყო. მარტო ჩეხიის ტერიტორიაზე არსებობდა 250 კონცერნი, რომელიც 750-ზე მეტ საწარმოს აერთიანებდა. ამ კონცერნების ხელში იყო ჩეხოსლოვაკიის ყველა საწარმოთა კაპიტალის 80 პროცენტი.

სოფლის მეურნეობაში გაბატონებული იყვნენ ჩეხი, სლოვაკი, გერმანელი და უნგრელი მემამულეები, რომლებიც მოსახლეობის მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენდნენ. მათ ხელში იყო მთელი სახნავ-სათესი ფართობის დაახლოებით 80 პროცენტი. თითოეული მემამულე ფლობდა 250—300 ჰექტარ მიწას.

ჩეხიასა და სლოვაკიას შორის არ არსებობდა მეგობრული ურთიერთობა. ჩეხიის ბურჟუაზია სლოვაკიას უყურებდა როგორც კოლონიას და ახშობდა ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. ეს გარემოება ხელს უწყობდა სლოვაკიაში სეპარატისტული მოძრაობის ზრდას. როგორც ცნობილია, სლოვაკიის ეს სეპარატიზმი შემდგომში გამოყენებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ სლოვაკი და გერმანელი ფაშისტების მიერ.

ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში არსებობდა მთელი რიგი ბურჟუაზიულ-რეაქციული პარტიები: სოციალ-დემოკრატიული პარტია, „სახალხო" (კათოლიკური) პარტია, აგრარული პარტია, სოციალისტური პარტია, ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, საშუალო მრეწველთა და ვაჭართა პარტია; ამავე პერიოდში ჩეხოსლოვაკიაში ჩნდება ფაშისტური ორგანიზაციები. 1926 წელს კრამარჟის პარტიიდან გამოყოფილი ელემენტებისაგან შეიქმნა „ჩეხიის ფაშისტური საზოგადოება", ფაშისტური „ნაციონალური ლიგა" სტრჟიბრნის მეთაურობით. ადრევე შეიქმნა სლოვაკიის ნაციონალისტური (ფაშისტური) პარტია გლინკას ხელმძღვანელობით.

გარდა ამისა, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მოქმედებდა რამდენიმე გერმანული ბურჟუაზიულ-მემამულური პარტია: გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, გერმანული ქრისტიან სოციალისტების პარტია, გერმანული აგრარული პარტია, გერმანული ნაციონალ-სოციალისტური პარტია, გერ-

მანული მსხვილი ბურჟუაზიის (ფაქტიურად ფაშისტური) პარტია და სხვ. საერთოდ ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში 30-მდე პოლიტიკური პარტია და დაჯგუფება არსებობდა, მაგრამ ყველა ისინი მთავრობაში არ შედიოდნენ. ეს პარტიები ორ ჯგუფად იყოფოდა: კოალიციური პარტიები, ე. ი. მმართველობაში მონაწილე პარტიები, და პარტიები, რომლებსაც თავისი წარმომადგენლები არ ჰყავდათ მთავრობაში. ყველა ზემოხსენებული პარტია ბურჟუაზიულ-მემამულური პარტია იყო და იცავდა მხოლოდ გაბატონებული კლასების ინტერესებს.

აგრარული პარტიის ლიდერის შვეგლას მთავრობამ, რომელიც მსხვილი მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებს ემსახურებოდა, მთავარ ამოცანად დაისახა კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა. გამოცემულ იქნა კანონი „რესპუბლიკის დაცვის“ შესახებ, რომელიც მთავრობას აძლევდა განუსაზღვრელ უფლებებს ყველა „საეჭვო“ პირის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეროვნულმა კრებამ 1923 წ. 6 მარტს მიიღო ე. წ. „რესპუბლიკის დაცვის“ კანონი და ამით ფაქტიურად გააუქმა კონსტიტუციის მუხლები პრესის, სიტყვისა და სხვ. თავისუფლების შესახებ. ამიერიდან მთავრობა შეტევაზე გადადის დემოკრატიული ძალების, კერძოდ კომუნისტების წინააღმდეგ, ადგილი აქვს კომუნისტების მასობრივ დაპატიმრებას.

შვეგლას მთავრობის რეპრესიულმა ზომებმა ვერ შეაჩერა მასების მოძრაობა. პრაღაში, ბრნოსა და ჩეხოსლოვაკიის მთელ რიგ სხვა ქალაქებში ჩატარდა დემონსტრაციები და მიტინგები კომუნისტების ხელმძღვანელობით. ხალხის მასების ეს მოძრაობა გამოწვეული იყო რეაქციული ძალების მოქმედების გაძლიერებით, ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებით, შიმშილითა და უმუშევართა რიცხვის ზრდით.

1926 წლის ოქტომბერში შეიქმნა შვეგლას მეორე მთავრობა, რომელშიც შევიდნენ გერმანული რეაქციული პარტიებისა და სლოვაკიის ფაშისტური პარტიის წარმომადგენლები. საგარეო პოლიტიკაში მთავრობა ორიენტაციას იღებდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე, კერძოდ საფრანგეთზე. იგი

ატარებდა ანტისაბჭოთა პოლიტიკას. ჩეხოსლოვაკიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ბენეში, რომელსაც ი. ბ. სტალინმა „დასავლეთის იმპერიალიზმის ჩვილი“ უწოდა, იყო სსრ კავშირის ცნობისა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი თავგამოდებული მოწინააღმდეგე. საშინაო პოლიტიკაში მთავრობის მთავარ ამოცანად რჩებოდა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა, კომუნისტური პარტიისა, რომელიც წარმოადგენდა მშრომელი მასების ინტერესებისათვის და რეაქციული ძალების წინააღმდეგ მებრძოლ ერთადერთ პარტიას ჩეხოსლოვაკიაში.

1929 წლამდე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიაში მიმდინარეობდა შინაგანი ბრძოლა. „მემარცხენე“, წვრილბურჟუაზიული ჯგუფი ილეკის, ფრიკისა და სხვათა მეთაურობით უარყოფდა ცალკეული მოთხოვნებისათვის ბრძოლას, უარყოფდა პროფესიული კავშირების როლს. მემარჯვენე ფრთა ბუბნიკის მეთაურობით უარყოფდა ახალ რევოლუციურ აღმავლობას და პარტია მიჰყავდა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისაკენ. იყვნენ „ცენტრისტებიც“, რომელთა სათავეში იდგა შმერალი. ოპორტუნისტულ ტენდენციებს ადგილი ჰქონდა თვით პარტიის ხელმძღვანელობაშიც. კომინტერნის დახმარებით ეს კრიზისი ნაწილობრივ ლიკვიდირებულ იქნა 1924 წელს, რის შემდეგ კომპარტიის მუშაობა ხალხის ფართო მასებში უფრო აქტიური გახდა. მაგრამ ოპორტუნისტული ელემენტების არსებობა პარტიის ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ არ იძლეოდა სრულ შესაძლებლობას ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ბოლშევიზაციისათვის. პარტიაში არსებულ ანარქო-სინდიკალისტურ ჯგუფს იგი ისევ კრიზისისაკენ მიჰყავდა და ამით ასუსტებდა კომპარტიის გავლენას მასებში.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა და განსაკუთრებით ი. ბ. სტალინის ბრძნულმა მითითებებმა დიდი დახმარება გაუწია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებს პარტიული კრიზისის ლიკვიდაციისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ბოლშევიზაციის საქმეში. 1925 წ. 27 მარტს კომინტერნის აღმასკომის ჩეხოსლოვაკიის კომისიის სხდომაზე ი. ბ. სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტების შემდ-

გომი საქმიანობის პროგრამას წარმოადგენდა. ი. ბ. სტალინი ამბობდა: „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში... სულ მცირე 70 პროცენტი ყოფილი სოციალ-დემოკრატებია. არა მგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ სოციალ-დემოკრატიული რეციდივები ასეთ პარტიაში არა თუ შესაძლებელია, არამედ გარდუვალიც არის. რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება არ შეიძლება არ აძლიერებდეს საფრთხეს მარჯვნიდან“ [1]; ხოლო მარჯვნიდან მომდინარე საფრთხეს ი. ბ. სტალინი თვლიდა მაშინ „ყველაზე სერიოზულ საფრთხედ“.

ი. ბ. სტალინის ამ საპროგრამო სიტყვამ ხელი შეუწყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის შიგნით ბოლშევიკური, რევოლუციური ძალების კონსოლიდაციას და შექმნა წანამძღვრები ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მომავალ V ყრილობაზე მარქსისტულ-ლენინური ხაზის გამარჯვებისათვის. შემდგომში გოტვალდი წერდა: „სტალინი დაეხმარა ჩვენ ხალხს გამოეცხადა ყველაზე უფრო აუცილებელი იარაღი ხალხის თავისუფლებისა და ჩვენს სამშობლოში სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად — ჩეხოსლოვაკიის ბოლშევიკური კომუნისტური პარტია“ [2].

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტების ჯგუფმა კ. გოტვალდის, ბ. ზაპოტოცკის, კოპეცკისა და სხვათა მეთაურობით 1928 წელს ღია წერილით მიმართა კომინტერნის VI კონგრესს. ამ წერილში მხილებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში მყოფი ყველა მავნე ელემენტი. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ბოლშევიკურმა ჯგუფმა შეძლო თავის ირგვლივ შემოეკრიბა პარტია. 1929 წელს კომპარტიის V ყრილობაზე შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტი კლემენტ გოტვალდის მეთაურობით. ამიერიდან მტკიცდება ჩეხოსლოვაკიის კომპარტია. ცალკეული ოპორტუნისტული გამოსვლები (გაზეთ „რუდე პრავოს“ ყოფილი რედაქტორის გუტმანის გამოსვლა 1933 წ. და სხვ.) შედარებით იოლად იქნა ლიკვიდირებული.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 7, გვ. 66—67.

[2] „პრავდა“, 1949 წ. 28 დეკემბერი.

1929 — 1933 წწ. მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა მძლავრი დარტყმა მიაყენა ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკას. სამრეწველო პროდუქციის დონე კრიზისის წლებში დაეცა, მუშათა რეალური ხელფასი კიდევ უფრო შემცირდა; იმპორტი თუ 1929 წელს შეადგენდა 19,9 მილიარდ კრონს, 1933 წლისათვის დაეცა 6,9 მილიარდ კრონამდე; ექსპორტი 20,5 მილიარდ კრონიდან — 6,9 მილიარდ კრონამდე. უმუშევართა რიცხვი 1929 წელს უდრიდა 53 ათასს, 1931 წლის დასაწყისში კი უკვე 1,5 მილიონ ადამიანს არ ჰქონდა სამუშაო.

ეკონომიური კრიზისი გადაიხლართა პოლიტიკურ კრიზისში. გაიზარდა საგაფიცვო მოძრაობა, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდენ. 1932 წლის აპრილში ჩატარდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები. მთავრობა შეეცადა რეპრესიული ზომების საშუალებით შეეჩერებინა გაფიცვები. 1933 წელს გამოცემულ იქნა სპეციალური კანონები, რომლითაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობას მიეცა პოლიტიკური პარტიების კანონგარეშე გამოცხადების, პრესაზე ცენზურის შემოღების, პარლამენტის გარეშე კანონების გამოცემისა და სხვ. უფლებები, ე. ი. მასებზე ახალი შეტევის გაძლიერების უფლებები. დაიწყო კომუნისტების ახალი დევნა, დაპატიმრება, გასამართლება, კომუნისტური ორგანოების დახურვა და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასების სიყვარული კომუნისტებისადმი განუწყვეტლივ იზრდებოდა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1935 წლის არჩევნებში კომპარტიამ მიიღო 850 ათასი ხმა, ე. ი. 96 ათასით მეტი, ვიდრე 1929 წელს; დეპუტატთა პალატაში არჩეულ იქნა 30 კომუნისტი, სენატში—16.

1933 წელს გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ევროპაში ახალი ომის საშიშროება. გაძლიერდა გერმანელი ფაშისტების აგენტთა მოქმედება გერმანიის მეზობელ სახელმწიფოებში, კერძოდ, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში. გერმანელი იმპერიალისტების ექსპანსიონისტურ გეგმებში, აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის საკითხში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩეხოსლოვაკიას. ფაშისტები ჩეხოსლოვაკიის ხელში ჩასაგდებად იყენებდნენ იქ მცხოვრებ გერმანელებს,

რომლებიც საფრანგეთ-პრუსიის ომის დროიდან (1871 წ.) გადასახლდნენ ჩრდილოეთ ჩეხიასა და მორავიაში. ჩეხოსლოვაკიის ამ რაიონებში თანდათანობით იზრდებოდა გერმანიის კაპიტალის გავლენა და პანგერმანისტული ელემენტების აქტივობა. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აქ მოქმედებდა პანგერმანული პარტია — „ყველა გერმანელი“ შენერერისა და ვოლფის მეთაურობით. ეს პარტია მიზნად ისახავდა ჩეხიის შეერთებას გერმანიასთან. პანგერმანული ელემენტები შემდგომში თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენეს ჰიტლერელებმა.

გარდა ამისა, გერმანელმა ფაშისტებმა შექმნეს ე. წ. „სუდეტების“ გეოპოლიტიკური თეორია[1]. მათ დაიწყეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებული პროპაგანდა ჩეხების მიერ სუდეტების „დაპყრობის“ შესახებ, გერმანელების „საშინელ ჩაგვრაზე“ ჩეხოსლოვაკიაში და სხვ. სინამდვილეში კი არავითარი „სუდეტები“ არ არსებობდა. იყო მხოლოდ ჩეხია, რომლის ერთ-ერთ ოლქს გერმანელებმა „სუდეტები“ უწოდეს, სადაც ყოველთვის ჩეხები ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ მოვიდნენ გერმანელები, რომლებიც არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას და სარგებლობდნენ ჩეხების თანასწორი უფლებებით. გერმანელებს ჰქონდათ საკუთარი სკოლები, უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, თეატრები; ჰყავდათ თავისი წარმომადგენლები პარლამენტსა და მთავრობაში.

ჰიტლერელებმა სუდეტის ოლქში შექმნეს ფაშისტური პარტია ჩეხოსლოვაკელი ფაშისტების „ფიურერის“ ჰენლაინის მეთაურობით. ჰენლაინის პარტია, სარგებლობდა რა ჩე-

---

1 ცრუ და რეაქციული გეოპოლიტიკური თეორია, რომელიც იმპერიალიზმის ეპოქაში წარმოიშვა, ამტკიცებს, რომ თითოეს სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიური ურთიერთობა და განვითარება განისაზღვრება მხოლოდ გეოგრაფიული, ფიზიკური და სხვა მათი მსგავსი პირობებით. იმპერიალისტური სახელმწიფოები გეოპოლიტიკური თეორიით ასაბუთებენ თავიანთ დაპყრობით პოლიტიკას. გერმანიის ფაშიზმს გეოპოლიტიკური თეორიიდან გამოყავდა „სასიცოცხლო სივრცის“ თეორია, რომლის მიზანი იყო სხვისი ტერიტორიების დაპყრობა და სხვა ხალხების დამონაცება. ამჟამად ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ გეოპოლიტიკური თეორიით გაამართლონ მსოფლიო ბატონობისაკენ მათი მისწრაფება.

ხოსლოვაკიის მმართველი წრეების ანტიხალხური პოლიტიკით, თანდათანობით აქტიურ მოქმედებაზე გადადიოდა. უდრეას (1929 წ. თებერვალი — 1932 წ. იანვარი), მალიპეტრის (1932 წ. თებერვალი — 1935 წ. ნოემბერი) და გოჯას (1935 წ. ნოემბერი — 1938 წ. სექტემბერი) მთავრობები ხელს არ უშლიდნენ ფაშისტური ორგანიზაციების მოქმედებას სუდეტის ოლქში. ფაშისტები, ჰიტლერის აგენტები, აშკარად შედიოდნენ ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ პარტიებშიც. მეორე მხრივ, ზემოხსენებული მთავრობები ყოველნაირად აფერხებდნენ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას და მასთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებას.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დიდხანს არ არსებობდა დიპლომატიური ურთიერთობა. ეს გამოწვეული იყო ჩეხოსლოვაკიის მმართველი წრეების მოქმედებით. ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბერს, როგორც კი შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული რესპუბლიკა, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მიმართა მას წინადადებით დაეწყოთ მოლაპარაკება ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვიდა მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის მისია ჩეხოსლოვაკელი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხის მოგვარების მიზნით. ანალოგიური მისია იმავე მიზნით 1920 წელს საბჭოთა რუსეთიდან პრაღაში გაემგზავრა. ორივე მისიამ მუშაობა დაამთავრა 1921 წლის დასაწყისში.

ამავე დროს მიმდინარეობდა რადიოდეპეშებით აზრთა გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა რუსეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ნორმალური დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ. საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინის მიერ ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბენეშის სახელზე 1920 წ. 25 თებერვალს გაგზავნილ რადიოდეპეშაში აღნიშნული იყო, რომ არ არსებობდა სერიოზული ხელშემშლელი პირობები საბჭოთა რუსეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის მშვიდობიანი და მეგობრული, ორივე მხარისათვის ხელსაყრელი სავაჭრო

ურთიერთობის დამყარებისათვის. 1922 წლის 5 ივნისს ხელმოწერილ იქნა დროებითი ხელშეკრულება, რომლითაც ორივე ქვეყანას შორის მყარდებოდა ურთიერთობა დე-ფაქტო. მაგრამ ეს არ ნიშნავდა საბჭოთა რესპუბლიკის ცნობას და ორივე ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას. დამყარდა მხოლოდ ნაწილობრივი სავაჭრო ურთიერთობა, რაშიც დაინტერესებული იყო ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიის ერთი ნაწილი.

სსრ კავშირის ცნობის წინააღმდეგი იყვნენ ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ-მემამულური წრეები კრამარჟის, სტრეიბრნის, ჰენლაინისა და სხვათა მეთაურობით. ისინი ხელს უშლიდნენ და საშუალებას არ აძლევდნენ მოსახლეობას გაცნობოდა საბჭოთა ხალხის მიღწევებს. მაგრამ სულ უფრო ძნელი ხდებოდა ჩეხოსლოვაკიის ხალხის მოტყუება. მშრომელი მასები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტია მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირთან დაახლოებას და მასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას მოსალოდნელი აგრესიის ასალაგმავად.

1933 წ. 4 ივნისს ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ სსრ კავშირთან, თურქეთთან, რუმინეთსა და იუგოსლავიასთან ერთად ხელი მოაწერა კონვენციას აგრესორის განსაზღვრის შესახებ. ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1934 წლის 9 ივნისს, ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივი აზრის გავლენით, ჟენევაში მოხდა ბენეშსა და მ. ლიტვინოვს შორის ნოტების გაცვლა-გამოცვლა სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

პრეზიდენტ მასარიკის ანტიხალხური, ანტიეროვნული პოლიტიკის მიუხედავად, ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასში იზრდებოდა მოძრაობა პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნისათვის. კომუნისტური პარტიის ინიციატივით დროებით შესაძლებელი გახდა კომუნისტური, ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული და ჩეხოსლოვაკიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიების ერთიანი მოქმედება.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა (1934 წ. დეკემბერი) მიიღო გადაწყვეტილება კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური პარტიების ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ, რათა დაერაზმათ მასები ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1935 წლის მაისის არჩევნებში ხალხის მასების აქტიურმა მონაწილეობამ არჩევნების ბედი ფაშიზმის საწინააღმდეგოდ და დემოკრატიის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ბრძოლის ძირითადი ფორმა იყო მიტინგები, საპროტესტო კრებები, კონფერენციები, დემონსტრაციები, გაფიცვები, პარლამენტში გამოსვლები და სხვ. მარტო ერთი დღის განმავლობაში, 23 მაისს, პრაღაში ჩატარდა 40 მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 ათასმა კაცმა [1].

ფაშისტური გერმანიის მხრივ აგრესიის საშიშროების ზრდამ და ქვეყნის შიგნით სახალხო მოძრაობის გაძლიერებამ აიძულა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა 1935 წლის 16 მაისს ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების პაქტზე, რაც დაკავშირებული იყო ჩეხოსლოვაკია-საფრანგეთის ურთიერთდახმარების პაქტთან. ხელშეკრულების მეორე მუხლის დანართი იმ შემთხვევაში ითვალისწინებდა სსრ კავშირის დახმარებას ჩეხოსლოვაკიისადმი, თუ ამ უკანასკნელს დახმარებას აღმოუჩენდა საფრანგეთი.

1935 წლის 14 დეკემბერს სუსტი ჯანმრთელობისა და ღრმა მოხუცებულობის გამო პრეზიდენტი მასარიკი გადადგა [2]. იმავე წლის 18 დეკემბერს ეროვნულმა კრებამ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ედუარდ ბე-

---

[1] „Rudé Pravo", 26. V, 1935.

[2] ტომაშ მასარიკი (1850 — 1937). დაიბადა მორავიის სასაზღვრო ქალაქ ჰოდონიშში. პროფესიით ფილოსოფოსი, ბურჟუაზიის იდეოლოგი. მასარიკის „ჰუმანიზმის ფილოსოფია" და დემოკრატიის მისი მცნება მიზნად ისახავდნენ არ დაეშვათ რევოლუციური გზით ბურჟუაზიიდან პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლა. დღევანდელ ჩეხოსლოვაკიაში მასარიკიზმის გადმონაშთები ხალხის მტერთა იდეოლოგიური დასაყრდენია, რომელიც ხელს უშლის სოციალიზმის მშენებლობას ჩეხოსლოვაკიაში. მასარიკიზმი ცრუჰუმანიზმის, ცრუდემოკრატიის იდეოლოგიაა.

ნეში [1], რომელსაც 1918 წლიდან განუწყვეტლივ ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. ბენეში თავის პოლიტიკაში ორიენტაციას იღებდა დასავლეთის სახელმწიფოებზე, კერძოდ საფრანგეთზე. პრეზიდენტად არჩევამდე ბენეში იყო ჩეხოსლოვაკიის ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის ვიცეთავმჯდომარე. არჩევნების დროს იგი გამოვიდა ამ პარტიიდან და შემდეგში, როგორც პრეზიდენტი, ფორმალურად არ შედიოდა არც ერთ პარტიაში, ფაქტიურად კი ის რჩებოდა თავისი პარტიის ლიდერად და ატარებდა მის პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის მიმართ ბენეში აგრძელებდა თავის მტრულ პოლიტიკას. მიუხედავად საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთდახმარების პაქტის არსებობისა, იგი ხელს უშლიდა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებას. უფრო მეტიც, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ატარებდა ორმაგ პოლიტიკას. ცნობილია, რომ 1936 წლის დეკემბერში გრადში[2] მიმდინარეობდა მოლაპარაკება ე. ბენეშსა და ჰიტლერის ემისრებს — გრაფ ტრაუტმანსდორფსა და დოქტორ ჰაუსჰოფერს შორის. ამ მოლაპარაკების მიზანი იყო სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის. ბენეშმა წამოაყენა წინადადება გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის შეთანხმების შესახებ ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე კომინტერნის მოქმედების წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის მიზნით. შეთანხმება საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. შეთანხმება არ დაიდო მხოლოდ იმიტომ, რომ ჰიტლერს არ უნდოდა რაიმე ვალდებულება ეკისრა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთლიანობის მიმართ.

ბენეში, როგორც იმპერიალიზმის აგენტი და ანტისაბჭოთა პოლიტიკის გამტარებელი, ადრევე იქნა მხილებული ი. ბ. სტალინის მიერ. 1924 წლის 17 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამაზრო კომიტეტების

---

[1] პრეზიდენტის არჩევნების დროს კრამარჟის ფაშისტურმა პარტიამ ბენეშის კანდიდატურას დაუპირისპირა პროფესორ ნემეცის კანდიდატურა. მაგრამ ფაშისტების ცდა გაეყვანათ ნემეცის კანდიდატურა მარცხით დამთავრდა.

[2] გრადი—პრაღის კრემლი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენცია.

მდივნების კურსებზე გაკეთებულ მოხსენებაში ი. ბ. სტალინი ამბობდა, რომ დასავლეთის იმპერიალიზმს „...გამოუჩნდა თავისი ჩვილი — საკმაოდ ცნობილი ბენეში, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლის პირით მან გამოაცხადა — არ ღირს დავაჩქაროთ რესპუბლიკების კავშირის ცნობა, იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცე არ არისო, და ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებას მოკლე ხანში ახალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხელისუფლება შეცვლის, ამიტომ უკეთესი იქნება საბჭოთა კავშირთან „ნორმალური ურთიერთობისაგან" ჯერჯერობით „თავი შევიკავოთო" [1].

ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ-მემამულური წრეები აბრკოლებდნენ ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ურთიერთობის განმტკიცებას; უფრო მეტიც, ისინი მოსახლეობაში ეწეოდნენ აგიტაციას ჰიტლერულ გერმანიასთან „შემარიგებლური" პოლიტიკის გატარების აუცილებლობის შესახებ და ამით ფაქტიურად ხელს უწყობდნენ ფაშისტური გერმანიის გავლენის ზრდას ჩეხოსლოვაკიაში. ეს გარემოება კი ხელს უწყობდა ჰენლაინის ფაშისტური პარტიის აქტივობას. ჰენლაინელები, რომლებიც წარმოადგენდნენ „მეხუთე კოლონას" ჩეხოსლოვაკიაში, ქმნიდნენ ფაშისტურ ორგანიზაციებს და თავიანთი მიზნებისათვის იყენებდნენ კულაკებსა და მემამულეებს.

1938 წ. 29 მარტს ჰიტლერის დავალებით რიბენტროპმა ბერლინში გამოიძახა ჰენლაინი და მისი რამდენიმე მეგობარი. რიბენტროპმა მათ გადასცა ჰიტლერის განკარგულება იმის შესახებ, რომ ჰენლაინის პარტიას თანდათანობით გაეფართოებინა თავისი მოთხოვნები ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიმართ. ბერლინიდან დაბრუნებისთანავე ჰენლაინელებმა პრაღის მთავრობას წაუყენეს შემდეგი მოთხოვნები: „სუდეტის ოლქის" ავტონომია და ჰენლაინელთა წარმომადგენლების მთავრობაში შეყვანა, სსრ კავშირთან და საფრანგეთთან ურთიერთობის გაწყვეტა და გერმანიასთან დაახლოება. პრაღის მმართველი წრეები, რომლებსაც ქვეყნის შიგნით რევოლუციური მოძრაობისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე ფაშისტუ-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 271 — 272.

რი გერმანიისა, ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდნენ ჰენლაინელების წინაშე. მაგრამ საკმარისი იყო ჩეხოსლოვაკიის მთავრობას მიეღო ჰენლაინელების ერთი მოთხოვნა, რომ ეს უკანასკნელები აყენებდნენ მეორე მოთხოვნას. ასე, მაგალითად, ჰენლაინი არ დაკმაყოფილდა „სუდეტის ოლქის“ ავტონომიის საკითხით, მან მოითხოვა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მცხოვრებ გერმანელებს „ავტონომიური“ უფლებები მიეღოთ, ე. ი. არ დამორჩილებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების კანონებს.

გერმანელი ფაშისტების მიერ ავსტრიის დაპყრობის შემდეგ (1938 წ. მარტი) ჩეხოსლოვაკია ფაშიზმის ნახევარ რკალში აღმოჩნდა. 1933 წლის 12 მარტს გერინგმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის დესპანი ბერლინში მასტნი და მას თავისი და ჰიტლერის სახელით არწმუნებდა იმაში, რომ „გერმანიას არა აქვს არავითარი ცუდი განზრახვა ჩეხოსლოვაკიის მიმართ, რომ ამ უკანასკნელს არაფრის არ უნდა ეშინოდეს გერმანიის მხრივ და რომ ამაში ის (გერინგი — ი. ტ.) აძლევს მას პატიოსან სიტყვას“ [1]. გერინგი ურჩევდა მასტნის, რომ ჩეხოსლოვაკიას არავითარი მობილიზაცია და სხვა სამხედრო ღონისძიება არ ჩაეტარებინა. მაგრამ, მიუხედავად გერინგის „პატიოსანი სიტყვისა“, ფაშისტურმა გერმანიამ ჯარებს მოუყარა თავი არა მარტო გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე, არამედ ავსტრია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზედაც. 1938 წლის 29 მარტს ბერლინში რიბენტროპმა საიდუმლო თათბირი ჩაატარა. მან თათბირის მონაწილეებს გააცნო ჩეხოსლოვაკიისაგან სუდეტის ოლქის ჩამოცილების გეგმა და გადასცა მოქმედების გეგმა ჰენლაინს [2]. იმავე წლის 21 აპრილს ბერლინში ჰიტლერის მეთაურობით მოწვეულ იქნა საიდუმლო თათბირი, სადაც ფაშისტებმა შეიმუშავეს ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის სრულიად საიდუმლო, ე. წ. „მწვანე გეგმა“. ამ თათბირზე გადაწყდა, რომ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობისათვის საბაბად

---

[1] Le Livre Jaune Frangais. Documents Diplomatiques 1938 — 1939, Paris, 1939, p. 2.

[2] „ნიურნბერგის პროცესი. მასალების კრებული“ 1952, ტ. I, გვ. 312 — 313.

გამოეყენებინათ პრაღაში გერმანიის დესპანის პროვოკაციული მკვლელობა, რაც უნდა შეესრულებინათ გერმანიის აგენტებს პრაღაში. მაგრამ შემდგომში ჰიტლერელებმა ეს გეგმა შეცვალეს. 30 მაისს ჰიტლერმა სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლებს დაუგზავნა საიდუმლო დირექტივა, სადაც მოცემული იყო უახლოეს მომავალში ჩეხოსლოვაკიის სამხედრო გზით განადგურების გეგმა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას კარგად ესმოდა ის საფრთხე, რაც ჩეხოსლოვაკიას ფაშისტური გერმანიის მხრივ ემუქრებოდა. კომპარტია ერთადერთი პარტია იყო, რომელიც მოითხოვდა ყველა ძალების გაერთიანებას ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად. მთავრობის უმოქმედობა მოსალოდნელი საფრთხის წინაშე დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობაში. ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში ეწყობოდა დემონსტრაციები და მიტინგები, სადაც მთავრობისაგან მოითხოვდნენ აქტიურ მოქმედებას ქვეყნის დაცვის საქმეში. ასეთ ვითარებაში პრეზიდენტი ბენეში იძულებული გახდა ხალხისათვის აღეთქვა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. მაგრამ ეს მხოლოდ დაპირება იყო. საზოგადოებრივი აზრის გავლენით გოჯას მთავრობამ გამოაცხადა ნაწილობრივი მობილიზაცია, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მოსახლეობაში. მობილიზაცია ჩატარდა დიდი ენთუზიაზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტები იწონებდნენ ჰიტლერის გეგმას ჩეხოსლოვაკიის მიმართ. მაშინ როდესაც ჰიტლერი თავის გამოსვლებში ისტერიულად გაჰყვიროდა იმაზე, რომ თითქოს ჩეხოსლოვაკია საშიშროებას უქმნის მშვიდობას და თითქოს ჩეხოსლოვაკიაში იჩაგრებიან სუდეტელი გერმანელები, ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის გაზეთები ქება-დიდებას ასხამდნენ ჰიტლერის ამ სიტყვებს, გერმანიის არმიას, ავრცელებდნენ ლეგენდას მის უძლეველობაზე. ინგლისის მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა ლორდმა ჰალიფაქ-

სმა[1] 1937 წლის 19 ნოემბერს ჰიტლერთან საუბარში ინგლისის მთავრობის სახელით მხარი დაუჭირა ჰიტლერს დანციგის, ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის საკითხების „მშვიდობიანი ევოლუციის გზით“ გადაჭრის საქმეში[2]. ჰალიფაქსთან საუბრიდან ჰიტლერისათვის ცხადი გახდა, რომ ინგლისი არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევდა გერმანიის მოქმედებას აღმოსავლეთ ევროპაში. მსგავსი აზრი გამოთქვა ჰიტლერთან საუბარში ინგლისის ელჩმა ბერლინში ჰენდერსონმა[3]; ხოლო 1938 წლის 10 მარტს ჰალიფაქსი იმავე ჰენდერსონს ატყობინებდა: „ჩვენ ვაღიარებთ, გერმანული თვალსაზრისით, ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიასთან დაკავშირებული პრობლემების მნიშვნელობას“[4].

1938 წლის თებერვალში საფრანგეთის პარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარემ ბერანჟემ პარიზში ჩეხოსლოვაკიის დესპან ოსუსკისთან საუბარში განაცხადა, რომ საფრანგეთის ავტორიტეტული წრეების აზრით საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთდახმარების პაქტმა ძალა დაკარგა და რომ საფრანგეთს არ შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს ჩეხოსლოვაკიას ინგლისის მონაწილეობის გარეშე; ხოლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბონემ ინგლისის ელჩს პარიზში ფიპსს განუცხადა, რომ „საფრანგეთი არასდროს არ იომებს ჩეხოსლოვაკიისათვის“ და რომ „რუსები არასდროს არ შეასრულებენ თავის ვალდებულებას ჩეხოსლოვაკიის მიმართ“.

1938 წ. 28 აპრილს პარიზის თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ ჩემბერლენი, დალადიე, ჰალიფაქსი და ბონე, დალა-

---

1 1938 წ. 10 მარტს ლორდმა ჰალიფაქსმა ნევილ ჩემბერლენის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე შეცვალა ანტონ იდენი.

2 ჩემბერლენი კმაყოფილი დარჩა ჰიტლერ-ჰალიფაქსის საუბრით. გერმანიის ელჩი ლონდონში ამის შესახებ ბერლინში ატყობინებდა: „...მისი (ჩემბერლენის. — ი. ტ.) აზრით, ავსტრიისა და სუდეტელი გერმანელების შესახებ შეიძლება შეთანხმება“. იხ „Documents on German Foreign Policy“. Series D, v. I, p. XII.

3 „მეორე მსოფლიო ომის წინახანების დოკუმენტები და მასალები“, 1948. ტ. 1, გვ. 9, 54.

4 „Documents on British Foreign Policy“. Third Series, v. I, p. 5.

დიემ და ბონემ განაცხადეს, რომ „ისინი ცდილობენ გაათავისუფლონ საფრანგეთი ჩეხოსლოვაკიისათვის ბრძოლის ვალდებულებისაგან“ [1]. იმავე წლის მარტში ინგლისის დესპანმა პრაღაში ნიუტონმა მიიღო დავალება ლონდონის მთავრობისაგან, რათა მას გადაეცა ჩეხოსლოვაკიის მთავრობისათვის, რომ კონფლიქტის შემთხვევაში ინგლისის მთავრობა არავითარ დახმარებას არ გაუწევდა ჩეხოსლოვაკიას. საფრანგეთის ლონდონელ ელჩ კორბენთან საუბარში ჰალიფაქსმა განაცხადა, რომ „ინგლისი არ იომებს გერმანიასთან ამ უკანასკნელის ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის შემთხვევაში...“ [2] იმავე წლის 10 მაისს ამერიკული გაზეთების კორესპონდენტებთან საუბარში ჩემბერლენმა განაცხადა, რომ „არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ იომებს გერმანიასთან ჩეხოსლოვაკიისათვის“[3].

1938 წლის 3 აგვისტოს ინგლისის მთავრობამ სპეციალური „დამოუკიდებელი“ მისია გაგზავნა ჩეხოსლოვაკიაში, გერმანელ მაგნატებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ლორდ რენსიმენის მეთაურობით, რომელსაც უნდა „შეესწავლა სუდეტის საკითხი“. რენსიმენის „დამოუკიდებელ“ მისიაში შედიოდა მიუნხენის პოლიტიკის ცნობილი მომხრე, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორი ეშტონ გუეტკინი, რომელიც რენსიმენის მთავარ თანაშემწედ ითვლებოდა. ჩეხოსლოვაკიაში ჩამოსული რენსიმენი დაუკავშირდა როგორც პრაღის მთავრობას, ისე სუდეტელი ფაშისტების „ფიურერს“ ჰენლაინს. მან ურჩია ჰენლაინს, არ დაკმაყოფილებულიყო მარტო ავტონომიით, არამედ მოეთხოვა სუდეტის ოლქის ჩამოშორება ჩეხოსლოვაკიისაგან.

ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნების შემდეგ რენსიმენმა მოხსენებითი ბარათი წარუდგინა ინგლისის მთავრობას, სადაც იგი მოითხოვდა პრაღის მთავრობას მიეღო ფაშისტური გერ-

---

[1] მ. ჰ უ ს ი. ამერიკელი იმპერიალისტები — მიუნხენის პოლიტიკის სულისჩამდგმელები, 1951, გვ. 61.

[2] „Documents on British Foreign Policy“. Third Series, v. II, p. 275 — 276.

[3] მ. ჰ უ ს ი, ამერიკელი იმპერიალისტები — მიუნხენის პოლიტიკის სულისჩამდგმელები, 1951, გვ. 63.

მანიის მოთხოვნა და უარი ეთქვა სსრ კავშირთან და საფრანგეთთან დადებულ ურთიერთდახმარების პაქტებზე. 1938 წლის 7 სექტემბრის ნომერში ინგლისის კონსერვატული გაზეთი „ტაიმსი“ ურჩევდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას დაეკმაყოფილებინა გერმანიის მოთხოვნები და გადაეცა მისთვის მოსაზღვრე რაიონები. ამ აზრს იწონებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრაღელი და პარიზელი ელჩები: ვილსონი და ბულიტი.

ჩეხოსლოვაკიის საკითხის გადაწყვეტის „საკუთარი გეგმა“ ჰქონდა საფრანგეთის ელჩს ბერლინში, საკმაოდ ცნობილ ფრანსუა-პონსეს [1]. ეს გეგმა ითვალისწინებდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკია-საფრანგეთის ურთიერთდახმარების პაქტების გაუქმებას. ფრანსუა-პონსეს გეგმა ლონდონში მოიწონეს [2].

ასეთ ვითარებაში ჰენლაინელებმა შეწყვიტეს მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან და 1938 წლის 13 სექტემბერს მოაწყვეს ფაშისტური ამბოხება. როგორც ნიურნბერგის პროცესზე გამოირკვა, ჰენლაინის მეთაურობით მოწყობილი ამბოხება დაფინანსებული იყო გერმანიის კონცერნ „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ მიერ. როდესაც ამბოხება ჩაქრობილ იქნა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დააკმაყოფილა ჰენლაინელების მოთხოვნა სუდეტის ოლქის ავტონომიაზე, სუდეტელმა ფაშისტებმა მოითხოვეს სუდეტის ოლქის სრული გამოყოფა ჩეხოსლოვაკიისაგან.

1938 წლის 15 სექტემბერს ინგლისის პრემიერი ჩემბერლენი ჰიტლერთან მოსალაპარაკებლად ბერხტესგადენში (გერმანია) გაფრინდა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბერლინში მიესალმა ჩემბერლენის ამ ნაბიჯს. ჩემბერლენის ეს ნაბიჯი მოიწონეს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მეშარჯვენე სოციალისტებმაც. ფრანგი მემარჯვენე სოციალისტების ლიდერი ლეონ ბლუმი აღფრთოვანებით წერდა თავის

---

[1] ამჟამად უმაღლესი კომისარი დასავლეთ გერმანიის საფრანგეთის ზონაში.

[2] „Documents on British Foreign Policy“. Third Series, v. I, p. 497.

ორგანო „პოპულერში"; „...ნევილ ჩემბერლენის მამაცური გადაწყვეტილება — ეს მშვიდობის შანსია... ამიტომ მე ვიწონებ მას..."

ჩემბერლენ-დალადიეს მიუნხენის პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიები. იმავე დღეს (1938 წ. 15 სექტემბერი) საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „იუმანიტეს" საერთაშორისო საკითხების მიმომხილველი გაბრიელ პერი, უწოდებდა რა ჩემბერლენის ბერხტესგადენში გამგზავრებას „მოგზაურობას ბავარიის კანოსში", წერდა: „ჩვენი აზრით, ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის დაკარგვა ბოლოს ვერ მოუღებს ომს. ის მოაახლოვებს მას. საფრანგეთი ცხოვრობს მშვიდობიანად, ვინაიდან მისი მოკავშირე ჩეხოსლოვაკიის არსებობა ცენტრალურ ევროპაში შეუძლებელს ხდის გერმანიის აგრესიას; საკმარისია ბოლო მოეღოს ამ მოკავშირეს, და საფრანგეთის უშიშროება, საყოველთაო მშვიდობა რამდენიმე ხნის შემდეგ არარაობად იქცევა. აი რას გვიმზადებს ჩვენ ჩემბერლენის მისია. აი რატომ არ ვიწონებთ ჩვენ მას".

ჩემბერლენის ინგლისში დაბრუნების შემდეგ ლონდონში მოწვეულ იქნა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ საფრანგეთის წარმომადგენლებიც. ამ თათბირზე შემუშავებულ იქნა საერთო აზრი „სუდეტის საკითხის" ირგვლივ და გადაწყდა ნოტით მიემართათ ჩეხოსლოვაკიის მთავრობისათვის. მეორე დღეს ჩემბერლენმა და დალადიემ, ჩემბერლენის ბერხტესგადენში ჰიტლერთან მოლაპარაკებისა და ლონდონის თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ბენეშს გადასცეს შემდეგი წინადადებები: 1) პლებისციტის გარეშე გადაეცეს გერმანიას ჩეხოსლოვაკიის ის რაიონები, სადაც გერმანელები შეადგენენ ნახევარზე მეტს; 2) ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ უარი უნდა თქვას საბჭოთა კავშირთან და საფრანგეთთან დადებული ურთიერთდახმარების პაქტებზე და 3) სამაგიეროდ ჩეხოსლოვაკია მიიღებს საფრანგეთის, ინგლისისა და ფაშისტური გერმანიის გარანტიას მისი ახალი საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

ინგლის-საფრანგეთის მთავრობების ასეთმა თავხედურმა წინადადებებმა აღაშფოთა ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა. კომუნისტური პარტია კ. გოტვალდის მეთაურობით სათავეში ჩაუდგა ხალხის მასებს, რომლებიც სამშობლოს დაცვისათვის აქტიურ ბრძოლას მოითხოვდნენ. ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივი აზრის გავლენით პრაღის მთავრობამ 20 სექტემბერს უარით უპასუხა ინგლის-საფრანგეთის მთავრობების წინადადებების მიღებაზე. მეორე დღეს ინგლისისა და საფრანგეთის დესპანებმა პრაღაში, ნიუტონმა და დელაკრუამ, ინახულეს ბენეში და საგარეო საქმეთა მინისტრი კროფტა და თავიანთი მთავრობების სახელით გადასცეს, რომ თუ გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის ომი დაიწყება, ინგლისი და საფრანგეთი ამ ომში გერმანიის მხარეზე იქნებიან. გამოიყენეს რა ინგლის-საფრანგეთის მთავრობების ეს განცხადება, ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ-შემამულურმა მმართველმა წრეებმა უარი თქვეს ქვეყნის თავდაცვაზე იმ საბაბით, რომ თითქოს შეუძლებელი იყო ჩეხოსლოვაკიის დაცვა დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერის გარეშე.

საფრანგეთ-ინგლისის მთავრობებმა არ მიიღეს საბჭოთა კავშირის წინადადება ჩეხოსლოვაკიის დასაცავად ერთიანი ძალებით გამოსვლის შესახებ. საფრანგეთის მმართველ წრეებს არ უნდოდათ საბჭოთა კავშირთან ერთად ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ გამოსვლა. ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ფაშისტური გერმანიის დამარცხება, რაც გამოიწვევდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის გაზრდას და დემოკრატიული ძალების გაძლიერებას ევროპაში. საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსმა პრაღაში გენერალმა ფოშემ განაცხადა: „მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ არ გვინდა გამოვიდეთ ჰიტლერის წინააღმდეგ ბოლშევიკებთან კავშირში“.

ასეთი პოზიცია ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეებისა, რომელთა ზურგს უკან იდგა ამერიკის იმპერიალიზმი, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ფაშისტურ გერმანიას. ჰიტლერი დარწმუნებული იყო იმაში, რომ არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ გამოვიდოდა ჩეხოსლოვაკიის დასახმარებლად გერმანია-ჩეხოსლოვაკიის კონფლიქტის შემთხვევაში, ამიტომ

მისი მოქმედება ჩეხოსლოვაკიის მიმართ სულ უფრო თავხედურ ხასიათს იღებდა. ერთ-ერთ საიდუმლო დირექტივაში ჰიტლერი წერდა: „მე გადავწყვიტე დავიწყო სამხედრო მოქმედება ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცედ ვიქნები დარწმუნებული, რომ საფრანგეთი არ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ და ინგლისიც არ ჩაერევა საქმეებში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რაინის ზონის ოკუპაციისა და ავსტრიის დაკავების დროს“.

სსრ კავშირი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც რეალური დახმარება აღუთქვა ჩეხოსლოვაკიას. საბჭოთა მთავრობის მიერ საფრანგეთის მთავრობისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ პასუხში ნათქვამი იყო: „ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს შეავსრულოთ ჩვენი ვალდებულება პაქტის მიხედვით და საფრანგეთთან ერთად აღმოვუჩინოთ დახმარება ჩეხოსლოვაკიას... ჩვენი სამხედრო უწყება მზადაა დაუყოვნებლივ მიიღოს მონაწილეობა საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის სამხედრო უწყებების წარმომადგენლებთან თათბირში შექმნილი მომენტით ნაკარნახევ ღონისძიებათა განსახილველად“.

ჯერ კიდევ 1938 წლის 23 აპრილს ჩეხოსლოვაკიის დესპანი ზდენეკ ფირლინგერი მოსკოვიდან ატყობინებდა თავის მთავრობას: „საბჭოთა კავშირი, თუ ამას მისგან მოითხოვენ, საფრანგეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად მზადაა მიიღოს ყველა ზომა ჩეხოსლოვაკიის უშიშროების დასაცავად. ამისათვის მას გააჩნია ყველა საჭირო პირობა“.

სსრ კავშირის მთავრობა მზად იყო გაეწია დახმარება ჩეხოსლოვაკიისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფრანგეთი უარს იტყოდა საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთდახმარების პაქტის პირობების შესრულებაზე. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო პირველ რიგში თვით პრაღის მთავრობის სურვილი. 1938 წლის სექტემბრის დასაწყისში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი კლემენტ გოტვალდი პირადად ი. ბ. სტალინის მიერ იყო უფლებამოსილი გადაეცა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ბენეშისათვის საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება ფაშისტური გერმანიის მიერ

ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის შემთხვევაში ამ უკანასკნელისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფრანგეთის მთავრობა თავის ვალდებულებაზე უარს იტყოდა და დახმარებას არ აღმოუჩენდა ჩეხოსლოვაკიას. საბჭოთა კავშირი ამას მაშინ გააკეთებდა, თუ ჩეხოსლოვაკიის მხრიდან აგრესორის მიმართ წინააღმდეგობას ექნებოდა ადგილი და თუ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა თხოვდა დახმარებას საბჭოთა კავშირს.

აი რას წერს ამის შესახებ ამხანაგი გოტვალდი: „კრიტიკულ 1938 წელს მე სტუმრად მიმიპატიჟა სტალინმა. ხანგრძლივი საუბრის დროს ჩვენ განვიხილეთ ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის მხრივ დახმარების საკითხი ჩეხოსლოვაკიაზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში. მაშინ სტალინმა გარკვევით მითხრა, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა აღმოუჩინოს სამხედრო დახმარება ჩეხოსლოვაკიას იმ შემთხვევაშიც, თუ ამას არ გააკეთებს საფრანგეთი, რაც საბჭოთა კავშირის მხრივ დახმარების პირობა იყო, და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაშინდელი ბეკის პოლონეთი ან ბოიარების რუმინეთი უარს იტყოდნენ გაეტარებინათ საბჭოთა არმია. ცხადია, ხაზი გაუსვა სტალინმა, საბჭოთა კავშირს შეუძლია აღმოუჩინოს დახმარება ჩეხოსლოვაკიას ერთი პირობით: თუ თვით ჩეხოსლოვაკია თავს დაიცავს და სთხოვს დახმარებას საბჭოთა კავშირს. მე ვკითხე ამხანაგ სტალინს, შემიძლია თუ არა ეს დაპირება გადავსცე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პასუხისმგებელ მუშაკებს. ამის პასუხად სტალინმა პირდაპირ მომანდო მე გადამეცა მოლაპარაკების შინაარსი მაშინდელ პრეზიდენტ ბენეშისათვის. ეს კი მე გავაკეთე“ [1].

იმავე წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის დესპანმა პრაღაში ანალოგიური შინაარსის განცხადება გადასცა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ-მემამულურმა მმართველმა წრეებმა, რომლებიც საკუთარ კლასობრივ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ქვეყნისას, არ მიიღეს საბჭოთა კავშირის დახმარება და ამჯო-

[1] „პრავდა“, 1949 წ. 28 დეკემბერი.

ბინეს სამარცხვინო კაპიტულაცია. შემდგომში, ერთ-ერთ თავის გამოსვლაში, ბენეშმა აღიარა: „საბჭოთა მთავრობამ საზეიმო დაპირება მისცა ჩეხოსლოვაკიას აღმოეჩინა სამხედრო დახმარება იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფრანგეთი და ინგლისი ამას არ გააკეთებდნენ. მაგრამ ჩეხოსლოვაკიამ საჭიროდ არ ჩათვალა მიეღო სამხედრო დახმარება საბჭოთა მთავრობისაგან“ [1].

1938 წლის 21 სექტემბერს გოჯას მთავრობამ მიიღო ინგლის-საფრანგეთის მთავრობების წინადადება გერმანიისათვის მოსაზღვრე რაიონების გადაცემის შესახებ. მან ერთდროულად გასცა განკარგულება ამ რაიონებიდან ჩეხოსლოვაკიის ჯარების გამოყვანის შესახებ. როგორც კი ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ეს სამარცხვინო აქტი ცნობილი გახდა მოსახლეობისათვის, მთელ ქვეყანას მოედო მასობრივი მოძრაობა, რომელიც საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვებში გადაიზარდა.. პრაღაში შეჩერდა მოძრაობა, დაიხურა დაწესებულებები და მაღაზიები. ხალხი მოითხოვდა გოჯას კაპიტულანტური მთავრობის გადადგომას. 250-ათასიანი დემონსტრაცია პრაღაში მიესალმა კ. გოტვალდის სიტყვით გამოსვლას. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ისეთი მტკიცე მთავრობის შექმნას, რომელიც ხალხის მასებს დაეყრდნობოდა და დაიცავდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.

ხალხის მასების მოძრაობის ტალღამ წალეკა გოჯას მთავრობა. 22 სექტემბერს პრეზიდენტმა ბენეშმა ახალი კაბინეტის შედგენა დაავალა ცნობილ რეაქციონერს, საბჭოთა კავშირის დაუძინებელ მტერს გენერალ სიროვს. იან სიროვის მთავრობაც, რომელშიც შევიდნენ ჩერნი, ზენკლი, კროფტა, ფაინორი, კალფუსი და სხვ., არაფრით განსხვავდებოდა მის წინამორბედისაგან, მაგრამ, საზოგადოებრივი აზრის გავლენით, მან გააუქმა ბრძანება მოსაზღვრე რაიონებიდან ჯარების გამოყვანის შესახებ და უარყო ინგლის-საფრანგეთის წინადადება. 23 სექტემბერს გამოცხადებულ იქნა ახალი მობი-

---

[1] ბ. შ ტ ე ი ნ ი, ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები (1919 — 1939), 1951, გვ. 166.

ლიზაცია, რასაც მოსახლეობა სიხარულით შეხვდა. მობილიზაცია ორგანიზებულად ჩატარდა.

წინადღით, 22 სექტემბერს, ნევილ ჩემბერლენი ხელმეორედ გაფრინდა ჰიტლერთან, რათა მოეხსენებინა მისთვის ინგლის-საფრანგეთის მინისტრების თათბირის შედეგები და ჩეხოსლოვაკიისათვის ულტიმატუმის წაყენების შესახებ. ამჯერად შეხვედრას ადგილი ჰქონდა გერმანიის ქალაქ გოდესბერგში. აქ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მიიღებდა ყოველგვარ ზომას, რათა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას ჰიტლერის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა [1].

გოდესბერგიდან ჩემბერლენის გამგზავრების შემდეგ, 26 სექტემბერს, ბერლინში სიტყვით გამოვიდა ჰიტლერი. მან განაცხადა: „მე მადლობელი ვარ ბ-ნი ჩემბერლენისა ყველა მისი ღონისძიებისათვისო“ [2].

გოდესბერგის შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ ჰქონდა ადგილი ინგლის-საფრანგეთის მინისტრების თათბირს ლონდონში, რის შემდეგ დანიშნულ იქნა ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენცია მიუნხენში. ჰიტლერული გერმანიის, ფაშისტური იტალიის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მიუნხენის კონფერენციას, რომელიც 1938 წლის 29 სექტემბერს შედგა, ესწრებოდნენ ჰიტლერი, მუსოლინი, ჩემბერლენი და დალადიე, აგრეთვე მათი საგარეო საქმეთა მინისტრები: რიბენტროპი, ჩიანო, ჰალიფაქსი და ბონე. მიუნხენის მოლაპარაკება წინასწარ შეთანხმებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებთან. „...ჩეხოსლოვაკიის მთელი კრიზისის განმავლობაში აშშ იმპერიალისტური მმართველი წრეები ასრულებდნენ ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ გერმანულ-ფაშისტური აგრესიის ერთ-ერთი მთავარი მფარველისა და ორგანიზატორის როლს...“ [3]. მიუნხენის

---

[1] „მეორე მსოფლიო ომის წინახანების დოკუმენტები და მასალები“, ტ. 1, დოკ. 28, 32; გვ. 242, 263.

[2] „Le Livre Jaune Frangais. Documents Diplomatiques 1938 — 1939“, Paris, 1939, p. 8.

[3] მ. ჰ უ ს ი, ამერიკელი იმპერიალისტები — მიუნხენის პოლიტიკის სულისჩამდგმელები, 1951, გვ. 82.

გამცემლური შეთანხმებისადმი აშშ-ს დამოკიდებულების შესახებ ბენეში ამბობდა: „შეერთებული შტატების ელჩი ინგლისში ჯოზეფ კენედი აშკარად და თანმიმდევრობით იცავდა ჩემბერლენის ხაზს, და ჩემბერლენი ხშირად ეყრდნობოდა მის მხარდაჭერას... დალადიე ცხადად მიუთითებდა, რომ მიუნხენის პოლიტიკა მთლიანად შეეფარდებოდა ამერიკის ელჩის (ბულიტის. — ი. ტ.) შეხედულებებს და, ასევე, შეერთებული შტატების პოზიციას" [1]. ამდენად, აშშ, მართალია, უშუალოდ არ ღებულობდა მონაწილეობას მიუნხენის კონფერენციაში. მაგრამ მისი მმართველი წრეები მხარს უჭერდნენ ჰიტლერულ გერმანიასთან მორიგების პოლიტიკას.

მიუნხენის გარიგებით დაგვირგვინდა ის სამარცხვინო და დამღუპველი პოლიტიკა, რომელსაც დიდი ხანია ატარებდნენ მშვიდობის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე ქვეყნები. ჩეხოსლოვაკია არ იყო წარმოდგენილი მიუნხენის თათბირზე. „ჩეხოსლოვაკიის ბედი გადაწყვეტილ იქნა მისი ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები მიიწვიეს მიუნხენში მხოლოდ იმისათვის, რათა მათ მორჩილად ელოდათ იმპერიალისტებს შორის გარიგების შედეგისათვის" [2].

აი რას წერს ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ერთ-ერთი წევრი ჰუბერტ მასარიკი მიუნხენის გარიგების შესახებ: „ჩვენი თვითმფრინავი გაფრინდა რუზინედან 1938 წ. 29 სექტემბერს დღის 3 საათზე. 1 საათსა და 20 წუთზე ჩვენ მიუნხენში ვიყავით. აეროდრომზე შეგვხვდნენ ისე, როგორც ხვდებიან პოლიციის თვალსაზრისით საეჭვო პირებს. პოლიციის ავტომობილით გესტაპოს თანამშრომელთა თანხლებით მიგვიყვანეს სასტუმრო „რეგინაში"... რამდენადაც კონფერენცია უკვე დაწყებული იყო, ჩვენთვის ძნელი შეიქმნა დავკავშირებოდით საფრანგეთის ან ინგლისის დელეგაციების ხელმძღვანელებს... ღამის 1 საათსა და 30 წუთზე შეგვიყვანეს კონფერენციის დარბაზში, სადაც იყვნენ ნევილ ჩემბერლენი, დალადიე, ჰორაციო ვილსონი, ლეჟე, გუეტკინი, მასტნი და მე...

---

[1] მ. მეიერი, გარდუვალია თუ არა ამერიკის დაღუპვა? გვ. 74 — 75.

[2] „ისტორიის ფალსიფიკატორები (ისტორიული ცნობა)", 1948, გვ. 31.

ჩვენ გამოგვიცხადეს მეტად უხეში ფორმით და ისიც ფრანგებმა, რომ განაჩენი უაპელაციოა და მასში შესწორების შეტანა შეუძლებელია... ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ 1918 წლის საზღვრებში შეწყვიტა არსებობა“ [1].

მიუნხენის გარიგების შემდეგ გამოქვეყნებულ ტექსტში ნათქვამი იყო, რომ ჩეხოსლოვაკიას გერმანიისათვის უნდა გადაეცა ყველა მოსაზღვრე რაიონი, ე. ი. არა მარტო სუდეტის ოლქი, არამედ სამხრეთის, ავსტრიის მოსაზღვრე რაიონებიც. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩეხოსლოვაკია კარგავდა თავდაცვის უმნიშვნელოვანეს ზღუდეებს — ჩეხოსლოვაკიის ე. წ. „მაჟინოს ხაზს“. ამასთანავე ჩეხოსლოვაკიას ადგილზე უნდა დაეტოვებინა ყველა სამრეწველო საწარმო და სატრანსპორტო საშუალება.

ასე მუხანათურად გასცეს ჩეხოსლოვაკია ინგლის-საფრანგეთის მმართველმა წრეებმა, რომელთა ზურგს უკან იდგნენ ამერიკელი იმპერიალისტები, და გზა გაუხსნეს ჰიტლერელებს აღმოსავლეთისაკენ.

მიუნხენის გარიგების ნამდვილი არსი ამხილა ი. ბ. სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, სადაც იგი ამბობდა: „...გერმანელებს მისცეს ჩეხოსლოვაკიის რაიონები, როგორც საფასური ვალდებულებისა—აეტეხათ ომი საბჭოთა კავშირთან...“ [2].

მაგრამ მიუნხენის სამარცხვინო გარიგებაში და ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობაში მარტო ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის მმართველი წრეები როდი არიან დამნაშავე, ამაში გარკვეული ბრალი მიუძღვით ჩეხოსლოვაკიის მაშინდელ მმართველ წრეებსაც და პირველ რიგში ნაციონალურ-სოციალისტების პარტიას, რომლის ლიდერიც ედუარდ ბენეში იყო.

ჩეხოსლოვაკიის პარტიებიდან მარტო კომუნისტური პარტია გამოდიოდა მიუნხენის გარიგების წინააღმდეგ. იგი მოითხოვდა მასების დარაზმვას და საბჭოთა კავშირის დახმარებით აგრესორისათვის წინააღმდეგობის გაწევას. 1938 წლის სექ-

---

1 „მეორე მსოფლიო ომის წინახანების დოკუმენტები და მასალები“, 1948, ტ. 1, გვ. 310 — 315.

2 ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. მე-11 გამოც., გვ. 714.

ტემბერში კ. გოტვალდი სისტემატურად გამოდიოდა მიტინგებზე, კრებებზე და ეროვნული კრების მუდმივ კომისიებში წინადადებით წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. 1938 წლის 18 სექტემბერს პარლამენტის მუდმივი კომისიის სხდომაზე კ. გოტვალდმა განაცხადა: „20 წლის განმავლობაში ინგლისი და საფრანგეთი ავალდებულებდნენ ჩეხოსლოვაკიას დაეცვა თავისი საზღვრები მშვიდობის ინტერესებისათვის. ახლანდელ ვითარებაში ამ საზღვრების მნიშვნელობა მშვიდობის თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ოდესმე წარსულში. ისინი იცავენ მშვიდობას გერმანიის აგრესიის საშიშროებისაგან თვით დუნაისპირა ოლქებსა და ბალკანეთამდე. ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას იცავს ის, ვინც უარყოფს მისი საზღვრების ყოველგვარ დარღვევას. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა კავშირის მხრივ მერყეობას არ ექნება ადგილი თავისი მოკავშირის მიმართ ვალდებულებათა შესრულების დროს. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ჩეხოსლოვაკია დანაწილებულ იქნას ნებაყოფლობით. თუ ჩვენ თავს დაგვესხმიან, ჩვენ თავს დავიცავთ. და თუ ჩვენ თავს დავიცავთ, მაშინ ჩვენ მარტონი არ დავრჩებით“ [1].

იმავე წლის 30 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც მიუნხენის სამარცხვინო გარიგება ცნობილი გახდა, კ. გოტვალდი გრადში ამბობდა: „ფეხშიშველი და უიარაღო აბისინიელები იცავენ თავს, ხოლო ჩვენ კაპიტულაციას ვაცხადებთ. აბა შეხედეთ როგორ იცავს თავს ესპანელი ხალხი. ჩვენ მშვენიერი არმია გვყავს, ხალხი ჩვენთან არის, ის ერთიანია, და ჩვენ მარტონი არ დავრჩებით მსოფლიოში. ახლაც გვიანი არ იქნებოდა გვეჩვენებინა ჩვენი ძალა და უარი გვეთქვა მიუნხენის მოთხოვნებზე“ [2].

ჩეხოსლოვაკიას შეეძლო ეფექტური შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია აგრესორისათვის. ამის შესაძლებლობას მას აძლევდა თავისი მაღალგანვითარებული მრეწველობა და

---

1 „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ჩეხოსლოვაკიის თავისუფლება“, 1951, გვ. 91.

2 იქვე.

სოფლის მეურნეობა, სამხედრო მრეწველობის კონცენტრაცია და მისი წარმოების მაღალი ხარისხი. ჩეხოსლოვაკიას გააჩნდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კარგად შეიარაღებული სამხედრო ძალები. მიუნხენის გარიგების პერიოდში ჩეხოსლოვაკიას ჰყავდა 40-ზე მეტი დივიზიისაგან შემდგარი არმია, რომელიც აღჭურვილი იყო პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკით. შკოდას სამხედრო-სამრეწველო გაერთიანებას ჩეხოსლოვაკიაში ეკუთვნოდა დაახლოებით 20 სამხედრო ქარხანა, მათ შორის შკოდას ქარხნების პლეზენის ჯგუფი, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ევროპის სახელმწიფოების მსხვილ სამხედრო-სამრეწველო საწარმოებს, სამხედრო იარაღის ქარხნები ბრნოში, სტრაკონიცაში, პრაღაში და სხვ. ჩეხოსლოვაკიის ხალხი მზად იყო იარაღით ხელში დაეცვა თავისი სამშობლო, ხოლო თუ ჩეხოსლოვაკია წინააღმდეგობას გაუწევდა აგრესორს, იგი მიიღებდა საბჭოთა კავშირის დახმარებას.

ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ გერმანელმა ფაშისტებმა. ნიურნბერგის საერთაშორისო პროცესზე ჰიტლერელმა ფელდმარშალმა კაიტელმა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლის შეკითხვაზე — „თავს დაესხმოდა თუ არა 1938 წელს ჰიტლერული გერმანია ჩეხოსლოვაკიას, თუკი ამ უკანასკნელს მხარს დაუჭერდნენ დასავლეთის ქვეყნები?“ — კაიტელმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, არა. სამხედრო თვალსაზრისით ჩვენ არ ვიყავით საკმაოდ ძლიერი. მიუნხენის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ მოეხდინა რუსეთის იზოლირება ევროპაში, მოგვეგო დრო და დაგვემთავრებინა ჩვენი სამხედრო მზადება“.

1938 წლის 30 სექტემბერს დილით გერმანიის საქმეთა რწმუნებულმა პრაღაში ჰენკემ ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრ კროფტას გადასცა მიუნხენის გადაწყვეტილების ტექსტი და რუკა, სადაც აღნიშნული იყო რაიონები, რომლებიც უნდა გადასულიყო გერმანიის ხელში. ჰენკეს შემდეგ კროფტასთან გამოცხადდა ინგლისის დესპანი პრაღაში ნიუტონი და ჩემბერლენის სახელით განუცხადა, რომ მიუნხენის გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შესრულდესო.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ იმავე დღეს სპეციალურ სხდომაზე მიუხედავად ხალხის მასების მზადყოფნისა საკუთარი მკერდით დაეცვათ სამშობლო, ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე მიიღო მიუნხენის გადაწყვეტილება, ე. ი. გამოაცხადა კაპიტულაცია. მიუნხენის მუხანათური გარიგებისა და პრაღის მთავრობის კაპიტულაციის შესახებ ცნობამ აღაშფოთა ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა. ხალხის მასები პროტესტს გამოთქვამდნენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ასეთი მოღალატური მოქმედების მიმართ. ჩეხოსლოვაკელ ჯარისკაცებს, რომლებიც მთავრობის განკარგულებით ტოვებდნენ თავიანთ პოზიციებს სუდეტის ოლქში, ცრემლები ჩამოსდიოდათ. ჯარისკაცები მოითხოვდნენ მეთაურებისაგან არ შეესრულებინათ ბრძანება სუდეტის ოლქიდან წასვლაზე და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ აგრესორისათვის. უკმაყოფილების ტალღა მოედო მთელ ჩეხოსლოვაკიას. პრაღაში პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი ჩეხოსლოვაკელები, რომლებსაც საფრანგეთისა და ინგლისის ორდენები ჰქონდათ, დემონსტრაციულად იხსნიდნენ ამ ორდენებს და თვალსაჩინო ადგილას დადგმულ ნაგვის ყუთში ყრიდნენ მათ. მიუნხენის გარიგებამ აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ხალხებში.

მიუნხენის გარიგების მეორე დღეს, 1 ოქტომბერს, გერმანელმა ფაშისტებმა დაიწყეს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ოკუპაცია და ძარცვა. გერმანელმა ფაშისტებმა ჩეხოსლოვაკიის ოკუპირებული ტერიტორიიდან გაიტანეს ათასობით ტონა სპილენძი და სხვა ფერადი ლითონები, ასეული ათასობით ტონა შაქარი, ქვანახშირი, ბამბის დიდი მარაგი, მზა ტანისამოსი, პური და სხვა პროდუქტები. ყოველივე ამის შედეგად. ჩეხოსლოვაკიის ამ მდიდარ რაიონებში რამდენიმე დღის შემდეგ შიმშილობა გაჩნდა. ფაშისტებმა დაიკავეს არა მარტო გერმანელებით დასახლებული რაიონები, არამედ ის რაიონებიც, სადაც ასეული ათასობით ჩეხი ცხოვრობდა. უფრო მეტიც, ჰიტლერელებმა დაიკავეს ისეთი რაიონებიც კი, სადაც არც ერთი გერმანელი არ ცხოვრობდა, მაგრამ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ფაშისტური გერმანიის ავანტუ-

რისტული გეგმებისათვის. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს პანების პოლონეთმა, უნგრეთის ფაშისტურმა მმართველმა წრეებმა და დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის მოსაზღვრე რაიონები.

მიუნხენის გარიგების შედეგად ჩეხოსლოვაკია მნიშვნელოვნად დასუსტდა სტრატეგიული, ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით. მან დაკარგა თავისი ტერიტორიის 30 და მოსახლეობის — 33 პროცენტი (ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრები დაახლოებით 15 მილიონი კაციდან 5 მილიონი, მათ შორის 1,5 მილიონზე მეტი ჩეხი, სლოვაკი და უკრაინელი). ჩეხოსლოვაკიამ დაკარგა მნიშვნელოვანი სამრეწველო რაიონები ჩეხიაში და ნაყოფიერი მიწების საგრძნობი ნაწილი სლოვაკიაში. ჩეხოსლოვაკიის მიერ დაკარგული სამრეწველო რაიონების მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 4 მილიარდ კრონს ოქროთი. ამ რაიონებზე მოდიოდა საფეიქრო, ფაიფურის, მინისა და ქაღალდის მრეწველობის დიდი ნაწილი, მურა ნახშირის მარაგი 10 — 12 მილიარდ ტონამდე, რომლის ამოღება 1937 წელს უდრიდა 16 მილიონ ტონას (ჩეხოსლოვაკიის დანარჩენ რაიონებში კი მხოლოდ 1 მილიონ ტონას). ფაშისტური გერმანიის ხელში გადავიდა ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო პროდუქციის 51 პროცენტი; მათ შორის: საფეიქრო მრეწველობის — 49 პროცენტი. ფაიფურის — 99 პროცენტი, მინის — 63 პროცენტი, ქაღალდის — 37 პროცენტი, რკინიგზების — 26 პროცენტი. პოლონეთის მიერ დაპყრობილ რაიონებზე მოდიოდა ჩეხოსლოვაკიის ქვანახშირის მარაგის 50 პროცენტი. სლოვაკიის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მდიდარი რაიონები დაპყრობილ იქნა უნგრეთის მიერ.

გერმანელმა ფაშისტებმა დაიკავეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონები, რომლებსაც ჩეხოსლოვაკიის დაცვისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდათ. საკმარისია ითქვას, რომ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა 35 კმ-ით დაშორებული აღმოჩნდა გერმანიის ახალი საზღვრიდან, ბრნო (მორავიის მთავარი ქალაქი) — 15 კმ-ით, ბრატისლავა (სლოვაკიის დედაქალაქი) — თითქმის ზედ საზღვარზე, პლზენი (ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მრეწველობის ცენტ-

რი) — 3 კმ-ით, ოსტრავა (მეტალურგიული მრეწველობის ცენტრი) — I კმ-ით და ა. შ. რამოდენიმე ადგილას გადაიჭრა ჩეხოსლოვაკიის მთავარი რკინიგზის ხაზი. ასე, მაგალითად, პრაღიდან იასინაში (რკინიგზის სადგური იმიერკარპატის უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში) წასასვლელად საჭირო იყო ოთხი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გავლა: ორჯერ გერმანიის, ერთხელ — პოლონეთის, ერთხელ — უნგრეთის და ერთხელ— რუმინეთის ტერიტორიაზე. ყველაფერი ეს საშუალებას აძლევდა ფაშისტურ გერმანიას უფრო აქტიურად ჩარეულიყო ჩეხოსლოვაკიის საშინაო საქმეებში და მოემზადებინა ნიადაგი მისი სრული ოკუპაციისათვის. ამ თვალსაზრისით მიუნხენის გარიგება ფაშისტური გერმანიისათვის პირველი ნაბიჯი იყო ჩეხოსლოვაკიის მთლიანად ხელში ჩასაგდებად.

მიუნხენის გარიგების მიზანი იყო საბჭოთა კავშირის იზოლირება, მის წინააღმდეგ ფაშისტური გერმანიის მეთაურობით ერთიანი ბლოკის შექმნა და ფაშისტური აგრესიის წარმართვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „ჩვენ საშუალებას შივცემთ გერმანელებს, — წერდა ფრანგული რეაქციული გაზეთი „ტანი", — ჩაეფლონ რუსეთის ველებში და ჩვენ ჩავერევით მხოლოდ ომის მეორე ან მესამე წლის ბოლოს, მაშინ, როდესაც ერთნაირად დასუსტდება ბერლინისა და მოსკოვის სიძლიერე".

მიუნხენის სამარცხვინო გარიგება შესაძლებელი გახდა იმ ე. წ. „ჩაურევლობისა" და „ნეიტრალიტეტის" პოლიტიკის შედეგად, რომელსაც ატარებდნენ იმ პერიოდში ინგლისსაფრანგეთ-ამერიკის მმართველი წრეები... „...ჩაურევლობის პოლიტიკა, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — ნიშნავს აგრესორისადმი წაყრუებას, ომის გაღვივებას, — მაშასადამე, მის მსოფლიო ომად გადაქცევას. ჩაურევლობის პოლიტიკაში გამოსჭვივის მისწრაფება, სურვილი — ხელი არ შეუშალონ აგრესორებს აკეთონ თავიანთი შავბნელი საქმე, ხელი არ შეუშალონ, ვთქვათ, იაპონიას ჩაებას ომში ჩინეთთან, ხოლო კიდევ უკეთესი — საბჭოთა კავშირთან, ხელი არ შეუშალონ, ვთქვათ, გერმანიას ჩაეფლოს ევროპის საქმეებში, ჩაებას ომში საბჭოთა კავშირთან, აცალონ ომის ყველა მონაწილეთ

ღრმად ჩაეფლონ ომის ჭაობში, ჩუმ-ჩუმად წააქეზონ ისინი ამაში, აცალონ მათ დაასუსტონ და დააუძლურონ ერთმანეთი, ხოლო შემდეგ, როდესაც ისინი საკმაოდ დასუსტდებიან, — გამოვიდნენ სცენაზე ახალი ძალებით, გამოვიდნენ, რა თქმა უნდა, „მშვიდობის ინტერესებისათვის", და თავიანთი პირობები უკარნახონ ომის დასუსტებულ მონაწილეებს" [1].

ფაშისტური გერმანიის მიერ სუდეტის ოლქის დაპყრობის შემდეგ ჩქარი ტემპით მიდიოდა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო აპარატის ფაშიზაცია. ჰიტლერელები სულ უფრო აშკარად ერეოდნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში. ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, იმის ნაცვლად, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ გერმანელი ფაშისტებისათვის, ამჯობინეს უცხოეთში, ემიგრაციაში წასვლა. პასუხისმგებლობის მოხსნის მიზნით, პრეზიდენტი ბენეში 1938 წლის 5 ოქტომბერს გადადგა და იმავე თვის 22-ში გაემგზავრა ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო შემდეგ ინგლისში. გადადგომის წინ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სახელზე გაგზავნილ წერილში ბენეში შემდეგნაირად იმართლებდა თავს: „ვითარება ისე შეიცვალა, რომ მე, როგორც პოლიტიკური ფიგურა, შეიძლებოდა გავმხდარიყავი ბარიერი იმ კურსისათვის, რომელსაც უნდა შეეგუოს ამჟამად ჩვენი სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით". 27 ოქტომბერს ბურჟუაზიულმა პარტიებმა თავი დაშლილად გამოაცხადეს. ბევრი მათი ლიდერი გაემგზავრა საფრანგეთსა და ინგლისში. ბერლინში კი 1938 წლის 21 ოქტომბერს დაიწერა სპეციალური ბრძანება „დანარჩენი ჩეხოსლოვაკიის ლიკვიდაციის შესახებ" [2].

1938 წლის ოქტომბერში ეროვნული კრების რეაქციონერმა დეპუტატებმა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად აირჩიეს კაპიტულანტი 70 წლის პაულ გაჰა. ახალი მთავრობის შექმნა დაევალა აგრარული პარტიის ლიდერს კაპიტულანტ ბერანს.

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 712.

[2] „ნიურნბერგის პროცესი, მასალების კრებული", ტ. 1, 1952, გვ. 321 — 323.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ჰიტლერისა და მუსოლინის დაქირავებულმა აგენტმა ხვალკოვსკიმ, რომელიც მანამდე წლების მანძილზე ჩეხოსლოვაკიის დესპანად იყო ბერლინსა და რომში. გაჰა-ბერან-ხვალკოვსკის მარიონეტული მთავრობა ხელს უწყობდა ფაშიზმის გაძლიერებას ჩეხოსლოვაკიაში და ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდა ჰიტლერელების წინაშე. 21 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ, ჰიტლერის მითითებით, აკრძალა კომუნისტური პარტია. დაშლილ იქნა კომუნისტური ფრაქცია ეროვნულ კრებაში. ამიერიდან ჩეხოსლოვაკიის კომპარტია ღრმა იატაკქვეშეთში გადადის და არალეგალური ორგანოების „რუდე პრავოსა“ და სხვათა საშუალებით რაზმავს ჩეხოსლოვაკელ ხალხს ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

გერმანელი ფაშისტები ხელს უწყობდნენ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ყოველგვარ სეპარატისტულ მოძრაობას, რათა მოემზადებინათ ნიადაგი მისი სრული ოკუპაციისათვის. ჰიტლერელების მხარდაჭერით 1938 წლის 6 ოქტომბერს სლოვაკიის ფაშისტურმა პარტიამ სლოვაკიის „ავტონომია“ გამოაცხადა. სლოვაკიაში შეიქმნა „დამოუკიდებელი“ ფაშისტური მთავრობა. ასევე მოხდა იმიერკარპატის უკრაინაშიც. 1939 წლის მარტის დასაწყისში სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინის „მთავრობების“ წარმომადგენლებმა ჰიტლერის ბრძანებით ბერლინში ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლითაც ფაშისტური გერმანია ცნობდა სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინის „სრულ დამოუკიდებლობას“.

იმავე წლის 14 მარტს ჰიტლერის ბრძანებით ბერლინში გამოცხადდნენ „პრეზიდენტი“ გაჰა და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი ხვალკოვსკი. აქ მათ გადაეცათ ფაშისტური გერმანიის ულტიმატუმი, სადაც ჰიტლერი მოითხოვდა: გერმანიის პროტექტორატის დამყარებას ჩეხიასა და მორავიაზე, სლოვაკიის გამოყოფას „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ, უნგრეთისათვის იმიერკარპატის უკრაინის გადაცემას და ჩეხოსლოვაკიის არმიის დაშლას. 1939 წლის 15 მარტს დილით გაჰამ და ხვალკოვსკიმ მიიღეს ჰიტლერის ეს ულტიმატუმი და ხელი

მოაწერეს გერმანელი ფაშისტების მიერ შედგენილ „დოკუ-მენტს“, სადაც გაჰა და ხვალკოვსკი „თხოვდნენ“ ჰიტლერს დაემყარებინა თავისი პროტექტორატი ჩეხიასა და მორავიაზე. „დოკუმენტის“ ტექსტში ნათქვამი იყო, რომ ჩეხოსლოვაკიის „პრეზიდენტი“ გაჰა „...სრული ნდობით გადასცემს ჩეხი ხალხი-სა და ჩეხიის სახელმწიფოს ბედს ფიურერსა და გერმანიის იმ-პერიის რაიხსკანცლერს“. გაჰას და ხვალკოვსკის ასეთი ნაბიჯი წარმოადგენდა ჩეხოსლოვაკიის ხალხის წინაშე ჩადენილ ღა-ლატს. ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის კონსტიტუციის 64-ე და 65-ე პარაგრაფების თანახმად, მათ არ ჰქონდათ უფლება მსგავს გარიგებაზე წასულიყვნენ ხალხის მასების თანხმობის გარეშე. ამდენად ბერლინის აქტი უკანონო იყო.

1939 წლის 15 მარტს დილით ფაშისტური გერმანიის არ-მიამ მოახდინა ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია, უნგრეთმა დაიკავა იმიერკარპატის უკრაინა, ხოლო პოლონეთმა — ტეშინის ოლ-ქი. 16 მარტს, წინააღმდეგ ვერსალის ზავის 61-ე მუხლისა, ჰიტლერმა გამოაქვეყნა ბრძანება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლი-კის ლიკვიდაციის შესახებ. ჩეხოსლოვაკიის დასავლეთ ნა-წილს, რომელიც დასახლებული იყო ჩეხებით, ჰიტლერელებ-მა „ჩეხიისა და მორავიის პროტექტორატი“ უწოდეს. აქ, სა-ზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად, შენარჩუნებულ იქნა „პრეზიდენტის“ თანამდებობა (ამ პოსტზე ისევ კაპიტულან-ტი გაჰა დარჩა) და „საკუთარი“ „სამინისტროები“, რომელთა სათავეშიც ჰიტლერის აგენტები დაყენეს. „პრეზიდენტი“ და „მინისტრები“, რომლებსაც ჰიტლერი ნიშნავდა, წარმოადგენ-დნენ მხოლოდ თოჯინებს ამ უკანასკნელის ხელში. სინამდვი-ლეში „ჩეხიისა და მორავიის პროტექტორატში“ მთელი ხე-ლისუფლება ჰიტლერის მიერ დანიშნულ პროტექტორს ეკუთ-ვნოდა. „დამოუკიდებელი“ სლოვაკიის სათავეში დაყენებულ იქნენ ჰიტლერის აგენტები ტისო, მაჰა, ტუკა და სხვები.

ასე შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა ცენტრალური ევროპის ერთ-ერთმა სლავურმა სახელმწიფომ. იგი გადასცეს დასავლეთის სახელმწიფოების იმპერიალისტურმა მმართველ-მა წრეებმა ფაშისტურ გერმანიას იმ მიზნით, რათა ამ უკანასკ-ნელის საზღვრები გადაეწიათ წინ, აღმოსავლეთისაკენ. ფაშის-

ტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია ბუნებრივი შედეგი იყო ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ-მემამულური მმართველი წრეებისა და ბურჟუაზიული პარტიების იმ პოლიტიკისა, რომელიც დამყარებული იყო დასავლეთის სახელმწიფოების იმპერიალისტურ მმართველ წრეებთან თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების საქმეში. ამდენად ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაკარგვაში დამნაშავენი იყვნენ არა მარტო ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტები, რომლებიც აშკარად ხელს უწყობდნენ ფაშისტური გერმანიის აგრესიის მომზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ-მემამულური მმართველი წრეები და ბურჟუაზიული პარტიები, რომლებსაც ეშინოდათ საკუთარი ხალხისა, ძირს უთხრიდნენ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ურთიერთობის განმტკიცებას და ატარებდნენ შემარიგებლურ პოლიტიკას ფაშისტურ გერმანიასთან.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა ჩეხოსლოვაკელი ხალხის საყვარელი შვილი კლემენტ გოტვალდი: „ჩვენი უფლება და ჩვენი ვალია დავაყენოთ ხალხისა და ისტორიის სამსჯავროს წინაშე, უპირველეს ყოვლისა, ყველა ის ელემენტი და ძალები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუხანათურად ამზადებდნენ ამ სამარცხვინო კაპიტულაციას, რომლებიც შეთქმულებაში იყვნენ მტერთან საკუთარი ხალხის, ქვეყნისა და რესპუბლიკის წინააღმდეგ“ [1].

ინგლის-საფრანგეთის მთავრობებმა, ნაცვლად იმისა, რომ მათ მიერ აღთქმული „გარანტიის“ საფუძველზე დაეცვათ ჩეხოსლოვაკიის საზღვრები, ყველაზე ადრე ცნეს ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია.

ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც არ ცნო ჰიტლერული გერმანიის თვითნებური მოქმედება ჩეხოსლოვაკიის მიმართ და მკაცრი პროტესტი განუცხადა გერმანიის მთავრობას, საბჭოთა კავშირი იყო. სსრ კავშირის მთავრობის 1939 წ. 18 მარტის ნოტა გმობდა ფაშისტური გერმანიის თვითნებურ

[1] „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ჩეხოსლოვაკიის თავისუფლება“, 1951, გვ. 292.

და აგრესიულ პოლიტიკას ჩეხოსლოვაკიის მიმართ. ნოტაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ფაშისტური გერმანიის მოქმედებამ გააძლიერა საყოველთაო მშვიდობის საფრთხე, დაარღვია პოლიტიკური სიმტკიცე შუა ევროპაში, გაამრავლა ევროპაში ჯერ კიდევ წინათ შექმნილი შეშფოთების ელემენტები და ახალი ლახვარი ჩასცა ხალხთა უშიშროების საქმეს. ბოლოს, საბჭოთა მთავრობა სასტიკ პროტესტს აცხადებდა და არ ცნობდა ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაქუცმაცებასა და ოკუპაციას.

თავი მეოთხე

სსრ კავშირის გადამწყვეტი როლი ფაშიზმის ულლისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების საქმეში

ჩეხოსლოვაკიის დაქუცმაცებისა და ოკუპაციის შემდეგ გერმანელმა ფაშისტებმა ჩეხოსლოვაკიაში სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა დაამყარეს. ჰიტლერელების მიზანი იყო სლავური სახელმწიფოს ლიკვიდაცია, ჩეხია-მორავიის ტერიტორიიდან მკვიდრი მოსახლეობის გადასახლება შორეულ ციმბირში და ამ რაიონებში გერმანელების დასახლება.

ფაშისტურმა გერმანიამ სლოვაკია თავის კოლონიად გადაქცია. სლოვაკიის „მთავრობის" მეთაურებმა ტუკამ, ტისომ, მაჰამ და სხვა ჰიტლერელმა ბანდიტებმა სლოვაკიის მთელი ეკონომიკა და მრეწველობა, ბუნებრივი რესურსები და წიაღისეულის ძიების საქმე დაუმორჩილეს ჰიტლერულ გერმანიას. სლოვაკიის ნამდვილი მფლობელი გახდა სლოვაკელი ფაშისტების მეთაური კარამზინი. „ჩეხიისა და მორავიის პროტექტორატს" ფაქტიურად მართავდა იმპერიის პროტექტორი, გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ ნეირატი და მისი თანაშემწე კარლ ფრანკი, ხოლო ქვეყნის მთელი ეკონომიკა ჰიტლერის ფინანსური ემისრის გროსის ხელში მოექცა.

გერმანელი ფაშისტები აპარტახებდნენ დაპყრობილ ტერიტორიებს. მათ ჩეხოსლოვაკიიდან გაჰქონდათ ყველაფერი ის, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა. ოკუპანტებმა გაიტანეს მილიარდი კრონის ღირებულების სხვადასხვა ძვირფასეულობა, 23 ათასი კილოგრამი ოქრო, თავის ნომინალურ ფასში

737 მილიონი კრონის რაოდენობით, 20 მილიარდი კრონის ღირებულების ჩეხოსლოვაკიის არმიის სამხედრო მასალები, ლოკომოტივების პარკის 45 პროცენტი, ავტომანქანების — 76 პროცენტი, ტრამვაის ვაგონები, რელსები და სხვ. ფაშისტებს გაჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტებიც, რის გამო ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა შიმშილობდა. ჰიტლერელებმა ჩეხია და მორავია ფაშისტური გერმანიის აგრარულ დანამატად გადააქციეს. საუკეთესო მიწები, რომლებიდანაც განდევნეს ჩეხები, ხელთ იგდეს გერმანელმა მემამულეებმა. უმუშევართა რიცხვი გაიზარდა. ამით სარგებლობდნენ ოკუპანტები და გერმანიაში მიერეკებოდნენ ჩეხ და სლოვაკ მუშებს. ფაშისტური ოკუპაციის წლებში ჩეხოსლოვაკიიდან გერმანიაში წაყვანილ იქნა 600 ათასზე მეტი კაცი, სადაც ისინი დღე-ღამეში 13 — 14 საათს მუშაობდნენ გერმანიის არმიის საჭიროებისათვის. ჩეხოსლოვაკიის მრეწველობიდან გერმანელებმა შეინარჩუნეს მხოლოდ ის საწარმოები, რომლებსაც სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთი იყო შკოდას ქარხნები პლზენში, სამხედრო ქარხნები ბრნოში, ფეთქად ნივთიერებათა ქარხანა ვლაშიმში, საავიაციო ქარხანა „ვალტერ“ პრაღაში და სხვ. ამ ქარხნების უმრავლესობა გაერთიანებულ იქნა გერინგის კონცერნში „გერმან გერინგ ვერკე“. როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ჰიტლერელებმა „პროტექტორატისათვის“ დააწესეს სამხედრო კონტრიბუცია წელიწადში 2 მილიარდი კრონის რაოდენობით.

ოკუპანტებმა დახურეს ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემია, პრაღის უნივერსიტეტი, მუზეუმები. აკრძალეს ეროვნული დადგმები თეატრსა და ოპერაში, ეროვნული კინოფილმები. მოსახლეობას წაართვეს ყოველგვარი უფლებები. შეიქმნა ორგვარი იუსტიცია: ცალკე გერმანელებისა და ცალკე ჩეხებისათვის. თუ სადავო საქმის მონაწილე გერმანელი და ჩეხი იყო, საქმეს გაარჩევდა მხოლოდ გერმანული სასამართლო, ვინაიდან გერმანელის საქმის გარჩევის უფლება არ ჰქონდა ჩეხიის სასამართლოს. გერმანელი ჩეხის წინააღმდეგ ყოველთვის მართალი გამოდიოდა. ოკუპანტებმა აკრძალეს ლაპარაკი და საქმისწარმოება ჩეხურ ენაზე. 1940 წლის მაისში

დაწვეს 3 მილიონამდე დემოკრატიული ხასიათის წიგნი. დაპატიმრეს და მოსპეს დაახლოებით 245 ათასი ჩეხოსლოვაკელი მოქალაქე, აქედან 200 ათასზე მეტი საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა.

მაგრამ ვერაფერმა ვერ გატეხა ჩეხოსლოვაკიის ხალხის წინააღმდეგობა. ფაშისტების მიერ ჩეხოსლოვაკიის დანაწილებისა და ოკუპაციის პირველივე დღიდან დაიწყო ჩეხოსლოვაკელი ხალხის ბრძოლა ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ. 1938 წლის სექტემბრის ტრაგიკულმა დღეებმა და 1939 წლის 15 მარტის სამარცხვინო კაპიტულაციამ დაარწმუნა ჩეხოსლოვაკიის ხალხი, რომ ბურჟუაზია არ დაიცავს მის ინტერესებს. ხალხის მასების ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, რომელიც ღრმა იატაკქვეშ ეწეოდა მუშაობას. ჩეხოსლოვაკელი ხალხის საყვარელი შვილი იულიუს ფუჩიკი შემდეგნაირად ახასიათებდა ამ პერიოდში კომპარტიის მოქმედებას: „ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ყველა პარტიიდან მხოლოდ ერთადერთმა, როგორც განუყოფელმა მთელმა, გამოიარა ბრძოლის ქარცეცხლი, მხოლოდ ერთმა პარტიამ გაუძლო მას, მხოლოდ ერთი პარტია დარჩა პარტიად და ხალხისათვის იბრძვის ამ უმძიმეს დროს. ეს კომუნისტური პარტიაა!“ [1].

მუშაობის უკეთ ორგანიზაციის მიზნით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ორად გაიყო: ჩეხიისა და სლოვაკიის კომპარტიებად. 1939 წლის მარტში შეიქმნა სლოვაკიის კომპარტიის პირველი ცენტრალური კომიტეტი. ჩეხიის არალეგალური კომპარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა ამ პერიოდში ასეთი იყო: ყველა ორგანიზაციას სათავეში ედგა ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მუშაობას ეწეოდა უმთავრესად სამი მიმართულებით: პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ორგანიზაციული საკითხები და პროპაგანდა. ამ ამოცანების შესრულებისათვის არსებობდა ყარგად შერჩეული აპარატი. საოლქო კომიტეტები დაკავშირებული იყვნენ ცენტრალურ ხელმძღვანელობასთან ოთხი ცენტრალური ინსტ-

---

[1] ი უ ლ ი უ ს ფ უ ჩ ი კ ი, რჩეული ნაწერები, 1952, გვ. 123.

რუქტორის საშუალებით, რომელთაგან თვითეულს ჩაბარებული ჰქონდა 3 — 4 რაიონი.

პირველ ცენტრალურ ინსტრუქტორს ებარა შემდეგი რაიონები: პრაღა — ქალაქი და გარეუბანი, კლადნო; მეორეს — გრადეც კრალოვე, მლადა ბოლესლავი, პარდუბიცე, გერმანული ბროდი; მესამეს — პლზენი, ბუდეიოვიცე, სტრაკონიცე, კლიატოვი, და მეოთხეს — ოსტრავა, ოლომოუცი, ბრნო, გოდონინი. კონსპირაციის მიზნით ინსტრუქტორები ხშირად იცვლიდნენ თავიანთ უბნებს და თვითონაც იცვლებოდნენ. ოლქები დაყოფილი იყო რაიონებად ან მხარეებად. ყველაზე მინიმალურ ერთეულს წარმოადგენდა „სამეული". სლოვაკიაში შეიქმნა ხუთი საოლქო ორგანიზაცია: ბრატისლავაში. ტრენჩინში, ჟილინში, ბანსკა ბისტრიცაში და პრემოვში. ამ საოლქო კომიტეტების მუშაობას ხელმძღვანელობდა სლოვაკიის ცენტრალური კომიტეტი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის არალეგალურ მუშაობას საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ კლემენტ გოტვალდი და პარტიის სხვა ხელმძღვანელები, რომლებიც მოსკოვში იმყოფებოდნენ. კ. გოტვალდს სისტემატური კავშირი ჰქონდა ჩეხიისა და სლოვაკიის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან.

ამრიგად, ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, გადავიდა რა არალეგალურ მუშაობაზე, სათავეში ჩაუდგა ჩეხოსლოვაკიის ხალხის ბრძოლას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის დღეს კომუნისტებმა გამოუშვეს პირველი არალეგალური ფურცელი, სადაც ნათქვამი იყო: „ჩეხოსლოვაკიის დამონებაში დამნაშავეა შინაგანი რეაქცია. მაშინ როდესაც რესპუბლიკა ჯერ კიდევ ძლიერი იყო, მან ჩაშალა ქვეყნის დაცვა, მოღალატურად გამოაცხადა კაპიტულაცია ჰიტლერის წინაშე. ჩაიგდო რა ძალაუფლება ხელში, რეაქციამ გამოაცხადა, რომ სრული კაპიტულაცია ერთადერთი გზაა ერის გადარჩენისათვის. ის დევნიდა კომუნისტებს, რომლებიც იბრძოდნენ ჩაგვრის წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ, რომ კაპიტულაცია ხალხისათვის დამღუპველი იქნება, რომ იგი უღრის ახალ ბელოგო-

რის კატასტროფას [1]. ამბებმა დაადასტურეს კომუნისტების გაფრთხილების სისწორე. ამჟამად ყველა ჩეხოსლოვაკელი მშრომელისათვის ცხადია, რომ მხოლოდ ერთ გზას შეეძლო იგი გადაერჩინა ამ უბედურებისაგან და ამ გზას შეუძლია ამჟამად გადაარჩინოს ხალხი — გზას წინააღმდეგობისა და ბრძოლისა“ .

1939 წლის 28 ოქტომბერს, ჩეხოსლოვაკიის პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 20 წლისთავზე, პრაღაში, ბრნოში, ოსტრავაში, კლადნოსა და სხვა ქალაქებში მოეწყო მასობრივი გამოსვლები გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ მიმართული ლოზუნგებით. მოსახლეობა გამოვიდა ქუჩაში მკლავზე შავი ლენტით, რაც საერთო-სახალხო გლოვაზე მიუთითებდა. ამ დღეს კომპარტიის არალეგალური ორგანო „რუდე პრავო“ შემდეგი სიტყვებით მიმართავდა ხალხს: „...დაე ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის ყოველმა ფენამ უპასუხოს უცხოელ დამპყრობლებს მასობრივი წინააღმდეგობით. მოაწყვეთ ძლიერი საგაფიცვო მოძრაობა — ხალხის პასუხი ოკუპანტების ახალ შეტევაზე! იყავით უაღრესად ფხიზელნი, უფრთხილდით გესტაპოს პროვოკატორებს, ამხილეთ ისინი! არ დაუშვათ ჩეხოსლოვაკიის პურის გატანა გერმანიაში. არ მივცემთ ფაშისტ ოკუპანტებს არც ერთ კილოგრამ მარცვლეულს, არც ერთ სულ პირუტყვს! ჩეხოსლოვაკიის პური ეკუთვნის ჩეხოსლოვაკიის ხალხს!“

28 ოქტომბრის გამოსვლები ჩახშობილ იქნა ოკუპანტების მიერ. პრაღაში მოკლეს და დაჭრეს რამოდენიმე ათეული კაცი, მათ შორის სტუდენტი იან ოპლეტალი, რომელიც მძიმე ჭრილობის გამო 11 ნოემბერს გარდაიცვალა. მის დასაფლავების დღეს მოეწყო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების საპროტესტო დემონსტრაცია პრაღასა და ბრნოში. იმავე ღამეს ჰიტლერელები შეიჭრნენ ჩეხი სტუდენტების საერთო საცხოვრებლებში, ჯერ სასტიკად აწამეს, ხოლო შემდეგ დახვრიტეს 200-ზე მეტი სტუდენტი. სტუდენტთა მოძრაობის

---

1 ჰაბსბურგების ავსტრიის გამარჯვება ჩეხიის ჯარებზე 1620 წელს, რომლის შემდეგ იწყება ჩეხიის ხანგრძლივი დამონავება და გერმანიზაცია.

ზრდით შეშინებულმა ჰიტლერელებმა დახურეს უმაღლესი სასწავლებლები ჩეხოსლოვაკიაში.

საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის მუხანათური თავდასხმის შემდეგ კიდევ უფრო ძლიერდება ჩეხი, სლოვაკი და იმიერკარპატის უკრაინის ხალხების ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ. ჩეხოსლოვაკიის ხალხების თვალი მიპყრობილი იყო საბჭოთა კავშირისაკენ, ისინი დარწმუნებული იყვნენ დიდ საბჭოთა კავშირის ძალაში, რომელსაც შეეძლო ბოლო მოეღო ფაშისტური გერმანიისათვის და გაენთავისუფლებინა ჩეხოსლოვაკია ფაშიზმის უღლისაგან. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების დღეს პრაღაში გაჩნდა წარწერები: „გაუმარჯოს სტალინს!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!", „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!" და სხვ. ჩეხოსლოვაკიის ხალხი ფაშისტური გერმანიის ბატონობისაგან განთავისუფლებას ელოდა აღმოსავლეთიდან — საბჭოთა კავშირიდან და არა დასავლეთიდან. კ. გოტვალდი წერდა: „...შეიქმნა უფრო სხვანაირი მდგომარეობა, ვიდრე ორი წლის წინათ იყო. დიდი საბჭოთა ხალხი აღდგა მთელი სიმაღლით თავისი სამშობლოს, ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად იმავე საზიზღარი მტრის წინააღმდეგ, რომელიც ჩეხი ხალხის საშინელ მტერს წარმოადგენს. ჩეხმა ხალხმა იცის, რომ დადგა ანგარიშის გასწორების დრო" [1].

1941 წლის 24 ივნისს კომპარტიის არალეგალურმა ცენტრალურმა კომიტეტმა მშობლიურ ხალხს მიმართა მოწოდებით, სადაც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლა გერმანიის ფაშისტური არმიის წინააღმდეგ ამავე დროს არის ბრძოლა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის და რომ საბჭოთა კავშირი ერთადერთი სახელმწიფო იყო რომელმაც ხელი გაუწოდა ჩეხოსლოვაკიას მიუნხენის სამარცხვინო გარიგების დღეებში. მოწოდებაში ხაზგასმული იყო, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია როგორც მიუნხენის გარიგების

---

[1] კ. გოტვალდი, ჩეხი ხალხი ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, 1941, გვ. 16.

დროს, ისე გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის პერიოდში ცხადი და მტკიცე იყო.

დიდი სტალინის 1941 წლის 3 ივლისის ისტორიული სიტყვა საბრძოლო პროგრამა გახდა ჩეხოსლოვაკიის ხალხისათვის. „ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ. ამ განმათავისუფლებელ ომში ჩვენ მარტონი არ ვიქნებით... ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთვის ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რომელნიც იცავენ თავისუფლებას ჰიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ“ [1].

იმავე წლის 18 ივლისს ლონდონში საბჭოთა კავშირსა და ემიგრაციაში (ლონდონში) მყოფ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ურთიერთდახმარებისა და ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების დადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიისათვის. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ჩეხოსლოვაკია ანტიჰიტლერულ ბლოკში შედიოდა როგორც სრულუფლებიანი წევრი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხი უკვე ოფიციალურად იყო სომარ მდგომარეობაში ფაშისტურ გერმანიასთან. ეს შეთანხმება ნიშნავდა იმას, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხს შეეძლო დაყრდნობოდა თავის ბრძოლაში საბჭოთა კავშირს. შეთანხმება იმედს უნერგავდა ჩეხოსლოვაკ ხალხს, შთაუნერგავდა იმის რწმენას, რომ მალე ბოლო მოეღებოდა მის ტანჯვას და განთავისუფლდებოდა ჰიტლერული ტირანიისაგან. მიუხედავად ფაშისტური პრესის და რადიოს დუმილისა, მეორე

---

[1] ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1951, გვ. 29.

დღესვე მთელ ჩეხოსლოვაკიას მოედო ცნობა ლონდონში ხელშეკრულების დადების შესახებ. ამ „სასიხარულო ცნობას, — წერდა „რუდე პრავო“, — ერთმანეთს ატყობინებდნენ, და ის ყველგან აღტაცებას და ბრძოლის გადაწყვეტილებას იწვევდა“.

ჩეხოსლოვაკიასთან ხელშეკრულებაზე ხელმოწერით საბჭოთა კავშირის მთავრობამ ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ ის არ ცნობს და არასოდეს არ უცნია მიუნხენის გარიგება, ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია და მისი დაქუცმაცება. მაშინ როდესაც ინგლისისა და ამერიკის მთავრობები ყოველნაირად აჭიანურებდნენ ჩეხოსლოვაკიის ემიგრაციული მთავრობის ცნობას და მასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას, ვ. მ. მოლოტოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ცნობს ჩეხოსლოვაკიის მიუნხენამდელ საზღვრებს და არ ცნობს მისი საზღვრების შეცვლას 1938 — 1939 წწ.

1941 წლის 29 ივლისს ჩეხოსლოვაკიის ხალხისადმი რადიოთი თავის მიმართვაში კლემენტ გოტვალდი ამბობდა: „ის ფაქტი, რომ ჩვენს მხარეზეა ისეთი მოკავშირე, როგორიცაა საბჭოთა რუსეთი, ის ფაქტი, რომ ძლევამოსილი წითელი არმია იბრძვის ახლა ასევე ჩვენი საქმისათვის, ჩვენ, ჩეხებს, გვაძლევს აბსოლუტურ რწმენას ჩვენს საბოლოო გამარჯვებაში“. კ. გოტვალდი მოუწოდებდა ჩეხოსლოვაკიის ხალხებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში, შეექმნათ პარტიზანული ნაწილები, აეფეთქებინათ ხიდები, სამხედრო საჭურვლით დატვირთული მატარებლები, გაეძლიერებინათ ძირგამომთხრელი მუშაობა სამხედრო საწარმოებში, ხელი შეეშალათ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობისათვის, არ მიეცათ პროდუქტები გერმანელი ოკუპანტებისათვის და ყოველივე ამით მოეახლოებინათ სამშობლოს განთავისუფლების დღე.

ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა ფართოდ ეხმაურებოდა კომპარტიისა და მისი ხელმძღვანელის კ. გოტვალდის ყოველ მოწოდებას. ოკუპანტების წინააღმდეგ ხალხის მასების ბრძოლის გაძლიერებას ხელი შეუწყო პირველმა საერთო სლავურ-

მა მიტინგმა მოსკოვში 1941 წლის 10 აგვისტოს და მისმა გადაწყვეტილებამ.

ჩეხოსლოვაკიის ხალხების ბრძოლა გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით წარმოებდა. ფაბრიკა-ქარხნების მუშები აწყობდნენ საბოტაჟს, გაფიცვებსა და მასობრივ გამოსვლებს ოკუპანტების წინააღმდეგ. სლოვაკიასა და იმიერკარპატის უკრაინაში იზრდებოდა პარტიზანული მოძრაობა. 1941 წლის ივნის-ივლისში გაფიცვები მოხდა უდიდეს სამხედრო ქარხნებში პრაღაში, გრადეცში, ვიტკოვიცში, რაკოვნიცში, მოსტში და სხვა ქალაქებში. იმავე წლის სექტემბერში პრაღის საავიაციო ქარხანა „ვალტერში" გაიფიცა 2 ათასზე მეტი მუშა, გაფიცვა მოედო ქარხანა „ავიას", შემდეგ გაიფიცნენ კლადნოს მეტალურგიული ქარხნების მუშები. პლზენში, ვლაშიმში და სხვა ქალაქებში მუშებს წყობილებიდან გამოჰყავდათ მთელი საამქროები; ანადგურებდნენ სამხედრო საჭურველსა და პროდუქტებს. „ვიმუშაოთ ნელა და ცუდად!" — აი როგორი იყო ჩეხი და სლოვაკი მუშების ლოზუნგი. გერმანელი ოკუპანტები ყოველ ნაბიჯზე გრძნობდნენ, რომ ისინი იმყოფებიან ვულკანზე, რომ მათ უყურებენ ზიზღითა და სიძულვილით. საბოტაჟური მოქმედების შედეგად 1941 წლის დეკემბრისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოების დონე ჩეხიაში დაეცა 40 პროცენტით.

ფაშისტი ოკუპანტები სასტიკ ზომებს ღებულობდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ანტიფაშისტურ მოძრაობაში მონაწილეთა ერთ ნაწილს ხვრეტდნენ, მეორე ნაწილს აგზავნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებსა და საპყრობილეებში. მაგრამ რაც უფრო ბარბაროსულ ზომებს იღებდნენ ფაშისტები, მით უფრო მეტ გაქანებას ღებულობდა ჩეხოსლოვაკიის ხალხის ბრძოლა ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ. გესტაპო თავის ყოველთვიურ მოხსენებაში ჩეხიასა და მორავიაში მდგომარეობის შესახებ წერდა: „პროტექტორატში მდგომარეობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ჩეხი ხალხის ხელახალი აღზრდა იმპერიის იდეების სულისკვეთებით, რომელიც დაწყებულ იქნა ასე ფართო მასშტაბით, უშედეგო აღმოჩნდა".

ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის დარაზმვას გერმანელების წინააღმდეგ ხელს უწყობდნენ არალეგალური კომუნისტური ჟურნალ-გაზეთები: „რუდე პრავო“, „გლას ლიუდუ“, „პრავდა“, „ტაბორ“, „ნაშე პრავდა“, „ტრიბუნა“, „ისკრა“, და მრავალი სხვა. „ნუ დავუცდით ნაციზმის დამარცხებას, — წერდა „რუდე პრავო“, — არამედ ყოველ ნაბიჯზე, ყოველ წუთში დარტყმა-დარტყმაზე ვაგემოთ მას, რათა მოვაახლოოთ ამ დამარცხების ჟამი, რათა შევამოკლოთ ჩვენი ტანჯვის ვადა. დაბოლოს, გავხდეთ წითელი არმიის აქტიური თანაშემწენი!“ [1].

ჩეხოსლოვაკიაში ხალხის მასების მოძრაობით შეშინებული გერმანიის საიდუმლო პოლიცია ბერლინში გაგზავნილ ცნობაში მიუთითებდა „პროტექტორატში“ შეიარაღებული აჯანყების შესაძლებლობაზე. ჰიტლერმა დაძაბულობის შენელების მიზნით შეცვალა ბარონი ნეირატი, მის ადგილზე დააყენა რაინოლდ ჰაიდრიხი და უბრძანა გაეძლიერებინა ტერორი და რეპრესიები ყოველგვარი მასობრივი მოძრაობის წინააღმდეგ. მაგრამ გერმანელებმა ამით ოდნავადაც ვერ გაიუმჯობესეს მდგომარეობა. ჩეხების ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ კიდევ უფრო აქტიური გახდა. 1942 წლის 27 მაისს, დღისით, პრაღაში საიდუმლო პოლიციისა და „პროტექტორის“ დამცველთა თვალწინ მოკლულ იქნა ჩეხი ხალხის ჯალათი ჰაიდრიხი. გერმანიის საიდუმლო პოლიცია კიდევ უფრო გაამწარა იმან, რომ ჰაიდრიხის მკვლელები გაიქცნენ.

„პროტექტორატში“ გერმანელებმა სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადეს. დაიწყო სასტიკი დევნა, დაპატიმრება. 4 500 პოლიციელი ამაოდ ეძებდა ჰაიდრიხის მკვლელებს. ჰაიდრიხის ადგილზე ჰიტლერმა დანიშნა პოლიციის გენერალი დელიუგე, მაგრამ მას უკვე პროტექტორს არ უწოდებდნენ. რეპრესიები კიდევ უფრო გაძლიერდა. 1942 წლის 10 ივნისს ჰიტლერელებმა სრულიად მოსპეს ქ. ხრუდომის ახლოს მდებარე ორი სოფელი ლიდიცე და ლეჟაკი. მაგრამ ვერც ამან შეაჩერა ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად აღმდგარი ხალხის მოძრაობა.

---

[1] იულიუს ფუჩიკი, რჩეული ნაწერები, გვ. 109.

1941 წლის დეკემბერში მოსკოვთან ჰიტლერული გერმანიის არმიის დამარცხებამ გააძლიერა პატრიოტული მოძრაობა ჩეხოსლოვაკიაში. უფრო ფართოდ გაიშალა პარტიზანული მოძრაობა, პარტიზანები შლიდნენ გერმანიის არმიის კომუნიკაციებს და სერიოზულ ზიანს აყენებდნენ მტერს. პარტიზანულ ნაწილებს სათავეში ედგნენ კომუნისტები. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იულიუს ფუჩიკი ხალხისადმი თავის მიმართვაში წერდა: „შეხედეთ, როგორ იბრძვის მოძმე ბელორუსი ხალხი! ჰიტლერმა დაიპყრო მისი მიწა-წყლის დიდი ნაწილი, მაგრამ ბელორუსიის მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ არის ისეთი ადგილი, სადაც ნაცისტ დამპყრობელებს შეეძლოთ დამშვიდებული იყვნენ თავიანთ სიცოცხლისათვის; არ არის არც გზატკეცილი, არც რკინიგზა, რომლებზედაც მათ შეეძლოთ უშიშრად მოძრაობა, არ არის არც ერთი ბენზინსაცავი, საიდანაც მათ შეეძლოთ თავიანთ ტანკებში ბენზინის ჩასხმა, არ არის პურის ნატეხი, რომლითაც მათ შეეძლოო შიმშილის მოკვლა“ [1].

სტალინგრადთან საბჭოთა არმიის მსოფლიო ისტორიულმა გამარჯვებამ ახალი აღმავლობა გამოიწვია ჩეხოსლოვაკიის ხალხის მოძრაობაში. 1943 წლის დასაწყისში მარტო ბისტრჟიცკის მხარეში პარტიზანებმა მოსპეს 13 ორთქლმავალი და 360 ჰიტლერელი. გერმანელი ოკუპანტები რეგულარულ არმიასაც კი იყენებდნენ პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც ვერ მოუღეს მას ბოლო.

ჩეხოსლოვაკიის ხალხის მოძრაობას გერმანელი ოკუპანტების წინაალმდეგ ხელს უშლიდა ჩეხოსლოვაკიის ემიგრაციული მთავრობა. იგი ცდილობდა ხალხის მასების მოძრაობის შეჩერებას, რათა ის არ გადაზრდილიყო რევოლუციურ მოძრაობაში. ბენეში, რომელსაც განუწყვეტლივ ჰქონდა კავშირი კაპიტულანტ გაჰასთან, 1939 წლის აგვისტოში ჩეხოსლოვაკიის ხალხისადმი მიმართვაში მოუწოდებდა არ დაეშვათ აჯანყებები და დემონსტრაციები, თავი შეეკავებინათ ჰიტლე-

---

[1] იულიუს ფუჩიკი, რჩეული ნაწერები, გვ. 102.

რული გერმანიის წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებისაგან. ასეთი იყო ბენეშისა და ემიგრაციული მთავრობის სხვა წარმომადგენლების პოზიცია მას შემდეგაც, რაც ომში ჩაება საბჭოთა კავშირი.

შრამეკის ემიგრაციული მთავრობა ბენეშთან ერთად ყოველნაირად აქიანურებდა ჰიტლერული გერმანიისათვის ომის გამოცხადებას. ეს მოხდა მხოლოდ 1941 წ. დეკემბერში, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ოთხი თვის გავლის შემდეგ. მაგრამ ომის გამოცხადების შემდეგაც შრამეკის მთავრობამ არ გამოგზავნა თავის განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული ძალები გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად და გადასცა ის ინგლისის მთავრობას, რომელმაც ჩეხოსლოვაკიის ეს ნაწილები თავისი კოლონიების დასაცავად გამოიყენა.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის 1941 წლის 18 ივლისის ხელშეკრულების მესამე მუხლი ითვალისწინებდა საბჭოთა მთავრობის თანხმობას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილიყო ჩეხოსლოვაკური სამხედრო შენაერთები, რომლებსაც ჩეხოსლოვაკელი ოფიცრები უხელმძღვანელებდნენ .და რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში [1]. საბჭოთა მთავრობამ ამ ხელშეკრულებისა და იმავე წლის სექტემბერში ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე ჩეხოსლოვაკიის მთავრობას აღმოუჩინა მატერიალური და ფულადი დახმარება სამხედრო ნაწილების შესაქმნელად. მაგრამ ბენეში, შრამეკი და ემიგრაციული მთავრობის სხვა წარმომადგენლები აქიანურებდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებული ძალების შექმნას. ბენეშმა და შრამეკმა ემიგრაციული მთავრობის ეროვნული თავდაცვის მინისტრად დანიშნეს გენერალი ინგრი, საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერი და ინგლის-ამერიკის დაზვერვის დაქირავებული აგენტი. ინგრი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს მოითხოვდა ჩეხოსლოვაკიის ნაწილების გაგზავნას ფინეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრ-

[1] „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა სამამულო ომის პერიოდში", 1944, ტ. I, გვ. 118.

ძოლველად. თავისთავად გასაგებია, რომ ინგრი ყოველნაირად აფერხებდა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სამხედრო თანამშრომლობას.

1941 წლის დეკემბერში საბჭოთა მთავრობამ ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მისიას საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის ნება დართო. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ახალი, 1942 წლის 22 იანვრის შეთანხმებით, საბჭოთა მთავრობამ სეხხი მისცა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩეხოსლოვაკიის ბრიგადის შესანახად. იმავე წლის აპრილში ლონდონიდან მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მისია, რომელსაც სათავეში ედგა პოლკოვნიკი ჰელიოდორ პიკა, რომელიც შემდგომში პრაღის პროცესზე (1949 წ.) მხილებულ იქნა როგორც ინგლის-ამერიკის დაზვერვის აგენტი.

ამრიგად, საბჭოთა კავშირში შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის ბრიგადა, რომელიც ჩეხი და სლოვაკი მებრძოლებისა და ოფიცრებისაგან შედგებოდა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელები კ. გოტვალდი, კოპეცკი და სხვ. ყოველნაირად ცდილობდნენ ამ ბრიგადის განმტკიცებას, პატრიოტული და საბჭოთა კავშირისადმი მეგობრობის იდეებით ჯარისკაცებისა და ოფიცრების აღზრდას. ჩეხოსლოვაკიის ბრიგადის შემადგენლობა მზად იყო საბჭოთა არმიასთან ხელიხელჩაკიდებული გამოსულიყო გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბრიგადის პირადი შემადგენლობა დაჟინებით მოითხოვდა ფრონტზე გაგზავნას. შრამეკ-ინგრის აგენტები კი აგიტაციას ეწეოდნენ ამ ბრიგადაში, რათა მას უარი ეთქვა ფრონტზე წასვლაზე და პოლონეთის ანდერსის ნაწილებთან ერთად წასულიყო საბჭოთა კავშირიდან ირანში, იქედან კი ინგლისში. ემიგრაციული მთავრობის ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

1942 წლის ბოლოსათვის ჩეხოსლოვაკიის პირველი ათასეული უკვე მზად იყო ფრონტზე წასასვლელად. 1943 წლის 23 იანვარს ამ ათასეულის პირადმა შემადგენლობამ კ. გოტვალდის, ზ. ფირლინგერის და სხვათა თანდასწრებით მიიღო სამხედრო ფიცი. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ლონდონის ემიგრაციულ მთავრობაში. ათასეულის უფროსს ლუდვიგ სვობოდას ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ საყვედუ-

რი გამოუცხადა „სამსახურებრივი სუბორდინაციის დარღვევისათვის“. ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ინგრმა განაცხადა, რომ ის მიზანშეუწონლად თვლიდა საბჭოთა კავშირში მყოფი ჩეხოსლოვაკიის ნაწილების საომარ მოქმედებაში მონაწილეობას. უშედეგოდ დამთავრდა მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მისიის მეთაურის პიკას ცდაც ხელი შეეშალა ჩეხოსლოვაკიის პირველი ათასეულის ფრონტზე წასვლისათვის.

1943 წლის იანვრის ბოლოს ჩეხოსლოვაკიის ათასეული ბუზულუკიდან გაემგზავრა ვორონეჟის ფრონტის სარდლობის განკარგულებაში. იმავე წლის 8 მარტს ხარკოვის სამხრეთით, სოფელ სოკოლოვოსთან, საბჭოთა გვარდიის დივიზიის შემადგენლობაში მან პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ჩეხებმა და სლოვაკებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. აქ გმირულად დაიღუპა კაპიტანი ოტოკარ იაროში, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. 86 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 8 ქალი, დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის მედლებითა და ორდენებით. ასე დაიწყო პრაღის განთავისუფლებისათვის ბრძოლა ხარკოვის მიდამოებში.

ჩეხოსლოვაკიის პირველი ათასეულის ამ ბრძოლებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მხრივ, მან აღაფრთოვანა ჩეხოსლოვაკიის ხალხი, ხოლო, მეორე მხრივ, ეს პირველი ათასეული გახდა შემდგომში საფუძველი ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნისათვის. სოკოლოვოს რაიონში დაწყებული ბრძოლების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ნაწილები გმირულად იბრძოდნენ საბჭოთა არმიასთან ერთად ჰიტლერული არმიის წინააღმდეგ. 1943 წელს ჩეხოსლოვაკიის ათასეული უკვე ბრიგადად გადაკეთდა.

1943 წლის 28 მაისს ხელმოწერილ იქნა ახალი შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის, რომლის საფუძველზე საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიას აძლევდა ფულად სახსრებსა და მატერიალურ საშუალებებს ჩეხოსლოვაკიის ბრიგადის შენახვისათვის. იმავე წლის შემოდგომაზე

ჩეხოსლოვაკიის ბრიგადამ მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში კიევის რაიონში, ბელაია ცერკოვისა და ჟაშკოვის განთავისუფლებაში და სხვ.

ემიგრაციული მთავრობა ხელს უშლიდა ჩეხოსლოვაკიის ბრიგადის მოქმედებას, უარს ამბობდა მისი პირადი შემადგენლობის დაჯილდოებასა და წაქეზებაზე, არ დაამტკიცა მისი მეთაურთა შემადგენლობა. გარდა ამისა, შრამეკ-მასარიკის მთავრობა, წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკელი ხალხის სურვილისა, ყოველნაირად აჭიანურებდა ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის შესახებ ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან. ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები ხელს უშლიდნენ ასეთი ხელშეკრულების დადებას, ხოლო ჩეხოსლოვაკიის ემიგრაციული მთავრობა იზიარებდა მათ სურვილებს. 1943 წ. 29 იანვარს ადგილი ჰქონდა ბენეშის მოლაპარაკებას ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ იდენთან. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობდნენ მასარიკი, სტრენგი და რიპკა. როგორც ამ შეხვედრის, ისე შემდგომი მოლაპარაკების დროსაც ა. იდენი გამოდიოდა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის რაიმე კონვენციის წინააღმდეგ მანამ, სანამ გერმანიასთან ომი არ დამთავრდებოდა. ა. იდენი ურჩევდა ბენეშს ჩეხოსლოვაკია-პოლონეთის კონფედერაციის შექმნას.

1943 წლის 23 მაისს ბენეშმა ვაშინგტონიდან (სადაც ის იმ დროს იმყოფებოდა) აცნობა საბჭოთა მთავრობას, რომ ის მომზრეა ხელმოწერილ იქნას არა ხელშეკრულება, არამედ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის უბრალო დეკლარაცია. ცნობილია, რომ ბენეში მოსკოვში მოსალაპარაკებლად მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა, როცა ის დარწმუნდა, რომ ფაშისტური გერმანიის დღეები დათვლილი იყო და დღეს თუ არა ხვალ აუცილებელი იქნებოდა საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადება. მაგრამ მოსკოვში ჩამოსული ბენეში და ემიგრაციული მთავრობის სხვა წარმომადგენლები მოლაპარაკების დროს მოითხოვდნენ ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომელსაც კონკრეტული ხასიათი არ ექნებოდა. მათი ეს ცდაც მარცხით დამთავრდა.

1943 წლის 12 დეკემბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომ პერიოდში თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის[1]. ამ ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებმა იკისრეს ვალდებულება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის სამხედრო და სხვა სახის დახმარება ჰიტლერული გერმანიისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ ომში. ამასთანავე, ხელშეკრულება ითვალისწინებდა ურთიერთდახმარებას ომისშემდგომ პერიოდშიც, თუ რომელიმე მხარის მიმართ ადგილი ექნება გერმანიის ან სხვა სახელმწიფოს აგრესიულ მოქმედებას. ორივე მთავრობა ხაზს უსვამდა ომისშემდგომ პერიოდში მათს თანამშრომლობას, ორივე ქვეყნის სუვერენული უფლებების პატივისცემას, საშინაო საქმეებში ჩაურევლობასა და მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას უდიდესი შეფასება მისცა კ. გოტვალდმა: „1943 წლის 12 დეკემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულება მკვიდრ და ურყევ საფუძველს უყრის ჩვენს მომავალ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ეს ხელშეკრულება იხსნის ჩვენს ხალხებს იმ მძიმე ტვირთისაგან, რომელსაც ისინი ატარებენ საუკუნეების განმავლობაში, — დამოუკიდებლობის დაკარგვის შიშისაგან. ხელშეკრულება გვიქმნის ჩვენ მტკიცე საფუძველს, მაგრამ შენობა, რომელშიც ვიცხოვრებთ ჩვენ და ისინი, ვინც მოვლენ ჩვენს შემდეგ, უნდა ავაშენოთ ჩვენ თვითონ“[2]. არალეგალურმა გაზეთმა „რუდე პრავომ“ მთელი ნომერი დაუთმო საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების დადებას, რასაც ჩეხოსლოვაკელი ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობამ ჩეხოსლოვაკია ცნო თანასწორუფლებიან სახელმწიფოდ, მიუხედავად იმისა, რომ ჩეხოსლოვაკია მაშინ

---

1 „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა სამამულო ომის პერიოდში“, 1944, ტ. 1, გვ. 373 — 376.

2 „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ჩეხოსლოვაკიის თავისუფლება“, გვ. 99.

ოკუპირებული იყო და მისი მთავრობა ემიგრაციაში იმყოფებოდა.

ბენეშის მოსკოვში ყოფნის დროს მიმდინარეობდა მოლაპარაკება ბენეშსა და კ. გოტვალდს შორის მომავალი ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური მოწყობის შესახებ. ბენეში ფიქრობდა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ იქ პირველ ხანებში გენერალ ინგრის სამხედრო დიქტატურის დამყარებას, ხოლო შემდეგ ისევ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაზე გადასვლას, ე. ი. ბენეშის ლოზუნგი ასეთი იყო: „სამხედრო დიქტატურიდან — დემოკრატიისაკენ". კ. გოტვალდი კი მოითხოვდა ეროვნული კომიტეტების შექმნას, რომელიც დემოკრატიული მმართველობის ახალი ფორმის საფუძველი იქნებოდა.

1944 წელი, როგორც ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, იყო გადამწყვეტ გამარჯვებათა წელი. ამ წელს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი საზღვრები აღდგენილ იქნა და დადგა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების დროც. ამასთან დაკავშირებით აპრილში დაიწყო მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან და 8 მაისს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის. ეს შეთანხმება ითვალისწინებდა საბჭოთა არმიის მთავარსარდლობასა და ჩეხოსლოვაკიის ადმინისტრაციას შორის ურთიერთდამოკიდებულებას საბჭოთა არმიის ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ [1]. შეთანხმება მიუთითებდა საბჭოთა მთავრობის მისწრაფებაზე საშუალება მიეცა ჩეხოსლოვაკიის მთავრობისათვის შეექმნა სამოქალაქო მმართველობა განთავისუფლებულ რაიონებში.

ამ შეთანხმებიდან ცხადი ხდებოდა, რომ საბჭოთა არმია შედიოდა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე როგორც მოკავშირე, მეგობარი და განმათავისუფლებელი. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე, როგორც კი შეწყდებოდა სამხედრო ოპერაციები, დაუყოვნებლივ მყარდებოდა ჩეხოსლოვაკიის სამოქალაქო მმართველობა. მმართველობის ფორმის საკითხი კი მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის ხალხის საქმე იყო. ჯერ კიდევ

---

[1] „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა სამამულო ომის პერიოდში", ტ. 2, გვ. 117 — 122.

1941 წლის ნოემბერში ი. ბ. სტალინი ამბობდა: „ჩვენ არ ვისახავთ და არც შეიძლება ვისახავდეთ ომის ისეთ მიზნებს, როგორიც არის საკუთარი ნება-სურვილისა და საკუთარი რეჟიმის თავს მოხვევა სლავი ხალხებისათვის და ევროპის სხვა დამონებული ხალხებისათვის, რომლებიც შველას მოელიან ჩვენგან. ჩვენი მიზანი ის არის, რომ ამ ხალხებს დავეხმაროთ მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ და შემდეგ საშუალება მივცეთ სავსებით თავისუფლად მოეწყონ თავის ქვეყანაში ისე, როგორც მათ სწადიათ. არავითარი ჩარევა სხვა ხალხების საშინაო საქმეებში!“ [1].

ჩეხოსლოვაკიის ემიგრაციული მთავრობა ისევ აგრძელებდა თავის გამცემლურ მოქმედებას, ხელს უშლიდა ჩეხოსლოვაკიის ბრიგადის შევსებას და ესწრაფოდა მის განადგურებას. 1944 წლის თებერვალში ემიგრაციულმა მთავრობამ ჩეხოსლოვაკიაში შექმნა შტაბი საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი გენერლის მიროსლავ ნეიმანის მეთაურობით. ამ შტაბის მიზანი იყო შეექმნა ქვეყნის შიგნით შეიარაღებული ძალები, დაემორჩილებინა საერთო-სახალხო მოძრაობა და ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის დახმარებით ხელისუფლება ჩაეგდო ხელში. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის ხალხმა ზურგი შეაქცია ნეიმანის შტაბს.

პარტიზანულ მოძრაობას, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მთელ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი, მაგრამ მან განსაკუთრებით იჩინა თავი სლოვაკიასა და იმიერკარპატის უკრაინაში. სლოვაკიაში ხალხის მასების მოძრაობას ხელმძღვანელობდა სლოვაკიის ეროვნულ-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც კომპარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა 1941 წლის ბოლოს. 1942 წლის მარტში ბრატისლავაში დაარსდა ეროვნულ-რევოლუციური ცენტრალური კომიტეტი. 1943 წლის ბოლოს კომპარტიის ინიციატივით სლოვაკიაში ყველა რევოლუციური ორგანიზაცია ერთ ანტიფაშისტურ მოძრაობაში გაერთიანდა და შეიქმნა სლოვაკიის ეროვნული საბჭო, რომელსაც დაემორჩილა სლოვაკიაში

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1951, გვ. 66.

არსებული ყველა პატრიოტული ორგანიზაცია და მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობა.

სლოვაკიაში პარტიზანულ მოძრაობას ხელს უშლიდა ის, რომ მას არ ჰყავდა ხელმძღვანელები და არ იყო იარაღი. მაგრამ საბჭოთა კავშირი აქაც დაეხმარა ჩეხოსლოვაკიის ხალხს. საბჭოთა კავშირიდან იგზავნებოდა მომზადებული ჩეხი და სლოვაკი მოქალაქეები, რომლებიც სათავეში უდგებოდნენ პარტიზანულ მოძრაობას. იზრდებოდა გაფიცვები და საბოტაჟი სლოვაკიის ფაბრიკა-ქარხნებში, მაგრამ აქაც საჭირო იყო ხელმძღვანელობა. 1943 წლის 22 ივლისს კ. გოტვალდმა მოსკოვიდან გაგზავნა ამხანაგების ჯგუფი რ. ვეტიშკას მეთაურობით, რომელმაც ხელში აიღო მოძრაობის ხელმძღვანელობა. ეს ჯგუფი პარაშუტებით დაეშვა პოლონელი პარტიზანების მოქმედების რაიონში, საიდანაც გადავიდა სლოვაკიაში მოქმედ პარტიზანთა რაიონებში. შეიქმნა მოძრაობის ახალი ხელმძღვანელობა, დასახულ იქნა ახალი ამოცანები.

1944 წლის აგვისტოსათვის პარტიზანული მოძრაობა იმდენად გაძლიერდა, რომ ტისო-ტუკას „მთავრობამ" ვერ შეძლო ბოლო მოეღო მისთვის და დახმარება სთხოვა გერმანიის სარდლობას. ამ დროისათვის სლოვაკიაში მოქმედებდა 42 პარტიზანული ჯგუფი 26 ათასზე მეტი კაცის მონაწილეობით. 1944 წლის 28 აგვისტოსათვის პარტიზანებმა დაიკავეს ვრუტკი, რუჟომბეროკი და მთელი რიგი სხვა რაიონები. 29 აგვისტოს იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ სლოვაკიაში. აჯანყება მოედო სლოვაკიის არმიასაც. აჯანყების ცენტრი და სლოვაკიის ეროვნული საბჭოს რეზიდენცია იყო ბანსკა ბისტრიცა. აჯანყებულებმა თავისი კონტროლი დაამყარეს სლოვაკიის მნიშვნელოვან ნაწილზე. ჰიტლერელებმა აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნეს დიდძალი გერმანული და უნგრული ჯარის ნაწილები, ტანკები, ავიაცია და არტილერია. აჯანყებულებს არ ჰქონდათ მძიმე შეიარაღება და უთანასწორო პირობებში უხდებოდათ ბრძოლა მოწინააღმდეგესთან.

აჯანყებულთათვის კრიტიკული მდგომარეობის შექმნასთან დაკავშირებით, კ. გოტვალდმა და ზ. ფირლინგერმა თხოვნით მიმართეს საბჭოთა მთავრობას დახმარება აღმოეჩინა აჯანყე-

ბულთათვის. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმია სხვა ფრონტებზე იყო დაკავებული, ი. ბ. სტალინის პირადი ბრძანებით უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა მარშალ კონევის მეთაურობით შეცვალეს მიმართულება და გაშალეს თავისი ოპერაციები დუკელის უღელტეხილის მიმართულებით სლოვაკიის ტერიტორიაზე შეჭრისა და აჯანყებულებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. აჯანყებულთა რაიონებში საბჭოთა თვითმფრინავებმა გადმოსხეს საბჭოთა კავშირში მომზადებული ჩეხოსლოვაკიის პარაშუტისტ-დესანტთა ბრიგადა.

აჯანყებულთა შეიარაღებული ბრძოლა ჰიტლერული გერმანიის რეგულარული ნაწილების წინააღმდეგ 2 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ბრძოლებში გმირულად დაიღუპა კ. გოტვალდის ერთგული თანამებრძოლი იან შვერმა.

ემიგრაციული მთავრობა არათუ არავითარ დახმარებას არ უწევდა აჯანყებულებს, არამედ ხელს უშლიდა მათ. ბენეშმა და ინგრმა ლონდონიდან გამოგზავნეს პოლკოვნიკი იან გოლიანი, რომელიც უნდა დაკავშირებოდა სლოვაკიის ეროვნული საბჭოს ნაციონალისტების ჯგუფს — ვესტს, დრტინას, უგლირშს და სხვ. და თავისი მოქმედებით მოღალატური როლი შეესრულებინა აჯანყებაში.

1944 წლის 8 სექტემბერს უკრაინის პირველი ფრონტის ნაწილები გენერალ-პოლკოვნიკ მოსკალენკოს მეთაურობით ჩეხოსლოვაკიის პირველ კორპუსთან ერთად შეტევაზე გადავიდნენ. საბჭოთა არმიამ ჩეხოსლოვაკიის კორპუსთან ერთად გაარღვია ფაშისტების გამაგრებული პოზიციები კროსნოს რაიონში, იერიშით დაიკავა თეოდოროვკა, ივლია და სხვა დასახლებული პუნქტები, განავითარა შეტევა მეძილაბორცისა და დუკლიას მიმართულებით. 6 ოქტომბერს განთავისუფლებულ იქნა დუკელის უღელტეხილი, რითაც დაიწყო ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის განთავისუფლება[1].

როგორც კი ემიგრაციული მთავრობისათვის ცნობილი გახდა საბჭოთა არმიის შეტევის დაწყება კარპატების რაი-

---

[1] უფრო გვიან, 1950 წელს, ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც 6 ოქტომბერი ითვლება ჩეხოსლოვაკიის არმიის დღედ.

ონში, საგარეო საქმეთა მინისტრმა იან მასარიკმა დეპეშა გაუგზავნა ჩეხოსლოვაკიის ელჩს მოსკოვში ზ. ფირლინგერს: „პრეზიდენტი ბენეში თავის სახელით და მე, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ნაციონალური დაცვის სამინისტროს სახელით, გთხოვთ გვიდეპეშოთ, ვინ იშუამდგომლა იმის შესახებ, რათა რუსებს დაეწყოთ კარპატებში შეტევა. თუ ეს მოხდა მოსკოვში, მე ვიხსნი თავიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას“ [1]. როცა მათ გაიგეს, რომ ეს მოხდა კ. გოტვალდისა და ზ. ფირლინგერის თხოვნის საფუძველზე, ამ ამბავმა გააფთრება გამოიწვია ემიგრაციული მთავრობის წევრებს შორის.

1944—45 წწ. ზამთრის განმავლობაში საბჭოთა არმიის მიერ გათავისუფლებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის 1/3-ზე მეტი. განთავისუფლებულ რაიონებში ემიგრაციული მთავრობის აგენტები გენ. გასალი, ნემეცი და სხვ. მოღალატურ მოქმედებას ეწეოდნენ, ცდილობდნენ ძველი წყობილების აღდგენას. ისინი შეუდგნენ რეაქციული არმიის შექმნას, მასში შეჰყავდათ ფაშისტური გერმანიისა და უნგრეთის ჯარების ის ნარჩენები, რომლებმაც გაქცევა ვერ მოასწრეს. მათ უნდოდათ ჩეხოსლოვაკიის პირველი კორპუსის დაშლა. ემიგრაციული მთავრობის ამ აგენტებს დეზორგანიზაცია შეჰქონდათ ზურგში, ხელოვნურად იწვევდნენ გართულებებს და უკმაყოფილებას მოსახლეობაში. მათ მოაწყვეს რადიოსადგურები და ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ უცხოეთის იმპერიალიზმის სასარგებლოდ.

ბენეშს უნდოდა ჩეხოსლოვაკიაში დაბრუნებულიყო ამერიკა-ინგლისის ჯარებთან ერთად. მაგრამ რამდენადაც ჩეხოსლოვაკია გაათავისუფლა საბჭოთა არმიამ და არა სხვა არმიამ, ბენეში იძულებული გახდა მოსკოვის გავლით გამგზავრებულიყო ჩეხოსლოვაკიაში. 1945 წლის 17 მარტს პრეზიდენტი ბენეში, პრემიერ-მინისტრი შრამეკი, საგარეო საქმეთა მინისტრი მასარიკი და ემიგრაციული მთავრობის სხვა წარმომადგენლები მოსკოვში ჩამოვიდნენ. მოსკოვში ჩამოვიდნენ აგრეთვე სლოვაკიის ეროვნული საბჭოს (რომელიც განთავი-

---

[1] „ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია თავისუფლებისათვის ბრძოლაში“, 1951, გვ. 204 — 205.

სუფლებულ სლოვაკიას მართავდა 1945 წ. 17 თებერვლიდან), ჩეხოსლოვაკიის კორპუსისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის წარმომადგენლები. დაიწყო მოლაპარაკება.

მოსკოვის მოლაპარაკების დროს მთავარი საკითხები იყო: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პირველი მთავრობის შექმნა, მისი პროგრამის შემუშავება და ემიგრაციაში მყოფ პირთა დაბრუნება. თათბირზე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის წარმომადგენელთა ჯგუფს მეთაურობდა კ. გოტვალდი. კ. გოტვალდმა წამოაყენა წინადადება პირველ საკითხად მთავრობის პროგრამის განხილვის შესახებ. ეს წინადადება მიღებული იქნა. პროგრამის პროექტი მხოლოდ კომუნისტურ პარტიას აღმოაჩნდა — ეს იყო ჩეხებისა და სლოვაკების ეროვნული ფრონტის მთავრობის პროგრამის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ჩეხოსლოვაკიაში ახალი რესპუბლიკის შექმნას. მთელი რიგი სხდომების შემდეგ პროგრამის პროექტი თითქმის უცვლელად იქნა მიღებული. პროგრამის ეს პროექტი შემდგომში ძირითადად კოშიცეს მთავრობის პროგრამა გახდა.

თათბირზე მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო მომავალი მთავრობის ეროვნული, პოლიტიკური და პარტიული შემადგენლობის საკითხი. კომუნისტურმა პარტიამ მოითხოვა, რომ მომავალი მთავრობა ყოფილიყო ჩეხებისა და სლოვაკების ეროვნული ფრონტის მთავრობა, რომელშიც შევიდოდნენ პარტიებისა და ორგანიზაციების ის წარმომადგენლები, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობდნენ მასების წინაშე. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ ეს წინადადებაც მიღებულ იქნა. მომავალი მთავრობის 22 წევრიდან 9 წარმომადგენელი სლოვაკიიდან უნდა ყოფილიყო. კ. გოტვალდმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე წამოაყენა ზდენეკ ფირლინგერის კანდიდატურა. გადაწყდა, რომ ახალი მთავრობა შეიქმნებოდა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე და პროგრამაც იქ გამოქვეყნდებოდა. პრეზიდენტმა ბენეშმა დაამტკიცა თათბირის გადაწყვეტილებები.

1945 წლის აპრილის დასაწყისში მოსკოვის თათბირის ყველა მონაწილე ჩავიდა სლოვაკიის ქ. კოშიცეში, რომელიც არჩეულ იქნა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დროებით რეზი-

დენციად. 4 აპრილს შრამეკის მთავრობა გადადგა. ახალი მთავრობის შედგენა დაევალა ზდენეკ ფირლინგერს. მთავრობის დეკლარაციაში გამოხატული იყო დიდი მადლობა საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა არმიისადმი ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის რიგებიდან ზ. ფირლინგერის მთავრობაში შევიდნენ კ. გოტვალდი, ვ. კოპეცკი, ვ. შიროკი და სხვ. ჩეხოსლოვაკიის ისტორიაში კომპარტიამ პირველად მიიღო მონაწილეობა მთავრობაში. ეს უკვე იმის გარანტია იყო, რომ მთავრობა ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ არ იმოქმედებდა. ახალი მთავრობის პირველ სხდომაზე გამოქვეყნდა ეროვნული ფრონტის, ე. ი. მთავრობის პროგრამა, რომელიც ცნობილია კოშიცეს პროგრამის სახელწოდებით.

1945 წლის აპრილში ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლება შევიდა მის უკანასკნელ ეტაპში. 13 აპრილს საბჭოთა არმიამ დაიკავა ავსტრიის დედაქალაქი ვენა, 21 აპრილს შეიჭრა ბერლინში, 24 აპრილს ბერლინი მთლიანად ალყაშემორტყმულ იქნა, 26 აპრილს მოკავშირეების არმიები გაერთიანდნენ მდ. ელბაზე ტორგაუს რაიონში — ფაშისტური გერმანიის დარჩენილი ტერიტორია ორად იქნა გაყოფილი. იმავე დღეს საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ქ. ბრნო, 30 აპრილს — ოსტრავა. დასავლეთით კი ამერიკის ჯარებმა მიაღწიეს ჩეხოსლოვაკიის საზღვრებს.

საბჭოთა არმიას დიდ დახმარებას უწევდა ჩეხიისა და მორავიის ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანული ნაწილები, რომლებიც ანადგურებდნენ მტრის კომუნიკაციებს ზურგში. პარტიზანული ნაწილები: „სტალინ“, „იან ჰუს“, „იან კოზინ“, „დოქტორ ტირშ“, „ერმაკ“ და სხვ. დიდ ზარალს აყენებდნენ ოკუპანტებს და ათავისუფლებდნენ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს.

ჰიტლერელი ფელდმარშალის შერნერის არმია, რომელიც განლაგებული იყო პრაღის რაიონში, უარს ამბობდა კაპიტულაციაზე ბერლინის დაცემის შემდეგაც. ეს გარემოება სერიოზულ საშიშროებას უქმნიდა პრაღას. ჰიტლერელი გენერალი

ტუსენი ემზადებოდა პრაღის რაიონში ბრძოლების გასამართავად, რაც ქალაქის სრულ დანგრევას გამოიწვევდა. ჰიტლერელებმა პრაღაში თავი მოუყარეს 30-ათასიან არმიას — გენერალ რაიტმანის კორპუსისა და „ვიკინგისა“ და „ვალენშტაინის“ დივიზიების ნარჩენებს. გარდა ამისა სხვა რაიონებიდან მიღებულ იქნა მაშველი ნაწილები, მნიშვნელოვანი რაოდენობით ტანკები, ავიაცია, არტილერია.

იმ მიზნით, რომ გადაერჩინათ პრაღა დანგრევას და ხელი შეეწყოთ საბჭოთა არმიისათვის, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის ხალხისათვის განთავისუფლება მოჰქონდა, პრაღის მოსახლეობამ კომუნისტების ხელმძღვანელობით გადაწყვიტა დაეწყო შეიარაღებული აჯანყება. წინასწარი გეგმის ზუსტად შემუშავების შემდეგ, 1945 წლის 5 მაისს, კომუნისტების ხელმძღვანელობით პრაღაში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. შეიარაღებულმა მუშებმა დაიკავეს ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი, „პროტექტორატის“ მთავრობა ჩამოგდებულ იქნა, ხელისუფლება ხელში აიღო ჩეხიის ეროვნულმა საბჭომ[1].

მაგრამ აჯანყებულებს არ ჰქონდათ იმდენი ძალა, რომ დიდი ხნით გამკლავებოდნენ ოკუპანტებს, მათ აკლდათ იარაღი. მიუხედავად ამისა, სასტიკი და უთანასწორო ბრძოლის პირობებში აჯანყებულებმა დაიკავეს ქალაქის სტრატეგიული პუნქტები, იარაღის საწყობები და სხვა.

გერმანელები შეტევაზე გადავიდნენ აჯანყებული პრაღელების წინააღმდეგ, აამოქმედეს ავიაცია, ტანკები, არტილერია. პრაღის მოსახლეობამ ჩეხიის ეროვნული საბჭოს მოწოდებით ქალაქში 3 000-ზე მეტი ბარიკადი ააგო. 7 — 8 მაისს შეიქმნა მეტად კრიტიკული მდგომარეობა. გერმანელებმა გაარღვიეს ბარიკადები და შეიჭრენ ქალაქის ცენტრში. პრაღის რადიომ დახმარების თხოვნით მიმართა ამერიკელებს, რომლებიც სულ რაღაც 60 კმ-ით იყვნენ დაშორებული პრაღიდან, მაგრამ ამაოდ.

ამერიკის სარდლობა ხელს უწყობდა ჰიტლერელ ჯალათ შერნერს და „პროტექტორ“ ფრანკს საბჭოთა არმიის მისვლამდე მოესპოთ აჯანყებულნი და დაეპატიმრებინათ კომუ-

---

[1] იხ. ა. გ რ ა დ ე ც კ ი, დ. ს კ ა ლ ო ვ ა, პრაღა გვეძახის, 1950.

ნისტები. 1945 წლის აპრილში ამერიკის ჯარებმა შეგნებულად შეაჩერეს წინსვლა ჩეხოსლოვაკიის საზღვრებისაკენ. მხოლოდ საბჭოთა არმიის სწრაფმა შეტევამ აამოძრავა ამერიკის ჯარები.

1945 წ. 30 აპრილს ამერიკის ჯარებმა აიღეს ხები და აში. აქედან ჯარების ერთი ნაწილი გაემართა სტრშიბროს, ხოლო მეორე კი კლატოვისა და დომაჟლიცეს მიმართულებით. პლზენში ამერიკელები შევიდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იქ ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყების შედეგად არც ერთი გერმანელი აღარ დარჩა. ამერიკელებმა, იცოდნენ რა, რომ მოსალოდნელი იყო პლზენის ქარხნების ნაციონალიზაცია, მათ ისინი საგანგებოდ დაბომბეს, რის შედეგად შკოდას ქარხნების 70 პროცენტი განადგურებულ იქნა. ამერიკელები მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე აუქმებდნენ და დაშლილად აცხადებდნენ ეროვნულ კომიტეტებს.

როდესაც პრაღის აჯანყებულთა თხოვნა დახმარების შესახებ ამერიკელებმა ყურად არ იღეს, პრაღის რადიომ თხოვნით მიმართა საბჭოთა არმიის სარდლობას გადაერჩინა პრაღა მოსალოდნელი დაღუპვისაგან.

საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა პრაღის თხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმია საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული პრაღას.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებით უკრაინის პირველი ფრონტის არმიამ მარშალ კონევის მეთაურობით, მათ შორის გვარდიის სატანკო ნაწილებმა გენერალ-პოლკოვნიკების რიბალკოსა და ლელიუშენკოს მეთაურობით მოახდინეს ისტორიაში გაუგონარი გადასვლა ბერლინიდან პრაღამდე. საბჭოთა ტანკისტებმა 36 საათის განმავლობაში გაიარეს 350 კმ, ცენტრალური ჩეხეთის მადნეულის მთების გავლით. ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შესვლის მომენტიდან პირველი უკრაინის ფრონტის ნაწილები (გაანთავისუფლეს რა ქალაქები უსტი, მოსტი და სხვ.) ორი მიმართულებით წავიდნენ: ერთი ქ. პლზენის (პრაღის დასავლეთის), ხოლო — მეორე პრაღის მიმართულებით. ამავე დროს პრაღას აღმოსავლეთიდან მიადგა

ჩეხოსლოვაკიის კორპუსი. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მეორე უკრაინის ფრონტის ჯარების ერთმა ნაწილმა 8 მაისს გაათავისუფლა ქ. ჩესკე ბუდიოვიცე, ხოლო მეორემ გასწია პრაღის მიმართულებით. ფელდმარშალ შერნერის არმია განადგურებულ იქნა და 9 მაისს დილით რიბალკოს სატანკო ნაწილები. სხვადასხვა მხრიდან შეიჭრნენ პრაღაში. თავისუფლების დროშა აფრიალდა პრაღის გრადის შენობაზე. საბჭოთა არმიამ შეასრულა უდიდესი მისია — გაათავისუფლა ჩეხოსლოვაკიის ხალხი და მისცა მას თავისუფალი ცხოვრების საშუალება. „ჩეხოსლოვაკიის ისტორიაში, — წერდა კ. გოტვალდი, — სამუდამოდ დარჩება ჩაწერილი ოქროს ასოებით, რომ სტალინმა გადაარჩინა ჩვენი ხალხები ამოწყვეტას, მოუპოვა მათ გამარჯვება და დამოუკიდებლობა“ [1].

ჩეხოსლოვაკიის ხალხის ექვსწლიანი განმათავისუფლებელი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა. ეროვნულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მშრომელი მასების კავშირმა ეროვნული ფრონტის მეთაურობით გაიმარჯვა რეაქციულ ძალებზე. პოლიტიკური ხელისუფლება გადავიდა ხალხის მასების ხელში და განთავისუფლებული ხალხი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა ახალი, სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობას.

საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებით დამთავრდა ომი ევროპაში: „დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ,— ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სლავი ხალხების საუკუნეობრივი ბრძოლა თავიანთი არსებობისა და თავიანთი დამოუკიდებლობისათვის დამთავრდა გერმანელ დამპყრობლებსა და გერმანულ ტირანიაზე გამარჯვებით“ [2].

---

[1] „პრავდა“, 1949 წ. 28 დეკემბერი.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, თბილისი, 1951 წ., გვ. 363.

თავი მესამე

სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა

საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტ ოკუპანტებისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ ქვეყანაში დემოკრატიული წყობილების დამყარების საქმეში. ისევე როგორც ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, საბჭოთა არმია ჩეხოსლოვაკიაში მივიდა როგორც განმათავისუფლებელი არმია. მან სრული საშუალება მისცა ადგილობრივ მოსახლეობას თავის ნებასურვილის მიხედვით მოეწყო საკუთარი ქვეყნის მმართველობა.

საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებული ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე თავიდანვე დაიწყო დემოკრატიული ორგანოების წარმოშობა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის აქტიური მუშაობის შედეგად ჯერ კიდევ გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნა ეროვნული კომიტეტები. ეროვნული კომიტეტების არსებობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა; ისინი აერთიანებდნენ და ხელმძღვანელობდნენ ყველა პატრიოტული ელემენტის ბრძოლას ოკუპანტებისა და მათი ადგილობრივი დამქაშების წინააღმდეგ; ამ ეროვნულ კომიტეტებს გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშათ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ ახალი, დემოკრატიული წყობილების დამყარების საქმეში.

ეროვნული კომიტეტის, როგორც აღმასრულებელი ორგანოს ფუნქცია იმაში მდგომარეობდა, რომ ოკუპანტების განდევნის შემდეგ ქვეყნის მთელი სიმდიდრე, წარმოება-

დაწესებულებების ხელმძღვანელობა ხელში აიღო და დაეცვა. ეროვნული კომიტეტები ნიადაგს ამზადებდნენ ხელისუფლების ხალხისათვის გადაცემისა და ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების დამყარებისათვის. ეროვნული კომიტეტი ირჩეოდა ხალხის მიერ და პასუხს აგებდა ხალხის წინაშე.

ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის მთავრობამ ქ. კოშიცეში (აღმოსავლეთ სლოვაკია) 1945 წლის აპრილის პირველ რიცხვებში გამოაქვეყნა თავისი პროგრამა, სადაც ჩამოაყალიბა ჩეხოსლოვაკიის ახალი რესპუბლიკის მშენებლობის ძირითადი პრინციპები. კოშიცეს პროგრამა, რომელიც ხალხის ფართო მასების ინტერესებს გამოხატავდა, ძირითადად ითვალისწინებდა: 1. ჩეხებისა და სლოვაკების თანასწორუფლებიანობის დაცვის პრინციპზე ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული სახელმწიფოს აღორძინებას; 2. იმიერკარპატის უკრაინის საკითხის გადაწყვეტას მისი მოსახლეობის სურვილის მიხედვით; 3. ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან გერმანელების გასახლებას; 4. სამხედრო დამნაშავეთა და მოღალატეთა დასჯას; 5. ფაშისტური და ანტიხალხური პარტიების დაშლას; 6. ძველი მემამულურ-პოლიციურ-ბიუროკრატიულ მმართველობის ლიკვიდაციას და მის შეცვლას ეროვნული კომიტეტებით; 7. ბანკებისა და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციას; 8. გერმანელი და უნგრელი მემამულეების მიწების კონფისკაციას და მათ დაყოფას უმიწო და მცირემიწიან გლეხებს შორის; 9. ქალებსა და კაცებს შორის თანასწორუფლებიანობას და 18 წლის ასაკის მოქალაქის არჩევნებში მონაწილეობის უფლებას; 10. ანტიფაშისტური, დემოკრატიული, ხალხის მასებთან დაკავშირებული არმიის შექმნას; 11. სსრ კავშირთან, ყველა სლავურ სახელმწიფოსთან და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ჩეხოსლოვაკიის ხალხმა მოიწონა კოშიცეს მთავრობის ეს პროგრამა და ხელი შეუწყო მის ცხოვრებაში გატარებას. ეროვნული ფრონტის მთავრობამ გამოაცხადა, რომ „მომავალში ის განახორციელებს თავის პოლიტიკას ეროვნული კომიტეტების საშუალებით და მათზე სრული დაყრდნობით“.

1945 წლის აპრილში მთავრობა შეუდგა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გაწმენდას და მის გარდაქმნას ახალ, დემოკრატიულ საფუძველზე. დაიწყო ახალი, დემოკრატიული არმიის შექმნა, რომლის საფუძველი გახდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი ჩეხოსლოვაკური კორპუსი, რომელიც საბჭოთა არმიასთან ერთად ათავისუფლებდა ჩეხოსლოვაკიას. ახალი არმიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ აგრეთვე ჩეხი და სლოვაკი პარტიზანები, რომლებიც ქვეყნის შიგნით იბრძოდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ.

ხალხის ფართო მასების მოთხოვნით მთავრობამ ცხოვრებაში გაატარა კანონი, რომლითაც აიკრძალა ფაშისტური და ნახევრად ფაშისტური პარტიები: აგრარული (რესპუბლიკური) პარტია, ე. წ. ხელოსანთა პარტია, სლოვაკიის ფაშისტური პარტია და სხვ. ახლად შექმნილმა სახალხო სასამართლოებმა მოღალატეების გასამართლების მიზნით ჩაატარეს მთელი რიგი პროცესები. 1945 წლის 19 მაისის დეკრეტით მთავრობამ, მუშების აქტიური მონაწილეობით, კონფისკაცია უყო 2 ათასამდე სამრეწველო საწარმოს და დაამყარა კონტროლი თითქმის ყველა ბანკზე და სადაზღვევო საზოგადოებაზე. იმავე წლის ივნისში ხალხის მასების გავლენით მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო მოღალატეების, გერმანელი და უნგრელი მემამულეების მიწების კონფისკაციისა და გლეხებისათვის მათი გადაცემის შესახებ. მიწის მთლიან რეფორმას ჯერ კიდევ ხელს უშლიდნენ ბურჟუაზიული პარტიების ლიდერები.

1945 წ. 3 ივნისს ჩეხოსლოვაკიის მთავრობასა და სლოვაკიის ეროვნულ საბჭოს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლითაც სლოვაკიის ეროვნული საბჭო აღიარებულ იქნა არა მარტო სლოვაკი ხალხის კანონიერ წარმომადგენლად, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოდ სლოვაკიის ტერიტორიაზე. ჩეხოსლოვაკიის ცენტრალურ მთავრობაში თანასწორი უფლებებით წარმოდგენილ იქნენ ჩეხები და სლოვაკები. ასე ჩაეყარა საფუძველი ჩეხოსლოვაკიაში ეროვ-

ნული საკითხის გადაწყვეტას, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დააკმაყოფილა იმიერკარპატის უკრაინის მოსახლეობის საუკუნოებრივი სურვილი საბჭოთა უკრაინასთან მისი შეერთების შესახებ. ჯერ კიდევ 1944 წლის 26 ნოემბერს იმიერკარპატის უკრაინის სახალხო კომიტეტების პირველმა ყრილობამ თავის მანიფესტში, რომელსაც ასეულ ათასობით კაცმა მოაწერა ხელი, გამოთქვა სურვილი საბჭოთა უკრაინასთან შეერთების შესახებ. 1945 წლის 29 ივნისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმება, რომლის თანახმად იმიერკარპატის უკრაინა, ხალხის სურვილისა და ორივე მხარის მეგობრული შეთანხმების საფუძველზე, შეუერთდა საბჭოთა უკრაინას. განხორციელდა უკრაინელი ხალხის საუკუნოებრივი ოცნება — იგი გაერთიანდა ერთ მთლიან ოჯახში.

1945 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა დეკრეტი ბანკებისა და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ. მონოპოლისტების, ფაშისტურ-რეაქციული ელემენტების წინააღმდეგობის მიუხედავად, ნაციონალიზებულ იქნა ყველა ბანკი, სავაჭრო-სადაზღვევო საზოგადოება და მთელი მსხვილი მრეწველობა. ნაციონალიზაციის შედეგად სახელმწიფოს ხელში გადავიდა 3 ათასზე მეტი მსხვილი და საშუალო საწარმო. ნაციონალიზებული საწარმოები აერთიანებდნენ ყველა მუშა-მოსამსახურეთა 66 პროცენტს, უშვებდნენ მთელი სამრეწველო პროდუქციის 75 პროცენტს. სამთო და მეტალურგიული მრეწველობა, ელექტროენერგიის წარმოება ნაციონალიზებულ იქნა მთლიანად. 1947 წლის გაზაფხულზე ნაციონალიზებულ საწარმოებებს შეუერთდნენ ის ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც ჩამოერთვათ გერმანელებს და სამშობლოს მოღალატეებს.

მრეწველობის ნაციონალიზაციამ მოსპო უცხოეთის კაპიტალის ბატონობა ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკაში. მან დააჩქარა ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობაში ოკუპაციის შედეგების ლიკვიდაცია და შექმნა რეალური ეკონომიური ბაზა ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული გზით განვითარებისათვის.

მაგრამ კაპიტალისტური სექტორი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. ჯერ კიდევ არსებობდა 9 ათასამდე კერძო კაპიტალისტური სამრეწველო საწარმო. მრეწველობის ზოგიერთ დარგში კაპიტალისტურ სექტორს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა: კვების მრეწველობაში — 47 პროც., საფეიქრო მრეწველობაში — 46 პროც., ხის დამმუშავებელ მრეწველობაში — 45 პროც., და სხვ. კაპიტალისტები იყენებდნენ თავისუფალ კაპიტალს მსხვილ ვაჭრობაში. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტები შეზღუდული იყვნენ მრეწველობაში, ხოლო ბანკები გადავიდნენ სახელმწიფოს ხელში, კაპიტალისტური ელემენტები ამაგრებდნენ თავიანთ პოზიციებს ვაჭრობის დარგში. 1946 წლის ოქტომბერში ჩეხოსლოვაკიის საშინაო საქონელბრუნვა შემდეგ სურათს იძლეოდა: ნაციონალიზებული მრეწველობის პროდუქციაზე მოდიოდა 67 პროც., კერძო მრეწველობის პროდუქციაზე — 27 პროც., კოოპერაციულ და ხელოსნური წარმოების პროდუქციაზე — 6 პროცენტი. 1948 წლისათვის ჩეხოსლოვაკიაში ითვლებოდა 6,5 ათასი კერძო სავაჭრო ფირმა, რომელთა ხელში იყო ქვეყნის მთელი სანარდო ვაჭრობის ⅔-ზე მეტი. კერძო კაპიტალისტური საწარმოები, კერძო სავაჭრო ფირმები წარმოადგენდნენ ქვეყნის შიგნით არსებული რეაქციული ელემენტების დასაყრდენს, რომლებსაც უცხოეთის — ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმის დახმარების იმედი ჰქონდათ.

ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებისათვის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა მისი ტერიტორიიდან გერმანელების გასახლებას. ცნობილია, რომ ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრებმა გერმანელებმა „მეხუთე კოლონის“ როლი შეასრულეს მიუნხენის პერიოდში, ხოლო ოკუპაციის წლებში ისინი წარმოადგენდნენ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების დასაყრდენს ჩეხოსლოვაკიაში. მთელი მიწა, რომელიც გერმანელების, უნგრელების, ჩეხი და სლოვაკი მოღალატეების ხელში იყო, გადაეცა გლეხობას.

ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში 1,4 მლნ ჰექტარზე მეტი მიწა 14 ათასი მემამულის ხელში იყო; მიწის მნიშვნელოვან

ნაწილს ფლობდა 30 — 40 ათასი კულაკი (თვითეული მათგანის ხელში იყო 50 — 100 ჰექტარამდე მიწა).

1945 წელს, მთავრობის დეკრეტის საფუძველზე, 1,6 მლნ ჰექტარზე მეტი მიწა დაურიგდა 130 ათას ჩეხ და სლოვაკ უმიწო და მცირემიწიან გლეხის ოჯახს. მათი უმრავლესობა ჩასახლებულ იქნა მოსაზღვრე რაიონებში, სადაც თვითეულმა ოჯახმა დაახლოებით 10 ჰექტარი მიწა მიიღო. მიწის რეფორმა ჩატარდა ჩეხოსლოვაკიის სხვა რაიონებშიც. სლოვაკიაში მიწის რეფორმის ჩატარებას ხელს უშლიდნენ ადგილობრივი რეაქციული ელემენტები, ამიტომ პირველ პერიოდში 700 ათასი ჰექტარის ნაცვლად კონფისკებულ იქნა 80 ათასი ჰექტარი მიწა.

საქმე იმაში იყო, რომ სოფლად რეაქციის დასაყრდენი მსხვილი მიწათმფლობელები ჯერ კიდევ თითქმის ხელშეუხებელნი დარჩნენ. ძველებურად განაგრძობდნენ არსებობას დაახლოებით 400 მსხვილი მემამულური მეურნეობა, რომელთა ხელში იყო 500 ათასი ჰექტარი მიწა და 13 ათასი მსხვილი მეურნე, რომელთაგან თვითეულს 50 ჰექტარზე მეტი მიწა ჰქონდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩეხოსლოვაკიამ ოკუპაციის შედეგად დიდი ეკონომიური ზარალი განიცადა. იგი გაძარცვეს ჰიტლერელებმა. ამას დაემატა ინგლის-ამერიკის ავიაციის მიერ ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო რაიონების დაბომბვა, რის შედეგადაც ნახევრად დანგრეულ იქნა ჩეხოსლოვაკიის უდიდესი ქარხნები და ბევრი მათგანი 1945 წელს ომამდელი პროდუქციის მხოლოდ 25 — 30 პროცენტს იძლეოდა. ინგლის-ამერიკის ავიაცია ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო ქალაქებს ბომბავდა მაშინაც კი, როდესაც საბჭოთა არმიის დარტყმების შედეგად გერმანიის დამარცხების საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. მხოლოდ საბჭოთა არმიის სწრაფმა წინსვლამ არ მისცა შესაძლებლობა ჰიტლერელებს უკან დახევის დროს მთლიანად გაენადგურებინათ და გაეძარცვათ ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობა. ზარალი, რომელიც ნახა ჩეხოსლოვაკიამ ომისა და ოკუპაციის შედეგად (საომარი

მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალის გარდა), ოფიციალური ცნობებით 1 289 500 მილიონ კრონს შეადგენს.

საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების პირველი დღიდანვე ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენას. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის ნაციონალიზაციას და მიწის რეფორმის ჩატარებას. 1945 წლის შუა რიცხვებში ქვანახშირის ამოღება ჩეხოსლოვაკიაში შეადგენდა 1937 წლის დონის 30 პროცენტს, თუჯისა და ფოლადის წარმოება — 35 პროცენტს, მარცვლეული კულტურების მოსავალი — ომამდელი მოსავლის ნახევარს და ა. შ. ომის შედეგად ჩეხოსლოვაკიამ დაკარგა რკინიგზის მთელი მოძრავი შემადგენლობის 75 პროცენტი.

მაგრამ მშრომელი მასების აქტიური მუშაობის შედეგად, მშრომელებისა, რომლებსაც სათავეში ედგა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, ერთი წლის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა მდგომარეობა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. 1946 წლის ბოლოს ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო პროდუქციის წარმოება, ომამდელ დონესთან შედარებით, საშუალოდ 75 პროცენტს შეადგენდა. მარცვლეული კულტურების მოსავალი, 1945 წელთან შედარებით გაიზარდა 50 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება 1946 წლის ბოლოს, ომამდელ დონესთან შედარებით, შეადგენდა 87 პროცენტს, მურა ნახშირისა — 112 პროცენტს, თუჯის გამოდნობა გაიზარდა 70 პროცენტით, ფოლადისა — 45 პროცენტით, ნაგლინისა — 70 პროცენტით. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიმდინარეობდა აქტიური აღდგენითი მუშაობა.

იზრდებოდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. 1945 წლის დეკემბერში მუშათა რიცხვი ჩეხოსლოვაკიის მრეწველობაში შეადგენდა ომამდელი რაოდენობის 80 პროცენტს, ხოლო 1946 წლის ბოლოს — 87 პროცენტს. საგრძნობლად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიც. 1945 წელს მუშის თვიური ხელფასი საშუალოდ შეადგენდა 2 250 კრონს, 1947 წლის მაისში კი — 3 180 კრონს. ამაღლდა მშრომელი მასების მატე-

რიალური დონე, გაუმჯობესდა მათი ცხოვრების პირობები. 1945 წლის ბოლოს მთავრობამ ჩაატარა ფულის რეფორმა, რამაც განამტკიცა კრონის კურსი და გაზარდა მოსახლეობის სყიდვითუნარიანობა.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში უდიდესი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის მეგობრულმა დახმარებამ. ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკა მტკიცედ იყო დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან. ასე, მაგალითად, 1947 წელს საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი ეჭირა ჩეხოსლოვაკიის იმპორტში, ხოლო მეორე ადგილი — ექსპორტში. საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიას აწვდიდა მადნეულს, ლითონებს, ქიმიურ პროდუქტებს, ხე-ტყეს, სურსათს და ნედლეულს საფეიქრო მრეწველობისათვის.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ქვეყნის შიგნით ეროვნული საკითხის გადაწყვეტა, პირველ რიგში ჩეხებსა და სლოვაკებს შორის მჭიდრო ურთიერთობის განმტკიცება.

მიუნხენამდელ ჩეხოსლოვაკიაში ბატონობდნენ ჩეხიის ბურჟუაზიულ-მემამულური წრეები. მხოლოდ ომის წინა პერიოდში მიიღო მმართველობაში მონაწილეობა სლოვაკიის ბურჟუაზიის იმ ნაწილმა, რომელიც აღიარებდა ჩეხიის ბურჟუაზიის პირველობას. სლოვაკია ერთ-ერთი ჩაგრული მხარე იყო ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში. ჩეხებსა და სლოვაკებს შორის ასეთი დამოკიდებულება შემდგომში გამოყენებულ იქნა ჰიტლერელების მიერ ჩეხოსლოვაკიის დაქუცმაცებისა და იქ გაბატონებისათვის.

ჩეხებსა და სლოვაკებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას უდიდეს ყურადღებას აქცევდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტია. კოშიცეს მთავრობის პროგრამაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ სლოვაკები წარმოადგენენ თვითმყოფ ხალხს, ისევე როგორც ჩეხები, და ამიტომ მათი საერთო ცხოვრება დამყარებულ უნდა იქნეს სრულ თანასწორუფლებიანობაზე. კოშიცეს პროგრამა სლოვაკიის ეროვნულ საბჭოს სლოვაკიის უმაღლეს ეროვნულ ორგანოდ აღიარებდა. სლოვაკიის ეროვ-

ნულ საბჭოსთან შეიქმნა რწმუნებულთა კორპუსი — აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ემორჩილებოდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას. რწმუნებულთა კორპუსში შედიოდნენ სლოვაკიის პარტიების წარმომადგენლები.

ჩეხოსლოვაკიის 1946 წლის დროებით ეროვნულ კრებაში და 1946 წელს არჩეულ ეროვნულ კრებაში 300 ადგილიდან 69 ადგილი სლოვაკიის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ. ამასთანავე დადგენილ იქნა, რომ იმ კანონის ან გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომელიც უშუალოდ ეხება სლოვაკიას, საჭიროა სლოვაკი დეპუტატების უმრავლესობის თანხმობა. სამეურნეო საბჭოში, რომელიც პრეზიდენტის სპეციალური დეკრეტით შეიქმნა 1945 წლის 25 აგვისტოს, შევიდა სლოვაკიის 4 წარმომადგენელი.

სლოვაკია მრეწველობის განვითარების მხრივ საგრძნობლად ჩამორჩება ჩეხიას. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სლოვაკიის ინდუსტრიალიზაციის საკითხი. 1947 წელს ჩეხიიდან სლოვაკიაში გადატანილ იქნა 200-ზე მეტი საწარმოო და ამით დიდად გაიზარდა სლოვაკიის სამრეწველო პოტენციალი.

სლოვაკიის ინდუსტრიალიზაციის საქმეში მთავრობის პოლიტიკას ხელს უშლიდნენ სლოვაკიის ეროვნულ საბჭოში მოკალათებული რეაქციული ელემენტები. სლოვაკიის დემოკრატიული (კათოლიკური) პარტიის წარმომადგენლები, რომელთა ხელში იყო უმრავლესობა სლოვაკიის ეროვნულ საბჭოში, რწმუნებულთა კორპუსში და ადგილობრივ თვითმმართველობაში, ყოველმხრივ აბრკოლებდნენ ეროვნული ფრონტის მთავრობის დადგენილებებისა და მითითებების ცხოვრებაში გატარებას. მათ დეზორგანიზაცია შეჰქონდათ სახალხო მეურნეობაში, ეწეოდნენ სლოვაკი კომუნისტების დისკრიმინაციას.

სლოვაკიის რეაქციული ელემენტები აყოვნებდნენ უნგრელი მემამულეების მიწების კონფისკაციას, რწმუნებულთა კორპუსის დაქვემდებარებას ჩეხოსლოვაკიის მთავრობისადმი და ა. შ. 1946 — 47 წწ. ჩეხოსლოვაკიის ეროვნული უშიშროების ორგანოების მიერ მხილებულ იქნა არაერთი ანტისა-

ხელმწიფოებრივი შეთქმულების ჯგუფი, რომლებშიც მონაწილეობდნენ სლოვაკიის ბურჟუაზიული პარტიების ლიდერების — ლეტრიხის, გოჯას, ტვინჩეკისა და სხვათა მფარველობის ქვეშ დარჩენილი ფაშისტური ელემენტები, ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის აგენტები.

ეს რეაქციული ელემენტები ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ კომუნისტებისათვის მასებში. ისინი გამოდიოდნენ პრესაში და აშკარად მოითხოვდნენ დისკუსიის გამართვას „სოციალიზმისაკენ ჩეხოსლოვაკიის გზის“ შესახებ. მათი აზრით, თითქოს არსებობდა რაღაც განსაკუთრებული „ჩეხური გზა სოციალიზმისაკენ“. ისინი აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს ჩეხებსა და სლოვაკებს შორის; ხელოვნურად ფუშავდნენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებს სლოვაკიაში, რათა ყველაფერი ეს კომუნისტებისათვის დაებრალებინათ.

მაგრამ მშრომელი მასების ერთიანობამ ჩაშალა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმისა და მათი სლოვაკი დამქაშების ეს გეგმები და 1948 წლის თებერვალში ბოლო მოეღო სლოვაკიაში ტისო-ტუკას აგენტურას. ჩეხიისა და სლოვაკიის კომუნისტური პარტიები გაერთიანებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიად და შეიქმნა პარტიის ერთიანი ხელმძღვანელობა. ამ მდგომარეობამ კიდევ უფრო განამტკიცა კომპარტიის რიგები, გაზარდა მისი ავტორიტეტი მასებში.

1946 წლის 26 მაისს ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდა ომის შემდეგ პირველი არჩევნები. არჩეულ იქნა საკანონმდებლო (ეროვნული) კრება. არჩევნებმა ცხადყვეს, რომ ხალხის მასების უმრავლესობა იწონებს და მხარს უჭერს სახალხო-დემოკრატიულ რეჟიმს და მის მიერ გატარებულ ღონისძიებებს.

არჩევნები ჩატარდა ახალი საარჩევნო კანონის მიხედვით, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა მიუნხენამდელი ჩეხოსლოვაკიის საარჩევნო კანონისაგან. ახალი საარჩევნო კანონის მიხედვით არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა ჩეხოსლოვაკიის ყოველი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, გარდა კოლაბორაციონისტებისა და სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული პირებისა. პასიური საარჩევნო უფლება ჰქონდა აქტიური საარჩევნო

უფლების მქონე ყველა პირს, რომელმაც 21 წელს მიაღწია. ქონებრივი ცენზი გაუქმებულ იქნა. სამხედრო პირებმა პირველად მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. არჩევნებში მონაწილეობდნენ ეროვნული უშიშროების ორგანოების თანამშრომლებიც.

არჩევნები იყო პირდაპირი, თანასწორი და ფარული. კანდიდატების სიების წამოყენების უფლება ჰქონდა ეროვნულ ფრონტში შემავალ ყველა პარტიას.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაიშალა აქტიური მუშაობა. თუმცა ეროვნულ ფრონტში შემავალი პარტიები წინასწარ შეთანხმდნენ, რომ თავს შეიკავებდნენ ერთმანეთის მიმართ კრიტიკისაგან, მაგრამ ამას აშკარად არღვევდნენ ბურჟუაზიული პარტიები; მათი ლიდერები გამოდიოდნენ კრიტიკით და ეწეოდნენ აგიტაციას სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ.

არჩევნებისათვის რეგისტრირებული იყო 7 345 ათასი ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 7 მილიონზე მეტმა ადამიანმა. არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა კომუნისტურმა პარტიამ; მან დაიკავა პირველი ადგილი ეროვნულ კრებაში მანდატების რაოდენობის მხრივ. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ მაისის არჩევნებში მიიღო დაახლოებით 2,7 მლნ ხმა და 114 მანდატი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ხმა მისცა 905 ათასმა ამომრჩეველმა და ერგო 39 მანდატი; ამრიგად, ორივე მუშათა პარტიამ მიიღო 3,6 მილ-ზე მეტი ხმა, ე. ი. ხმების 50 პროცენტზე მეტი და ეროვნული კრების 300 ადგილიდან 153 ადგილს დაეუფლა.

ეროვნული კრების დანარჩენი 147 ადგილი განაწილდა შემდეგნაირად: ნაციონალურ-სოციალისტების (ბენეშის) პარტიამ, რომელიც მდიდრების ინტერესებს იცავდა, მიიღო 55 ადგილი, „სახალხო“ (კათოლიკური) პარტიამ — 46, სლოვაკიის „დემოკრატიულმა“ პარტიამ — 43, „თავისუფლების“ პარტიამ — 3.

1946 წლის მაისში არჩეული ეროვნული კრება რადიკალურად განსხვავდებოდა ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკიის პარლამენტებისაგან. ჯერ ერთი, ეროვნული კრება იყო ერთპა-

ლატიანი; მეორე, იგი არჩეულ იქნა ორი წლის ვადით, მაშინ როდესაც მიუნხენამდელი ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის დეპუტატთა პალატა ირჩეოდა 6 წლით, და მესამე, თუ ომამდელი ჩეხოსლოვაკიის პარლამენტში გაბატონებული იყვნენ ბურჟუაზიულ-მემამულური ელემენტები, ახალი ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ კრებაში, როგორც ეს მისი შემადგენლობიდან ჩანს, სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა შეიქმნა.

ეროვნული კრების არჩევნების საფუძველზე იმავე წლის ივლისში შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის ახალი მთავრობა. მთავრობის შექმნა დაევალა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის თავმჯდომარეს კლემენტ გოტვალდს. მთავრობა კოალიციური იყო. მასში შევიდა 9 კომუნისტი, 3 სოციალ-დემოკრატი, დანარჩენი 12 ადგილი თანასწორად გაიყვეს ნაციონალურ-სოციალისტური, „სახალხო“ (კათოლიკური) და სლოვაკიის „დემოკრატიულმა“ პარტიებმა.

არჩევნებში კომუნისტების გამარჯვებამ და კ. გოტვალდის მეთაურობით მთავრობის შექმნამ კიდევ უფრო გაზარდა კომპარტიის ავტორიტეტი მასებში. კომპარტია რიცხობრივად გაიზარდა. კომუნისტების ავტორიტეტის ზრდაზე მიუთითებდა აგრეთვე ადგილობრივი ორგანოების არჩევნების შედეგები. ეროვნული კომიტეტების საერთო წევრთა 41 პროცენტი, ხოლო კომიტეტების თავმჯდომარეების 57 პროცენტი კომუნისტები იყვნენ. ეს გარემოება იმაზე მიუთითებდა, რომ ხალხის ფართო მასები ხმას აძლევდნენ სახალხო დემოკრატიის პროგრამის შემდგომ განხორციელებას.

იმავე წლის 8 ივლისს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის თავმჯდომარემ და ეროვნული ფრონტის მთავრობის მეთაურმა კ. გოტვალდმა ეროვნულ კრებას განსახილველად წარუდგინა ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი (1947—48 წწ.) გეგმის პროექტი. სახალხო მეურნეობის ორწლიანი გეგმა მოწონებულ იქნა ეროვნული კრების მიერ. მთავრობის ამ ღონისძიებამ უდიდესი შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია ჩეხოსლოვაკიის მშრომელებში. მშრომელი მასები ამ გეგმაში ხედავდნენ ქვეყნის

ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცებისა და მათი ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების საიმედო გარანტიას.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი გეგმის ცხოვრებაში გატარების მიზნით შეიქმნა უმაღლესი ეკონომიური საბჭო და ცენტრალური საგეგმო კომისია. დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნა ორწლიანი გეგმის დეტალური დამუშავება. ამ მუშაობის დროს ჩეხოსლოვაკელი სპეციალისტები ეყრდნობოდნენ საბჭოთა კავშირის გამოცდილებას. ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკაში გეგმიანობის შემოღება განამტკიცებდა სოციალისტური სექტორის მდგომარეობას სახალხო მეურნეობაში და ხელს უწყობდა მასების საკეთილდღეოდ სამრეწველო პროდუქციის ზრდას. სახალხო მეურნეობის ორწლიანი გეგმა საფუძველს უყრიდა ჩეხოსლოვაკიის მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარებას.

1946 წლს 25 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ პრეზიდენტმა დაამტკიცეს კანონი ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი გეგმის შესახებ.

აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა სამრეწველო პროდუქციის ზრდას 1948 წლის ბოლოსათვის, 1937 წელთან შედარებით, 10 პროცენტით. ქვანახშირის ამოღებას უნდა შეადგინა ყოველწლიურად 16,7 მილიონი ტ. მურა ნახშირისა — 23,9 მილიონი ტ. (17 — 21 პროცენტით მეტი, ვიდრე 1946 წელს), რკინის მადნისა — 1,7 მილიონ ტ-მდე, კოქსის წარმოება — 39 მილიონ ტ-მდე. ელექტროენერგიის ყოველწლიური წარმოება უნდა გაზრდილიყო 7,4 მილიარდ კილოვატსაათამდე (75 პროცენტით მეტი, ვიდრე 1937 წელს), თუჯის გამოდნობა — 1,5 მილიონ ტ-მდე, ფოლადისა — 2, 4 მილიონ ტ-მდე, ნაგლინის — 1,6 მილიონ ტ-მდე.

ორწლიანი გეგმით დასახულ იქნა მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარება. 1948 წლის ბოლოსათვის ჩეხოსლოვაკიის ქარხნებს უნდა გამოეშვათ ყოველწლიურად 15 ათასი რკინიგზის საბარგო ვაგონი და 290 ორთქლმავალი (1937 წელს გამოშვებულ იქნა 1 400 საბარგო ვაგონი და 70 ორთქლმავალი).

ორწლიან გეგმაში დიდი ყურადღება ექცეოდა სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. 1948 წლის ბოლოსათვის ტრაქტორების გამოშვება უნდა გაზრდილიყო 9 ათასამდე, ხოლო სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება — 80 პროცენტით 1946 წელთან შედარებით. საერთო ჯამში 1948 წლის დასასრულისათვის სოფლის მეურნეობას უნდა მიეღწია 1937 წლის დონემდე და დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ნაწილი.

შრომის ნაყოფიერება 1948 წლის ბოლოსათვის უნდა გაზრდილიყო, 1946 წელთან შედარებით, 40 პროცენტით. ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა მთავრობის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა; 1947 წელს მიღებულ იქნა კანონი სამთო მრეწველობაში მომუშავეთა სოციალური დაზღვევის შესახებ, გატარებულ იქნა საგადასახადო რეფორმა და სხვ.

ეროვნული ფრონტის მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მსგავს ღონისძიებებს რეაქციულ-ბურჟუაზიული პარტიები უკმაყოფილოდ ხვდებოდნენ და ცდილობდნენ მათ ჩაშლას. საერთოდ ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირველი პერიოდი (1945 წ. მაისი— 1948 წ. თებერვალი) მწვავე კლასობრივი ბრძოლის პერიოდი იყო.

ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის ლიდერები ზენკლი (პრემიერ-მინისტრის მოადგილე), დრტინა (იუსტიციის მინისტრი), რიპკა (საგარეო ვაჭრობის მინისტრი), სტრანსკი (განათლების მინისტრი); „სახალხო“ (კათოლიკური) პარტიის ხელმძღვანელები შრამეკი (პრემიერ-მინისტრის მოადგილე), გალა (მინისტრი); სლოვაკიის „დემოკრატიული“ პარტიისა — ლეტრიხი (სლოვაკიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე), ურსინი (პრემიერ-მინისტრის მოადგილე); სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთა ვილიმის მეთაურობით, მომარაგების მინისტრი მაიერი და სხვები თუმცა შედიოდნენ მთავრობაში და მასების ზეგავლენით ხელი მოაწერეს კოშიცეს პროგრამას, მაგრამ საქმით ყოველნაირად ძირს უთხრიდნენ მის ცხოვრებაში გატარებას. ისინი ეწეოდნენ აგიტაციას კომუნისტების წინააღმდეგ, ცდილობდნენ სსრ კავშირისაგან ჩეხოსლოვაკიის

ჩამოშორებას და მის გადაქცევას ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის პლაცდარმად ცენტრალურ ევროპაში. მათი საშუალებით ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი ეწეოდა თავის ავანტიურისტულ მოქმედებას ჩეხოსლოვაკიაში.

ასეთ მწვავე კლასობრივ ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბება ჩეხოსლოვაკიაში. ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალების მაორგანიზებელი, ყველაზე მასობრივი და ყველაზე გავლენიანი პარტია კომუნისტური პარტია იყო. ომამდელ ჩეხოსლოვაკიაში კომპარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელიც იბრძოდა მიუნხენის პოლიტიკის, კაპიტულაციის წინააღმდეგ და მოუწოდებდა მასებს გამოსულიყვნენ იარაღით ხელში სამშობლოს დასაცავად. ოკუპაციის პერიოდში კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ ჩეხოსლოვაკიის ხალხის ბრძოლას ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ დაკარგა თავისი ომამდელი წევრების ნახევარი, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის 42 წევრი. 60 ათასზე მეტი კომუნისტი იმყოფებოდა საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. ოკუპაციის წლებში კომპარტია იყო პარტიზანული მოძრაობის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი. კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ 1944 წლის აგვისტოში სლოვაკიისა და 1945 წლის მაისში პრაღის აჯანყებებს. საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ კომუნისტური პარტია იყო ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნების ინიციატორი და მათი ცხოვრებაში გამტარებელი.

გარდა კომუნისტური პარტიისა, 1948 წლამდე ჩეხოსლოვაკიაში არსებობდა მეორე დამოუკიდებელი მუშათა პარტია— სოციალ-დემოკრატიული პარტია. მიუნხენამდელ პერიოდში ამ პარტიის ლიდერები, წინააღმდეგ მასების სურვილისა, უარს ამბობდნენ კომუნისტებთან ერთიანი ფრონტის შექმნაზე. ისინი მონაწილეობდნენ აგრარიების რეაქციულ მთავრობებში. მაგრამ ოკუპაციის წლებში ამ პარტიის პროგრესული ელემენტები დარწმუნდნენ თავიანთ შეცდომებში, მათი პოლიტიკის დამღუპველ შედეგებში და დაადგნენ კომუნისტებთან თანამშრომლობის გზას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ინიციატივით და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერით ჯერ კიდევ 1945 წელს ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნა ეროვნული ფრონტი. მასში შევიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, სლოვაკიის კომპარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, ნაციონალურ-სოციალისტური პარტია, ჩეხიის „სახალხო“ (კათოლიკური) პარტია, სლოვაკიის „დემოკრატიული“ პარტია, სლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და სლოვაკიის „თავისუფლების“ პარტია. შემდგომში ეროვნულ ფრონტს შეუერთდნენ პროფესიული კავშირები, გლეხთა კავშირი, ახალგაზრდობის კავშირი, კოოპერაციული და მშრომელთა სხვა ორგანიზაციები. ეროვნულ ფრონტს მხარს უჭერდნენ ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის ფართო მასები, რომლებიც მოითხოვდნენ კოშიცეს პროგრამის ცხოვრებაში გატარებას.

ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელ და მაორგანიზებელ ძალას წარმოადგენდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ეროვნულ ფრონტში შემავალი პარტიების რეაქციული ელემენტებისაგან გაწმენდისა და ეროვნული ფრონტის განმტკიცების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ფრონტში შემავალმა ყველა პარტიამ და მისმა ლიდერებმა აღიარეს ეროვნული ფრონტის პროგრამა, ეროვნული ფრონტის არამუშათა პარტიების ხელმძღვანელები ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ეროვნული ფრონტის მთავრობის ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას. ისინი 1946 წლის მაისის არჩევნების შემდეგაც ეწეოდნენ მოღალატურ მოქმედებას, გამოდიოდნენ აგრარული რეფორმის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მარტო გერმანელი და უნგრელი მემამულეების მიწების კონფისკაციით დაკმაყოფილებას, გამოდიოდნენ მილიონერებზე სპეციალური გადასახადის გაწერის წინააღმდეგ და ა. შ.

არამუშათა პარტიების ლიდერთა ასეთი მოქმედება ხელს უშლიდა ეროვნული ფრონტის მთავრობას ცხოვრებაში გაეტარებინა ყველა თავისი ღონისძიება. ამიტომ მას უხდებოდა ზოგიერთი კანონის შეცვლა, ზოგი საკითხი კი სულ გადაუჭრელი რჩებოდა. ბურჟუაზიული პარტიების ლიდერთა ხელ-

ში აღმოჩნდა იუსტიცია, რამაც მათ საშუალება მისცა სასჯელისაგან გადაერჩინათ სამშობლოს მოღალატეები და მათთვის შემდგომი დანაშაულებრივი მოქმედების საშუალება მიეცათ. უფრო მეტიც, მათ ლიკვიდაცია უყვეს სახალხო სასამართლოებს, რომლებიც შექმნილი იყო სპეციალურად სამშობლოს მოღალატეების გასასამართლებლად.

ბურჟუაზიული პარტიები ეყრდნობოდნენ ადგილობრივ კაპიტალისტებს, მემამულეებს, კულაკებს, ვაჭრებს, მსხვილ ხელოსნებს, ისინი თავიანთი დემაგოგიური დაპირებებით ცდილობდნენ მიემხროთ მშრომელი მასების ნაწილი. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ისინი შედიოდნენ ეროვნულ ფრონტში. ბურჟუაზიულ პარტიებს მხარს უჭერდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც, თავის მხრივ, ვატიკანთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით ძლიერი იყო კათოლიკური ეკლესიის მოქმედება სლოვაკიაში. ერთ-ერთი არჩევნების დროს სლოვაკიის „დემოკრატიულმა" პარტიამ, კათოლიკური ეკლესიის დახმარებით, მიიღო ამომრჩეველთა ხმების 60 პროცენტი.

გარდა ვატიკანისა, ბურჟუაზიული პარტიები დაკავშირებული იყვნენ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმთან და მისგან ღებულობდნენ ყოველგვარ მხარდაჭერას და დახმარებას.

1946 წლიდან ბურჟუაზიული პარტიის ლიდერები ცვლიან ტაქტიკას და აშკარა მოქმედებაზე გადადიან. მთავრობაში, ეროვნულ კრებაში ისინი აშკარად გამოდიან დემოკრატიულ ღონისძიებათა გატარების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, დაშლილი ფაშისტური და პროფაშისტური პარტიების ყოფილი წევრები თავს იყრიან ბურჟუაზიულ პარტიებში, ხოლო ამ უკანასკნელთა ლიდერები სიამოვნებით ღებულობენ მათ თავიანთ რიგებში. ნაციონალურ-სოციალისტური, კათოლიკური და „დემოკრატიული" პარტიების ხელმძღვანელობაში მოხვდნენ აგრარული და გლინკას ფაშისტური პარტიების ყოფილი წევრები: ფეიერაბენდი, სუხი, ტიგრიდი, დუხაჩეკი, ბუგარი, კემპნი და სხვ. უფრო მეტიც: მათ ეროვნული კრების დეპუტატებადაც კი მოახერხეს გაძრომა.

ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები გამოდიოდნენ ორწლიანი გეგმის წინააღმდეგ და „არარეალურს“ უწოდებდნენ მას. 1947 წლის დასაწყისში ცნობილი რეაქციონერის ნაციონალურ-სოციალისტ გვიდას მიერ ამავე პარტიის გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში ნაციონალურ-სოციალისტები მოითხოვდნენ, რომ ნაციონალიზებული საწარმოები სააქციო საზოგადოებებს, ე. ი. ისევ კაპიტალისტებს გადაცემოდა.

საგარეო ვაჭრობაში ნაციონალურ-სოციალისტები ხელს უწყობდნენ კერძო სავაჭრო ფირმების საქმიანობას. 1948 წლის თებერვლამდე კერძო სავაჭრო ფირმების ხელში იყო ჩეხოსლოვაკიის იმპორტის 70 პროცენტი და ექსპორტის 50 პროცენტი. საგარეო ვაჭრობის სამინისტროში მოკალათებული რეაქციული ელემენტები გეზს იღებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისზე, მიუხედავად იმისა, რომ 1947 წელს ჩეხოსლოვაკიას ამ ქვეყნებთან ვაჭრობაში პასიური ბალანსი ჰქონდა 3 მილიარდ კრონზე მეტი რაოდენობით. ქვეყნის შიგნით კი ისინი ხელს უწყობდნენ სპეკულაციას, სახელმწიფო თანხების დენას უცხოეთში და აფერხებდნენ სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას საბჭოთა კავშირთან.

ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს 'მორის ბრძოლა ეკონომიურ დარგში განსაკუთრებით გამწვავდა მოუსავლიანობასთან დაკავშირებით. 1947 წლის ზაფხულის გვალვამ ქვეყნის სახალხო მეურნეობას 15 მილიარდი კრონის ზარალი მიაყენა. ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც „ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ“ ადამიანებად ასაღებდნენ თავს, მოითხოვდნენ „მარშალის გეგმის“ გავრცელებას ჩეხოსლოვაკიაზე. მათი მიზანი იყო ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკა ამერიკელი მონოპოლისტებისათვის დაემორჩილებინათ.

მაგრამ მთავრობა, ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით, წინაღუდგა უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტების ამ პროვოკაციულ განზრახვას და 1947 წლის ივლისში ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან ხანგრძლივ სავაჭრო ხელშეკრულებას, რამაც შეამსუბუქა ჩეხოსლოვაკიის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. მაშინ რეაქციულმა ელემენტებმა მიმართეს

საშინაო ვაჭრობის საბოტაჟს. ისინი მასებს მოუწოდებდნენ არ ჩაებარებინათ პური სახელმწიფოსათვის, ძირს უთხრიდნენ ფინანსურ სისტემას, თავგამოდებით იცავდნენ და მფარველობდნენ მილიონერებსა და სპეკულანტებს.

კომუნისტების წინადადებას იმის შესახებ, რომ გვალვით დაზარალებულ რაიონების მოსახლეობას გასწეოდა დახმარება მილიონერებზე საგანგებო გადასახადების გაწერის გზით, წინ აღუდგნენ ბურჟუაზიული პარტიების ლიდერები. მაშინ კომპარტიამ მიმართა ხალხს, გააცნო მას ყველა იმათი სახელი, ვინც იცავდა მილიონერებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს კომუნისტებმა, მემარცხენე სოციალ-დემოკრატების მხარდაჭერით, ცხოვრებაში გაეტარებინათ თავიანთი წინადადება. მილიონერებზე გაწერილ იქნა გადასახადი 6,5 მლდ კრონის რაოდენობით. ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით მთავრობამ შეძლო ვაჭრობიდან კაპიტალისტებისა და სპეკულანტების განდევნა.

როდესაც ეკონომიურ დარგში უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტების საბოტაჟური მოქმედება ჩაიფუშა, ისინი შეეცადნენ გამოეწვიათ პოლიტიკური კრიზისი, მოეწყოთ სახელმწიფო გადატრიალება. რეაქციონერთა ეს ცდა მხილებულ იქნა კომუნისტების მიერ, რამაც გამოიწვია საერთო-სახალხო აღშფოთება და მასების კიდევ უფრო მეტი შემჭიდროვება კომპარტიის ირგვლივ.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია იბრძოდა რეაქციული ელემენტების, უცხოეთის აგენტების წინააღმდეგ და ამავე დროს ხელს უწყობდა მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგებას. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირმა დახმარების ხელი გაუწოდა ჩეხოსლოვაკიის ხალხს — 1947 წლის შემოდგომასა და ზამთრის განმავლობაში საბჭოთა მთავრობამ ჩეხოსლოვაკიას მისცა 600 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული. ხალხის მასები სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ იმაში, რომ მათი ნამდვილი მეგობრები იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია და დიდი საბჭოთა კავშირი.

უცხოეთის აგენტები განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ სლოვაკიაში. 1947 წლის ზაფხულში აღმოჩენილ იქნა შეთქმულთა ჯგუფი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული

იყო „დემოკრატიული“ პარტიის ლიდერებთან — ბუგარსა და კემპნისთან და მთავრობის ზოგიერთ წევრთან (პრემიერ-მინისტრის მოადგილე ურსინთან). შეთქმულთა ეს ჯგუფი, როგორც გამოირკვა, მუშაობდა ვატიკანისა და ამერიკელი იმპერიალისტების დირექტივებით. მისი მიზანი იყო დემოკრატიული მთავრობის დამხობა, ჩეხოსლოვაკიაში კაპიტალიზმის რესტავრაციაᲘ და სლოვაკიის „დამოუკიდებელი მთავრობის“ შექმნა ამერიკა-ინგლისის პროტექტორატის ქვეშ.

ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები მთავრობასა და ეროვნულ კრებაში ყოველნაირად ცდილობდნენ შეთქმულების მონაწილეთა დაცვას. ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის აგენტებმა ზენკლმა, სტრანსკიმ, შრამეკმა, გალამ, ლეტრიხმა, გოჯამ და სხვებმა შექმნეს აშკარა ანტიხალხური დაჯგუფება მთავრობაში, ეროვნულ კრებასა და ეროვნულ ფრონტში. მათ მხარეზე გადავიდნენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები მაიერი და ვილიმი. ამ გარემოებამ შექმნა მეტად მძიმე პირობები ნორმალური მუშაობისათვის მთავრობასᲘ და ეროვნულ კრებაში.

მაგრამ ხალხის მასები კომპარტიის მხარეზე იყვნენ. ამას მოწმობს კომპარტიის წევრთა რიცხვის ზრდაც. მარტო 1947 წლის ნოემბერში კომპარტიის რიგებში შეევიდა 62 ათასი ახალი წევრი. მიუხედავად რეაქციული ელემენტების გამცემლური მოქმედებისა, ჩეხოსლოვაკიის ხალხმა სახალხო მეურნეობის ორწლიანი გეგმის პირველი წლის გეგმა 100 პროცენტით შეასრულა. გეგმა არ იქნა შესრულებული იმ სამინისტროების მიერ, რომელთა სათავეშიც იდგნენ ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები.

ჩეხოსლოვაკიის რეაქციული ძალების მიერ მომზადებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია 1948 წლის თებერვალში. ვაშინგტონიდან და ლონდონიდან მიღებულ განკარგულებათა საფუძველზე ბურჟუაზიულმა ელემენტებმა გადაწყვიტეს გადასულიყვნენ შეტევაზე სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ.

შეთქმულების მონაწილეთა გეგმა ასეთი იყო: ეროვნული კრების აბსოლუტური უმრავლესობა უნდობლობას გამოუცხა-

დებს კ. გოტვალდის მთავრობას და აიძულებს მას გადადგეს. თუმცა პრეზიდენტმა ისევ კომუნისტური პარტიის ლიდერს უნდა დაავალოს ახალი მთავრობის შექმნა, მაგრამ ანტიკომუნისტური ბლოკი ისეთ მოთხოვნებს წამოაყენებდა, რომლებსაც კომუნისტები არ მიიღებდნენ და მოლაპარაკება მთავრობის შედგენაზე ჩაიშლებოდა. მეორე მხრივ, კომუნისტები არ დათანხმდებოდნენ პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო ზენკლი ან სხვა მისი მსგავსი რეაქციონერი. მაშინ საჭირო გახდებოდა ახალი გამოსავალის მონახვა; ასეთ შემთხვევაში შეიქმნებოდა დროებითი მთავრობა გენერალ ბარტიკის, გენერალ ჰ. პიკის ან იინას მეთაურობით[1].

შეთქმულთა გეგმაში გათვალისწინებული იყო ამერიკის ჯარების დახმარება, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ ჩეხოსლოვაკია-ბავარიის საზღვარზე. სახელმწიფო გადატრიალება და ამერიკის ჯარების ინტერვენცია ერთდროულად უნდა მომხდარიყო. შეთქმულების მონაწილეებმა თანხმობა მიიღეს პრეზიდენტ ბენეშისაგან, რომელმაც მხარდაჭერა აღუთქვა შეთქმულებს.

კომუნისტურმა პარტიამ, როგორც კი გაიგო შეთქმულთა განზრახვა, მიიღო კონტრღონისძიებანი. შეთქმულების არსებობის ფაქტი დაადასტურა იმანაც, რომ 1948 წლის 13 თებერვალს შეუძლებელი გახდა მთავრობის სხდომის მოწვევა იმის გამო, რომ არ გამოცხადდა მისი ზოგიერთი წევრი. ამის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ც. კ.-ის პრეზიდიუმმა სპეციალურად მიმართა ჩეხოსლოვაკიის ხალხს და მოუწოდა სიფხიზლისა და მზადყოფნისაკენ.

1948 წლის 20 თებერვალს ნაციონალურ-სოციალისტური, „სახალხო" და სლოვაკიის „დემოკრატიული" პარტიების წევრმა მინისტრებმა გამოაცხადეს თავიანთი გადადგომის შესახებ. ფორმალურ საბაბად მათ გამოიყენეს ეროვნული უშიშროების კორპუსის 8 ოფიცრის სხვა სამუშაოზე გადაყვანა და

---

[1] ჰელიოდორ პიკა — ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მისიის უფროსი მოსკოვში მეორე მსოფლიო ომის დროს. შემდგომში მხილებულ იქნა, როგორც ინგლისის იმპერიალიზმის აგენტი, ჯასამართლებული და სიკვდილით დასჯილი 1949 წ. დასაწყისში.

მოითხოვეს მათი უკანვე დაბრუნება. სინამდვილეში კი ამ გადადგომის მიზანი, როგორც 1948 წლის 21 თებერვალს პრაღაში გამართულ მიტინგზე გამოსული კ. გოტვალდი ამბობდა, ის იყო, რომ შეუძლებელი გაეხადათ მთავრობის დემოკრატიული პროგრამის განხორციელება, დაეპირისპირებინათ ჩეხოსლოვაკია ყველა სლავური სახელმწიფოსათვის, პირველ რიგში საბჭოთა კავშირისათვის; ლიკვიდაცია ეყოთ დემოკრატიული წყობილებისათვის და სახალხო რევოლუციის ყველა მონაპოვარისათვის.

შეთქმულების მონაწილეებს უშუალო კავშირი ჰქონდათ ამერიკის ელჩთან პრაღაში. თებერვლის კრიზისის დაწყების წინადღით ვაშინგტონიდან დაბრუნდა ამერიკის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში შტეინჰარდტი, რომელმაც პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „მე იმედი მაქვს, რომ ჩეხოსლოვაკია შეუერთდება „მარშალის გეგმასო".

21 თებერვალს, პრაღაში სტარომესტის მოედანზე 180 ათასიანი მიტინგი მიესალმა ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ბელადს კ. გოტვალდს და ერთხმად დაუჭირა მას მხარი. ხალხის მასებმა მოითხოვეს პრეზიდენტისაგან მიეღო რეაქციონერი მინისტრების გადადგომა და შეევსო მთავრობა უფრო ღირსეული პირებით. მთელ ჩეხოსლოვაკიაში ტარდებოდა დემონსტრაციები და მიტინგები კ. გოტვალდის მთავრობის სასარგებლოდ [1].

საქარხნო საბჭოებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების ყრილობაზე მოითხოვეს ყველა იმ კერძოკაპიტალისტურ საწარმოთა ნაციონალიზაცია, რომელშიც დაკავებული იყო 50-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე, ასევე ნაციონალიზაცია მსხვილი საშინაო და საგარეო ვაჭრობისა. გლეხთა კომისიების ყრილობამ მოითხოვა ყველა იმ მიწების კონფისკაცია, რომლებიც ერთ მეურნეობაში შეადგენდა 50 ჰექტარზე მეტს, და ამ მიწების გადაცემა იმათზე, ვინც მას ამუშავებდა. ყრილობამ გადაჭრით მოითხოვა მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია და კულაკობის ალაგმვა ახალი აგრარული რეფორმის გატარების გზით.

---

[1] იხ. ა. სვობოდა და სხვ., ასე იყო თებერვალში, 1950 წ.

პრეზიდენტი ბენეში 5 დღის ყოყმანის შემდეგ იძულებული გახდა მიეღო რეაქციონერი მინისტრების გადადგომა და გოტვალდის წინადადება მთავრობის კრიზისისათვის ბოლოს მოღების შესახებ. ახალი მთავრობის შედგენა დაეკალა კ. გოტვალდს. 25 თებერვალს შედგენილ იქნა ახალი მთავრობა, რომელშიც 22 ადგილიდან 12 ადგილი მიიღეს კომუნისტებმა, ხოლო დანარჩენი ადგილები გაინაწილეს სოციალ-დემოკრატიული, ნაციონალურ-სოციალისტური, „სახალხო", სლოვაკიის „დემოკრატიული" და სლოვაკიის „თავისუფლების" პარტიების იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ეროვნული ფრონტის პროგრამას. პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის პოსტი დაიკავა ანტონინ ზაპოტოცკიმ.

ამრიგად, 1948 წლის თებერვალში რეაქცია დამარცხდა. გაიმარჯვა ხალხმა კომპარტიის მეთაურობით. ჩეხოსლოვაკიის ხალხის ეს გამარჯვება იყო იმ ბრძოლის შედეგი, რომელსაც კომპარტია ატარებდა სამი წლის განმავლობაში, დაწყებული 1945 წლის მაისიდან. კ. გოტვალდი ამბობდა: „თებერვლის შემდეგ გაისმა ზოგიერთი ამხანაგის ხმა იმის შესახებ, რომ ჩვენ ტყუილუბრალოდ დავკარგეთ დრო 1945 წლის მაისსა და 1948 წლის თებერვალს შორის. ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ 1948 წლის თებერვალში, შეიძლებოდა გაგვეკეთებინა 1945 წლის მაისში. ამგვარი მსჯელობანი სრულიად უსაფუძვლოა. იმისათვის, რათა მიღწევები მოგვეპოვებინა თებერვალში, აუცილებელი იყო მიგვეღწია რეაქციული ელემენტების იზოლაციისათვის, საჭირო იყო გვემხილებინა რეაქციული პარტიები ხალხის მასების წინაშე, საჭირო იყო მათი იზოლაცია"[1].

1948 წლის თებერვლის შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიის განვითარებაში. ხალხის მასების უმრავლესობამ თავის ბელადად აღიარა კომუნისტური პარტია, ბურჟუაზია კი იზოლირებული აღმოჩნდა.

თებერვლის გამარჯვებას მოჰყვა ქვეყნის ახალი ეკონომიური და პოლიტიკური გარდაქმნები. მარტის პირველ რიცხვებში

[1] „პრავდა", 1948 წ. 20 ნოემბერი.

ეროვნულმა კრებამ ნდობა გამოუცხადა კ. გოტვალდის ახალ მთავრობას და მოიწონა თებერვლის ამბების შედეგები. 10 მარტს ეროვნულმა კრებამ მიიღო ახალი მთავრობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა:

1. ხალხის მასების გადაწყვეტილების საფუძველზე იმ საწარმოების ნაციონალიზაცია, სადაც დაკავებული იყო 50-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე და 50 ჰექტარზე მეტი მიწის კონფისკაცია;

2. ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემა იმ საწარმოებისათვის, სადაც გაერთიანებულია არა უმეტეს 50 მუშა-მოსამსახურისა და იმ მეურნეობებისათვის, რომელთა ფართობი არ აღემატება 50 ჰექტარს;

3. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა საყოველთაო სოციალური დაზღვევის დაკანონება;

4. წვრილ მიწისმესაკუთრეთა მნიშვნელოვანი ნაწილის გათავისუფლება გადასახადებისაგან და გადასახადების შემცირება მიწის წვრილი და საშუალო მესაკუთრეებისათვის;

5. საგარეო და საშინაო სანარდო ვაჭრობის ნაციონალიზაცია;

6. ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელიც განამტკიცებდა ჩეხოსლოვაკიის ხალხის მიღწევებს.

კ. გოტვალდის მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგა ზემოხსენებული პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. მრეწველობის ახალი ნაციონალიზაციის შედეგად გაიზარდა სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი. ამ ღონისძიებათა შედეგად ჩეხოსლოვაკიის ნაციონალიზებული მრეწველობა 1949 წლის ბოლოსათვის შეადგენდა მთელი მრეწველობის 95 პროცენტს.

ნაციონალიზებულ იქნა საშინაო სანარდო ვაჭრობა; საგარეო ვაჭრობა გადავიდა სახელმწიფოს ხელში. მაგრამ მსხვილ ვაჭრობაში კერძო კაპიტალი ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად აღმოფხვრილი.

1948 წლის მარტში ეროვნულმა კრებამ მიიღო ახალი კანონი აგრარული რეფორმის შესახებ. ამ კანონით მსხვილ მიწათმფლობელებს ჩამოერთვათ კიდევ 1,4 მილიონი ჰექტარი მიწა; მიწის კერძო საკუთრება განისაზღვრა 50 ჰექტარით;

ახალი აგრარული რეფორმის შედეგად 200 ათასი გლეხის ოჯახმა მიიღო 2 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა. შეიქმნა 200-ზე მეტი სახელმწიფო მეურნეობა, ლიკვიდირებულ იქნა მსხვილი მემამულური მეურნეობა. დადგენილ იქნა პრინციპი: „მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მას ამუშავებს". გლეხებმა მიიღეს 12 ათასი ტრაქტორი.

გაფართოვდა და განმტკიცდა სახალხო-დემოკრატიული წყობილების ეკონომიური და პოლიტიკური ბაზა. თებერვლის შეთქმულების ლიკვიდაციის შემდეგ ეროვნულმა კრებამ მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი კანონები, რომელთა დამტკიცებას მანამდე აფერხებდნენ რეაქციონერები,—მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლების, სახალხო განათლების, სოციალური დაზღვევისა და სხვა დარგში. კანონმა ერთიანი სკოლის შესახებ ფართო გზა გაუხსნა მუშებისა და გლეხების შვილებს საშუალო და უმაღლესი განათლების მისაღებად.

ხალხის მასებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი მთავრობის ყველა ღონისძიებას. ამაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ 1948 წლის თებერვლის გეგმა შესრულებულ იქნა 102,3 პროცენტით, მარტისა კი — 106 პროცენტით. ჩეხოსლოვაკიის ხალხმა გადაწყვიტა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი გეგმა შეესრულებინა ვადაზე ადრე — 1948 წლის 28 ოქტომბრისათვის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის 30 წლისთავისათვის.

1948 წლის თებერვალში, როცა დადასტურდა, რომ ჩეხოსლოვაკიის ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები ეწეოდნენ მუშაობას უცხოეთის იმპერიალიზმის სასარგებლოდ და ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას, საქარხნო საბჭოების, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და გლეხთა კომისიების წარმომადგენელთა ყრილობაზე გადაწყდა შექმნილიყო ახალი ეროვნული ფრონტი, როგორც მუშების, გლეხებისა და ყველა მშრომელთა ნამდვილი კავშირი. შეიქმნა ახალი ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ კომუნისტური, სოციალ-დემოკრატიული, ნაციონალურ-სოციალისტური და „სახალხო" პარტიების წარმომადგენლები, აგრეთვე პროფკავშირების, წინააღმ-

დეგობის მოძრაობის ორგანიზაციის ყოფილი მონაწილეების, ახალგაზრდობის, კოოპერატივების, გლეხთა და ინტელიგენციის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამიერიდან მთელ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე იქმნება ეროვნული ფრონტის მოქმედების კომიტეტები, რომლებიც გახდნენ სახალხო მოძრაობის ნამდვილი ცენტრი, რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი. ახალი ეროვნული ფრონტი გახდა მასობრივი, სახალხო ორგანიზაცია. 1948 წლის ივნისში ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტია გაერთიანდა კომუნისტურ პარტიასთან. ამ აქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასის ერთიანობისათვის.

1948 წლის თებერვლის ამბების შემდეგ მთავრობამ და ეროვნულმა კრებამ დააჩქარეს ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. იმავე წლის აპრილში კონსტიტუციის პროექტი მზად იყო, იგი მოიწონა ეროვნულმა ფრონტმა. 18 აპრილს დაიწყო კონსტიტუციის პროექტის საერთო სახალხო განხილვა. ხალხმა მოიწონა ის.

ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლები ეროვნულ კრებაში ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ 1920 წლის მარტის კონსტიტუცია, რომელიც ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს იცავდა. მათ უნდოდათ პრეზიდენტთან შექმნილიყო რესპუბლიკის საბჭო, რათა ის სახალხო წარმომადგენელთა ორგანოსათვის დაეპირისპირებინათ; მოითხოვდნენ ეროვნულ კრებაზე კონსტიტუციის კონტროლის დამყარებას და სხვ. რეაქციონერთა ეს ცდაც მარცხით დამთავრდა.

საბჭოთა არმიის მიერ პრაღის განთავისუფლების მესამე წლისთავზე, 1948 წლის 9 მაისს, ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ ერთხმად მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც ასახავს ჩეხოსლოვაკიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ძირითად ცვლილებებს. კონსტიტუციამ იურიდიულად განამტკიცა ჩეხოსლოვაკიის ხალხის სოციალური და პოლიტიკური მონაპოვარი.

კონსტიტუციის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო არის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც მთელი სახელმწიფო ძალაუფლება ხალხს

ეკუთვნის. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით, რომელთა არჩევნები ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი გზით ფარული კენჭისყრის საფუძველზე[1].

კონსტიტუცია აძლევს ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებს ფართო უფლებებს (§1 — 38): შრომის, დასვენების, მკურნალობის, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებას და სხვ. ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს განათლება, კანონის წინაშე ყველა თანასწორუფლებიანია. ჩეხოსლოვაკიაში კანონით დაცულია სინდისის, სიტყვის, პრესის და კრების თავისუფლება.

ახალი კონსტიტუციით საარჩევნო უფლებით სარგებლობს ყველა მოქალაქე, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო არჩეულ შეიძლება იყოს 21 წლის ყველა მოქალაქე.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენენ სოფლის, ქალაქის, რაიონისა და ოლქის სახალხო (ეროვნული) კომიტეტები, რომლებიც ჯერ კიდევ ოკუპაციის პერიოდში წარმოიშვნენ. ეროვნული კომიტეტები ადგილებზე წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების სრულუფლებიან ორგანოებს. ისინი განაგებენ შინაგან მმართველობას, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებს, შრომის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა საქმეებს. ეროვნული კომიტეტები ემორჩილებიან მთავრობის ორგანოებს, განსაკუთრებით — შინაგან საქმეთა სამინისტროს (§123 — 133).

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ეროვნული კრება, რომელიც შედგება 300 წევრისაგან და ირჩევა 6 წლით. ეროვნული კრების სესიას იწვევს პრეზიდენტი წელიწადში ორჯერ — გაზაფხულზე (მარტში) და შემოდგომაზე (ოქტომბერში). ეროვნული კრების რიგგარეშე სესია შეიძლება მოწვეულ იქნას პრეზიდენტისა ან ეროვნული კრების შემადგენლობის ნახევრის მოთხოვნით. ეროვნული კრების სხდომას ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე. ეროვნული კრება გა-

---

[1] იხ. „ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და ძირითადი საკანონმდებლო აქტები", 1950.

დაწყვეტილებას ღებულობს ხმის უმრავლესობით. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სხდომას ესწრებოდეს მთელი შემადგენლობის არა ნაკლებ 1/3-სა. ეროვნული კრების მიერ მიღებულ კანონს ხელს აწერენ პრეზიდენტი, ეროვნული კრების თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და ის მინისტრი, რომელსაც დავალებული აქვს ამ კანონის ცხოვრებაში გატარება (§ 39 — 62).

ეროვნული კრება ერთი წლის ვადით ირჩევს ეროვნული კრების პრეზიდიუმს (§ 63 — 66), რომელიც 24 წევრისაგან შედგება, მათ შორის ეროვნული კრების თავმჯდომარესა და მის მოადგილეს. ეროვნული კრების პრეზიდიუმი პასუხს აგებს ეროვნული კრების წინაშე და ანგარიშს აბარებს მას. ეროვნული კრების სესიებს შორის ეროვნული კრების პრეზიდიუმი ასრულებს მის მოვალეობას, ე. ი. ცვლის ეროვნულ კრებას. მაგრამ მას არა აქვს უფლება აირჩიოს პრეზიდენტი ან შეცვალოს კონსტიტუცია.

ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას ჩეხოსლოვაკიის ყოველი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 35 წელი. მას ირჩევს ეროვნული კრება 7 წლით. პრეზიდენტის უფლებები საკმაოდ დიდია (§ 67 — 79): უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების დადება და რატიფიცირება, ელჩების მიღება და აკრედიტება, მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე საომარი მდგომარეობის გამოცხადება, ეროვნული კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ომის გამოცხადება; პრეზიდენტი არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების მეთაური. იგი იწვევს და ითხოვს ეროვნულ კრებას, ხელს აწერს ეროვნული კრების მიერ მიღებულ კანონებს, რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კრებას ამა თუ იმ ღონისძიების გატარებაზე (პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს ეროვნული კრების დეპუტატი); ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და მთავრობის სხვა წევრებს, უფლება აქვს დაესწროს და უხელმძღვანელოს მინისტრთა საბჭოს სხდომას, აქვს ამნისტიის უფლება და სხვ.

ხელისუფლების აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენს მინისტრთა საბჭო; იგი შესდგება

პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და წევრებისაგან. მთავრობას ნიშნავს პრეზიდენტი, რომლის შემდეგ ნდობის მისაღებად იგი წარსდგება ეროვნული კრების წინაშე. მთავრობა თავის მუშაობაში ანგარიშვალდებულია ეროვნული კრების წინაშე. მთავრობა მოქმედებს კონსტიტუციისა და ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონების საფუძველზე. მთავრობის მუშაობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, ის თვალყურს ადევნებს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებები და განკარგულებები სავალდებულოა ჩეხოსლოვაკიის მთელ ტერიტორიაზე (§ 80 — 92).

1948 წლის 30 მაისს ჩეხოსლოვაკიაში დანიშნულ იქნა ახალი არჩევნები. ამ არჩევნებში კომპარტიამ გადაწყვიტა გამოსულიყო ეროვნული ფრონტის სხვა პარტიებთან ერთად კანდიდატთა ერთიანი სიით. არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის ისტორიაში. მას უნდა გადაეწყვიტა საკითხი: „მთავრობისათვის თუ მთავრობის წინააღმდეგ? სახალხო-დემოკრატიული რეჟიმისათვის თუ მის წინააღმდეგ? რესპუბლიკისათვის თუ რესპუბლიკის წინააღმდეგ?“.

ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარება მოითხოვდა ყველა პროგრესული ელემენტის გაერთიანებას საერთო პროგრამის ირგვლივ — სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის ირგვლივ. ამიტომ გამოვიდა კომპარტია ერთიანი სიით არჩევნებში.

ეროვნული კრების არჩევნები აღმავლობის ვითარებაში ჩატარდა. ამ არჩევნებმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იწონებს ეროვნული ფრონტის პროგრამას და მთავრობის ღონისძიებებს და მტკიცედ უჭერს მხარს რესპუბლიკის დემოკრატიულ მთავრობას.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ყველა ამომრჩეველთა 93,5 პროცენტმა. ხმების 90 პროცენტი მიიღეს ეროვნული ფრონტის კანდიდატებმა. მუშათა რაიონებში კლადნოში, ხომუტოვოში და სხვ. ეროვნული ფრონტის ბლოკს ხმა მისცა ამომრჩეველთა 97 — 99 პროცენტმა. ხალხმა ნდობა გამოუცხა-

და კომპარტიას და ეროვნული ფრონტის პოლიტიკას. მაისის არჩევნებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თებერვლის გამარჯვება.

მაისის არჩევნების შედეგად ეროვნული კრების 300 ადგილი განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 214 ადგილი, სოციალ-დემოკრატიულმა — 23, სოციალისტურმა (ყოფილი ნაციონალურ-სოციალისტური) პარტიამ—23, „სახალხო" პარტიამ—23, სლოვაკიის „დემოკრატიულმა" პარტიამ — 12, სლოვაკიის „თავისუფლების" პარტიამ — 5. კომპარტიასთან სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანების შემდეგ (1948 წ. 27 ივნისი) ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას ეროვნულ კრებაში ჰქონდა 237 ადგილი, ე. ი. ყველა ადგილის 79 პროცენტი. „ეს წარმოადგენს იმის გარანტიას, — ამბობდა კ. გოტვალდი, — რომ მომავალში ქვეყანაში შესაძლებელი იქნება გაცილებით უფრო ჩქარა განმტკიცდეს და შემდგომში განვითარდეს სახალხო-დემოკრატიული წყობილება".

1948 წლის ივნისის დასაწყისში პრეზიდენტი ბენეში გადადგა. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალურმა კომიტეტმა პრეზიდენტობის პოსტზე წამოაყენეს ჩეხოსლოვაკელი ხალხის საყვარელი შვილის კლემენტ გოტვალდის კანდიდატურა. ხალხის მასებმა მხარი დაუჭირეს მის კანდიდატურას.

ეროვნულმა კრებამ 1948 წლის 14 ივნისს 300 დეპუტატიდან 296 დეპუტატის მონაწილეობით ერთხმად აირჩია კლემენტ გოტვალდი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტად. ამან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ხალხის ფართო მასები კომპარტიას უჭერდნენ მხარს. ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელი მიესალმებოდა ახალ პრეზიდენტს, მის ხელმძღვანელობაში ხედავდა იმის მტკიცე საწინდარს, რომ ქვეყანა წავიდოდა დემოკრატიისა და სოციალიზმის გზით.

პრეზიდენტ კ. გოტვალდის დავალებით, იმავე წლის 15 ივნისს ახალი მთავრობა შეადგინა კომუნისტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ. ახალი მთავრობის 23 წევრიდან 16 კომუნისტი იყო.

ეროვნულმა კრებამ მოიწონა ახალი მთავრობის პროგრამა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა:

1. სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი გეგმის შესრულება და ხუთწლიან გეგმაზე გადასვლისათვის ნიადაგის მომზადება;

2. ახალი კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარება;

3. სსრ კავშირისა და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება.

ამგვარად, 1948 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიაში დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამ გამოიწვია საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შეცვლა. ექსპლოატატორთა კლასები — კაპიტალისტები და მემამულეები ლიკვიდირებულ იქნენ. ამჟამად ძირითად კლასებს წარმოადგენენ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან და სადაც ხელმძღვანელ როლს ასრულებს მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

თავი მეოთხე

ჩეხოსლოვაკიის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფართობი შეადგენს 127,8 ათას კვ კილომეტრს, მოსახლეობა — 12,6 მილიონ კაცს. მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენს ორი მოძმე სლავი ხალხი — ჩეხები და სლოვაკები. ჩეხებს უკავიათ რესპუბლიკის დასავლეთი, ხოლო სლოვაკებს — აღმოსავლეთი ნაწილი. მიუნხენამდელ ჩეხოსლოვაკიაში ისინი შეადგენდნენ მოსახლეობის 66 პროცენტს, ახლა კი შეადგენენ 90 პროცენტს. სლოვაკიის სამხრეთ რაიონებში ცხოვრობს რამდენიმე ასეული ათასი უნგრელი, აღმოსავლეთით, სსრ კავშირის საზღვრებთან, 100 ათასამდე უკრაინელი და სილეზიის რაიონში დაახლოებით 60 ათასი პოლონელი.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყველა ხალხი თანასწორუფლებიანია. სილეზიის რაიონში მცხოვრები პოლონელი მოსახლეობისათვის გახსნილია სპეციალური სკოლები, სადაც პოლონელი ახალგაზრდობა განათლებას ღებულობს მშობლიურ ენაზე. პოლონელ მოსახლეობას გააჩნია საკუთარი თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები. უკრაინელებისათვის, რომლებიც პრეშოვის ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, გახსნილია რუსული და უკრაინული სკოლები. ქ. პრეშოვში არსებობს ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს კადრებს ჩეხოსლოვაკიის რუსული და უკრაინული სკო-

ლებისათვის. აქვე გამოდის გაზეთები რუსულ და უკრაინულ ენებზე.

ჩეხოსლოვაკიის იმ სასაზღვრო რაიონებში, რომლებიც გერმანიასა და ავსტრიას ეკვრიან, ომამდე და ომის პერიოდში ცხოვრობდნენ გერმანელები — დაახლოებით 4 მილიონი კაცი (1944 წელს). მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გაიქცა ომის პერიოდში ჩეხოსლოვაკიიდან ჰიტლერელების განდევნასთან დაკავშირებით, ხოლო დანარჩენი კი, პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად, 1947 წლის შუა რიცხვებში გადასახლებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან. ყოფილ გერმანულ რაიონებში ჩასახლდნენ ჩეხები და სლოვაკები. ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში ცხოვრობს დაახლოებით 200 ათასი გერმანელი.

ბოლო მოეღო უთანასწორობას და ეროვნულ შუღლს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში. აქ მცხოვრები ხალხები ამჟამად შეგობრულ ურთიერთობაში არიან და ეხმარებიან ერთმანეთს დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის მშენებლობის საქმეში. ჩეხოსლოვაკიაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად უდევს ლენინ — სტალინის მოძღვრება ერთა თანასწორობის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიულ წყობილების დამყარებასთან დაკავშირებით შეიცვალა მისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიურ-გეოგრაფიული მდგომარეობა. მისი ტერიტორია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭიმულია 160 — 190 კმ-ზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ — 750 კმ-ზე.

მიუნხენამდელი ჩეხოსლოვაკიისაგან განსხვავებით, რომელიც გარშემორტყმული იყო ფაშისტური სახელმწიფოებით, ამჟამად ჩეხოსლოვაკიას უმთავრესად დემოკრატიული სახელმწიფოები ესაზღვრებიან.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას აღმოსავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრება დიდი საბჭოთა კავშირი (ომამდე აღმოსავლეთით ჩეხოსლოვაკიას ესაზღვრებოდა პოლონეთი და რუმინეთი), რაც ხელს უწყობს ორივე ქვეყანას შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობის განვითარებას. ჩრდილოეთიდან ჩეხოსლოვაკიას ესაზღვრება პოლონეთის



ჩეხოსლოვაკიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური რუკა.

სახალხო რესპუბლიკა, რომელიც მეგობრულ ურთიერთობაშია ჩეხოსლოვაკიასთან. ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩეხოსლოვაკიას ესაზღვრება გერმანია (გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საზღვარი შეადგენს 459 კმ), რომელთანაც საზღვარი, ომამდელ პერიოდთან შედარებით, თითქმის ორჯერ შემცირდა. სამხრეთით ავსტრია (საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ზონა) და მეგობრული სახალხო-დემოკრატიული უნგრეთი[1].

გეოგრაფიული თვალსაზრისით ჩეხოსლოვაკია ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ჩეხია-მორავიის პლატო (დასავლეთით) და კარპატების მთაგორიანი მხარე (აღმოსავლეთით). ჩეხია გარშემორტყმულია შუმავის (ბოჰემიის) მთით, მადნიანი მთებით, სუდეტებისა და მორავიის მაღლობებით. ჩეხია-მორავიის პლატოს აღმოსავლეთ ნაწილს შეადგენს მორავია, რომელსაც ჩრდილოეთიდან ეკვრის ქვანახშირით მდიდარი სილეზიის ოლქი. მორავიისა და სილეზიის აღმოსავლეთით იწყება კარპატები, რომლებსაც სლოვაკიის უმეტესი ნაწილი უჭირავს. აქ მდებარეობს ცნობილი ტატრის მასივი (სიმაღლე 2 660 მეტრი), რომელიც განთქმულია თავისი ლამაზი კლდოვანი მწვერვალებით.

ჩეხოსლოვაკია სახმელეთო ქვეყანათა რიცხვს ეკუთვნის, მაგრამ დღევანდელი ჩეხოსლოვაკია ამას გაცილებით ნაკლებად გრძნობს, ვიდრე მიუნხენამდელი ჩეხოსლოვაკია. ეს აიხსნება მასთან მეგობრულად განწყობილი მეზობელი სახელმწიფოების არსებობით. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხოსლოვაკიის

---

[1] ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საზღვრების საერთო სიგრძე ამჟამად გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მეორე მსოფლიო ომამდე იყო:

	1937 წ.	1947 წ.
სსრ კავშირთან	—	98
გერმანიასთან	1 544	815
პოლონეთთან	984	1 391
უნგრეთთან	832	690
ავსტრიასთან	558	558
რუმინეთთან	201	—
სულ	4 119	3 552

რესპუბლიკა ზღვებიდან ასეული კილომეტრებითაა დაშორებული, მას აქვს თავისუფალი ურთიერთობის საშუალება ბალტიის ზღვასთან მეგობრული პოლონეთის ტერიტორიის გავლით. ამას ემატება წყალსავალი გზა მდ. ოდრით (ოდერი), რომელიც სილეზიის ოლქში იწყება და ბალტიის ზღვას ერთვის.

სამხრეთ ევროპის ქვეყნებს ჩეხოსლოვაკია უკავშირდება უნგრეთის ტერიტორიის გავლით. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს წყალსავალი გზა მდ. დუნაიზე, რომელიც გადის სლოვაკიის სამხრეთ განაპირა კუთხის ტერიტორიაზე. სამაგიეროდ ჩეხოსლოვაკია სრულ საშუალებას აძლევს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთს იქონიონ ნორმალური კავშირი, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის გავლით, უნგრეთთან, რუმინეთთან და ბულგარეთთან.

ჩეხოსლოვაკიის ჰავა ხასიათდება ზომიერ-კონტინენტალობით და ნალექების საკმაო რაოდენობით. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩეხოსლოვაკიის მდებარეობას. ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის თითქმის ნახევარი ზღვის დონიდან 200—500 მეტრის სიმაღლეზეა. მთელი ტერიტორიის მხოლოდ 2 პროცენტი მდებარეობს 1250 მეტრზე ზემოთ ზღვის დონიდან. ძირითადი სამიწათმოქმედო რაიონებისათვის, რომლებიც ზღვის დონიდან 350—450 მეტრზე მდებარეობენ, დამახასიათებელია მსუბუქი ზამთარი და თბილი ზაფხული. სლოვაკიაში ჰავის კონტინენტალობა უფრო მკვეთრადაა გამოხატული, ვიდრე ჩეხოსლოვაკიის დასავლეთ ნაწილში. აქ ზამთარი გაცილებით უფრო მკაცრია.

პრაღაში, რომელიც ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, იანვრის საშუალო ტემპერატურა უდრის მინუს 1,5°, ხოლო ივლისისა — პლუს 19,2°.

სამი დიდი მდინარის: ოდრის (ოდერი), ლაბას (ელბა) და დუნაის მხოლოდ მცირე ნაწილი ეკუთვნის ჩეხოსლოვაკიას. პირველი ორი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე იღებს სათავეს, ხოლო მესამის მხოლოდ შუა ნაწილი გადის სლოვაკიის სამხრეთ რაიონში — 172 კმ-ის მანძილზე. მდ. ლაბას სიგრძე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე უდრის 500 კმ-ს, ხოლო

ოდრის—132 კმ-ს. სხვა მდინარეებიდან შეიძლება დასახელებულ იქნან: ვლტავა, იიგლავა, მორავა, ნიტრა, ონდავა, ლაბორეცი.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ კმ-ზე 250—500 კაცს შეადგენს. ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია პრაღის მიდამოები, ჩრდილოეთისა და დასავლეთის სამრეწველო ოლქები. ყველაზე ნაკლებად კი — მაღალმთიანი რაიონები: ტატრის ოლქი (სლოვაკიაში), შუმავის მიდამოები და ჩეხიის ტყიანი რაიონები. ამ რაიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ კმ-ზე შეადგენს დაახლოებით 40 კაცს.

1950 წლის ცნობებით ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში ცხოვრობდა მოსახლეობის 41,3 პროცენტი. პრაღაში იყო 951 ათასი მცხოვრები, ბრნოში — 276 ათასი, ბრატისლავაში — 184 ათასი, ოსტრავაში — 180 ათასი და პლზენში — 121 ათასი. დანარჩენ ქალაქებში კი 100 ათასზე ნაკლები მცხოვრებია თითოეულში.

ჩეხებმა და სლოვაკებმა, მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში მათ მიწა-წყალზე გერმანელი და უნგრელი დამპყრობლების ბატონობისა, შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული კულტურა და ტრადიციები. ამჟამად ჩეხები და სლოვაკები შეადგენენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ორ მეგობრულად განწყობილ ხალხს. ეს სლავური ტომები ჯერ კიდევ ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ ერთად, შეადგენდნენ ერთ სახელმწიფოს. მათ ერთად მიიღეს ქრისტიანობა. ჩეხმა და სლოვაკმა ხალხებმა ევროპაში პირველად წამოაყენეს ლოზუნგი რწმენის თავისუფლების, ხალხის ხელისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის შესახებ. ისინი საუკუნეების განმავლობაში ხელიხელჩაკიდებული იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ფეოდალური ექსპლოატატორებისა და ჰაბსბურგების დინასტიის წინააღმდეგ.

ჩეხი და სლოვაკი ხალხები პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს გაერთიანებული ძალებით იბრძოდნენ გერმანია-ავსტრიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და. რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით

აღფრთოვანებულებმა, 1918 წლის ოქტომბერში შექმნეს თავიანთი დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო. მაშინ ჩეხი და სლოვაკი ხალხები იბრძოდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისათვის, მაგრამ ბურჟუაზიულ-მემამულური წრეების მოქმედების შედეგად, რომელთა ზურგსუკან ანტანტა იდგა, ეს შეუძლებელი გახდა. ოკუპაციის წლებში ჩეხი და სლოვაკი ხალხები საერთო ძალით იბრძოდნენ უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

დღევანდელი ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩეხი და სლოვაკი ხალხები თანასწორი უფლებებით სარგებლობენ. ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციის მეორე მუხლის პირველ პარაგრაფში ნათქვამია: „ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა ორი თანასწორუფლებიანი სლავი ხალხის—ჩეხებისა და სლოვაკების ერთიანი სახელმწიფოა“.

მიუნხენამდელი ჩეხოსლოვაკია დაყოფილი იყო ჩეხიად, მორავიად, სილეზიად და ა. შ. ევროპის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ 1948 წლის ბოლოს პირველმა დაამტკიცა რესპუბლიკის ახალი დაყოფა. ამ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა სსრ კავშირის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფის გამოცდილება. 1949 წლის დასაწყისიდან ჩეხოსლოვაკია დაიყო 19 ოლქად; აქედან სლოვაკიაზე მოდის ექვსი ადმინისტრაციულ-ეკონომიური ოლქი (ბრატისლავის, ნიტრას, ბანსკა-ბისტრიცის, ჟილინის, კოშიცესა და პრეშოვის), ხოლო დანარჩენი 13 (პრაღის, ჩესკებუდეიოვიცეს, პლზენის, კარლოვი ვარის, უსტის, ლიბერეცის, გრადეც-კარლოვეს, პარდუბიცეს, იგლავას, ბრნოს, ოლომოუცის, გოტვალდოვის, ოსტრავას) ჩეხოსლოვაკიის დანარჩენ ნაწილზე. ოლქები დაყოფილია რაიონებად. ამჟამად სულ 269 რაიონია, მათ შორის 89 სლოვაკიაში. რაიონები იყოფა თემებად. გარდა ამისა, დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულის უფლებებით სარგებლობს 10 ქალაქი და დასახლებული პუნქტი: პრაღა, პლზენი, ლიბერეცი, ბრნო, ოლომოუცი, ოპავა, ოსტრავა, ბრატისლავა, კოშიცე და სოფელი ვისოკი ტატრი.

ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, სადაც სლოვაკები წარმოდგენილი არიან თანასწორი უფლებებით ჩეხებთან ერთად, სლოვაკიაში არსებობს ავტონომიური ხელისუფლება: სლოვაკიის ეროვნული საბჭო და მასთან არსებული რწმუნებულთა კოლეგია. სლოვაკიის ამ ავტონომიური ორგანოების მიზანია რესპუბლიკის სხვა ორგანოებთან ერთად შექმნან ხელსაყრელი პირობები ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური, კულტურული და სოციალური განვითარებისათვის.

ჩეხოსლოვაკია წიაღისეულით საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა. ქვანახშირის მარაგი უდრის 6 — 7 მილიარდ ტონას. აღსანიშნავია ოსტრავა-კარვინის აუზი სილეზიაში, კლადნოსა და პლზენის აუზები პრაღის დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთში. მურა ნახშირის მარაგი შეადგენს დაახლოებით 12 მილიარდ ტონას. მისი ძირითადი რაიონებია მოსტისა და სოკოლოვის აუზები (დასავლეთი ჩეხია). ჩეხია-მორავიის პლატოს წიაღი შეიცავს რკინისა და ფერადი ლითონების გარკვეულ მარაგს.

მადნიან მთებში, გერმანიის საზღვრის მახლობლად, არის ურანის საბადო. სლოვაკიის კარპატისპირა ოლქებში მოიპოვება რკინის მადანი, ნახშირი, ნავთობი, ფერადი ლითონები. მათი მარაგი ჯერ-ჯერობით მთლიანად ვერაა დადგენილი, რამდენადაც სლოვაკია გეოლოგიურად ჯერ კიდევ არაა საკმაოდ შესწავლილი. ჩრდილო-დასავლეთით, მადნიანი მთების ძირში, ბევრი მინერალური წყაროა. აქ არის ევროპაში ცნობილი კურორტები, მათ შორის კარლოვი-ვარი (კარლსბადი). ჩეხოსლოვაკია მდიდარია ჰიდროენერგიით, მისი მარაგი შეადგენს 3 მილიონ კილოვატსაათს.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის 30 პროცენტზე მეტი დაფარულია ტყით. ჭარბობს წიწვიანი ჯიშები, კერძოდ, ნაძვი, განსაკუთრებით დასავლეთში. სლოვაკიაში წიწვიან ტყეებს ნაკლებად ვხვდებით, აქ უფრო გავრცელებულია წიფლისა და მუხის ტყეები. წიფლის სიმაღლე 60 — 80 მეტრს აღწევს.

ჩეხოსლოვაკიას გააჩნია ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის. მართალია, მას არ ყოფნის ბუნებრივი რესურსები ქვეყნის მზარდი ინდუსტრიის შემდგომი განვითა-

რებისათვის, მაგრამ საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიური და მეგობრული ურთიერთობა საშუალებას აძლევს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას ყოველმხრივ უზრუნველყოს თავისი სახალხო მეურნეობა ყველა საჭირო ნედლეულით.

წიაღისეული სიმდიდრეების მხრივ ჩეხოსლოვაკია შეიძლება დაყოფილ იქნას ოთხ ძირითად რაიონად: 1) ჩეხიის დასავლეთი ნაწილი, სადაც არის მურა ნახშირი, კაოლინი, კვარცის ფხვნილი, პოლიმეტალები და მინერალური წყაროები; 2) ჩეხიის ცენტრალური ნაწილი; აქ მოიპოვება ქვანახშირი, რკინის მადანი, თიხა, მერგელი, პოლიმეტალები; 3) სილეზიის ქვანახშირის აუზი და 4) ცენტრალური სლოვაკიის აუზი (რკინა, მარგანეცი, სურმა, სპილენძი. ვერცხლისწყალი, მაგნეზიტი და სხვ.).

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის განვითარების მხრივ სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს შორის მას პირველი ადგილი უჭირავს. სამრეწველო პროდუქციის დონით მოსახლეობის თვითეულ სულზე ჩეხოსლოვაკიას მსოფლიოში მეხუთე-მეექვსე ადგილი უკავია. 1947 წელს ჩეხოსლოვაკიის შემომქმედი მოსახლეობის 28 პროცენტი ჩაბმული იყო სოფლის მეურნეობაში, ხოლო 36,2 პროცენტი — მრეწველობასა და ხელოსნობაში.

ჩეხოსლოვაკიის მრეწველობა მრავალფეროვანია. განსაკუთრებით განვითარებულია სამთო-მოპოვებითი (კერძოდ ქვანახშირის) საქმე, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, საფეიქრო, მინის, ფაიფურის, ფეხსაცმლის, ხის დამმუშავებელი მრეწველობა, შაქრის წარმოება. ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფანტულია ქვეყნის პატარა ქალაქებში. ამიტომ ისეთ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოსახლეობა 2 ათასიდან 20 ათასამდე კაცს შეადგენს, ცხოვრობს მეტი მოსახლეობა (27,6 პროცენტი), ვიდრე დიდ და საშუალო ქალაქებში, სადაც 20 ათასიდან 100 ათასამდე მცხოვრებია (21,6 პროცენტი).

მრეწველობის განვითარების მხრივ ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა იყოფა ოთხ ძირითად სამრეწველო რაიონად: პრაღა-პლზენის, ოსტრავისა, პოდკრუშნოგორისა და სუდეტების რაიონებად. პირველი სამი რაიონის მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდება. გარდა ზემოხსენებული ოთხი ძირითადი რაიონისა, ჩეხოსლოვაკიის მთელ რიგ ცალკეულ ქალაქებში (ბრნოში, გოტვალდოვში, ბრატისლავში) ვითარდება მრეწველობა; იქმნება ახალი დიდი ინდუსტრიალური ცენტრი ზემო ვაგზე (ჩრდილო-დასავლეთი სლოვაკია) და სხვ. ყველაზე მნიშვნელოვან და წამყვან როლს თამაშობს პრაღა-პლზენის სამრეწველო რაიონი.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური, ადმინისტრაციული, კულტურული და სამრეწველო ცენტრია ქ. პრაღა (Praha), რომელიც ჩეხიის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. იგი 80 კილომეტრითაა დაშორებული გერმანიის საზღვარს, ხოლო 100 კმ-ით — პოლონეთის საზღვარს. პრაღა ჩეხი ხალხის ძველთაძველი პოლიტიკური და კულტურული ცენტრია. 1918 წლიდან იგი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დედაქალაქია. ჩეხი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის დაკავშირებულია პრაღის ისტორიასთან. XV საუკუნეში პრაღაში დაიწყო ჰუსიტების მოძრაობა; პრაღაშივე დაიწყო XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩეხიის კულტურის აღორძინება. 1848 წლის რევოლუციის დროს პრაღა თავისი საბარიკადო ბრძოლებით მაგალითს აძლევდა ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებს.

პრაღის პროლეტარიატი მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოადგენდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის დასაყრდენს ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1945 წლის მაისში პრაღის პროლეტარიატმა აჯანყება მოაწყო გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ და დაეხმარა საბჭოთა არმიას პრაღის განთავისუფლების საქმეში.

დღეს პრაღა წარმოადგენს ახალი ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, სამრეწველო და კულტურულ ცენტრს. პრაღაში თავმოყრილია მრავალფეროვანი დამმუშავებელი მრეწველობა, კერძოდ მანქანათმშენებლობა, ლითონ-



პ რ ა ღ ა. კარლოვის ხიდი და „სტაროე მესტო“.

დამმუშავებელი, ელექტროტექნიკური მრეწველობა. პრაღის მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობს მისი სიახლოვე მეტალურგიულ ქარხნებთან და კლადნოსა და პლზენის ქვანახშირის საბადოებთან. პრაღაში განვითარებულია სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა — ორთქლმავლების, ავტომანქანების, მოტოციკლების, რონოდების წარმოება, ჩარხმშენებლობა და სხვ.

პრაღაში განვითარებულია კვების მრეწველობა. აქ არის საფქვავი კომბინატი, ლუდის სახდელი ქარხნები, შაქრის, შოკოლად-საკონდიტრო, ხორცის, კონსერვებისა და სხვადასხვა სასმელების ფაბრიკა-ქარხნები. ქიმიური მრეწველობიდან აღსანიშნავია ფარმაცევტული, საპნის, ქიმიური რეაქტივების, ლაქის, ხისდამმუშავებელი და სხვ. საწარმოები. კარგადაა განვითარებული პოლიგრაფიული მრეწველობა, კინოფილმების, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სხვათა წარმოება.

პრაღა დიდმნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია და მას თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს დასავლეთ ევროპის ქალაქებს შორის. აქედან გადის ცხრა მნიშვნელოვანი რკინიგზის ხაზი. ამდენად პრაღა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო სარკინიგზო ურთიერთობაში. 1950 წლის მაისიდან დამყარდა პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა მოსკოვი — პრაღა.

პრაღა საავტომობილო და საჰაერო მოძრაობის კვანძიცაა. პრაღის ახლოს მდებარე რუზინის აეროპორტი ერთ-ერთი უდიდეს აეროპორტთაგანია დასავლეთ ევროპაში. პრაღა არის ჩეხოსლოვაკიის დიდი სანაოსნო ცენტრიც. იგი მდებარეობს მდ. ვლტავაზე, ბეროუნკისა და საზავის შესართავების ცოტა ქვემოთ. პრაღის ნავმისადგომი გოლეშოვიცა უდიდესია ჩეხოსლოვაკიაში ვლტავა-ლაბას სამდინარო გზაზე. ამ მდინარეებით პრაღამდე აღწევენ ისეთი ბარჟები, რომელთაგან თითოეულს მიაქვს 700 ტონამდე ტვირთი.

პრაღა არის ჩეხოსლოვაკიის კულტურის ცენტრი. ვლტავას ბორცვიანი ხეობის ლამაზ ადგილას მდებარე, ისტორიული ძეგლებითა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით მდიდარი პრაღა დამსახურებულად სარგებლობს



პრაღის გრადთან.

დასავლეთ ევროპის ქალაქებს შორის ერთ-ერთი მიმზიდველი და ლამაზი ქალაქის სახელით. ქალაქის ორივე მხარეს აკავშირებს მდ. ვლტავაზე აგებული თერთმეტი ხიდი. ამ მდინარის მარცხენა ნაპირის ბორცვებზე მდებარეობს გოთურ სტილზე აგებული, ათასი წლის ისტორიის მქონე პრაღის გრადი—კრემლი; მას მხარს უმშვენებენ წმ. ვიტას ტაძარი და მეფის სასახლეები. მდინარის მარჯვენა მხარეზე იმყოფება სახალხო მიტინგების ტრადიციული მოედნით განთქმული ძველი ქალაქი.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისათვის, როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნისათვის, დამახასიათებელია მზა საქონლის გატანა და ნედლი მასალისა და ნახევარფაბრიკატების შემოტანა. ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის მაღალგანვითარებით აიხსნება ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დახმარებით მან შეძლო მოკლე ხნის განმავლობაში აღედგინა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობა და რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის მთავარ ამოცანად გაეხადა არა სახალხო მეურნეობის აღდგე-

ნა, რომელიც მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ორწლიანი გეგმისათვის, არამედ სოციალიზმის საფუძვლების აგება.

ჩეხოსლოვაკიას ყოველგვარი საშუალება გააჩნია მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის. მას ხელს უწყობს დიდი ენერგეტიკული რესურსები, განვითარებული ტექნიკა, მაღალკვალიფიციური სამრეწველო კადრები და საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარება. შავი მეტალურგიის დარგში ჩეხოსლოვაკიას პირველი ადგილი უკავია ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის. 1948 წელს ჩეხოსლოვაკიაში ამოღებულ იქნა 18 მილიონი ტონა ქვანახშირი, 24 მილიონი ტონა მურა ნახშირი; გამოდნობილ იქნა 2,6 მილიონი ტონა ფოლადი და 1,5 მილიონი ტონა თუჯი. ელექტროენერგიის წარმოება 1937 წელთან შედარებით გაორკეცდა. გარდა ძველი მეტალურგიული ქარხნებისა, ოსტრავაში, ვიტკოვიცაში, ტრჟინცში და სხვაგან ხუთწლიანი გეგმით აგებენ ახალ გიგანტურ მეტალურგიულ ქარხნებს.

ჩეხოსლოვაკიის სილეზიაში თავმოყრილია ქვანახშირის მოპოვებისა და შავი მეტალურგიის დიდი ნაწილი. სილეზიის ინდუსტრიული ცენტრია ოსტრავა. ოსტრავას მეტალურგიული ქარხნები მდებარეობენ კოქსით მდიდარი ქვანახშირის საბადოებთან ახლოს. ოსტრავადან 250 კმ-თაა დაშორებული სლოვაკიის რკინის მადნეულის საბადოები. ოსტრავას მრეწველობა მჭიდროთაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან, საიდანაც შემოდის რკინა და მარგანეცი. აქ არის მანქანათმშენებელი ქარხნებიც. გეგმით გათვალისწინებული ოდრა-მორავა-დუნაის არხის გაყვანის შემდეგ ოსტრავა წყალსავალი გზით დაუკავშირდება დუნაისპირა ქვეყნებს.

კლადნოს, ოსტრავას, პლზენისა და ცენტრალური ჩეხიის სხვა ქალაქების მეტალურგიული ქარხნები უმთავრესად მუშაობენ მაღალხარისხოვანი ფოლადის გამოდნობაზე და ნაგლინის წარმოებაზე. პლზენში თავმოყრილია მანქანათმშენებელი და სამხედრო ქარხნები. აქვე მდებარეობს ქვანახშირის პატარა აუზი.



პ რ ა ღ ა. ცენტრში კარლოვის ხიდი მდ. ვლტავაზე, მარცხნივ „მალა სტრანა“ და პრაღის გრადი (კრემლი).

პლზენი განთქმულია აგრეთვე ლუდის ქარხნებით, რომელთაც ქალაქის ცალკე ნაწილი უჭირავთ. მანქანათმშენებელი ქარხნები არსებობენ ბრნოში და მის მიდამოებში.

ჩეხოსლოვაკიაში ჩქარი ტემპით ვითარდება მანქანათმშენებლობა. ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ძველი ჩეხოსლოვაკიისაგან განსხვავებით, ამჟამად ქმნის სპეციალიზებულ და მაღალი წარმადობის ქარხნებს. იქმნება უმაღლესი ტექნიკით აღჭურვილი ახალი მანქანათმშენებელი ქარხნები — საავტომობილო-სატრაქტორო, ჩარხმშენებელი, ელექტრომოტორთა, ბურთულა-საკისართა და სხვ. მანქანათმშენებლობა თავმოყრილია პრაღაში, პლზენში, მლადა-ბოლესლავში, ოსტრავაში, ბრნოსა და მის მიდამოებში.

ქიმიური მრეწველობა ამზადებს ჩეხოსლოვაკიისათვის აუცილებელ საქონელს: ხელოვნურ სათბობს, პლასტმასას, ბოჭკოს და სხვ. ქიმიური მრეწველობა ომამდელ ჩეხოსლოვაკიაში სუსტად იყო განვითარებული. ამ მხრივ იგი დამოკიდებული იყო იმპორტზე (უმთავრესად გერმანიიდან). ქ. მოსტთან ახლომდებარე, დასავლეთ ევროპაში უდიდესი ქიმიური კომბინატი, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს, უკვე იძლევა ასეული ათასობით ტონა ხელოვნურ ბენზინს, საცხებ ზეთს და სხვა მრავალ ქიმიურ პროდუქტს. ეს კომბინატი გაზით ამარაგებს პრაღას და ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებს. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოსტრავას კოქსოქიმიური წარმოება. ადგილობრივი ნედლი მასალის (ხე-ტყე და სხვ.) არსებობა ხელს უწყობს ქიმიური მრეწველობის განვითარებას სლოვაკიაში და მადნიანი მთების რაიონში (სადაც მდებარეობენ მურა ნახშირის მთავარი აუზები).

მსუბუქი მრეწველობის განვითარებას ჩეხოსლოვაკიაში დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ მხრივ ჩეხოსლოვაკია განთქმული იყო მთელ მსოფლიოში. კარგადაა განვითარებული საფეიქრო მრეწველობა, კერძოდ ბამბეულის წარმოება (დაახლოებით 3 მლნ თითისტარი). ბამბეულისა და სელის მრეწველობა თავმოყრილია უმთავრესად ჩეხიის ჩრდილოეთ ნაწილში— ლიბერეცში, ვარნსდორფში, იაბლონცსა და ნახოდში. შალეულის მრეწველობის (დაახლოებით 1 მლნ თითისტარი) უდიდესი

ကို- ကယ်ဝန်ကုန်းမှ ရန်ကုန်ကမ်းခြေ။

ცენტრია ჩეხოსლოვაკიაში ქ. ბრნო, ასევე ლიბერეცი, აში და სხვ. ვითარდება ხელოვნური აბრეშუმის წარმოება.

ფართოდაა განვითარებული ტრიკოტაჟის წარმოება და ხალიჩების ქსოვის საქმე (უმთავრესად ხელოსანთა შორის). ჩეხოსლოვაკიის საფეიქრო მრეწველობა ძირითადად საბჭოთა კავშირის მიერ მიწოდებულ ნედლეულზე მუშაობს.

ჩეხოსლოვაკია განთქმულია მინის, ფაიფურის, ხის დამუშავების, ტყავისა და ლუდის წარმოების საქმეში. მინისა და ფაიფურის წარმოებას ჩეხოსლოვაკიაში 600 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ძველი ჩეხოსლოვაკიის ექსპორტში ფაიფურის ნაწარმს დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა. საზღვარგარეთ გაჰქონდათ ფაიფურის ნაწარმის 90 პროცენტი. აგურის თიხა მოიპოვება პრაღის, ბრნოსა და ბრჟეცლავის მიდამოებში; ჭურჭლეულის თიხა — მადნიანი მთების რაიონში, ბუდეიოვიცეს მიდამოებში და ლუჩენცის (სლოვაკია) ახლოს. ფაიფურის თიხა მოიპოვება პლზენის ჩრდილოეთით, კარლოვი-ვარისა და ზნოიმის მახლობლად. ჩრდილოეთ ჩეხიისა და ლუჩენცის ახლოს არის ქვიშის საბადოები, რომელსაც ხმარობენ მინის დასამზადებლად. ამდენად, მინისა და ფაიფურის წარმოება უმთავრესად თავმოყრილია სუდეტების გასწვრივ, მოსტსა და კარლოვი-ვარში.

ფეხსაცმელების დამზადების მხრივ ჩეხოსლოვაკიას დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ჩეხოსლოვაკია წელიწადში უშვებს 5,5 მლნ წყვილ ფეხსაცმელს. ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა უმთავრესად თავმოყრილია ქ. გოტვალდოვში (ყოფ. ზლინი), სადაც მუშაობენ ფეხსაცმლის უდიდესი ფაბრიკები, რომელნიც ჩეხიის „ფეხსაცმლის მეფეს“ ბატიას ეკუთვნოდა. ახლა ეს ფაბრიკები ნაციონალიზებულია, „ფეხსაცმლის მეფე“ კი უცხოეთში გაიქცა. ქ. გოტვალდოვის ფეხსაცმლის ფაბრიკები მთლიანად მექანიზირებულია და ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. კარგად არის განვითარებული ხის დამმუშავებელი მრეწველობა.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა დაფარულია რკინიგზის ხშირი ქსელით. რკინიგზის ქსელის მხრივ ჩეხოსლოვაკიას დასავ-



ქ. ბოტვალდოვის ცენტრალური ნაწილი.

ლეთ ევროპის ქვეყნებს შორის მეოთხე ადგილი .უკავია. ქვეყნის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი უფრო მეტადაა დაფარული რკინიგზის ქსელით, ვიდრე მისი აღმოსავლეთი ნაწილი (სლოვაკია). ომისა და ოკუპაციის შედეგად ჩეხოსლოვაკიის რკინიგზები დანგრეული იქნა, მაგრამ საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარების შედეგად მოკლე ხნის განმავლობაში აღადგინა ის ჩეხოსლოვაკიის ხალხმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩეხოსლოვაკია მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებულ ქვეყანას წარმოადგენს, სოფლის მეურნეობა დიდ როლს თამაშობს. ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. იგი ამარაგებს სასურსათო პროდუქტებით ქალაქის მოსახლეობას და ნედლეულით მსუბუქ და კვების მრეწველობას. ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა აგრარულმა რეფორმამ, რომლის შედეგად მიწების უდიდესი ნაწილი გადავიდა უმიწო, მცირემიწიანი გლეხებისა და სახელმწიფოს ხელში.

სოფლის მეურნეობა განვითარებულია ლაბის (ელბა) დაბლობზე. აქ თესავენ ხორბალს, ქერსა და შაქრის ჭარხალს. სოფლის მეურნეობას მისდევენ აგრეთვე მორავიის ხეობაში და დუნაის დაბლობის ჩრდილოეთ ნაწილში. დიდი ყურადღება ექცევა საკვები ბალახების თესვას, რაც მეცხოველეობის განვითარების ამოცანის წარმატებით გადაჭრასთან არის დაკავშირებული. მთელი სათესი ფართობის 1/4 საკვებ ბალახს უკავია. სლოვაკიის მთიანი რაიონები განთქმულია ყველითა და კარაქით, ხოლო ჩეხია კი — მოხდილი რძის ნაწარმით.

მრეწველობის თვალსაზრისით ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დასავლეთი ნაწილი (ჩეხია და მორავია) უფრო განვითარებულია, ვიდრე მისი აღმოსავლეთი ნაწილი (სლოვაკია).

სლოვაკიაში სოფლის მეურნეობა სუსტია. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყეებსა და საძოვრებს უჭირავს. სამხრეთით, შუა დუნაის დაბლობის რაიონში, მისდევენ სოფლის მეურნეობას. აქ მოჰყავთ ხორბალი, შაქრის ჭარხალი. მთის ხეობებში თესენ ქვავს, შვრიას, კარტოფილს; მნიშვნელოვან როლს თამაშობს მესაქონლეობა.

სლოვაკიაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბატონობდნენ უნგრელი მემამულეები. ომამდელი ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ-მემამულური მმართველი წრეები ყოველმხრივ აფერხებდნენ მრეწველობის განვითარებას სლოვაკიაში. მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შთავრობამ დააყენა საკითხი სლოვაკიის ინდუსტრიალიზაციის შესახებ. სლოვაკია მდიდარია წყალუხვი მდინარეებით, სადაც შეიძლება მრავალი მძლავრი ელექტროსადგურის აგება; იგი მდიდარია ხე-ტყით; მოიპოვება რკინის მადნეული, მარგანეცი, მაგნეზიტი, სურმა, სპილენძი, ვერცხლის წყალი და სხვ.

ამჟამად სლოვაკიის მრეწველობაში პირველი ადგილი უკავია მეტალურგიულ მრეწველობას, ვითარდება მანქანათმშენებლობა. აღმოსავლეთ სლოვაკიაში, სლოვაკებითა და უნგრელებით დასახლებულ რაიონში, იქმნება უდიდესი სამრეწველო ცენტრი — შენდება მძლავრი მეტალურგიული კომბინატი. დღევანდელ სლოვაკიაში მზადდება დაზგები, მაღაროებისა და



ჭ. ბრატისლავას საერთო ხედი.

ელექტროსადგურების მოწყობილობა, საქსოვი მანქანები და სხვ., ვითარდება სამთო და ქიმიური მრეწველობა, ხის დამმუშავებელი მრეწველობა. მზადდება ცელულოზი, ქაღალდი, ავეჯი. იზრდება კვებისა და საფეიქრო მრეწველობა. შენდება ქიმიური და ცელულოზის ქარხნები. სლოვაკიის სოფლებში ფართოდაა გავრცელებული შინამრეწველობა. საავტომობილო მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდება რკინიგზის ქსელი, გაყავთ ახალი გზატკეცილები. მდ. ვაგზე აგებულია და შენდება ახალი ელექტროსადგურები. სლოვაკიის მთავარი ქალაქი ბრატისლავა (194 ათასი მცხოვრები) სამრეწველო და კულტურული ცენტრია. იგი გარშემორტყმულია ვენახებითა და ხილის ბაღებით. ბრატისლავა მდებარეობს მდ. დუნაიზე, აქ თავს იყრის რკინიგზის ექვსი ხაზი. მხოლოდ სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ შეუქმნა ისეთი პირობები ბრატისლავას, რომ მას შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და დაამყაროს კავშირი სხვა ქვეყნებთან როგორც რკინიგზით, ისე წყალსავალი გზით.

სლოვაკიის ადმინისტრაციული და პოლიტიკური ცენტრია ბრატისლავა. აქ იმყოფება სლოვაკიის ავტონომიური ხელისუფლება — სლოვაკიის ეროვნული საბჭო და რწმუნებულთა კოლეგია; აქ არის უნივერსიტეტი, სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი სამხატვრო და მუსიკალური სასწავლებლები, კინოსტუდია.

ბრატისლავაში ვითარდება ზუსტი მანქანების წარმოება და ქიმიური მრეწველობა, ნავთის გადამუშავება, რომელიც მდ. დუნაით მოდის ბრატისლავაში. იზრდება კვებისა და საფეიქრო მრეწველობა. ქ. ბრატისლავიდან ჩეხოსლოვაკია წყალსავალი გზით უკავშირდება დუნაისპირა ქვეყნებს. ბრატისლავას ნავსადგურის ტვირთზიდვა შეადგენს დაახლოებით 1 მილიონ ტონას. გეგმით გათვალისწინებულია მისი გაზრდა უახლოეს მომავალში 2 მილიონ ტონამდე.

ქალაქის უდიდესი ნაწილი მოქცეულია მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე, მაგრამ 1945 წელს უნგრეთის საზღვარი ამ რაიონში გადაწეულ იქნა სამხრეთით (ჩეხოსლოვაკიას გადაეცა

სოფლები ჰორვატიარფალუ, ოროშვარი და დუნაჩუნი)[1] და ბრატისლავას საშუალება მიეცა გაიზარდოს მდ. დუნაის მარჯვენა ნაპირზეც. ბრატისლავა ყოველდღიურად იზრდება და ლამაზდება. მშენებლობის მხრივ მას მეორე ადგილი უკავია ოსტრავას შემდეგ ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

---

[1] იხ. „საზავო ხელშეკრულება უნგრეთთან", 1947, გვ. 6 — 7.

თავი მეხუთე

ჩეხოსლოვაკიის ხალხის მიღწევები სოციალისტური განვითარების გზაზე

1. პირველი ხუთწლიანი გეგმის შედეგები

ჩეხოსლოვაკიის ხალხის გამარჯვება 1948 წლის თებერვალში ნიშნავდა უცხოეთის იმპერიალისტებისა და შინაგანი რეაქციის იმ ძალების უდიდეს დამარცხებას, რომლებიც ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული. „კაპიტალიზმი პოლიტიკურად დამარცხდა, — წერდა ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრი ანტონინ ზაპოტოცკი, — და ჩეხი და სლოვაკი ხალხებისათვის გაიხსნა გზა სოციალიზმის მშენებლობისაკენ“.

1948 წლის თებერვლის ამბების შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკაში სოციალისტური სექტორის სასარგებლოდ, შეიცვალა მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობაც. ასე, მაგალითად: 1948 წლის თებერვლამდე სახალხო მეურნეობის სოციალისტურ სექტორში დაკავებული იყო მთელი მუშების 35,4 პროცენტი, კაპიტალისტურ სექტორში კი — 23,8 პროცენტი; 1948 წლის თებერვლის შემდეგ კი სოციალისტურ სექტორზე მოდიოდა 41,3 პროცენტი, კაპიტალისტურ სექტორზე — 17,7 პროცენტი. გაიზარდა სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალშიც. 1948 წლის თებერვლამდე ნაციონალურ შემოსავლის 50,3 პროცენტი მოდიოდა სოციალისტურ სექტორზე, ხოლო 24,7 პროცენტი — კაპიტალისტურ სექტორზე. თებერვლის შემდეგ სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა ნაციონალურ შემოსავალში გაიზარდა 61,4 პროცენტამდე, კაპიტალისტურის კი შემცირდა 13,6 პროცენტამდე.

მაგრამ კაპიტალისტური ელემენტი ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად ლიკვიდირებული, ჯერ კიდევ არსებობდა ბაზა

კაპიტალიზმისათვის — მიწის კერძო საკუთრების, კულაკურ მეურნეობათა, წვრილი და საშუალო ვაჭრების, წვრილ კერძო საწარმოთა მესაკუთრეების სახით. თებერვლის შემდგომ მთავრობის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა კაპიტალიზმის საფუძვლების შემდგომი ლიკვიდაცია და სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტის ჩაყრა. მეორე მსოფლიო ომისა და ოკუპაციის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის საკითხი გადაწყვიტა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანმა გეგმამ, რომელიც კომპარტიის ინიციატივით იქნა მიღებული. ორწლიანი გეგმის შესრულებას ჩეხოსლოვაკიის ხალხი შეუდგა 1947 წლის 1 იანვრიდან და იგი გადაჭარბებით და ვადაზე ადრე იქნა შესრულებული.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულების შედეგად სამრეწველო პროდუქციის დონე 1948 წლის ბოლოს 1937 წელთან შედარებით გაიზარდა 10 პროცენტით, წარმოების საშუალებათა წარმოება — 30 პროცენტით, ელექტროენერგიის წარმოება 1937 წელთან შედარებით (4 035 მილიონი კილოვატსაათი) გაიზარდა 7 515 მილიონ კილოვატსაათამდე, ქვანახშირის ამოღება (16 778 ათასი ტ.) — 21 774 ათას ტონამდე, მურა ნახშირის (17 395 ათასი ტ.) — 22 362 ათას ტონამდე, ფოლადის გამოდნობა (2 302 ათასი ტ.) 2 650 ათას ტონამდე. წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი გაიზარდა 3 პროცენტით, შრომისნაყოფიერებამ 104 პროცენტს მიაღწია. ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება შესაძლებელი გახადა ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებამ, სახალხო მეურნეობაში გეგმიან მუშაობაზე გადასვლამ და საბჭოთა კავშირის მეგობრულმა და უანგარო დახმარებამ.

1948 წლის ოქტომბერში საზეიმო ვითარებაში გამოქვეყნებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის პირველი ხუთწლიანი (1949—1953 წწ.) გეგმა. იგი მიზნად ისახავდა ქვეყნის მთელი

ეკონომიკის ძირეულ გარდაქმნას და სოციალიზმის ეკონომიური ფუნდამენტის ჩაყრას.

1948 წლის 9 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა ზაპოტოცკიმ ეროვნული კრების პლენარულ სხდომაზე ხუთწლიანი გეგმის კანონპროექტი შემდეგნაირად დაახასიათა: „კანონის შინაარსია: ჩეხოსლოვაკიის მეურნეობის მშენებლობა და გარდაქმნა... მისი შედეგი იქნება: დარჩენილი კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვა, მათი განდევნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგიდან და სახალხო დემოკრატიის განვითარება სოციალიზმისაკენ".

ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს მხედველობაში იქნა მიღებული ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მრეწველობის არათანაბარი განვითარება და მისი ცალმხრივი ხასიათი. ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში მრეწველობა კონცენტრირებული იყო ჩეხიაში, ხოლო სლოვაკია აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. მეორე მხრივ, თვით ჩეხიაში განვითარებული იყო უმთავრესად მსუბუქი მრეწველობა: ფეხსაცმლის, საფეიქრო, მინისა და სხვ., ხოლო მძიმე მრეწველობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამდენად ხუთწლიანი გეგმა მთავარ ყურადღებას აქცევდა მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, რომელიც, როგორც ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გვასწავლიან, წარმოადგენს სერიოზულ პირობას სოციალიზმის მშენებლობისათვის.

ხუთწლიანი გეგმის თავდაპირველი ვარიანტი ითვალისწინებდა 1953 წლისათვის, 1948 წელთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის ზრდას 57 პროცენტით, ქვანახშირის ამოღების გაზრდას 20,8 მილიონ ტონამდე, მურა ნახშირის — 32,2 მილიონ ტონამდე; გარდა ამისა, 3,5 მილიონი ტონა ფოლადისა და 2,7 მილიონი ტონა თუჯის გამოდნობას, 11,2 მილიარდი კილოვატსაათის ელექტროენერგიის გამომუშავებას და სხვ.

1949 წლის 1 იანვრიდან ჩეხოსლოვაკიის ხალხი ენთუზიაზმით შეუდგა თავისი პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. ხალხის მასები დიდი ენთუზიაზმით ასრულებდნენ დღიურ, თვიურ და წლიურ გეგმებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის IX ყრილობაზე 1949 წლის მაისში ამხანაგმა კ. გოტვალდმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა კომპარტიის მორიგი ამოცანები: ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შესრულება; საბარათო სისტემის გაუქმებისა და საქონელზე ფასების დაკლებისათვის საჭირო პირობების შექმნა; სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის განმტკიცება; სოფლის ბობოლების შეზღუდვასა და განდევნასთან ერთად წვრილი და საშუალო გლეხობის გადაყვანა სოციალიზმის მხარეზე; ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონის ცხოვრებაში გატარება; მუშათა კლასის კავშირის განმტკიცება გლეხობის ძირითად მასასთან, რაც აუცილებელია სოფლის სოციალიზმში გადასვლისათვის; სახელმწიფო აპარატის განმტკიცება; ახალი, მოწინავე ინტელიგენციის აღზრდა; ეროვნული ფრონტის განმტკიცება და რეაქციული ძალების იზოლაცია; მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის გატარება საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან.

ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის გეგმა ჩეხოსლოვაკიის ხალხმა გადაჭარბებით შეასრულა. საერთო სამრეწველო პროდუქციის დონე 1949 წლის ბოლოსათვის, 1947 წელთან შედარებით, გაიზარდა 27,9 პროცენტით. 1949 წლის ბოლოს მურა ნახშირის ამოღებამ ომამდელ დონეს გადააჭარბა 50 პროცენტით, ელექტროენერგიის წარმოებამ — 100 პროცენტით, ტრაქტორების წარმოება გაიზარდა 10-ჯერ.

ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის განმავლობაში განსაკუთრებით დიდი მიღწევები იქნა მოპოვებული სლოვაკიის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. სლოვაკია მრეწველობის განვითარების მხრივ ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდა. ომამდელ სლოვაკიაში ცხოვრობდა ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის 35 პროცენტი, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მუშების მხოლოდ 8 პროცენტი მოდიოდა სლოვაკიაზე. ჩეხიის ბურჟუაზიულ-მემამულური წრეები ყოველნაირად ხელს უშლიდნენ მრეწველობის განვითარებას სლოვაკიაში. ისინი ამ უკანასკნელს უყურებდნენ როგორც სამრეწველო ჩეხიის აგრარულ დანამატს. ამიტომ ადგილი ჰქონდა სლოვაკიიდან მუშახელის

განუწყვეტელ დინებას დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. XIX საუკუნის ბოლოდან 1914 წლამდე სლოვაკიიდან უცხოეთში წავიდა 500 ათასი კაცი, ხოლო 1918 — 1938 წწ.— 180 ათასი კაცი.

ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების დღიდან ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა სლოვაკიის ინდუსტრიალიზაციის საკითხი. 1945 წლიდან დაწყებული, სლოვაკიაში იზრდება მუშათა კლასის რიცხვი. 1937 წელთან შედარებით, 1949 წლის ბოლოსათვის სლოვაკიაში მუშათა კლასის რიცხვი გაიზარდა 2-ჯერ. ემიგრაცია შეწყდა. უფრო მეტიც, ამჟამად სლოვაკიის მრეწველობა მოითხოვს იმაზე მეტ მუშახელს, რაც მას გააჩნია.

ინდუსტრიულად განვითარებული ჩეხია წარმოადგენს დასაყრდენს სლოვაკიაში მრეწველობის განვითარებისათვის. ჩეხიის მუშათა კლასი უდიდეს დახმარებას უწევს სლოვაკიის მუშათა კლასს ახალი ტექნიკის დაუფლების საქმეში. „...საჭიროა, — გვასწავლის ი. ბ. სტალინი, — რომ მოწინავე ერების გამარჯვებული პროლეტარიატი დაეხმაროს, ნამდვილად და ხანგრძლივად დაეხმაროს ჩამორჩენილი ერების მშრომელ მასებს მათი კულტურული და სამეურნეო განვითარების საქმეში, რომ იგი დაეხმაროს მათ — ავიდნენ განვითარების უმაღლეს საფეხურზე, დაეწიონ წინწასულ ერებს. ასეთი დახმარების გარეშე შეუძლებელია მოგვარდეს სხვადასხვა ერთა და ხალხთა მშრომელების ის მშვიდობიანი თანაცხოვრება და ძმური თანამშრომლობა ერთიან მსოფლიო მეურნეობაში, რომლებიც ესოდენ საჭიროა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის“ [1].

ჩეხოსლოვაკიის ხალხმა 1950 წლის გეგმაც წარმატებით შეასრულა. საერთოდ, ხუთწლედის მეორე წლის გეგმა შესრულებულ იქნა 102,7 პროცენტით, მძიმე მრეწველობის დარგში — 102,4 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის მიერ - 103,6 პროცენტით და ა. შ. სამრეწველო პროდუქციის ზრდამ წინა წელთან შედარებით 15,3 პროცენტი შეადგინა; აქედან

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 63.



კლადნენის მეტალურგიული ქარხანა.



ერთ-ერთი უდიდესი სატრიკოტაჟო ქარხანა.

მძიმე მრეწველობაში — 15,6 პროცენტი, მსუბუქ მრეწველობაში — 10,8 პროცენტი, მეტალურგიაში — 18 პროცენტი, ენერგეტიკაში — 22 პროცენტი.

მძიმე მრეწველობის განვითარების პარალელურად იზრდებოდა ფართო მოხმარების საგნების წარმოება. 1950 წელს მძიმე მრეწველობის შემდგომ განვითარებასთან ერთად მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 10 პროცენტით, ხოლო კვების მრეწველობისა — 24,9 პროცენტით.

1950 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 52,6 მილიარდი კრონის საერთო ღირებულების ახალი სამრეწველო ობიექტები, ე. ი. 37 პროცენტით მეტი, ვიდრე 1937 წელს. ახალმა კაპიტალდაბანდებამ შეადგინა 46,17 მილიარდი კრონი, ე. ი. 35,2 პროცენტით მეტი, ვიდრე 1949 წელს. ხუთწლედის მეორე წლის გეგმა ტრანსპორტის დარგში შესრულებულ იქნა 108,2 პროცენტით. ტვირთის გადატანა 1950 წელს წინა წელთან შედარებით, 25 პროცენტით გაიზარდა.

ამრიგად, ხუთწლიანი გეგმის პირველი ორი წლის გეგმა ჩეხოსლოვაკიის ხალხმა გადაჭარბებით შეასრულა. ხუთწლედის მეორე წლის ბოლოს სამრეწველო წარმოებამ ომამდელ დონეს გადააჭარბა 50 პროცენტით, ხოლო მოსახლეობის თითოეულ სულზე — 80 პროცენტით.

ხუთწლიანი გეგმის თავდაპირველი ვარიანტი ითვალისწინებდა სამრეწველო წარმოების გაზრდას 1953 წლისათვის 1948 წელთან შედარებით 57 პროცენტით, ხოლო 1937 წელთან შედარებით — 80 პროცენტით. ვინაიდან ხუთწლიანი გეგმის პირველმა პერიოდმა ცხადყო გათვალისწინებული გეგმის უფრო ჩქარი ტემპით შესრულების შესაძლებლობა, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით გაზრდილ იქნა ხუთწლიანი გეგმის ამოცანები.

ჩეხოსლოვაკიის ხალხმა გადაჭარბებით შეასრულა 1951 წლის გადიდებული გეგმაც. საერთო სამრეწველო წარმოება 1951 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 12 პროცენტით. სლოვაკიაში სამრეწველო წარმოება გაიზარდა 19,2 პროცენტით, ე. ი. 3,5-ჯერ მეტად ვიდრე 1937 წელს. ჩეხოსლოვაკიის მძიმე მრეწველობის პროდუქციის მოცულობა

1951 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 14,3 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობისა — 6 პროცენტით, კვების მრეწველობისა — 18,6 პროცენტით. ჩეხოსლოვაკიის ეროვნული შემოსავალი 1951 წელს, 1950 წელთან შედარებით, გაიზარდა 10 პროცენტით, ხოლო ომამდელ დონესთან შედარებით — 33 პროცენტით.

მიუხედავად იმპერიალისტური სახელმწიფოების ცდისა ხელი შეეშალათ ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური მრეწველობის მშენებლობისათვის, მიუხედავად ეკონომიური დისკრიმინაციისა და ბლოკადისა კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ, სახალხო-დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიაში წარმოება იზრდებოდა ისეთი ტემპით, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჩეხოსლოვაკიის ისტორიას.

ჩეხოსლოვაკიის მრეწველობა ამჟამად ამზადებს მრავალ რთულ მექანიზმს: მძლავრ აგრეგატებს ელექტროსადგურებისათვის, დიდი მოცულობის ორთქლის ქვაბებს და სხვ. ათეული ათასობით მუშა მუშაობს ახალი მეტალურგიული ქარხნების აგებაზე. 1952 წლის პირველი იანვრისათვის ამუშავდა კუნჩიცის ახალი მეტალურგიული ქარხნის პირველი ბრძმედი, რომელიც სარეკორდო ვადებში აშენდა.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის ორწლიანი გეგმისა და ხუთწლიანი გეგმის პირველი წლების შედეგებმა საგრძნობლად შეცვალა სლოვაკიის ეკონომიკა. სლოვაკიის ინდუსტრიალიზაციას ხელს უწყობს მისი მდებარეობა საბჭოთა კავშირთან ახლოს, რომელიც საერთოდ გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩეხოსლოვაკიის ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

სლოვაკიის განთავისუფლებიდან 1951 წლის დასაწყისამდე მის ტერიტორიაზე აგებულ იქნა 50-მდე ახალი სამრეწველო საწარმო, ხოლო ძველი ქარხნები, კერძოდ მეტალურგიული, რეკონსტრუირებულ იქნა. გარდა ამისა, 1947 — 48 წწ. განმავლობაში ჩეხიიდან სლოვაკიაში გადატანილ იქნა 270 საფეიქრო, ლითონდამამუშავებელი, ხის დამამუშავებელი და სხვ. საწარმოები. მწყობრში ჩადგა ახალი ელექტროსადგურები მდ. ვაგზე, ორავაზე, გორნადაზე და სხვ.

ომამდელ პერიოდში სლოვაკია აგრარული ქვეყანა იყო. 1930 წლის აღწერით, სლოვაკიის სოფლის მეურნეობაში ჩაბმული იყო მისი მოსახლეობის 56,8 პროცენტი, მრეწველობასა და ხელოსნობაში — 19,1 პროცენტი, ხოლო ჩეხიის ოლქებში შესაბამისად 25,6 და 41,8 პროცენტი.

სლოვაკიაში მრეწველობა სწრაფი ტემპით ვითარდება, იგი უსწრებს სოფლის მეურნეობას. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის შეფარდება საერთო პროდუქციის მიხედვით 1946 წელს იყო 45:55, 1948 წელს — 50:50, ხოლო 1950 წელს — 55:45. მძიმე მრეწველობა უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მსუბუქი მრეწველობა. მძიმე და მსუბუქ მრეწველობას შორის შეფარდება 1948 წელს იყო ასეთი: 48:53. 1950 წელს — 51:49. სლოვაკიაში 1953 წელს 1948 წელთან შედარებით ნაციონალური შემოსავალი ⅔-ჯერ მეტი იყო. ნაციონალურ შემოსავალში სოციალისტური სექტორის წილი ხუთწლედის განმავლობაში 61-დან 92 პროცენტამდე გაიზარდა.

სლოვაკიაში წარმოიშვა ახალი სამრეწველო ცენტრები: ორავა, კისუცი, ზემო პოვაჟი და სხვ. აღმოსავლეთ სლოვაკიაში ვითარდება შავი მეტალურგია და მძიმე მანქანათმშენებლობა. გაჰყავთ ახალი რკინიგზები. 1947 — 49 წწ. სლოვაკიაში გაიყვანეს იმაზე მეტი რკინიგზა, ვიდრე 20 წლის განმავლობაში ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში.

ჩეხოსლოვაკიის ინდუსტრიალიზაციისა და ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელთა მოძრაობის აქტიური გაშლა. ამ მხრივ ჩეხოსლოვაკიის პროფესიული კავშირები ფართოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის გამოცდილებას. 1948 წლის დასაწყისში სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა ჩეხოსლოვაკიის 400 საწარმოში, ხოლო 1949 წლის დასაწყისში — 2 ათასამდე საწარმოში. 1948 წლის ბოლოს რესპუბლიკაში იყო 1 100 დამკვრელი ბრიგადა. 1949 წლის ივლისში კი — 30 ათასზე მეტი. 1949 წლის თებერვალში სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 250 ათასი მუშა-მოსამსახურე, იმავე წლის ოქტომბერში — 649 ათასი. 1950 წელს რესპუბლიკის მრეწველობაში მომუშავეთა



ქ. პლზენის ინდუსტრიული რაიონი.



სამამულო წარმოების პირველი ექსკავატორი.

70 პროცენტზე მეტი ჩაბმული იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჩეხოსლოვაკიის საწარმოებში ფართოდ იყენებენ საბჭოთა ნოვატორების გამოცდილებას. მთელ ქვეყანაში ცნობილია არა ერთი და ორი სახელი იმ ადამიანებისა, რომლებიც საბჭოთა მეთოდებით მუშაობენ და მუშაობაში სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევიან.

1951 წლის 22 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში პლზენის „შკოდის" ქარხნებს ეწოდა ვ. ი. ლენინის სახელი. ამ დღისათვის „შკოდის" ქარხნის მუშებმა გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის სამი წლის გეგმა.

ჩეხოსლოვაკიის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა, რომელთა შორის ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, დიდი წარმატება მოიპოვეს. 1954 წლის 3 ივლისს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით პრაღის გრადის ესპანურ დარბაზში გაიხსნა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ორდღიანი თათბირი. თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ. მან თავისი სიტყვა დაამთავრა ლოზუნგით: „მეტი ქვანახშირი რესპუბლიკას!"

თათბირმა, სადაც სიტყვით გამოვიდა აგრეთვე სათბობისა და ენერგეტიკის მრეწველობის მინისტრი ი. იონაში, მიიღო ვრცელი რეზოლუცია. თათბირზე აღინიშნა, რომ 1954 წლის პირველი ნახევრის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულ იქნა ქვანახშირის ამოღების დარგში 103,7 პროცენტით, მურა ნახშირისა — 103 პროცენტით[1].

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყოველ ღონისძიებას ჩეხოსლოვაკიის ხალხი ხვდება უდიდესი აღფრთოვანებით, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ ახლა ის მუშაობს არა კაპიტალისტებისა და მემამულეების გასამდიდრებლად, არამედ თავის საკეთილდღეოდ, დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისათვის.

მნიშვნელოვნად შეიცვალა სახალხო მეურნეობაში სოციალისტური და კაპიტალისტური სექტორების თანაფარდობა

---

[1] „Rudé Právo". 5. 7. 1954.

სოციალისტური სექტორის სასარგებლოდ. 1950 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიის მრეწველობაში, კვების მრეწველობის ჩათვლით, სოციალისტურ სექტორზე მოდიოდა 98 პროცენტი, კაპიტალისტურზე — მხოლოდ 2 პროცენტი; ხელოსნობაში: სოციალისტურ სექტორზე მოდიოდა 14,3 პროცენტი, კაპიტალისტურზე— 58,8 პროცენტი, წვრილმეწარმეთა სექტორზე— 26,9 პროცენტი; საამშენებლო მრეწველობაში: სოციალისტურ სექტორზე — 94,3 პროცენტი, კაპიტალისტურზე — 5,5 პროცენტი, წვრილმეწარმეთა სექტორზე — 0,2 პროცენტი; ტრანსპორტში: სოციალისტურ სექტორზე — 95,5 პროცენტი, წვრილი ტრანსპორტის მფლობელებზე — 4,5 პროცენტი.

1950 წლის ბოლოს რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა 99,6 პროცენტი დაკავებულ იყო მრეწველობის სოციალისტურ სექტორში, მშენებლობის დარგში — 99,4 პროცენტი. 1948 წელს სოციალისტური სექტორი იძლეოდა სლოვაკიის მრეწველობის მთელი სამრეწველო პროდუქციის 95 პროცენტს, ხოლო 1950 წელს სლოვაკიის მრეწველობაში ფაქტიურად ლიკვიდირებულ იქნა კაპიტალისტური ელემენტები.

ჩეხოსლოვაკიაში საშინაო ვაჭრობა ნაციონალიზებულია. 1948 წლის 28 აპრილს ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი „საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ექსპედიტორული ოპერაციების სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შესახებ". ამ კანონის მიხედვით საგარეო ვაჭრობის სფეროში შედის ყველა სახის საქონლის იმპორტი და ექსპორტი. ახალი კანონის თანახმად საგარეო ვაჭრობის მინისტრი რეგულირებასა და კონტროლს უწევს ექსპორტს და იმპორტს.

ჩეხოსლოვაკიის ექსპორტის 65 — 70 პროცენტს შეადგენს მრეწველობის მზა საქონელი. ჩეხოსლოვაკიას გააქვს: საბაბგო და მსუბუქი მანქანები, ტრაქტორები, ლოკომოტივები, დაზგები, მოტოციკლები, ელექტროსადგურებისათვის საჭირო მოწყობილობა, შაქრისა და სპირტ-არაყის ქარხნების მოწყობილობა, რკინიგზის რონოდების ბორბლები, საფეიქრო საქობელი, ფეხსაცმელი, ბროლისა და ფაიფურის ნაწარმი, ფერადი მინა, ქაღალდი, ქიმიური პროდუქტები და სხვ.

შემოაქვს მაღალხარისხოვანი რკინის მადანი, ფერადი ლითონები, ბამბა, მატყლი, ნედლი მასალა ქაღალდისა და ტყავფეხსაცმლის მრეწველობისათვის, სასურსათო პროდუქტები და სხვ.

ომამდელი ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაშინ სავაჭრო ბალანსი პასიური იყო (საქონლის შემოტანა ჭარბობდა გატანას). სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ დეფიციტი ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობაში აღმოფხვრილ იქნა.

ახალ ჩეხოსლოვაკიას მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. ეს ქვეყნები იცავენ ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკას კაპიტალისტური ბაზრების დამღუპველი გავლენისაგან. ამერიკის იმპერიალიზმი ატარებს ჩეხოსლოვაკიის მიმართ ეკონომიური დისკრიმინაციის პოლიტიკას და ხელს უშლის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს იქონიონ ჩეხოსლოვაკიასთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის არსებობს ახალი სახის ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია ურთიერთ გაგების, პატივისცემისა და სუვერენული უფლებების დაცვის პრინციპებზე. ამ ქვეყნებთან სსრ კავშირის ურთიერთობა მაგალითია სახელმწიფოებს შორის სრულიად ახალი ურთიერთობისა, როგორიც წინად ისტორიაში არ ყოფილა. ეს ურთიერთობა ემყარება თანასწორუფლებიანობის, ეკონომიური თანამშრომლობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემის პრინციპებს. სსრ კავშირი, რომელიც ერთგულად იცავს ხელშეკრულებებს ურთიერთდახმარების შესახებ, ეხმარება და ხელს უწყობს ამ ქვეყნების შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას. სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ ამერიკის იმპერიალიზმის მიერ გატარებულმა ეკონომიური დისკრიმინაციის პოლიტიკამ მთელ მსოფლიოს დაანახვა ასეთი პოლიტიკის უგუნურება. სახალხო დემოკრატიის ქვეყნები საბჭოთა კავშირის მძლავრი მხარდაჭერით უდიდეს ეკონომიურ აღმავლობას განიცდიან.

საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები დაინტერესებული არიან ერთმანეთს შორის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებით, რაც ამ ქვეყნების საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების მტკიცე საწინდარია. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ სიმძლავრეს. საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის არსებობს მთელი რიგი ეკონომიური ხასიათის შეთანხმებანი და ხელშეკრულებები.

1949 წლის იანვარში შეიქმნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო, რომელშიც თანასწორი უფლებებით შევიდნენ სსრ კავშირი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უფრო გვიან — ალბანეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ეკონომიური საბჭო გამოდის მასში მონაწილე ქვეყნების ინტერესებიდან და ამის ნიადაგზე აწესრიგებს მათ შორის ეკონომიურ ურთიერთობას.

„...ომისშემდგომ პერიოდში ეს ქვეყნები ეკონომიურად შეკავშირდნენ და მოაწყვეს ეკონომიური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. ამ თანამშრომლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა ისეთ ნამდვილ და ტექნიკურად კვალიფიციურ დახმარებას ვერ გაუწევდა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს. როგორსაც მათ უწევს საბჭოთა კავშირი. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ეს დახმარება მაქსიმალურად იაფი და ტექნიკურად პირველხარისხოვანია. საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ამ თანამშრომლობას საფუძვლად უდევს გულწრფელი სურვილი — დავეხმაროთ ერთმანეთს და მივაღწიოთ საერთო ეკონომიურ აღმავლობას. ამის შედეგია ამ ქვეყნებში მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობის განვითარების ასეთი ტემპის პირობებში მალე საქმე იქამდე მივა, რომ ამ ქვეყნებს არა თუ აღარ დასჭირდებათ კაპიტალისტური ქვეყნებიდან საქონლის შემოტანა, არამედ თვითონ იგრძნობენ იმის აუცილებლობას, რომ სხვაგან გაიტანონ თავიანთი წარმოების ნაჭარბი საქონელი“ [1].

---

[1] ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, 1953, გვ 34.

თუ ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში საგარეო ვაჭრობა ემსახურებოდა მშრომელი მასების ექსპლოატაციისა და ერთი მუჭა ბურჟუაზიულ-მემამულური წრეების გამდიდრების საქმეს, ახალ ჩეხოსლოვაკიაში საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვან ბერკეტს და ხალხის ინტერესებს ემსახურება.

ჩეხოსლოვაკია სამრეწველო ქვეყანაა, მაგრამ მას არ გააჩნია ყველა საჭირო ნედლეული. ჩეხოსლოვაკიას გააქვს თავისი სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი. ექსპორტში მზა საქონლის ხვედრითი წონის მხრივ ჩეხოსლოვაკიას მსოფლიოში პირველი ადგილი[1] უკავია.

ახალ ჩეხოსლოვაკიაში შეიცვალა სამრეწველო საქონლის ექსპორტის სახე. ომამდე მძიმე ინდუსტრიის პროდუქცია შეადგენდა მთელი ექსპორტის დაახლოებით 1/3-ს, ხოლო 1948 წელს 50 პროცენტს. პირველი ხუთწლედის განმავლობაში გაიზარდა მანქანების გატანა; 1953 წელს მან შეადგინა მთელი ექსპორტის 2/3-ზე მეტი. 1954 წლის გეგმით იგი კიდევ უფრო იზრდება.

ჩეხოსლოვაკიის იმპორტში ნახევარზე მეტს შეადგენს ნედლეული და ნახევარფაბრიკატი. 1949 წელს მან შეადგინა მთელი იმპორტის 54,6 პროცენტი. ჩეხოსლოვაკიას შემოაქვს: რკინის მადანი, ფერადი და მსუბუქი ლითონები, ნედლეული და ნახევარფაბრიკატები ქიმიური მრეწველობისათვის, ნავთობპროდუქტები, ქვანახშირი, ნედლეული საფეიქრო მრეწველობისათვის.

შეიცვალა ჩეხოსლოვაკიის ექსპორტისა და იმპორტის გეოგრაფიაც. 1948 წლის თებერვლამდე ჩეხოსლოვაკიის იმპორტის დაახლოებით 70 პროცენტი და ექსპორტის 50 პროცენტი მიდიოდა ჩეხოსლოვაკიის იმ კერძო ფირმების გზით, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისთან, ხოლო სსრ კავშირისა და სახალხო დემოკ-

[1] 1949 წელს ჩეხოსლოვაკიის ექსპორტში მზა პროდუქცია შეადგენდა 80,5 პროცენტს, იმავე წელს უნგრეთში მზა საქონელი შეადგენდა ექსპორტის დაახლოებით 50 პროცენტს, პოლონეთში — 31 პროცენტს, რუმინეთში — 16 პროცენტს.

რატიის ქვეყნებზე. კი საგარეო ვაჭრობის მთელი ბრუნვის მხოლოდ 14 პროცენტი მოდიოდა. 1952 წელს კი ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაზე მოდიოდა ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 30 პროცენტი. უკანასკნელ პერიოდში იზრდება სავაჭრო ურთიერთობა აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან. სულ უფრო იზრდება და მტკიცდება სავაჭრო ურთიერთობა სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, რაც მეტად ხელსაყრელია ჩეხოსლოვაკიისათვის. მაგალითად, 1951 წელს ჩეხოსლოვაკიამ საბჭოთა კავშირსა და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში 20 სახის საქონელი შეიძინა, რისთვისაც გადაიხადა 7,1 მილიარდი კრონი, მაშინ როდესაც კაპიტალისტურ ქვეყანაში ამ საქონლისათვის მას უნდა გადაეხადა 11,2 მილიარდი კრონი.

1946 წლის ბოლომდე ჩეხოსლოვაკიამ მიიღო საბჭოთა კავშირიდან 539 ათასი ტონა რკინის მადნეული, 20 ათას ტონაზე მეტი მარგანეცისა და ქრომის მადნეული, 10,5 ათასი ტონა ბამბა, 80 ათასი ტონა ნავთობპროდუქტები, ასობით ათასი ტონა სხვადასხვა მარილი, ათასობით ტონა კალა, ნიკელი, თუთია, რეზინი, სელი, მატყლი. ტყავი და სხვა, 30 ათასი ტონა მარცვლეული [1].

ჩეხოსლოვაკია რუმინეთიდან და ბულგარეთიდან ღებულობს კონცენტრატებს, ნავთსა და ნავთობპროდუქტებს, პოლონეთიდან — ქვანახშირსა და თუთიას, უნგრეთიდან — ალუმინს. ჩინეთიდან — ფერად ლითონებს, აბრეშუმს, მატყლს, ჩაის, ბრინჯს და სხვ.

ჩეხოსლოვაკიას ამ ქვეყნებში გააქვს მანქანები, აპარატები, მძიმე მანქანათმშენებლობის ნაწარმი, ფოლადი, კოქსი, მსუბუქი მრეწველობის პროდუქტები და სხვ.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ახალ ფორმას წარმოადგენს საერთო მშენებლობები; მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობით პოლონეთში შენდება მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო ობიექტები, რომელთა ნაწილი უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ. პოლონეთი ბუნებრივ გაზს აწვდის ოსტრავის ოლქის ქარხნებს. ბუნებრივი რესურსების

[1] „Rudé Právo", 4. 5. 1950.

უკეთ გამოყენების მიზნით მთელი რიგი საწარმოები შენდება ჩეხოსლოვაკია-პოლონეთის მოსაზღვრე რაიონებში (სილეზიაში და სხვ.). ასეთივე ურთიერთობა არსებობს ჩეხოსლოვაკიასა და სახალხო უნგრეთს შორის.

საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1950 წლის ნოემბერში ხელმოწერილ იქნა ეკონომიური ხასიათის შეთანხმება ხუთი წლის ვადით (1951 — 1955 წწ.). ამ შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეს შეთანხმება, ისევე როგორც მანამდე დადებული სხვა შეთანხმებები, ემყარება თანასწორობისა და ურთიერთ-პატივისცემის პრინციპებს, იგი იძლევა მტკიცე გარანტიას ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ შეთანხმებით ყოველდღიური საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1948 — 1950 წწ. შედარებით გაიზარდა 50 პროცენტით. საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიას აწვდის საუკეთესო კაპიტალურ მოწყობილობას და უფასო ტექნიკურ დახმარებას უწევს. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის მნიშვნელოვნად გაფართოებას. 1952 წელს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წილი ჩეხოსლოვაკიის იმპორტში შეადგენდა 70,6 პროცენტს, ექსპორტში — 68,2 პროცენტს.

ჩეხოსლოვაკიას ეკონომიური ხასიათის ხელშეკრულებები დადებული აქვს ყველა დემოკრატიულ ქვეყანასთან და მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სსრ კავშირის გარდა მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება ხელმოწერილი აქვს პოლონეთთან (1947 წლის 10 მარტს), ბულგარეთთან (1948 წლის 23 აპრილს), რუმინეთთან (1948 წლის 21 ივლისს) და უნგრეთთან (1949 წლის 16 აპრილს).

მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებები, რომლებსაც ხელი მოაწერა ჩეხოსლოვა-

კიამ სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და ასევე მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ემყარება მტკიცე ეკონომიურ საფუძველს, ხელს უწყობენ მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებამ და იმ დემოკრატიულმა ღონისძიებებმა, რაც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ და სახალხო-დემოკრატიულმა მთავრობამ გაატარეს, ძირეულად შეცვალა მშრომელთა მატერიალური პირობები. ბოლო მოეღო უმუშევრობას, გაიზარდა მოსახლეობის სყიდვითუნარიანობა. 1950 წელს ყოველი მშრომელი 20 პროცენტით მეტ საფეიქრო ნაწარმს ხმარობდა, ვიდრე 1937 წელს. 1936 წელთან შედარებით ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა ახლა ყიდულობს 37 პროცენტით მეტ ხორცს, 18 პროცენტით მეტ ერბო-კარაქს, 79 პროცენტით მეტ ფქვილს და ა.შ.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი განუწყვეტლივ იზრდება. ასე, მაგალითად, სამრეწველო მუშის საშუალო ხელფასი თვეში შეადგენდა 1946 წელს 2 663 კრონს, 1950 წელს — 4 543 კრონს. ხუთწლედის განმავლობაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშების ხელფასი საშუალოდ გაიზარდა 34 პროცენტით, ხოლო მრეწველობაში — 56 პროცენტით. სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს შრომისუნარდაკარგულ ადამიანთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

1951 წლის ივნისში 1 521 300 კაცი სახელმწიფოსაგან ღებულობდა პენსიას და დახმარებას. 1951 წელს ჩეხოსლოვაკიის მთავრობა თითქმის 1 მილიონ ისეთ პირს აძლევდა პენსიას, რომლებსაც წინათ არავითარი შემოსავალი არ ჰქონდათ. სოციალური დაზღვევისა და ავადმყოფობის დროს დახმარების თანხა 1946 წელს შეადგენდა 4 419 მილიონ კრონს, 1950 წელს — 13 842 მილიონ კრონს. 1953 წელს ჩატარდა ფულის რეფორმა, გაუქმდა საბარათო სისტემა.

1953 წლის მარტში ჩეხოსლოვაკიის ხალხს თავს დაატყდა დიდი უბედურება. 14 მარტს დღის 11 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის

პრეზიდენტი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის თავმჯდომარე ამხანაგი კლემენტ გოტვალდი. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ც. კ.-ის, ჩეხოსლოვაკიის მთავრობისა და ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელისადმი, ნათქვამი იყო: „დადგა მძიმე, მეტად მძიმე საათი ჩეხოსლოვაკიის ხალხისათვის. მალე დიდი სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხალხს თავს დაატყდა აუნაზღაურებელი მწუხარება. გარდაიცვალა ჩვენი მშრომელთა საყვარელი ბელადი, ლენინისა და სტალინის საუკეთესო და ყველაზე ერთგული მოწაფე, ჩვენი სახალხო-დემოკრატიული სამშობლოს მამა. გარდაიცვალა ამხანაგი გოტვალდი, რომელმაც ააგო და გამოაწრთო ჩვენი კომუნისტური პარტია, როგორც ახალი ლენინურ-სტალინური ტიპის პარტია“ [1].

იმავე წლის 21 მარტს პრაღის გრადის ვლადისლავის დარბაზში შედგა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების სხდომა, რომელმაც კომპარტიის ც. კ.-ისა და ეროვნული ფრონტის მოქმედების ცენტრალური კომიტეტის წინადადებით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ჩეხოსლოვაკიის ხალხის ერთგული შვილი, კლემენტ გოტვალდის უახლოესი თანამებრძოლი ანტონინ ზაპოტოცკი. „ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის, — განაცხადა ეროვნულ კრებაზე ვილიამ შიროკიმ, — იცნობს ჩვენ რესპუბლიკაში ყოველი მშრომელი, როგორც ამხანაგ გოტვალდის უახლოეს თანამებრძოლს, როგორც ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასის ერთგულ შვილს. მთელი თავისი სიცოცხლე ამხანაგ ზაპოტოცკიმ მოახმარა მშრომელთა საქმისათვის ბრძოლას, მუშათა კლასის ისტორიული მისიის შესრულებას, სოციალიზმისა და მშვიდობის გამარჯვებას. ის დაკავშირებულია ხალხთან, იცის მისი საჭიროება, მისი მამაცობა და თავდადებულობა, დარწმუნებულია ჩვენი ხალხის შემოქმედებით რევოლუციურ ძალებში და ლენინ — სტალინის მოძღვრების უძლეველ ძალაში“ [2].

იმავე დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ პრემიერ-მინისტრად დანიშნა ვილიამ შიროკი. კომ-

---

[1] „პრავდა“, 1953 წ. 15 მარტი.

[2] „ზა პროჩნი მირ, ზა ნაროდნუიუ დემოკრატიუ!“, 1953 წ. 27 მარტი.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ც. კ.-ის სამდივნოს ხელმძღვანელობა დაავალა ანტონინ ნოვოტნის.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ც. კ.-ის მითითების საფუძველზე 1953 წლის 15 სექტემბერს მთავრობამ მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ. პარტიამ და მთავრობამ მთავარ ამოცანად დასახეს მშრომელი მასების ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, პირველ რიგში ფართო მოხმარების საგნებზე ფასების თანდათანობითი დაკლების გზით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გაზრდის გზით.

1954 წლის მარტში პრაღაში ჩატარდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ც. კ.-ის პლენუმი, რომელზედაც მოხსენებით — ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების შესახებ — გამოვიდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილიამ შიროკი. პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებმა, როგორც ვ. შიროკი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, გამოიღო დადებითი შედეგები.

1954 წელს ჩეხოსლოვაკელმა ხალხმა შეაჯამა პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები. ჩეხოსლოვაკელმა ხალხმა თავის სახელოვანი კომპარტიისა და სახალხო მთავრობის ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატებები მოიპოვა. მან წარმატებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმის დავალებანი. პირველი ხუთწლედის პერიოდში გაიშალა ფართო კაპიტალური მშენებლობა. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებამ ხუთწლედის განმავლობაში შეადგინა 83,2 მილიარდი კრონი; წარმოების საშუალებათა წარმოება გაიზარდა 118,7 პროცენტით; ფართო მოხმარების საქონლის — 79,8 პროცენტით.

ქვანახშირის ამოღების მხრივ მოსახლეობის თითოეული სულის მიხედვით 1953 წელს ჩეხოსლოვაკიას ეკავა მსოფლიოში მეცხრე, თუჯის წარმოებაში მეშვიდე და ფოლადის წარმოებაში მეექვსე ადგილი. ხუთწლედის განმავლობაში ელექტროენერგიის წარმოების დარგში ჩეხოსლოვაკიამ გაუსწრო საფრანგეთსა და იტალიას, ფოლადის წარმოებაში — შვეიცარიას

და საფრანგეთს და თითქმის დაეწია ინგლისს. ხუთწლედის მანძილზე მწყობრში ჩადგა 12 დიდი ელექტროსადგური. მძიმე მრეწველობა, რომელიც განუწყვეტლივ და ჩქარი ტემპით ვითარდებოდა, 1948 წელთან შედარებით გაიზარდა 3,3-ჯერ. თუჯის წარმოება ხუთწლედის განმავლობაში გაიზარდა 69 პროცენტით, ფოლადის წარმოება — 67 პროცენტით და ნაგლინის — 73 პროცენტით. ელექტროენერგიის წარმოება 1937 წელთან შედარებით გაიზარდა 65 პროცენტით, საექსპლოატაციოდ გადაეცა 12 დიდი ელექტროსადგური, ქვანახშირის ამოღება გადიდდა 22 პროცენტით, მურა ნახშირის — 91 პროცენტით. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 60 პროცენტით, მშენებლობაში — 52 პროცენტით.

სოციალისტური სექტორი ერთადერთი გაბატონებული სექტორი გახდა ყველა დარგში, გარდა სოფლის მეურნეობისა. „ჩვენ შევქმენით, — ამბობდა პარტიის X ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი,— ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შეურყეველი ფუნდამენტი. სოციალისტური მსხვილი წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სოფლად წარმოადგენს სახელმწიფო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხშირი ქსელი". ლიკვიდირებულ იქნა ექსპლოატატორები — ფაბრიკანტები, ბანკირები, მემამულეები. უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის — კულაკობის წინააღმდეგ ტარდება შეზღუდვისა და განდევნის პოლიტიკა.

ხუთწლედის განმავლობაში ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 59 პროცენტით. რამდენჯერმე მოხდა ფასების დაკლება, რამაც დიდი მოგება მისცა მოსახლეობას. მოსახლეობას გადაეცა 131 ათასზე მეტი საცხოვრებელი ბინა. გარდა ამისა, ინდივიდუალური პირების მიერ აგებულია 46 100 ბინა. ელექტროფიცირებულია ყველა დასახლებული პუნქტის 97 პროცენტი. განუწყვეტლივ იზრდება ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება. 1937 წელს თითოეულ სულზე იხარჯებოდა 280 კილოვატსაათი ენერგია, 1953 წ. კი — 980 [1]. ყველა დასახლებული პუნქტი უზრუნველყოფილია ტელეფონის ხაზით.

---

[1] „Rudé Právo". 8. 6. 1954.

1953 წლის დეკემბერსა და 1954 წლის აპრილში ფართო მოხმარების საგნებზე ფასების ახალმა დაკლებამ მოსახლეობას 10,7 მილიარდი კრონი რაოდენობის მოგება მისცა წელიწადში.

კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის X ყრილობას (რომელიც 1954 წლის ივნისში ჩატარდა) განსახილველად წარუდგინა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტი 1955 წლისათვის და უახლეს 2 — 3 წელში სოფლის მეურნეობის განვითარების დირექტივების პროექტი. ზემოხსენებული სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და დირექტივების პროექტები ითვალისწინებენ ჩეხოსლოვაკიის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. 1956 წლიდან ჩეხოსლოვაკელი ხალხი შეუდგება მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობის მიერ მიღებული დირექტივებით გათვალისწინებულია 1955 წელს 1954 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების ზრდა სულ ცოტა 9 პროცენტით, სლოვაკიაში კი — 10 პროცენტით. ამავე დროს გათვალისწინებულია წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების სწრაფი ტემპით განვითარება. დირექტივების მიხედვით, ქვანახშირის ამოღება 1954 წელთან შედარებით უნდა გადიდდეს სულ ცოტა 5 პროცენტით, ელექტროენერგიის წარმოება — 11 პროცენტით, მანქანათმშენებლობა — 10 პროცენტით და ა. შ.

დირექტივებში გათვალისწინებულია მშრომელი მასების კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და მშრომელთა შემოსავლის გადიდების, საბინაო, სასკოლო და კომუნალური მშენებლობის შემდგომი განვითარების გზით. 1955 წელს მშრომელებს გადაეცემათ 48 ათასი ახალი ბინა, ფართო გაქანებას მიიღებს ინდივიდუალური მშენებლობა.

დირექტივები ითვალისწინებენ საწარმოო პროცესების შემდგომ მექანიზაციას და ავტომატიზაციას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უფრო ფართოდ გამოყენებას წარმოებაში; შრომის ნაყოფიერების ზრდას მრეწველობაში 7 პრო-

ცენტით, მშენებლობაში 8 პროცენტით; სათესი ფართობის გადიდებას 1957 წლამდე 200 ათასი ჰექტარით, ხორცის წარმოების ზრდას 26 პროცენტით, უახლოეს სამ წელიწადში სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნება 320 ათასი კაცი. „სოციალიზმის მშენებლობაში, — განაცხადა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის X ყრილობაზე მთავრობის მეთაურმა ვილიამ შიროკიმ, — ჩვენ მოვიპოვეთ ისტორიული მნიშვნელობის უდიდესი წარმატებები. მისი შემოქმედია ჩვენი გმირი მშრომელი ხალხი, რომელმაც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით შეძლო უზრუნველეყო ჩვენი სამშობლოს არნახული ეკონომიური და კულტურული აყვავება. მის წინაშე იხსნება ახალი ნათელი პერსპექტივები განუწყვეტელი მოძრაობისა წინ, მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისა, ჩვენი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ძალისა და უძლეველობის განმტკიცებისა“ [1].

2. სოფლის მეურნეობა სოციალისტური განვითარების გზაზე

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური დონის ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარებას, მემამულეებისა და კულაკების მეურნეობის ლიკვიდაციას. ი. ბ. სტალინმა დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო პირველ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში 1933 წლის 19 თებერვალს განსაზღვრა სოფლის მეურნეობის განვითარების ორი გზა. ამხანაგი სტალინი ამბობდა: „...არის მხოლოდ ორი გზა: ან წინ, მაღლა—ახალი, საკოლმეურნეო წყობილებისაკენ, ან უკან, თავქვე — ძველი, კულაკურ-კაპიტალისტური წყობილებისაკენ. მესამე გზა არ არსებობს“ [2]. ი. ბ. სტალინის ეს სიტყვები სახელმძღვანელოა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარების საქმეში.

---

1 „პრავდა“, 1954 წ. 14 ივნისი.

2 ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 527.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა მიზნად ისახავს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საფუძველზე წვრილი გლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას, კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციას და სოციალისტური წყობილების სრული გამარჯვების უზრუნველყოფას.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული: ლიკვიდირებულია მსხვილი მიწათმფლობელობა, ჩამორთმეული მიწების უდიდესი ნაწილი გადაეცა გლეხობას პირად სარგებლობაში. სახელმწიფო მნიშვნელობის მიწები, ტყეები, წიაღისეული სიმდიდრეები ნაციონალიზებულ იქნა და გადავიდა საერთო-სახალხო მფლობელობაში. მიწის რეფორმა ჩეხოსლოვაკიაში 1945 — 48 წწ. ჩატარებულ იქნა სამ ეტაპად. მიწის ამ რეფორმების შედეგად ჩამორთმეულ იქნა 4.4 მილიონი ჰექტარი მემამულეთა მიწა. ამ ფართობის ნახევარს შეადგენდა ტყე, რომელიც გადავიდა სახელმწიფოს განკარგულებაში. დაახლოებით 1,8 მილიონი ჰექტარი მიწა გადაეცა უმიწო და მცირემიწიან გლეხობას.

აგრარული რეფორმის შედეგად მიწები მიიღეს პირველ რიგში ყოფილმა მოჯამაგირეებმა, უმიწო და მცირემიწიანმა გლეხებმა, ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილეებმა, პარტიზანებმა და სხვ. მაგრამ აგრარული რეფორმის შედეგად მიწაზე კერძო საკუთრება არ მოსპობილა. გლეხობამ მიწა კერძო საკუთრებად მიიღო სასყიდლით. ეს სასყიდელი შეადგენს ერთი წლის საშუალო შემოსავალს მიწის იმ ნაკვეთზე, რომელიც გლეხმა მიიღო. ამასთანავე გლეხს ეძლევა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი მიწის გამოსასყიდის გადახდისათვის; ამ შემთხვევაში ხელისუფლება მხედველობაში იღებს გლეხის ეკონომიურ მდგომარეობას.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-12 მუხლში ნათქვამია: „მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მას ამუშავებს“. იმავე კონსტიტუციის 159-ე პარაგრაფი განსაზღვრავს მიწაზე კერძო საკუთრებას 50 ჰექტარამდე იმ გლეხთათვის, რომლებიც მას ამუშავებენ. მაგრამ მიწის

მესაკუთრეს უფლება არა აქვს აწარმოოს მიწის ყიდვა-გაყიდვა.

ჩეხოსლოვაკიაში, ისევე როგორც ევროპის სხვა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში, მიწის მთლიანი ნაციონალიზაცია არ მომხდარა. ეს გარემოება აიხსნება ამ ქვეყნების თავისებურებებით, კაპიტალიზმის განვითარების შედარებით მაღალი დონით. ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ 1928 წელს ამბობდა: „...კაპიტალისტურად რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო ძნელია **მთელი** მიწის ნაციონალიზაციის გატარება, ვინაიდან იქ მით უფრო ძლიერია მიწის კერძო საკუთრების ტრადიციები და, მაშასადამე, მით უფრო ძნელია ამ ტრადიციებთან ბრძოლა“ [1].

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალში ჩეხოსლოვაკიაში, ისევე როგორც ევროპის სხვა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, არ ჩატარდება მიწის მთლიანი ნაციონალიზაცია. ამის შესახებ ბულგარეთის კომპარტიის V ყრილობაზე გ. დიმიტროვი ამბობდა: „მშრომელ მიწათმოქმედთა კოოპერაციულ მეურნეობებში უღარიბესი და საშუალო გლეხების თანდათანობით მიზიდვით, მტს-ების რიცხვის გადიდებით, მიწის იჯარით გაცემის აკრძალვით, მიწის ყიდვა-გაყიდვის შეზღუდვითა და აკრძალვით შევქმნით წინასწარ პირობებს. როცა მიწის ნაციონალიზაციის საკითხი პრაქტიკულად გადაწყდება, მთელი მიწა სამუდამო სარგებლობაში გადაეცემათ მშრომელ გლეხებს“[2].

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა სოფლის სოციალისტურ გზაზე გადაყვანის საკითხი. ამ საქმეში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ და სახალხო-დემოკრატიულმა მთავრობამ უდიდესი წარმატებები მოიპოვეს.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გზაზე გადაყვანისათვის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და სახალხო-დემოკრატიული მთავრობისათვის მთავარი იყო წვრილი და საშუალო

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 164.

[2] გ. დიმიტროვი, ბმპ(კ) V ყრილობაზე გაკეთებული პოლიტიკური ანგარიში, 1948, გვ. 38.

გლეხობის მიმხრობა და სოფლის ბობოლების იზოლაცია. ამ ამოცანის შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრარულ რეფორმას, რომელმაც მიწები გადასცა უმიწო და მცირემიწიან გლეხებს.

მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ სოფლად კოოპერაციულ მეურნეობათა შექმნის შესახებ. 1949 წლის 23 თებერვალს ეროვნულმა კრებამ მოიწონა კანონი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც უნდა შეეცვალა მანამდე არსებული კოოპერაციის ყველა ფორმა. ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ნამდვილი სოციალისტური საწარმოო კოოპერაციის შექმნის საქმეში. ამიერიდან მთელ ჩეხოსლოვაკიაში გაიშალა მუშაობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისათვის. იქმნებოდა სხვადასხვა სახის კოოპერაციული მეურნეობანი, რომელთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა. 1950 წლის დასაწყისში ჩეხოსლოვაკიაში არსებობდა 2 412 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და 1 316 ახალ მეურნეობათა ორგანიზაციისათვის მოსამზადებელი კომიტეტი. 1951 წელს 3 279 ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მოსპო მიჯნები და შეუდგა თესვას. ამ კოოპერატივებში 1951 წლის იანვარში გაერთიანებული იყო 202 686 გლეხის ოჯახი, რომელთა ხელში იყო 1 216 061 ჰექტარი მიწა. გარდა ამისა, მიწების მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო სახელმწიფოს ხელშიც. 1949 წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სახელმწიფო მეურნეობები ამუშავებდნენ 2 018 457 ჰექტარ მიწას, ე. ი. მთელი სახნავი მიწების 26,9 პროცენტს, 1952 წლის დასაწყისში კი — 30 პროცენტს. 1953 წლის ბოლოს ჩეხოსლოვაკიაში არსებობდა 6 782 მესამე და მეოთხე ტიპის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც აერთიანებდა 262 ათას გლეხურ მეურნეობას. მათ ხელში იყო მთელი სათესი ფართობის 32 პროცენტი.

სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. განუწყვეტლივ იზრდება მტს-ების რიცხ-



საბჭოთა კომბაინი „სტალინეც-6“ ჩეხოსლოვაკიის მინდვრებზე.

ვი, რომლებიც უდიდეს როლს თამაშობენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმეში. 1948 წელს ჩეხოსლოვაკიაში იყო 22 ათასი ტრაქტორი, რომლის ⅔ ეკუთვნოდა სახელმწიფო და კოოპერაციულ მეურნეობებს. 1950 წელს რესპუბლიკაში უკვე 28 ათასი ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა იყო. 1937 წელთან შედარებით, 1951 წლისათვის ჩეხოსლოვაკიაში ტრაქტორების რიცხვი 6,5-ჯერ გაიზარდა. 1937 წელს 1 ტრაქტორზე მოდიოდა დაახლოებით 1 460 ჰექტარი, 1951 წელს კი — 190 — 200 ჰექტარი. 1953 წელს ჩეხოსლოვაკიაში იყო 45 ათასზე მეტი ტრაქტორი (ე. ი. ყოველ სოფელზე საშუალოდ 3 ტრაქტორი) და ასეული ათასობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი. პირველი ხუთწლედის განმავლობაში მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა თითქმის 9-ჯერ გაიზარდა. 1948—1953 წწ. სოფლის მეურნეობამ მიიღო 14 363 ახალი ტრაქტორი, 1 175 კომბაინი, 13 577 სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, 1 050 ავტომანქანა.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სახელმწიფო მეურნეობები ფართოდ იყენებენ კომბაინს მოსავლის აღების დროს. სლოვაკიაში 1954 წელს კომბაინმა აიღო მოსავალი 73 800 ჰექტარზე, რითაც დაზოგილ იქნა 3 მილიონი სამუშაო საათი, 100 ათასამდე ცენტნერი მარცვლეული და კოოპერატივების ხარჯები შემცირდა 6 მილიონი კრონით. „მიმდინარე წელს ჩვენს მეურნეობაში იმუშავებს გაცილებით მეტი რაოდენობის კომბაინი. მარტო მტს-ებში ის თითქმის 1 500-მდეა, ე. ი. 500-ით მეტი, ვიდრე გასულ წელს. კომბაინებით ამ წელს აღებული იქნება მარცვლეული 200 ათას ჰექტარზე“ [1]. პარტიის X ყრილობის დირექტივების თანახმად 1957 წელს მარცვლეულის მოსავლის ნახევარი აღებულ იქნება კომბაინებით [2].

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებობს ოთხი სახის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული მეურნეობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოების საშუალებათა განზოგადებისა და შემოსავლის განაწილების ხასიათის მიხედვით.

1. საზოგადოებრივ მეურნეობათა ყველაზე დაბალი ფორმაა მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა. აქ მიჯნები შენარჩუნებულია. ამ ამხანაგობაში გლეხები ერთად ამუშავებენ მიწის ნაკვეთს, ერთად ასრულებენ მინდვრის სამუშაოებს და ერთად სარგებლობენ კოოპერაციული და კერძო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარითა და მანქანებით. ამხანაგობის ყოველი წევრი ღებულობს მოსავალს თავისი მიწის ნაკვეთიდან.

2. შრომითი სამიწათმოქმედო კოოპერატივები; აქ მიჯნა მოსპობილია და მიწის დამუშავება ხდება ერთად, ხოლო მოსავალი იყოფა პროპორციულად კოოპერატივის წევრებს შორის მათ მიერ კოოპერატივში გაერთიანებული მიწის ნაკვეთის ოდენობის მიხედვით.

3. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული მეურნეობის მესამე სახე გულისხმობს წარმოების საშუალებათა

---

[1] „Rudé Právo“, 1. 7. 1954.
[2] იქვე.

განზოგადებას, წევრებს შორის შემოსავალი ნაწილდება უმთავრესად შრომადღის მიხედვით და ნაწილობრივ იმ მიწის ნაკვეთის მიხედვით, რომელიც წევრმა ჩააბარა კოოპერატივს. აქ მოსავლის განაწილება შემდეგნაირად ხდება: მთელი მოსავლის 30 პროცენტი ეძლევათ მიწის მესაკუთრეებს, 60 პროცენტი ნაწილდება შრომადღეების მიხედვით, ხოლო დანარჩენი 10 პროცენტი გადადის განუყოფელ ფონდში. იგი ხმარდება კოოპერაციული მეურნეობის ან სოფლის კეთილმოწყობის საქმეს და სხვ.

4. ყველაზე მაღალი ფორმაა სოფლის საწარმოო კოლექტიური მეურნეობა. იგი აგებულია უმთავრესად სსრ კავშირში არსებულ კოლმეურნეობათა ნიმუშის მიხედვით. მისი წევრები თავიანთ მიწებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და პირუტყვს გადასცემენ საერთო მეურნეობას. თავისთვის იტოვებენ მხოლოდ მიწის მცირე ნაკვეთს — ბაღს, 1 ან 2 ძროხას, 1 — 2 ხბოს, ღორებსა და ფრინველს. ამ მეურნეობაში მიწა საზოგადო საკუთრებას წარმოადგენს. შრომის ანაზღაურება ხდება მხოლოდ შრომადღეების მიხედვით. მეურნეობის ამ ფორმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეგი ქმნის საფუძველს მიწის სრული ნაციონალიზაციის განხორციელებისა და ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

ჩეხოსლოვაკიაში არსებობს აგრეთვე სანიმუშო სახელმწიფო სასოფლო მეურნეობები, რომლებიც თავიანთი ხასიათით სოციალისტური ტიპის მეურნეობებს წარმოადგენენ. ასეთ მეურნეობათა განკარგულებაშია 500 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა. ეს მეურნეობები იყენებენ მოწინავე ტექნიკას, ეხმარებიან კოოპერაციულ მეურნეობებს ხარისხოვანი თესლით, მანქანა-იარაღებით და სხვ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრთა 65 პროცენტს შეადგენენ ის გლეხები, რომელთა მიწის ნაკვეთი 2 — 5 ჰექტარს უდრის. 1951 წლის ცნობით, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემადგენლობა ასეთი იყო: 43 პროცენტს შეადგენდნენ ის გლეხები, რომელთა მიწის ნაკვეთი უდრიდა 2 ჰექტარს, 22 პროცენტს — 2-დან 5 ჰექტარამდე, 17 პროცენტს — 5-დან 10 ჰექტარამდე,

14 პროცენტს — 10-დან 15 ჰექტარამდე, 3 პროცენტს — 15-დან 20 ჰექტარამდე და, ბოლოს 1 პროცენტს შეადგენდნენ ის გლეხები, რომლებსაც 20 ჰექტარზე მეტი მიწა ჰქონდათ.

. სახელმწიფოს მხრივ ყოველდღიური ზრუნვის შედეგად განუწყვეტლივ უმჯობესდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მდგომარეობა. სახელმწიფომ მემამულეებისაგან შეისყიდა 16 ათასი ტრაქტორი და 80 ათასამდე სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა და გადასცა ისინი კოოპერაციულ მეურნეობებს. მარტო 1945 — 1950 წწ. განმავლობაში მთავრობამ 10 მილიარდ კრონზე მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო მანქანები გადასცა სოფლის მეურნეობას.

ჩეხოსლოვაკელი გლეხისათვის ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში ყოფნა გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი ერთპიროვნულ მეურნეობის წარმოება. კოოპერაციული მეურნეობის წევრი გაცილებით მეტ შემოსავალს ღებულობს, ვიდრე ერთპიროვნული გლეხი. 1951 წლის აპრილში ერთპიროვნულ სექტორში ერთ მომუშავეზე მოდიოდა საშუალოდ 2,9 ჰექტარი მიწა, ხოლო ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში — საშუალოდ 6,6 ჰექტარი, სახელმწიფო მეურნეობაში კი — 6,7 ჰექტარი.

კოოპერაციულ მეურნეობაში გაცილებით მეტ მოსავალს იღებენ, ვიდრე ერთპიროვნულ მეურნეობაში. 1950 წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის 1 ჰექტარ მიწაზე მიღებულ იქნა საშუალოდ 27,9 ცენტნერი ხორბალი, ერთპიროვნულ-გლეხურ მეურნეობაში კი მხოლოდ 18,1 ცენტნერი. ეს გარემოება იზიდავს ერთპიროვნულ მეურნეს ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულ მეურნეობაში და ხელს უწყობს კოოპერაციულ მეურნეობათა რიცხვის ზრდას.

ამჟამად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არსებობენ ჩეხოსლოვაკიის სოფლების თითქმის ნახევარში და ამუშავებენ მთელი მიწების დაახლოებით 33 პროცენტს, ხოლო სახელმწიფო მეურნეობებთან ერთად კი სათესი მიწების 43 პროცენტს. მათ ემსახურება 256 მტს-ი.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების და სასუქების გამოყენების შედეგად განუწყვეტლივ იზრდება მოსავალი კოოპერა-

ციულ მეურნეობათა ფართობებზე. 1951 წელს ჩეხოსლოვაკიის ერთიანმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა თითოეული ჰექტარიდან მიიღეს 17,1 პროცენტით მეტი მოსავალი, ვიდრე 1950 წელს, ხოლო სახელმწიფო მეურნეობამ კი—12,6 პროცენტით მეტი.

სახელმწიფო მეურნეობაში, 1949 წელთან შედარებით, 1953 წელს ჰექტარზე ხორბლის მოსავალი გაიზარდა 19,8 ცენტნერიდან 23,3 ცენტნერამდე, ჭვავის—17,5 ცენტნერიდან 19,4 ცენტნერამდე, ქერის — 18,3 ცენტნერიდან 22,3 ცენტნერამდე.

მოსავლის ზრდას ხელს უწყობს სასუქებისა და ახალი მეთოდების გამოყენება. დუბიცკის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებმა 26 ჰექტარ მიწაზე დათესეს კვადრატულ-ბუდობრივი წესით. მათ საშუალოდ 306 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს თვითეულ ჰექტარზე. პასოგლავკაში (პიკულოვის რაიონი, ბრნოს ოლქი) საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 30 ცენტნერი ჭვავი, 25,5 ცენტნერი ქერი, 24 ცენტნერი ხორბალი, 342 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. პასოგლავკას ერთიანმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა სახელმწიფო დამზადების დავალება შეასრულა: ჭვავის — 377 პროცენტით, ხორბლის — 172 პროცენტით, ქერის — 328 პროცენტით. აქ თვითეულ შრომადღეზე წევრებმა მიიღეს 35 კრონი ფულად, 3 კილოგრამი მარცვლეული, 1 კილოგრამი კარტოფილი, 200 გრამი ცერცვი, 100 გრამი ხორცი, 0,5 ლიტრი რძე.

სასუქების გამოყენების შედეგად გაიზარდა მარცვლეულის მოსავალი ჰექტარზე 6 — 7 ცენტნერით, ხოლო შაქრის ჭარხლისა — 63 ცენტნერით. გეგმით გათვალისწინებულია 1955 წლისათვის 1953 წელთან შედარებით სასუქების გამოშვების გაზრდა 91,9 პროცენტით[1].

ჩეხოსლოვაკიის ხალხი ფართოდ იყენებს საბჭოთა კავშირის კოლექტიური მეურნეობების გამოცდილებას. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობს ჩეხოსლოვაკიის დელეგაციების ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში. მარტო 1950 წლის განმავლობაში

---

[1] „Rudé Právo", 3. 7. 1954

საბჭოთა კავშირში იმოგზაურა 600-მდე ჩეხოსლოვაკელმა გლეხმა. ჩეხოსლოვაკიაში დაბრუნების შემდეგ მათ თავიანთ თანამემამულეებს გაუზიარეს საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილება. დელეგაციის წევრები კრებებზე და საუბრებში დეტალურად ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს კოლმეურნე გლეხობა საბჭოთა კავშირში, როგორია მისი შრომის პირობები და სხვ.

დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას. კარგადაა განვითარებული მეღორეობა. 1951 წ. ჩეხოსლოვაკიაში იყო 4 მილიონი ღორი, ე. ი. 35 პროცენტით მეტი, ვიდრე 1937 წელს. მეღორეობა უმთავრესად განვითარებულია შაქრის ჭარხლის რაიონებში. იზრდება კოოპერაციული მეურნეობების პირუტყვის რაოდენობა. 1950 წელს კოოპერაციული მეურნეობის ძროხა 3 — 4-ჯერ მეტ რძეს იძლეოდა, ვიდრე ერთპიროვნული მეურნის ძროხა. 1950 წელს, წინა წელთან შედარებით, მეცხოველეობა გაიზარდა 35 პროცენტით.

კულაკობა ყოველნაირად იბრძვის კოოპერაციული მეურნეობისა და სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ, ცდილობს შეძვრეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულ მეურნეობაში და გასწიოს იქ ძირგამომთხრელი მუშაობა. ის არ აბარებს სახელმწიფოს მასზე გაწერილ მარცვლეულს და პროდუქტებს და საბოტაჟს უწევს სახალხო ხელისუფლების ღონისძიებებს. ბევრგან უკვე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კულაკი, რომელიც „მეგობრის“ ნიღაბით შეძვრა კოოპერაციულ მეურნეობაში, ნამდვილად წარმოადგენს მის დაუძინებელ მტერს.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ორგანო „რუდე პრავოს“ მოჰყავს მაგალითი იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობენ კულაკები ხელი შეუშალონ კოოპერაციული მეურნეობის განმტკიცებას, მოსავლის ზრდას და ა. შ. კულაკები ყოველნაირად ხელს უშლიან გლეხებს სახელმწიფო დამზადების გეგმების შესრულებაში.

ამრიგად, სოფლად ადგილი აქვს მწვავე კლასობრივ ბრძოლას. ეს თავისთავად გასაგებია. როგორც ი. ბ. სტალინი გვასწავლის, ისტორიას ჯერ არ ახსოვს ისეთი შემთხვევა, როდე-

საც მომაკვდავი კლასი თავის სურვილით წასულიყო ასპარეზიდან. ასეთ პირობებში კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უდიდეს როლს თამაშობენ კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები და ეროვნული კომიტეტები, რომლებიც წარმოადგენენ სახალხო-დემოკრატიული წყობილების დასაყრდენს სოფლად კულაკობისა და სხვა რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

უცხოეთის იმპერიალიზმისა და რეაქციული ძალების მეორე დასაყრდენს ჩეხოსლოვაკიაში წარმოადგენს კათოლიკური ეკლესია. ჩეხოსლოვაკია ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც კათოლიკური ეკლესია სერიოზულ როლს თამაშობდა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. კათოლიკური ეკლესია განსაკუთრებით ძლიერი იყო სლოვაკიაში, სადაც საპარლამენტო არჩევნებში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ის პარტია, რომელსაც მხარს უჭერდა კათოლიკური სამღვდელოება.

კათოლიკური ეკლესია ძირითადი ეკლესიაა ჩეხოსლოვაკიაში. 1930 წლის აღწერის მიხედვით კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდა ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის 76,85 პროცენტი. მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაიზარდა ათეისტურად განწყობილ ადამიანთა რიცხვი; მაგრამ მიუხედავად ამისა, 1949 წელს მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი აღიარებდა კათოლიკურ სარწმუნოებას.

კათოლიკური ეკლესია, განსაკუთრებით უმაღლესი სასულიერო წოდება, წარმოადგენს ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის დასაყრდენს. ამჟამად კათოლიკური ეკლესია წარმოადგენს ერთადერთ ლეგალურ ორგანიზაციას, სადაც თავს აფარებენ სახალხო-დემოკრატიულ წყობილებასთან მტრულად განწყობილი ელემენტები. კათოლიკური სასულიერო წოდების უმრავლესობა წარმოადგენს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და სახალხო-დემოკრატიული წყობილების დაუძინებელ მტერს.

1949 წელს ჩეხოსლოვაკიაში არსებობდა 4 357 ეკლესია, სადაც ირიცხებოდა 6 ათასი მღვდელი და სხვა სასულიერო პირი. გარდა ამისა, იყო 428 მონასტერი 9 ათასამდე ღვთის-

მსახურით. ჩეხოსლოვაკია დაყოფილია 12 საეპისკოპოსოდ. 1950 წელს კათოლიკური ეკლესია სცემდა 70-ზე მეტ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთს 2,5 მილიონზე მეტი ეგზემპლარის საერთო ტირაჟით.

ჩეხოსლოვაკიის კათოლიკური ეკლესია იმყოფება ვატიკანის აშკარა გავლენის ქვეშ და წარმოადგენს მის აგენტურას დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიაში. მიუნხენის სამარცხვინო გარიგების პერიოდში ჩეხოსლოვაკიის კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი წოდება გერმანიის ფაშიზმის სასარგებლოდ მოქმედებდა, ხოლო ოკუპაციის პერიოდში კი ჩეხოსლოვაკიის კათოლიკე ეპისკოპოსებმა მეტი სამსახური გაუწიეს ჰიტლერსა და გებელსს, ვიდრე თვით გერმანელმა ეპისკოპოსებმა. ოკუპანტები სასულიერო წოდებას იყენებდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჰიტლერელი „პროტექტორი" ფრანკი მჭიდრო კავშირში იყო ჩეხოსლოვაკელ ეპისკოპოსებთან.

საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ სასულიერო წოდება ფორმალურად მიესალმება ქვეყნის განთავისუფლებას, ფაქტიურად კი ემსახურება ვატიკანის ინტერესებს და მჭიდროდ უკავშირდება ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმს, ეწევა ძირგამომთხრელ მუშაობას სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ.

1948 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული ძალების გამარჯვებამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ქვეყნის რეაქციულ ძალებს, და მათ შორის კათოლიკურ ეკლესიასაც. კათოლიკურმა ეკლესიამ მტრული პოზიცია დაიკავა თებერვლის ამბების შედეგების მიმართ. 1948 წლის 28 თებერვალს პრაღისა და ჩეხიის არქიეპისკოპოსმა ბერანმა გამოაქვეყნა სასულიერო წოდებისადმი მოწოდება: „დაეცვათ პრეზიდენტ-განმათავისუფლებლის (მასარიკი) ანდერძი და პრეზიდენტ-შემომქმედის (ბენეში) შრომის ნაყოფი".

როდესაც 1948 წლის მარტში „სახალხო" პარტიის ლიდერების, უცხოეთის აგენტების—შრამეკის და გალას საზღვარგარეთ გაქცევის ცდა მარცხით დამთავრდა, იგივე არქიეპისკოპოსი ბერანი გამოვიდა პროტესტით სახალხო-დემოკრატიული

მთავრობის მიმართ. თებერვლის ამბების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებლური და სხვა ეკლესია გამოვიდა განცხადებით სახალხო-დემოკრატიული წყობილებისადმი მისი დადებითი დამოკიდებულების შესახებ და სურვილი განაცხადა ეთანამშრომლა მასთან, ხოლო კათოლიკური ეკლესია აგრძელებდა თავის ძირგამომთხრელ მუშაობას დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ.

მაგრამ ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებასთან ერთად სულ უფრო და უფრო კლებულობს კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი წოდების მომხრეთა რიცხვი. კათოლიკური ეკლესიის რიგებში გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც გამოდიან დემოკრატიული წყობილების მხარეზე. თანდათანობით ბოლო ეღება ჩეხოსლოვაკიაში იმპერიალიზმის აგენტ „წმინდა მამების" გამცემლურ საქმიანობას. როგორც გამოირკვა პრაღის პროცესებზე, სადაც უცხოეთის სხვა აგენტებთან ერთად გასამართლებულ იქნა სამი ეპისკოპოსიც, „წმინდა მამები" დაკავშირებული იყვნენ ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმთან და ქვეყნის შიგნით არსებულ რეაქციულ ძალებთან. ისინი მუშაობას ეწეოდნენ სოფლის ახალგაზრდობაში კულაკობასთან ერთად, ატყუებდნენ მასებს. უცხოეთის ეს აგენტები თავიანთ გამცემლურ მოქმედებას ფარავდნენ ჯვრითა და ანაფორით.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა კლემენტ გოტვალდი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის IX ყრილობაზე 1949 წლის მაისში, რომ „რეაქცია თუმცა დამარცხებულ იქნა თებერვალში, მაგრამ ის არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო საბოლოოდ განადგურებული და ლიკვიდირებული..." გოტვალდი აღნიშნავდა, რომ რეაქციის ძალების ნაწილი გაიქცა უცხოეთში, მეორე ნაწილი კი რჩება ქვეყნის შიგნით და აგრძელებს თავის გამცემლურ მოქმედებას. ამდენად ჩეხოსლოვაკიის კომუნისტების ამოცანას წარმოადგენდა მასებთან მჭიდრო კავშირში ბრძოლა ამ აგენტების წინააღმდეგ, მათი მხილება ყოველ ნაბიჯზე. 1949 წლის ზაფხულში ჩეხოსლოვაკიაში მხილებულ და გასამართლებული იქნა აგენტების ახალი ჯგუფი, რომელიც

ამზადებდა სამხედრო ამბოხებას სახალხო-დემოკრატიულ წყობილების წინააღმდეგ.

სლოვაკიის კომპარტიის IX ყრილობაზე მხილებულ იქნა ბურჟუაზიულ ნაციონალისტების კლემენტისის, გუსაკისა და ნოვომესკის მოღალატური მოქმედება. უშიშროების ორგანოების გამოძიების შედეგად დადასტურდა, რომ გუსაკი, ნოვომესკი და სხვ. ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ სლოვაკიაში ტისოს ფაშისტური სახელმწიფო აპარატი. სლოვაკიის შინაგან საქმეთა ყოფილი რწმუნებული გუსაკი თანამდებობებზე ნიშნავდა ყოფილ ფაშისტებს, ტისოსა და მაჰას აგენტებს. ასეთივე გამცემლურ მოქმედებას ეწეოდა რწმუნებული სკოლისა და განათლების საქმეებში ნოვომესკი. კლემენტისმა აღიარა, რომ ის ჯერ კიდევ 1935 წელს გახდა საფრანგეთის საიდუმლო პოლიციის აგენტი. ამ დროიდან იგი საიდუმლო ცნობებს აწვდიდა უცხოეთის იმპერიალისტებს.

1950 წლის ოქტომბერში გამოაშკარავებულ იქნა უცხოეთის აგენტების ახალი ჯგუფი ოტო შლინგის მეთაურობით. ოტო შლინგი, გერმანელი ფაბრიკანტის შვილი, შეძვრა კომპარტიაში იმისათვის, რათა ეწარმოებინა ძირგამომთხრელი მუშაობა. შლინგი იყო ინგლის-ამერიკის დაზვერვის აგენტი. ჯერ კიდევ 1935 წელს შლინგი, როგორც ინგლის-ამერიკის აგენტი, გაემგზავრა ლონდონში. ინგლისში ჩასვლისთანავე იგი მიიპატიჟეს ინგლისის „ინტელიჯენს სერვისის" მთავარ სამმართველოში. მეორე მსოფლიო ომის დროს შლინგი ეწეოდა გამცემლურ საქმიანობას ინგლისში მყოფ ჩეხოსლოვაკელ კომუნისტებს შორის.

1945 წელს ოტო შლინგი თეირანის გავლით მოსკოვში ჩამოვიდა და დაუკავშირდა მარია შვერმოვას, რომელიც ამ დროს ჩეხოსლოვაკელ კომუნისტებთან ერთად იყო მოსკოვში. აქედან შლინგი გაემგზავრა კოშიცეში, ხოლო შემდეგ კი ბრნოში, სადაც მ. შვერმოვას დახმარებით ხელმძღვანელი პოსტი დაიკავა. 1945 წლის მაისში შლინგს დაუკავშირდა ინგლისის „ინტელიჯენს სერვისის" წარმომადგენელი, რათა აღედგინა მასთან ურთიერთობა. გარდა ამისა, შლინგი ჩადიოდა პრაღაში, სადაც უკავშირდებოდა ინგლისის საელჩოს და

საკონსულოს. შლინგი მოღალატურ საქმიანობას ეწეოდა დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ, ძირგამომთხრელ მუშაობას მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ეწეოდა კომუნისტების დისკრიმინაციას, ადგენდა ტერორისტულ გეგმებს კომპარტიის ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

შემდეგ მხილებულ იქნა მარია შვერმოვა, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ინტიმურ კავშირში იყო ოტო შლინგთან. მან კარგად იცოდა შლინგის მოღალატური მოქმედების შესახებ და მას ყოველმხრივ ხელს უწყობდა. შლინგი, რომელსაც ინგლისელი მეუღლე ყავდა, ფაქტიურად ცხოვრობდა პრაღაში, მ. შვერმოვას ბინაში. შვერმოვამ იცოდა შლინგის მთელი ისტორია. მან იცოდა, მაგალითად, ის, რომ ოტო შლინგმა თავისი ხელით მოკლა საკუთარი დედა და დოქტორი ჰოხმანი „განსაკუთრებული მიზეზების" გამო და სხვ.

1951 წლის ბოლოს მხილებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი რუდოლფ სლანსკი, რომელიც უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტი აღმოჩნდა. შლინგი, შვერმოვა, სლანსკი, კლემენტისი და უცხოეთის სხვა აგენტები წარმოადგენდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის დაუძინებელ მტრებს; ჩეხოსლოვაკელი ხალხის ეს მოღალატეები ამზადებდნენ შეთქმულებას სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ, უნდოდათ ჩეხოსლოვაკიაში აღედგინათ მიუნხენამდელი მდგომარეობა.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მტრებისა და იმპერიალიზმის აგენტების სლანსკის, შვერმოვას, შლინგის, კლემენტისა და სხვა ბურჟუაზიული ნაციონალისტების მხილება ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინურ-სტალინურ მოძღვრებას იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის დროს კლასობრივი ბრძოლა მწვავდება.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1951 წლის თებერვალში ამბობდა: „საოცარი იქნებოდა, რომ ჩვენს რესპუბ-

ლიკას აცდენოდა ეს სენი, საოცარი იქნებოდა იმიტომ, რომ ჩვენ უჰაერო სივრცეში არ ვცხოვრობთ. ჩვენც ვემორჩილებით განვითარების იმ კანონებს, რასაც სხვა ქვეყნები".

მაგრამ უცხოეთის აგენტები მხილებულ და გასამართლებულ იქნენ ჩეხოსლოვაკიის ხალხის მიერ. ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმმა ვერ შეძლო თავისი აგენტების საშუალებით შეეჩერებინა ჩეხოსლოვაკიის ხალხის წინსვლა სოციალისტურ გზაზე. გოტვალდი ამბობდა: „ჯერ ვერც ერთმა აგენტმა და მოღალატემ ვერ შეძლო მტკიცედ დამდგარიყო ჩვენს მიწაზე და ვერც შეძლებს; ბოლოს, დადგება თითოეული ამ გარეწარის რიგი, და ყველას დაედება სამართლიანი სასჯელი".

1951 წლის ოქტომბერში ამერიკის პრეზიდენტმა ტრუმენმა ხელი მოაწერა კანონს დემოკრატიულ ქვეყნებში ჯაშუშური მოქმედებისათვის 100 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ. ამერიკის მთავრობის ამ ავანტიურისტულმა მოქმედებამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ყველა დემოკრატიულ ქვეყნისა და მათ შორის ჩეხოსლოვაკიის ხალხშიც. გაზეთმა „რუდე პრავომ" მას „იუდას დოლარები" უწოდა. ეს 100 მილიონი „გამოყოფილია, — წერდა „რუდე პრავო", — ბანდიტებისათვის, ომისათვის. ჩეხოსლოვაკელ ხალხს კი მშვიდობა სურს. ის იბრძვის მშვიდობისათვის საბჭოთა კავშირთან ერთად. ჩეხოსლოვაკიის ხალხი, რომელიც მტკიცედ შემჭიდროვებულია თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ამხანაგი კლემენტ გოტვალდის ირგვლივ, აშენებს სოციალიზმს და არავის არ მისცემს უფლებას ხელი შეუშალოს მის მშვიდობიან შრომას, მის ურყევ მეგობრობას საბჭოთა კავშირთან".

ჩეხოსლოვაკიაში უცხოეთის აგენტების მხილების შემდეგ ხალხის მასები კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ კომპარტიისა და სახალხო-დემოკრატიული მთავრობის ირგვლივ; კიდევ უფრო გაძლიერდა მათი სიფხიზლე და ბრძოლა ყოველგვარი რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ.

1951 წლის დეკემბერში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავისი მოხსენება

კ. გოტვალდმა კომუნისტებისადმი შემდეგი მოწოდებით დაამთავრა: „ამხანაგებო! უკუაგდეთ და უარყავით გამყიდველი მოღალატეები, როგორი მაღალი თანამდებობითა და ჩინითაც კი არ იფარებოდნენ ისინი, მტკიცედ შემჭიდროვდით თქვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ! მიჯრილი მწყობრით ჩაებით ახალ ბრძოლაში ჩვენი დიადი შემოქმედებითი ამოცანების შესასრულებლად! პირობა მივცეთ ერთმანეთს, რომ მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მიუხედავად მტრების ყველა წინააღმდეგობისა, ყოველი კეთილი ნების ადამიანის დახმარებით, ჩვენ გადავაქცევთ ჩვენს რესპუბლიკას სასიხარულო სამშობლოდ ქალაქისა და სოფლის მშრომელთათვის! ლენინ—სტალინის დროშით და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენ გავიმარჯვეთ 1948 წლის თებერვალში. ლენინ—სტალინის დროშით და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ თებერვლის გამარჯვებას, ავაშენებთ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში!“ [1]

3. ნარმატებები ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კულტურის დარგში

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია და სახალხო მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ მშრომელი მასების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. სახალხო მთავრობამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში: უფასო სამედიცინო დახმარების, აფთიაქების, საავადმყოფოებისა და კლინიკების ნაციონალიზაციის, სოციალური დაზღვევისა და სხვათა შესახებ.

როგორც ცნობილია, ჩეხოსლოვაკია განთქმულია საკურორტო ადგილებით. მინერალური და სამკურნალო წყლების სიმდიდრის მხრივ ჩეხოსლოვაკიას ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ბევრი მინერალური წყაროა მადნიანი მთების ძირში. აქ არის

---

1 „პრავდა“, 1951 წ. 9 დეკემბერი.

ევროპაში ცნობილი კურორტები, მათ შორის კარლოვი-ვარი (კარლსბადი). სადაც სამკურნალო წყლის ბუნებრივი ტემპერატურა 73°-ს უდრის, თბილი წყაროები ტეპლიცში და მარიანის მიდამოებში, ლუგაჩოვიცე (მორავიაში), კურორტები და სამკურნალო ადგილები სლოვაკიაში და სხვ. [1].

ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში კურორტებით სარგებლობის საშუალება მხოლოდ მდიდრებს ჰქონდათ. ახლა კი ჩეხოსლოვაკიის ყველა დასასვენებელი სახლი და სანატორიუმი ხალხს ეკუთვნის. 1949 წელს საკურორტო მკურნალობით ისარგებლა 132 870 მუშამ, მოსამსახურემ, პენსიონერმა და მათი ოჯახის წევრმა, 1950 წელს — 143 954 კაცმა. 1945 წელს დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში დაისვენა დაახლოებით 35 ათასმა მუშა-მოსამსახურემ, 1950 წელს — 240 ათასმა, 1953 წელს — 300 ათასმა მშრომელმა. 1945 წელს ჩეხოსლოვაკიის დასასვენებელ სახლებში მხოლოდ 920 საწოლი იყო, 1949 — 1953 წწ. კი 28 ათასამდე გაიზარდა.

1950 წელს ჩეხოსლოვაკიაში იყო 31,5 პროცენტით მეტი სამკურნალო დაწესებულებები და ამბულატორიები (სანატორიული ტიპის დაწესებულებების გარდა), ვიდრე 1937 წელს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ექიმების რიცხვი. 1948 წლიდან ექიმთა რიცხვი გაიზარდა 6 500-ით; ახლა ყოველ 760 კაცზე მოდის ერთი ექიმი, 1937 წელს კი ერთი ექიმი მოდიოდა 1 218 კაცზე. 1945 წლიდან არსებობს ფაბრიკა-ქარხნებისა და საზოგადოებრივი ამბულატორიები. 1948 წლის ოქტომბერში 395 წარმოებას ჰქონდა ამბულატორია, 1951 წლის ივლისში— 992-ს. 1937 წელს ყველა ფეხმძიმე ქალის მხოლოდ 24 პროცენტი სარგებლობდა სამშობიარო სახლითა და ქალთა კონსულტაციით, 1950 წელს — 80 პროცენტი. ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები ჩეხოსლოვაკიაში 1937 წელს შეადგენდა 1 955 154 ათას კრონს, 1950 წელს — 15 907 840 ათას კრონს.

---

1 ჩეხოსლოვაკიის სამკურნალო ადგილებს დიდი ხნის ისტორია აქვთ: კარლოვი-ვარის სამკურნალო წყლები აღმოჩენილ იქნა 1347 წ., ფრანტიშკოვის — 1618 წ., პოშტანის — 1542 წ., ლუგაჩოვიცეს — 1669 წ.

მოგვარდა მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგების საკითხი. 1936 წელს ხორცი და ხორცის ნაწარმი ერთ კაცზე წელიწადში იხარჯებოდა 26 კგ, 1950 წელს — 39 კგ, შაქარი 1936 წელს — 23 კგ, ხოლო 1950 წელს — 28 კგ და ა. შ.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეების ბინებით უზრუნველყოფის საქმეს. 1947 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 12 048 ახალი ბინა, 1948 წელს — 16 599 ბინა, 1949 წელს — 21 576 ბინა, 1950 წელს — 22 016 ბინა.

კარგადაა დაყენებული ბავშვის მოვლა-აღზრდის საკითხი. 1937 წელთან შედარებით, 1950 წელს, ძუძუმწოვარა ბავშვების სიკვდილიანობა შემცირდა 33,9 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბავშვო ბაგებისა და ბაღების რაოდენობა. იზრდება პიონერთა სასახლეებისა და ბავშვთა დასასვენებელი სახლების რიცხვი. 1936 წელს ბავშვების დასვენებისათვის დაიხარჯა 500 ათასი კრონი, 1951 წელს — 545 მილიონი კრონი. 1951 წლის ზაფხულში პიონერთა ბანაკებში, დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში ისვენებდა 235 ათასი ბავშვი, 1952 წელს — 270 ათასი ბავშვი. ხუთწლედის განმავლობაში საბავშვო ბაგების რიცხვი გაიზარდა 4-ჯერ; მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა 3,3-ჯერ მეტია, ვიდრე კაპიტალისტურ ჩეხოსლოვაკიაში იყო.

სულ უფრო მცირდება ტუბერკულოზით სიკვდილიანობა. 1937 წელს ყოველ 100 ათას კაციდან ტუბერკულოზით კვდებოდა 110, 1950 წელს — 69. საერთო სიკვდილიანობა 1937 წელს ათას მცხოვრებზე უდრიდა 13, 1, 1950 წელს — 11,4. 1950 წელს ჩეხოსლოვაკიაში მოსახლეობა გაიზარდა 142 ათასი კაცით.

ჩეხოსლოვაკიის მედიცინა, რომელიც ხალხს ემსახურება, განუწყვეტლად ვითარდება. 1948 წელს აგებულ იქნა ფაბრიკა, რომელიც პენიცილინს ამზადებს. ახლა ჩეხოსლოვაკია უკეთეს პენიცილინს უშვებს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა განათლების საქმეს. 1950 წელს



კარლოვი-ვარის საერთო ხედი.

ამ მიზნით დაიხარჯა 11 883 600 ათასი კრონი, ე. ი. ყველა ხარჯების 11,31 პროცენტი, 1951 წელს — 12 183 424 ათასი კრონი, ე. ი. 12-ჯერ მეტი, ვიდრე 1937 წელს.

1936 — 1937 წლებში ჩეხოსლოვაკიაში იყო 11 323 პირველი საფეხურის, 1 922 საშუალო, 739 მესამე საფეხურის სკოლა; 1950 — 1951 წწ. შესაბამისად 12 355, 2 789 და 870. თუ 1937 წელს საშუალო სკოლაში 441 400 ბავშვი სწავლობდა, 1951 წელს მათი რიცხვი 563 300-მდე გაიზარდა.

ჩეხოსლოვაკიის სკოლებში ბოლო მოეღო ბავშვების კოსმოპოლიტური სულისკვეთებით აღზრდას, რაც გავრცელებული იყო გეოგრაფიის, ისტორიის, ლიტერატურის, ფიზიკისა და სხვ. სწავლების საქმეში. ასე, მაგალითად, ძველად ჩეხოსლოვაკიაში ყოველთვის ასწავლიდნენ, რომ ევროპაში ყველაზე უფრო მაღალი მთა არის მონბლანი, მაშინ როდესაც სინამდვილეში ევროპაში ყველაზე მაღალი მთა იალბუზია. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის შემუშავებულ იქნა ახალი სახელმძღვანელოები.

სახალხო-დემოკრატიულმა მთავრობამ გაატარა სასკოლო რეფორმა, რომლითაც სკოლების ძველი დაყოფა (საზოგადოებრივი, საშუალო და უმაღლესი) გაუქმებულ იქნა. ახლა არსებობს ერთიანი სკოლების სისტემა, რომელიც დაყოფილია რამოდენიმე საფეხურად: 6 — 11 წლის ასაკის ბავშვები სწავლობენ სახალხო (პირველი საფეხურის) სკოლაში; ყველა მათგანი, ვინც ასწრებს, გადადის საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობს კიდევ 4 წლის განმავლობაში; მესამე საფეხურის სკოლების ჯგუფში შედიან სპეციალური სკოლები (საბჭოთა კავშირში არსებული ტექნიკუმების ტიპის) და უმაღლესი სასწავლებლები. 1953 წელს სახალხო განათლება რეორგანიზებულ იქნა ერთიანი თერთმეტწლიანი სწავლების საფუძველზე.

მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხების წრიდან გამოსული ახალგაზრდობის ინსტიტუტში მიზიდვის მიზნით ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მოსამზადებელი ერთწლიანი კურსები. ერთი წლის შემ-

დეგ ამ კურსების მსმენელები აბარებდნენ გამოცდებს სიმწიფის ატესტატის მისაღებად. 1951 წელს 16 ასეთ კურსებზე სწავლობდა 2 ათასზე მეტი მუშა და გლეხი. იმავე წელს იგი დაამთავრა 1 475 მსმენელმა. ამ კურსებზე სწავლის პერიოდში მსმენელთა ოჯახებს სახელმწიფო ფულად დახმარებას უწევდა.

ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში ყველაზე მაღალი სტიპენდია იყო 360 კრონი, მაშინ როდესაც სტუდენტს მხოლოდ ბინა და კვება თვეში სულ მცირე 380 კრონი უჯდებოდა; დღევანდელ ჩეხოსლოვაკიაში შემოღებულია სახელმწიფო სტიპენდიები, რითაც უზრუნველყოფილია სტუდენტების ნახევარზე მეტი. სტუდენტი სტიპენდიას ღებულობს მისი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით. ცოლშვილიან სტუდენტებს სახელმწიფო დამატებით თანხებს აძლევს. 1949 წელს ჩეხოსლოვაკიაში სტუდენტი 15 — 18-ჯერ მეტ სტიპენდიას ღებულობდა, ვიდრე 1938 წელს. ამჟამად თვითეული სტუდენტი სახელმწიფოს უჯდება 10 ათასი კრონი წელიწადში.

განუწყვეტლივ იზრდება მუშებისა და გლეხების წრიდან გამოსულ სტუდენტთა რიცხვი. 1945 წელს უმაღლეს სკოლებში მუშათა კლასის წრიდან მხოლოდ 7,5 პროცენტი იყო. მაშინ როდესაც ჩეხოსლოვაკიაში მუშები მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ. 1949 — 1950 წწ. მუშათა კლასის წრიდან გამოსულთა პროცენტმა მიაღწია 27,5-ს, 1952 — 1953 წწ. — 40-ს.

იზრდება უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი. 1938 წელს ჩეხოსლოვაკიაში იყო 10 უმაღლესი სასწავლებელი. ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში 39 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც 47 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. 1950 — 51 წწ. კიდევ სამი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა. ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში 16 უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და პოლიტექნიკუმი მუშაობს, აქედან 3 — სლოვაკიაში. ძველად უმაღლესი სასწავლებელი იყო მხოლოდ პრაღაში, ბრნოსა და ბრატისლავაში, ახლა კი ის გახსნილია პლზენში, ოსტრავაში, გრადეც-კრალოვში, ოლომოუცში, კოშიცეში და

ჩესკე-ბუდეიოვიცეში. მეცნიერებისა და განათლების მთავარ ცენტრებში — პრაღასა, ბრნოსა და ბრატისლავაში არის უნივერსიტეტები. გაიზარდა სტუდენტების რიცხვიც: 1938 წელს ჩეხოსლოვაკიის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 19 052 სტუდენტი, 1953 წელს — 47 ათასზე მეტი. უმაღლესი სასწავლებლების შესანახად 1929 წელს სახელმწიფო ხარჯავდა 146,5 მილიონ კრონს წელიწადში, სტუდენტების მატერიალური უზრუნველყოფისათვის—5,4 მილიონ კრონს. ეს თანხები გაიზარდა და 1949 წელს შესაბამისად შეადგენდა — 747 მილიონ კრონს და 206 მილიონ კრონს.

ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი სასწავლებლები გადაიქცნენ ძველი და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა მეცნიერული თანამშრომლობის კერად. კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე ტარდება შემოქმედებითი დისკუსიები, რომელთა მიზანია დოგმატიზმის აღმოფხვრა და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე მეცნიერების შემდგომი განვითარება. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობენ მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრები, რომლებიც ყველა უმაღლეს სასწავლებელში არსებობენ.

ყველა მეცნიერების საფუძველი ხდება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი. სტუდენტები უდიდესი სიყვარულით სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს და მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიას. პრაღაში არსებობს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა.

საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით ჩეხოსლოვაკიის ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოღებულია ასპირანტურა. დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკების აღზრდას. ხუთწლიანი გეგმით სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისათვის გამოყოფილი იყო 4,2 მილიარდი კრონი.

ჩეხოსლოვაკიის ხალხის სიამაყეა პრაღის უნივერსიტეტი, რომელიც 1348 წელს დაარსდა; იგი ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტთაგანია ევროპაში. პრაღის უნივერსიტეტმა 1947 წელს იდღესასწაულა თავისი დაარსების 600 წლისთავი. აქ არის უდიდესი ბიბლიოთეკა, — „კლემენტინა“, რომელიც სლავური ლიტერატურული წყაროების სიმდიდრის მხრივ



პრაღის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დარბაზი.

მეორე ადგილზე დგას მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკის შემდეგ.

პრაღაში არსებობს ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ხალხს ემსახურება; მეცნიერებათა აკადემიის ლოზუნგია: „ჩეხოსლოვაკიის აკადემია — მუშათა კლასს!" პრაღაში არის მრავალი უმაღლესი სასწავლებელი, კვლევითი ინსტიტუტი, მუზეუმები, თეატრები, ოპერა და სხვ. იმ სახლში. სადაც 1912 წელს ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით ცნობილი პრაღის კონფერენცია ჩაატარეს, გაიხსნა ვ. ი. ლენინის მუზეუმი.

მხოლოდ სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ მიეცა ჩეხოსლოვაკიის ხალხს საშუალება შექმნას თავისი ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ჩეხმა და სლოვაკმა ხალხებმა, მიუხედავად უცხოელების შემოსევისა და ჩაგვრისა, მაღალი ეროვნული კულტურა შექმნეს და შემოინახეს იგი. თავისი მდიდარი ისტორიის მანძილზე ჩეხოსლოვაკიის ხალხმა მრავალი გამოჩენილი მოაზროვნე და პროგრესული იდეებისათვის მებრძოლი ადამიანი მისცა კაცობრიობას. ჩეხოსლოვაკიის ხალხს სრულიად კანონიერად შეუძლიან იამაყოს ისეთი სახელებით, როგორიცაა ჰუსი, კომენსკი, ბიროვსკი, სმეტანა. ალეში, მისლბეკი, ირასეკი, იან ნერუდა, ნემცოვა, ფუჩიკი, ნეიმანი, ვოლკერი, ოლბრეხტი, მაიეროვა, შპალა და მრავალი სხვა.

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების ძმურ მეგობრობასა და კულტურულ კავშირს.

ჩეხოსლოვაკიის და რუსი ხალხების კავშირსა და მეგობრობას მრავალი წლის ისტორია აქვს. ეს კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა მეორე მსოფლიო ომისა და საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ.

საბჭოთა კავშირში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩეხოსლოვაკური მხატვრული ლიტერატურა. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში 150-ზე მეტი ჩეხური და სლოვაკური წიგნი გამოვიდა ჩვენს ქვეყანაში. სისტემატურად ითარგმნება

 პ რ ა ღ ა. იან ჰუსის ძეგლი სტარომესტის მოედანზე.

ჩეხური და სლოვაკური მხატვრული ლიტერატურა რუსულ, უკრაინულ, ქართულ, სომხურ და სხვა ენებზე. დიდი სიყვარულით კითხულობს საბჭოთა მკითხველი ჩეხი ხალხის საუკეთესო შვილის იულიუს ფუჩიკის ნაწარმოებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხთა 11 ენაზე გამოვიდა.

არა ერთი ნაწარმოები მიუძღვნა საბჭოთა ავტორმა ჩეხოსლოვაკიის ხალხის გმირულ ბრძოლას უცხოელი დამპყრობელების წინააღმდეგ. უკრაინელი დრამატურგი ბურიაკოვსკი პიესაში „პრაღა ისევ ჩემია“ მოგვითხრობს უ.ცდავი ი. ფუჩიკის გმირობაზე. ეს პიესა დიდი წარმატებებით იდგმება მოსკოვის დრამის თეატრის, კიევის ივან ფრანკოს სახ. დრამატიული თეატრისა და ჩეხოსლოვაკიის თეატრების სცენებზე.

ლენინგრადში დიდი პოპულარობით სარგებლობს ბრიგინისა და ტოვსტონოგოვის პიესა „უკვდავების გზით“, რომელიც ასევე მიეძღვნა ჩეხი ხალხის საუკეთესო შვილს ი. ფუჩიკს. საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება ო. გონჩარის საკმაოდ ცნობილი წიგნი „ზლატა პრაგა“, რომელსაც სტალინური პრემია მიენიჭა.

საბჭოთა ადამიანები დიდ ინტერესს იჩენენ ჩეხოსლოვაკიის ისტორიისადმი. იზრდება საკანდიდატო დისერტაციების რიცხვი, რომლებიც ეხებიან ჩეხოსლოვაკიის ხალხის ისტორიას, ეკონომიკას, ლიტერატურას, ხელოვნებას და სხვ. საბჭოთა სტუდენტობა ინტერესით სწავლობს ჩეხოსლოვაკიის ხალხის ისტორიას. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საბჭოთა კავშირის სხვა უნივერსიტეტების ისტორიისა და ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე სტუდენტთა მნიშვნელოვანი ჯგუფი სწავლობს ჩეხოსლოვაკიის ხალხის ისტორიას, ენასა და ლიტერატურას.

საბჭოთა ლიტერატურა უდიდესი მასწავლებელია ახალი ჩეხოსლოვაკიის ლიტერატურისათვის. საბჭოთა ლიტერატურა არის სამაგალითო ჩეხი და სლოვაკი მწერლებისათვის. ჩეხოსლოვაკიის მწერლებმა იან დრდამ, მ. პუიმანოვამ, ა. ზაპოტოცკიმ, ი. მარეკმა, რეევაჩმა, ს. ნეიმანმა, ი. კაინერმა, ი. სკალამ და

სხვებმა თავიანთ ნაწარმოებებში ასახეს მშობლიური ხალხის გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის. მათი ნაწარმოებების გმირები არიან ქალაქისა და სოფლის მშრომელები, რომლებიც ახალ, ბედნიერ ცხოვრებას აშენებენ.

1954 წლის 29 — 30 ივნისს პრაღაში ჩატარდა ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის პლენუმი, სადაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იან დრდა. „კონფერენციამ ცხადყო, — წერდა გაზეთი „რუდე პრავო" თავის მოწინავეში,—რომ ჩვენი მწერლების და ლიტერატურის მუშაკების უდიდესი უმრავლესობა შეგნებულად იბრძვის X ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის" [1].

ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იან დრდა ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო და ნიჭიერი პროზაიკოსია. მისი ნოველები დიდი სიყვარულით სარგებლობენ საბჭოთა მკითხველებს შორის. აღსანიშნავია იან დრდას ნოველების წიგნი საერთო სათაურით „მუნჯი ბარიკადა", რომელიც 1946 წელს გამოვიდა პრაღაში. აქ მოთხრობილია ჩეხოსლოვაკელი ხალხის ბრძოლის შესახებ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ჩეხოსლოვაკიის კომპოზიტორები, მხატვრები, მოქანდაკეები და სხვ.

ჩეხოსლოვაკიაში ითარგმნა და გამოიცა საბჭოთა მწერლების მთელი რიგი ნაწარმოებები, მათ შორის ქართველი მწერლების ნაწარმოებებიც.

ჩეხმა ორიენტალისტმა დოქტორმა იარომირ ედლიჩკამ, რომელმაც ბრწყინვალედ იცის ქართული ენა, ჩეხურ ენაზე თარგმნა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი ლეონიძის („ბავშვობა და ყრმობა"), ლეო ქიაჩელის („გვადი ბიგვა") და სხვათა ნაწარმოებები. ი. ედლიჩკა ახლა მუშაობს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" თარგმანზე. მისივე მონაწილეობით მზადდება ქართული პოეზიის ანთოლოგია ჩეხურ ენაზე. ჩეხურ ენაზე ითარგმნა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი", რომელსაც ინტერესით კითხულობენ.

---

[1] „Rudé Právo", 3. 7. 1954.

ცნობილმა ჩეხმა რეჟისორმა ირჟი ფრეიკამ დადგა კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“, რომელიც წარმატებით სარგებლობს არა მარტო პრაღაში, არამედ სხვა ქალაქებშიც. ჩეხოსლოვაკელ მაყურებელთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს კინოსტუდიის მიერ გამოშვებულმა ფილმებმა „დიადი განთიადი“, „ფიცი“, „გიორგი საკაძე“, „ქეთო და კოტე“, „გაზაფხული საკენში“, „ჯურღაის ფარი“ და სხვ.

1952 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა სტალინური პრემიის ლაურეატების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა ჩეხოსლოვაკიაში ერთი თვე დაყო და კონცერტები გამართა პრაღაში, ტეპლიცში, კარლოვი-ვარში, ბრნოში, გოტვალდოვში, ბრატისლავაში და სხვ., რომლებსაც 120 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ანსამბლის ყოველი გამოსვლა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად იქცეოდა.

პრაღაში—სმეტანას სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართული კონცერტის შემდეგ ანსამბლს გულთბილად მიესალმა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მეცნიერებისა და ხელოვნების მინისტრი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარე აკად. ზდენეკ რ. ნეედლი. „სიტყვები არ მყოფნის, — ამბობდა ზ. რ. ნეედლი, — რომ გამოვთქვა ჩემი აღტაცება სახელმწიფო ანსამბლის მომხიბლავი გამოსვლის გამო... ცეკვის მაღალი კულტურა — ვაჟებისა სპეციალური და ქალებისა სპეციალური — გამომეტყველების მხრივ, ხოლო მხატვრული ფორმით ამაღლებული, მთელი ანსამბლის და ცალკეულ ხელოვანთა სრულყოფილი ოსტატობა და, ბოლოს, მშვენიერი კოსტუმები — ყოველივე ეს უზრუნველყოფს ანსამბლის დიდ წარმატებას ყველა ქვეყანაში, მით უმეტეს ჩეხოსლოვაკიაში, რომელსაც სულით და გულით

ეყვარს ქართველი ხალხი და იცის ნამდვილი ხელოვნების დაფასება“.

საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონინ ზაპოტოცკიმ ჩაწერა: „საქართველოს რესპუბლიკის ხალხური ცეკვის ანსამბლს ვუძღვნი გულითად მადლობას იმ მუშაობისათვის, რომელიც მან შეასრულა თავისი გამოსვლებით ჩეხოსლოვაკელ და საბჭოთა მშრომელ ხალხებს შორის მეგობრობის ასპარეზზე და რომელიც ღირსია აღტაცებისა. ჩეხოსლოვაკელი ხალხის სახელით ვუსურვებ მას დიდ წარმატებებს შემდგომ საქმიანობაში“.

1952 წლის 5 დეკემბერს ანსამბლმა გამოსათხოვარი კონცერტი გამართა პრაღის „ლუცერნის“ დიდ დარბაზში, რომელსაც დაესწრნენ პრეზიდენტი კ. გოტვალდი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ზაპოტოცკი, საბჭოთა კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ა. ბოგომოლოვი და სხვ. შთაბეჭდილებათა წიგნში კლემენტ გოტვალდმა ჩაწერა: „თავისი მაღალოსტატური ხელოვნებით საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა მთელი ჩეხოსლოვაკელი ხალხის გული დაიპყრო. ამისათვის მას გულითადი მადლობა ეკუთვნის“.

ჩეხოსლოვაკიის თეატრებში ჩეხი და სლოვაკი კლასიკოსების გვერდით უჩვენებენ პუშკინის, გოგოლის, გრიბოედოვის, ოსტროვსკის, გორკისა და სხვ. დრამატულ ნაწარმოებებს. დიდი პოპულარობით სარგებლობს რუსი და საბჭოთა კომპოზიტორების ქმნილებანი. 1954 წლის ივნისში პრაღის ეროვნულ თეატრში მე-300-ჯერ დაიდგა პ. ი. ჩაიკოვსკის ბალეტი „გედების ტბა“.

ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა, მეცნიერ-მუშაკები, სტუდენტობა დიდი ინტერესით ეცნობა საბჭოთა მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევების პოპულარიზაციის საქმეში დიდ როლს თამაშობს 1950 წლის ნოემბერში პრაღაში შექმნილი ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ინსტიტუტი,

რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი ჩეხოსლოვაკელი ისტორიკოსი აკადემიკოსი ზ. ნეედლი. ჟურნალი „სვეტ-სკაია ნაუკა“, რომელსაც ეს ინსტიტუტი სცემს, აშუქებს მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში დიდ როლს ასრულებს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირი, რომელიც 1951 წლის დეკემბერში თავის რიგებში ითვლიდა დაახლოებით 2,5 მილიონ წევრს. ეს კავშირი აწყობს საუბრებსა და ლექციებს, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების დაახლოება. მარტო კოშიცეს ოლქში 1951 წლის დეკემბერში ამ კავშირმა საბჭოთა აგრობიოლოგიის შესახებ ჩაატარა 233 საუბარი. ჩეხოსლოვაკიის ყოველ ოლქში არსებობს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის კავშირის განყოფილება. კავშირმა ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში მოაწყო რუსული ენის შემსწავლელი წრეები, სადაც ასეული ათასობით კაცია ჩაბმული. მარტო მანსკობისტრიციის ოლქში 1951 წლის დეკემბერში მუშაობდა 613 რუსული ენის შემსწავლელი სახალხო კურსი, რომლებიც 10 233 მსმენელს ითვლიდა. თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხანაში არსებობს რუსული ენის შემსწავლელი წრე.

1954 წლის ივნისში მთელ რესპუბლიკაში ჩატარდა რუსული ენის შემსწავლელი წრეების ხუთი წლის მუშაობის შედეგების შეჯამება. ეს შემაჯამებელი მუშაობა ჩატარდა ლოზუნგით: „რუსული ენა პროგრესისა და მშვიდობის ენაა“. დასახულ იქნა ახალი ამოცანები მომავალ მეექვსე სასწავლო წლისათვის.

ჩეხოსლოვაკიაში დიდი გავრცელება ჰპოვა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის გენიალურმა ნაშრომებმა, რომლებიც იქ მასობრივი ტირაჟით გამოდის. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ მაგიდის წიგნი გახდა ჩეხოსლოვაკიის მშრომელისათვის. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ჩეხოსლოვაკიაში გამოდის ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულები.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა ტომების გამოცემა დაიწყო სლოვაკურ ენაზეც. 1945—51 წწ. 11-ჯერ ჩეხურ და 5-ჯერ სლოვაკურ ენაზე გამოვიდა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", 10-ჯერ ი. ბ. სტალინის „ლენინიზმის საკითხები". იზრდება საბჭოთა ავტორების წიგნების გამოცემაც. 1948 წელს ჩეხოსლოვაკიაში გამოიცა 142 სახელწოდების სხვადასხვა საბჭოთა წიგნი, 1949 წელს — 450 და ა. შ.

ჩეხოსლოვაკიის ხელოვნება ემსახურება ხალხს. ჩეხოსლოვაკიის კინო და თეატრები კერძო საკუთრებიდან საერთოსახალხო საკუთრებაში გადავიდნენ. 1950 წელს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მუშაობდა 43 თეატრი, აქედან სლოვაკიაში — 9, მაშინ როდესაც 1937 წელს სლოვაკიაში იყო მხოლოდ ერთი თეატრი.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფია. 1946 წელს საერთაშორისო კინოფესტივალზე კანში ჩეხოსლოვაკურმა ფილმმა „უფრთო ადამიანები", სადაც მოთხრობილია გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკიის ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ, მიიღო საერთაშორისო პრემია; საერთაშორისო კინოფესტივალზე ვენეციაში პრემია მიენიჭა ჩეხოსლოვაკურ ფილმს „საყვირი" და სხვ.

სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის ქალაქებსა და სოფლებში სწრაფი ტემპით ფართოვდება კინოთეატრების ქსელი. მარტო სლოვაკიაში ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში აგებულ იქნა 342 კინოთეატრი. 1952 წელს სლოვაკიაში იყო სულ 464 კინოთეატრი. 1945 წლიდან ჩეხიასა და მორავიაში გაიხსნა 400 ახალი კინოთეატრი. ჩეხოსლოვაკიაში დიდი წარმატებით სარგებლობენ საბჭოთა კავშირის ფილმები. ჩეხოსლოვაკია განთქმულია მულტიპლიკაციური ფილმებით. 1949 წლიდან სტაციონარული კინოთეატრების რიცხვი გაიზარდა 816-ით, ხოლო მოძრავ კინოდანადგართა რიცხვი 7-დან 235-მდე.

ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში 280 მუსიკალური სკოლაა და 120 მისი ფილიალი, სადაც სწავლობს 68 ათასი მოსწავლე. ესენი უმთავრესად მუშათა შვილები არიან; 16 ათასი მხატვ-

რული თვითშემოქმედების ანსამბლი, 5 576 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება და სხვ.

პრაღაში ყოველწლიურად ეწყობა „პრაღის გაზაფხული“, რომელიც წარმოადგენს ჩეხოსლოვაკიის მუსიკალური კულტურის სახალხო დათვალიერებას. მასში მონაწილეობას ღებულობენ არა მარტო ჩეხოსლოვაკიის კულტურის წარმომადგენლები, არამედ სხვა ქვეყნების კულტურის წარმომადგენლებიც.

ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირების ცენტრალური საბჭო დიდ ყურადღებას აქცევს მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების საქმეს. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებენ საფაბრიკო-საქარხნო ბიბლიოთეკები, რომლებიც ამჟამად თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხანაში არსებობენ.

1951 წელს ჩატარდა საქარხნო ბიბლიოთეკების საერთო სახელმწიფო შეჯიბრება, რომელიც პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ მოაწყო. ამ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ქ. ბრნოს კლემენტ გოტვალდის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ბიბლიოთეკამ. წარმატებით მუშაობენ „სვიტის“ საწარმოს ბიბლიოთეკის მუშაკები ქ. გოტვალდოვში, ვ. ი. ლენინის სახ. (ყოფ. „შკოდას“) ქარხნების ბიბლიოთეკები და სხვ. საქარხნო ბიბლიოთეკების მუშაკები აწყობენ საუბრებს, ლექციების ციკლს სხვადასხვა თემაზე. ყოველ ბიბლიოთეკაში არის საბჭოთა კავშირის ლიტერატურის კუთხე.

ცნობილია, რომ სპორტს ჩეხოსლოვაკიაში დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მან შემოქმედებითი ხასიათი მიიღო და გაიშალა მხოლოდ ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ. სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების დროიდან ფიზკულტურა და სპორტი ხალხის სასიცოცხლო ძოთხოვნილებად იქცა. იგი ხელმისაწვდომი გახდა მშრომელი მასებისათვის. ახალ ჩეხოსლოვაკიაში სპორტი უკვე აღარ წარმოადგენს მდიდარ უსაქმურთა თავისშექცევისა და მოგების საშუალებას. იგი იქცა ჯანმრთელობის წყაროდ. სპორტი გახდა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე. ამჟამად სპორტსმენების განკარგულებაშია მრავალი

სტადიონი, საცურაო აუზი, სპორტული მოედნები და სხვ. 1945 წლიდან ჩეხოსლოვაკიაში აგებულ იქნა 11 ახალი კეთილმოწყობილი სტადიონი.

სსრ კავშირის გამოცდილების საფუძველზე 1952 წლის დეკემბერში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სახალხო მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საშუალებით ფიზკულტურასა და სპორტზე ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაწესების შესახებ.

ჩეხოსლოვაკიაში სპორტს მასობრივი ხასიათი აქვს. განუწყვეტლივ იზრდება სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეთა რიცხვი: 1950 წელს მუშა-ახალგაზრდობის შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 184 ათასმა კაცმა, 1951 წელს — 400 ათასმა. 1951 წელს სპორტულ საზოგადოება „სოკოლში" შევიდა 250 ათასზე მეტი ახალი წევრი. საზოგადოება „ბანიკი" („მეშახტე") 1954 წლის მარტში თავის რიგებში ითვლიდა დაახლოებით 20 ათას მეშახტეს და მეტალურგიული წარმოების მუშა-ახალგაზრდას.

სპორტის მასობრიობა ახალ სპორტულ წარმატებათა უდიდესი წყაროა. 1951 წელს ჩეხოსლოვაკიაში დამყარებული იქნა მრავალი ახალი ეროვნული რეკორდი მძლეოსნობაში, 115 რეკორდი ცურვაში. 1953 წელს მძლეოსნებმა 60-ჯერ გააუმჯობესეს ეროვნული რეკორდები. საზოგადოება „ბანიკის" 2 ათასზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო ნიშანი „მზად ვარ შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის".

1951 წელს ჩეხოსლოვაკიაში პირველად შეიქმნა ახალგაზრდობის სპორტული სკოლები მძლეოსნობაში, ცურვასა და ტანვარჯიშში. უფრო გვიან შეიქმნა მეთხილამურეთა, ჰოკეისტებისა და სხვ. სკოლები. სპორტულ სკოლაში იგზავნება 14 — 18 წლის ასაკის ის ახალგაზრდა, რომელმაც კარგი შედეგები უჩვენა სპორტულ წრეში. 1953 წელს ჩეხოსლოვაკიაში იყო 90-ზე მეტი სპორტული სკოლა 7 ათასზე მეტი მოსწავლით.

1953 წელს ჩამოყალიბდა ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტი, რომელსაც სახალხო მთავრობამ შეუქმნა ყოველგვარი პირობა წარმატებითი მუშაობისათვის.

ჩეხოსლოვაკიაში ფეხბურთს დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩეხოსლოვაკელები ფეხბურთს თამაშობდნენ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. პირველი შეხვედრა „სპარტასა“ და „სლავიას“ გუნდებს შორის ჩატარდა პრაღაში 1896 წელს. ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ისტორიაში ცნობილია მთელი რიგი სახელები: პლანიჩკა, ჟენიშეკი, კოჟელუგი და სხვ. ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრები წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო ასპარეზობებში. 1934 წელს მან მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა. მაგრამ კაპიტალისტურ ჩეხოსლოვაკიაში ფეხბურთი იყო მდიდრების მოგების წყარო. ჩეხოსლოვაკიაში ფეხბურთი განსაკუთრებით განვითარდა სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ. ამჟამად სპორტის ამ სახეში ჩაბმულია 200 ათასზე მეტი კაცი. ქვეყნის პირველობისათვის იბრძვის 14 გუნდი: ჩეხოსლოვაკიის არმიის ცენტრალური სახლის გუნდი „რუდა ზვეზდა“, „სპარტაკ სოკოლოვო“, „დინამო“ და სხვ. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდი ყოველწლიურად ატარებს მრავალ საერთაშორისო შეჯიბრს.

მსოფლიოში ცნობილი არიან XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ემილ ზატოპეკი, მსოფლიო ჩემპიონი იოზეფ დოლეჟალი და სხვ. 1953 წელს ნოემბერში ემილ ზატოპეკმა და იოზეფ დოლეჟალმა დაამყარეს ოთხი ახალი მსოფლიო რეკორდი. ემილ ზატოპეკმა უკვე დაჩრდილა დიდება ისეთი ცნობილი მძლეოსნებისა, როგორიც არიან ჟან ბუენი, პაავო ნურმი, ჰუნარ ჰეგი.

1952 წელს ემილ ზატოპეკი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის რიგებში შევიდა. მან სიტყვა მისცა პარტიულ კრებას, რომ პარტიის რიგებში შესვლის აღსანიშნავად ის მსოფლიო რეკორდს დაამყარებდა. იმავე წლის 26 ოქტომბერს ზატოპეკმა სიტყვა საქმედ აქცია; ამ დღეს მან დაამყარა სამი მსოფლიო რეკორდი.

4. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ჩეხოსლოვაკიის ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია

ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასისა და მშრომელი მასების ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორი არის ჩეხოსლოვაკიის სახელოვანი კომუნისტური პარტია[1]. იგი შეიქმნა 1921 წლის მაისში და დღიდან დაარსებისა ეწეოდა ბრძოლას ხალხის მასების ინტერესებისათვის, ბურჟუაზიულ-მემამულური მმართველი წრეების წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პირველ ორგანიზატორებს შმერალს და კრეიბიხს უდიდესი დახმარება გაუწია თავისი რჩევებით ვ. ი. ლენინმა ჩეხოსლოვაკიის ყველა რევოლუციური ძალების გაერთიანების საქმეში. შემდგომში, როდესაც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში თავი იჩინა სხვადასხვა „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ მიმდინარეობებმა, კომპარტიას უდიდესი დახმარება გაუწია ი. ბ. სტალინმა და გათიშვისაგან გადაარჩინა ის. ამ მხრივ ჩეხოსლოვაკელი კომუნისტებისათვის დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა 1925 წ. 27 მარტს ი. ბ. სტალინის გამოსვლას კომინტერნის აღმასკომის ჩეხოსლოვაკიის კომისიაში.

ი. ბ. სტალინის გამოსვლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის რიგებში ხდება რევოლუციური, ბოლშევიკური ელემენტების გაერთიანება ამხანაგ გოტვალდის მეთაურობით. ამ ჯგუფმა დიდი მუშაობა ჩაატარა პარტიის ბოლშევიზაციისათვის, მავნებლური ლიკვიდატორული ელემენტების — ილეკისა და ბოლენის ჯგუფების წინააღმდეგ. 1929 წლის თებერვალში პარტიის V ყრილობაზე არჩეულ იქნა ახალი, ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტი კლემენტ გოტვალდის მეთაურობით.

---

1 ჩეხოსლოვაკიაში, გარდა კომუნისტური პარტიისა, არის კიდევ სოციალისტური პარტია (პარტიის თავმჯდომარე ე. შლეხტა), სახალხო პარტია (თავმჯდომარე ი. პლოიგარი), თავისუფლების პარტია (თავმჯდომარე ვ. პოკორნი), სლოვაკიის აღორძინების პარტია (თავმჯდომარე ი. კისელი). ყველა ეს პარტია მოქმედებს სახალხო ფრონტის პროგრამის სულისკვეთებით.

კლემენტ გოტვალდი დაიბადა 1896 წლის 23 ნოემბერს, ღარიბი გლეხის ოჯახში. სპეციალობით იგი მუშა-დურგალი იყო. 1912 წელს გოტვალდი შევიდა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. 1920 წელს იგი შედის ჩეხოსლოვაკიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც 1921 წლის მაისში კომუნისტური გახდა. კ. გოტვალდი რედაქტორობდა სლოვაკიის პარტიულ ორგანო „პრავდა ხუდობის" („სიღარიბის სიმართლე") და შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა კომპარტიის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. 1925 წელს კ. გოტვალდი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, 1929 წელს კი — მის გენერალურ მდივნად.

კლემენტ გოტვალდმა დიდი მუშაობა ჩაატარა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ბოლშევიზაციის საქმეში. იგი მტკიცედ იბრძოდა ოპორტუნისტებისა და „მემარცხენე" ელემენტების წინააღმდეგ. გოტვალდი იყო ჩეხოსლოვაკიის პარლამენტში კომუნისტური ფრაქციის ლიდერი, ცნობილი კომუნისტი ორატორი; იგი მონაწილეობდა კომინტერნის მუშაობაში, 1928 წლიდან იყო მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ხოლო 1935 — 1943 წწ. — კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.

1929 წლის დეკემბერში ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული პარლამენტის სხდომაზე კომუნისტმა დეპუტატმა კ. გოტვალდმა ყველასათვის გასაგებად და გარკვევით განაცხადა: „ჩვენ ვიბრძვით და მომავალშიაც ვიბრძოლებთ პროლეტარული სახელმწიფოსათვის, მუშათა სახელმწიფოსათვის, გლეხთა სახელმწიფოსათვის". მიმართავდა რა ბურჟუაზიულ დეპუტატებს, იმავე ტრიბუნიდან იგი ამბობდა: „ჩვენ ვიბრძოლებთ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის... ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას მიუხედავად მსხვერპლისა, დაბეჯითებით, მიზანდასახულობით და ვიბრძოლებთ მანამდე, სანამ თქვენი ბატონობა არ იქნება აღგვილი!".

ჩეხოსლოვაკიის კომპარტია კ. გოტვალდის მეთაურობით მიუნხენის სამარცხვინო გარიგების პერიოდში გამოდიოდა

კაპიტულაციის წინააღმდეგ, იგი მოითხოვდა შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას. ჩეხოსლოვაკიის კომპარტია იყო ოკუპაციის წლებში ხალხის მასების მაორგანიზებელი ძალა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის წლებში 25 ათასზე მეტი კომუნისტი დაიღუპა, მათ შორის ჩეხოსლოვაკიის ხალხის საუკეთესო შვილები იულიუს ფუჩიკი, იან შვერმა და სხვ.

საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ კომპარტია სათავეში ჩაუდგა ხალხის მასების ბრძოლას მოპოვებული თავისუფლების განმტკიცებისათვის. კომპარტიის ინიციატივით შეიქმნა ეროვნული ფრონტი. მისივე ინიციატივით მიღებულ იქნა სახალხო მეურნეობის აღდგენის ორწლიანი გეგმა, შემდეგ ხუთწლიანი გეგმა, რომლებიც წარმატებით იქნენ შესრულებული.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ავტორიტეტის ზრდაზე მიუთითებს მის წარმომადგენელთა რაოდენობის ზრდა ეროვნულ კრებაში. 1946 — 1948 წწ. კომპარტიას ეროვნულ კრებაში ჰყავდა 114 წარმომადგენელი, ე. ი. დეპუტატთა 38 პროცენტი; 1948 წლის არჩევნების შემდეგ — 237 დეპუტატი, ე. ი. 79 პროცენტი.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების, 1948 წლის თებერვალში რეაქციული ძალების განადგურების საქმეში. 1948 წლის 25 თებერვალი — ეს იყო ჩეხოსლოვაკიის ხალხისა და კომპარტიის უდიდესი გამარჯვების დღე.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ინიციატივით 1948 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. კომპარტია სათავეში უდგას იმ უდიდეს გამარჯვებებს, რასაც ჩეხოსლოვაკიის ხალხი აღწევს თავის ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. იზრდება კომპარტიის ავტორიტეტი მასებში, იზრდება მის წევრთა რიცხვიც. 1945 წ. აპრილში ჩეხოსლოვაკიის კომპარტია თავის რიგებში ითვლიდა 500 ათას წევრს, 1948 წელს — 2 მილიონზე მეტს.

დასავლეთის იმპერიალიზმის აგენტების ახალი ჯგუფის აღმოჩენასთან დაკავშირებით, 1950 წლის ბოლოსა და 1951 წლის დასაწყისში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში ჩატარდა მორიგი, მესამე, შემოწმება. პარტიის რიგების შემოწმების დროს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინის ბრძნული მითითებით: „პარტია მტკიცდება იმით, რომ წმენდს თავის რიგებს ოპორტუნისტული ელემენტებისაგან". პირველი შემოწმება ჩატარდა 1946 წელს. მაშინ დროებითი პარტიული დოკუმენტი შეიცვალა ახალი დოკუმენტით. მეორე შემოწმება მოხდა 1948 წლის შემოდგომაზე, როდესაც თებერვლის გამარჯვების შემდეგ მასობრივ მიღებას ჰქონდა ადგილი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში. მაშინ აუცილებელი გახდა საკანდიდატო სტაჟის შემოღება, პარტიის წევრთა საფუძვლიანი შემოწმება და ახალი წევრების მიღების დროებით შეწყვეტა.

მაშინ როდესაც 1948 წლის შემოწმება მიზნად ისახავდა პარტიის წევრის გაცნობას, პარტიის წევრისათვის კომპარტიის ამოცანებისა და მისი მოვალეობის განმარტებას, 1950 წლის შემოწმების მიზანი იყო პარტიის ყოველი წევრისა და კანდიდატის შემოწმება და შეფასება რესპუბლიკის საკეთილდღეოდ მისი მუშაობის საფუძველზე. შემოწმება მიზნად ისახავდა პარტიის გაწმენდას უპატიოსნო, ბნელი წარსულის მქონე, კარიერისტი პირებისაგან; ამ შემოწმების მიზანი იყო კადრებთან დაახლოვება და მათი შესწავლა, მას უნდა განემტკიცებინა პარტია იდეოლოგიურად, პოლიტიკურად და ორგანიზაციულად.

ამჟამად ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში 1 489 234 წევრი და კანდიდატია. პარტიის სოციალური სტრუქტურა ცხადყოფს, რომ იგი მუშათა კლასის პარტიაა. მისი წევრების 60 პროცენტი მუშათა კლასის წრიდან არის გამოსული.

1951 წლის სექტემბერში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კ. გოტვალდის წინადადებით მიიღო ზოგიერთი ორგანიზაციული ხასიათის გადაწყვეტილება: პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობა გაუქმდა, მისი ფუნქციები გადაეცა

პარტიის თავმჯდომარეს; გაუქმდა გენერალური მდივნის მოადგილეების სისტემა. შეიქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ექვსი მდივნის თანამდებობა; ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიდნენ კლემენტ გოტვალდი, ანტონინ ზაპოტოცკი, ვილემ შიროკი და სხვ. სულ 22 კაცი; პარტიის მიმდინარე პოლიტიკის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: გოტვალდი, ზაპოტოცკი, შიროკი და სხვ. სულ 7 კაცი; ცენტრალურ კომიტეტში შევიდა 6 კაცი; პარტიის თავმჯდომარე და ცენტრალური კომიტეტის მდივნები შეადგენენ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ სამდივნოს.

1954 წლის ივნისში პრაღაში ჩატარდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობა. ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ. ყრილობის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ი. ბ. სტალინისა და კლემენტ გოტვალდის უკვდავ ხსოვნას. ა. ზაპოტოცკიმ თავის სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ სამუდამოდ დაგვრჩება ლენინის უკვდავი საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ხსოვნა, რომლის სახელი რაზმავს მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით მშრომელ მასებს და ახორციელებს მათ რწმენასა და ბრძოლას მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის. სტალინის სახელი დარჩება უსაზღვროდ ძვირფასი მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ამხანაგ სტალინის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული საძულველი ფაშისტური ოკუპაციის მონობისაგან ჩვენს განთავისუფლებასთან, ამიტომ მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ჩეხოსლოვაკიის ხალხების ისტორიაში“.

„სამუდამოდ შევინახავთ ჩვენს გულში ამხანაგ კლემენტ გოტვალდის, ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფის, ჩვენი კომუნისტური პარტიის შემქმნელის, მშრომელი ხალხის საქმის გამარჯვებისათვის, სახალხო-დემოკრატიული წყობილების შექმნისათვის, ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის აგებისათვის დაუღალავი და შეურიგებელი მებრძოლის ნათელ სახეს“ [1].

[1] „Rudé Právo“, 12. 6. 1954.

კლემენტ გოტვალდის ცხედარი შენახულია პრაღის მავზოლეუმში ვიტკოვიცის მთაზე. 1954 წლის ივნისში დაამთავრა მუშაობა საკონკურსო ჟიურიმ პრაღაში კლემენტ გოტვალდის მუზეუმის მოსაწყობად. უახლოეს მომავალში პრაღაში გაიხსნება კლემენტ გოტვალდის მუზეუმი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია თავის X ყრილობაზე მივიდა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმული და მონოლითური. „ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, — ამბობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის X ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვი, — მუდამ თანმიმდევრულად იცავდა და იცავს მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებს, მშრომელთა ინტერესებს და თავდადებული ბრძოლით დაიმსახურა თავისი ხალხის სრული ნდობა და მხარდაჭერა“ [1].

ყრილობის დამთავრების შემდეგ შედგა ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა აირჩია ჩეხოსლოვაკიის კპ ც. კ.-ის პოლიტბიურო ა. ზაპოტოცკის, ვ. შიროკის, ა. ნოვოტნის, ბაცილეკის და სხვ. შემადგენლობით.

1954 წლის 2 ივლისს შედგა სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელსაც დაესწრო ა. ნოვოტნი. პლენუმმა აირჩია სლოვაკიის კომპარტიის ც. კ.-ის ბიურო, რომელშიაც შეეიდნენ ვ. შიროკი, კ. ბაცილეკი და სხვ. ც. კ.-ის მდივნად არჩეულ იქნა კაროლ ბაცილეკი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს რიგითი კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეს. პარტიული განათლება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში დაყენებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაგალითის მიხედვით. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება ყოველდღიურ დახმარებას უწევს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელთ. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომები გამოდის ასეულ ათასი ეგზემპლარის ტირაჟით, შედგენილია და გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ისტორია; საბჭოთა კავში-

[1] „პრავდა“, 1954 წ. 12 ივნისი.

რის კომუნისტური პარტიის გამოცდილების მიხედვით შექმნილია საოლქო და რაიონული პარტიული კაბინეტები, რომელთა ამოცანას შეადგენს პროპაგანდისტების თეორიული დონის ამაღლება და მათი მუშაობის მეთოდების გაუმჯობესება; გარდა ამისა, ზაფხულის პერიოდში იქმნება პროპაგანდისტების გადასამზადებელი და მოსამზადებელი სხვადასხვა კურსები.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლებაში ჩეხოსლოვაკელ კომუნისტებს დიდ დახმარებას უწევს ჟურნალი „პროპაგანდისტი", რომელსაც სცემს ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

ჩეხოსლოვაკიაში არსებობს აგრეთვე ორწლიანი ცენტრალური პოლიტიკური სკოლა, ცენტრალური პოლიტიკური ერთწლიანი სკოლები, სადაც სწავლობენ პარტიული და სახელმწიფო მუშაკები და მოწინავე პროპაგანდისტები. შექმნილია მთელი რიგი ცენტრალური 4—6 თვიანი კურსები პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაკებისათვის; რესპუბლიკის 19-ვე ოლქში გახსნილია საოლქო პოლიტიკური სკოლები და ა. შ. კომუნისტების თეორიული დონის ამაღლების მიზნით პარტიის ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებთან არის ლექტორთა ჯგუფები. პარტიის თეორიული ორგანო „ნოვა მისლი" დიდ დახმარებას უწევს ჩეხოსლოვაკელ კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმეში.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მთავარი ორგანო არის გაზეთი „რუდე პრავო"; გარდა ამისა, გამოდის გაზეთები: „პრავდა" (სლოვაკიის კომპარტიის ორგანო), „მლადა ფრონტა" (ახალგაზრდობის კავშირის ორგანო), „პრაცე" (პროფკავშირების ორგანო), „ობრანა ლიდუ" (ჩეხოსლოვაკიის არმიის ორგანო), „ზემედელსკოე ნოვინი", „ლიდოვა ნოვინი", „სვობოდნე სლოვო", (სოციალისტური პარტიის ორგანო) „ლიდოვა დემოკრატიე" (სახალხო პარტიის ორგანო) და სხვ. ჟურნალებიდან აღსანიშნავია: „ნოვა მისლ", „პროპაგანდისტ", „სვეტსკაია ნაუკა", „გოსპოდარე" და სხვ.

საერთოდ, 1953 წლის თებერვლისათვის მარტო ჩეხიის ოლქებში გამოდიოდა 29 გაზეთი, საერთო პოლიტიკური და

პროფკავშირული 86 ჟურნალი, მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული — 88, სახელმწიფოს, სამართლისა და სახალხო მმართველობის დარგში — 38, კულტურისა და განათლების დარგში — 41, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ლიტერატურმცოდნეობაში — 49, სახალხო მეურნეობის, ტექნიკის, მრეწველობისა, მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგში — 76 ჟურნალი და საინფორმაციო ბიულეტენი, სოფლის მეურნეობაში — 24, ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის დარგში — 40, ფიზკულტურისა და სპორტის ხაზით — 25, ახალგაზრდობისა და საბავშვო გამომცემლობის ხაზით — 17.

კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს ჩეხოსლოვაკელი ახალგაზრდობის სოციალისტური აღზრდის საქმეს. ახალ ჩეხოსლოვაკიაში ყოველ ახალგაზრდას შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით გაშალოს თავისი შემოქმედებითი მუშაობა. მის განკარგულებაშია ათასობით კულტურული დაწესებულება. ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირს უდიდეს დახმარებას უწევს კომუნისტური პარტია. ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირი წარმოადგენს კომუნისტური პარტიის თანაშემწეს ახალგაზრდობის სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდისა და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირი ახალგაზრდობას შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მარტო 1953 წლის სექტემბრიდან 1954 წლის აგვისტომდე ამ კავშირში შევიდა 250 ათასი ახალი წევრი. ადგილობრივი ორგანიზაციების რიცხვი ათასით გაიზარდა. ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირი თავის მხრივ დიდ მუშაობას აწარმოებს პიონერების აღზრდის ხაქმეში.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია წარმოადგენს ჩეხოსლოვაკელი ხალხის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს. იგი ხელს უწყობს მეგობრული კავშირის განმტკიცებას ჩეხოსლოვაკიის და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის სახით ხედავს უდიდეს ძალას, რომელიც თავისი დახმარებითა და მხარდაჭერით საშუალებას აძლევს

ჩეხოსლოვაკიის ხალხს ააგოს სოციალიზმი თავის ქვეყანაში. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელობას ნათლად ესმის საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის აყვავების საქმეში, იმპერიალისტური ქვეყნების შემოტევისაგან მისი დაცვის საქმეში. ჩეხოსლოვაკიის ხალხს უაღრესად უყვარს საბჭოთა კავშირი და მისი კომუნისტური პარტია.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკელი ხალხების ურთიერთობის ისტორია ეს არის მშვიდობისათვის, აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია. დიდი საბჭოთა კავშირი ყოველთვის იყო და არის ჩეხოსლოვაკელი ხალხის ერთგული მეგობარი, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველი. სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობა წარმოადგენს ძირითად პირობას ამ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობისათვის, მთელს მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

მსოფლიოს რეაქციული ძალები ამერიკის იმპერიალიზმის მეთაურობით ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, მაგრამ მათ გზაზე აღმართულია უდიდესი დაბრკოლება მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის სახით, რომელიც ამჟამად 900 მილიონ ადამიანს აერთიანებს. სულ უფრო იზრდება მსოფლიოს ხალხთა სიფხიზლე, მათი მისწრაფება არ დაუშვან ახალი ომის გაჩაღება.

მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში საბჭოთა ხალხებთან ერთად დგას ჩეხოსლოვაკელი ხალხი. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, ჩეხოსლოვაკიაში ხელი მოაწერა 9 მილიონზე მეტმა კაცმა. 1950 წლის დეკემბერში ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ მიიღო სპეციალური კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ.

ჩეხოსლოვაკელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სსრ კავშირის, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებთან კავშირში იბრძოლოს თავის ქვეყანაში სოციალიზმის აგებისა და მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

შინაარსი

		გვ.
შესავალი		3
თავი პირველი.	ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული რესპუბლიკა .	15
თავი მეორე.	სსრ კავშირის გადამწყვეტი როლი ფაშიზმის უღლისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების საქმეში	66
თავი მესამე.	სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა .	92
თავი მეოთხე.	ჩეხოსლოვაკიის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა	123
თავი მეხუთე.	ჩეხოსლოვაკიის ხალხის მიღწევები სოციალისტური განვითარების გზაზე .	146
	1. პირველი ხუთწლიანი გეგმის შედეგები .	146
	2. სოფლის მეურნეობა სოციალისტური განვითარების გზაზე	168
	3. წარმატებები ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კულტურის დარგში . .	184
	4. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ჩეხოსლოვაკიის ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია . .	203

რედაქტორი მ. კორძახია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/III-1955. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 13,25. უე 01275. ტირაჟი 7 000. შეკვეთის № 1202.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.